

კ. კუბლაშვილი

ქართული ენის ქვემოთხედიანი დიალექტი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1985

ქვემო იმერეთი დასავლეთ საქართველოს ცენტრში მდებარეობს. სამხრეთით მას ესაზღვრება მესხეთი, სამხრეთ-დასავლეთით — გურია, დასავლეთით — სამეგრელო და ჩრდილო-დასავლეთით — ლეჩხუმი.

ქვემო იმერეთის აღმოსავლეთით განლაგებულია ჳიათურის, ჳესტაფონისა და ორჯონიკიძის აღმინისტრაციული რაიონები, რომელთა მეტყველება, საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებასთან ერთად, ჳემოიმერულში ერთიანდება.

ქვემოიმერულის გავრცელების გეოგრაფიული არეალი, მის მატარებელ მკვიდრთა ისტორიული წარსული (ცნობილია, რომ ქვემო იმერეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ერთ დროს ჳანთა საცხოვრის წარმოადგენდა) და დიალექტის შინაგანვითარების კანონის მოქმედებით გამოწვეული ცვლილებები არის მიზნობრივი დიალექტთან: არქაული მოვლენები, ახალი ენობრივი ცვლილებები და ხელშესახებად გამოვლენილი ჳანური სუბსტრატის კვალი ქმნის ფორმათა იმ მრავალფეროვნებას და სიჭრელეს, რაც აგრერიგად არის დამახასიათებელი საკვლევი ობიექტისათვის.

იმერული დიალექტის თავისებურებანი არაერთხელ ყოფილა კვლევის ობიექტი. ჳემო იმერეთის მეტყველების მიკროანალიზი მოცემულია, მაგალითად, ქ. ძოწენიძის ვრცელ გამოკვლევაში „ზემოიმერული კილოკავი“, რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელს.

ასეთი ვრცელი, სისტემატური დახასიათება ქვემოიმერულის შესახებ ჳერჯერობით არავის მოუცია.

მართალია, ქვემო იმერეთის მეტყველებაც არაერთხელ შეუსწავლიათ სპეციალისტებს და მის მიმართ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ხშირად გამოუქვეყნებიათ რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო შრომებსა და კრებულებში, მაგრამ ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა ქვემოიმერულის შესახებ, როგორც ითქვა, დღემდე მანც არა გვაქვს.

ჩვენ შევეცადეთ ეს ხარვეზი შეძლებისდაგვარად შეგვესო და მისდამი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში სათანადო სისრულით

წარმოგვეჩინა ის ცვლილებები, რომელთა გამოწველილვითი ანალიზი ამ მეტად თავისებური დიალექტური ერთეულის პროფილსაც გაარკვევდა და ქართული ენის სხვა კილო-თქმათა შორის მის ადგილსაც განსაზღვრავდა.

კვლევის საგანია საკუთრივ მოპოვებული დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა. ჩვენ წლების განმავლობაში ვაწარმოებდით დაკვირვებას ქვემო იმერეთში შემავალი რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაზე, ვიწერდით გაბმული მეტყველების ნიმუშებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, გამოცანებს, მატერიალური ყოფის ამსახველ მასალებს და ა. შ. შეკრებილი მასალა, ვფიქრობთ, სანდოა და ამდენად მას შეუძლია, გარკვეული წარზოდგენა შეგვიქმნას საკვლევი დიალექტის ენობრივ თავისებურებებზე.

შევეცადეთ, საანალიზო ტექსტებში სრულად ასახულიყო ქვემო-იმერული მეტყველების ყველა არსებითი ნიშანი. კომპაქტური განსახლების პუნქტებში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დამატებითი ხასიათის სამუშაოებს ვატარებდით არაკომპაქტური განსახლების ზონებშიც, რომ უფრო ზუსტად გავგვესაზღვრა თავისებურებათა გავრცელების არეალი.

მუშაობის სწორი ორგანიზაციით წარმართვამ, რანეც, ცხადია, ბევრად არის დამოკიდებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების წარმატება, მოითხოვა სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე ცნობილი ფორმების ადგილზე შემოწმებაც. გაირკვა, რომ ისინი ზოგჯერ არასწორადაა ფიქსირებული და არამართებულად კვალიფიცირებულიც.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალის გარდა, საკვლევი ობიექტის მონოგრაფიულად შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ სპეციალური გამოკვლევები, ენათმეცნიერული მიზნით შეკრებილი და გამოცემული სხვა ტექსტები, აგრეთვე ის ისტორიული წყაროები და მხატვრული ლიტერატურა, რომლებშიც გამოვლენილია ქვემოიმერულის ელემენტები.

დიალექტი, საზოგადოდ, კვლევის ამოუწყვეტი წყაროა. ამის გამო შეუძლებელია მისი ამომწურავად შესწავლის პრეტენზია გვექონოდა. გვინდოდა მხოლოდ, ქვემოიმერული მეტყველების არსებითი ნიშნები გავგვესაზღვრა.

ენობრივ მოვლენათა ანალიზშიც, ალბათ, ზოგი რამ იქნება სადავო, მაგრამ, ვფიქრობთ, ქვემოიმერულის შესახებ დაწერილი ჩვენი გამოკვლევა გარკვეული სარგებლობის მომტანი იქნება.

შ ე ს ა მ ა ლ ი

ქართული ენა მდიდარია დიალექტებით. ისინი ენობრივ სოცლენათა დამთხვევა-განსხვავების საინტერესო ნიმუშებს გვიმოწმებენ, რამელთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავითვალისწინოთ ენის შესაძლებლობანი და ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის გზები. გარდა ამისა, მათი სათანადო სისრულით შესწავლა საყურადღებოა „ზოგადი ენათმეცნიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასმისა და ნაწილობრივ გადაწყვეტისათვის, როგორცაა დიალექტების წარმოქმნა, დიალექტებისა თუ დიალექტთა და მეზობელ ენათა ურთიერთმოქმედება, კონვერგენცია, მივლენათა უნიფიკაცია, ინოვაცია და სხვ.“ [1(170)].

კულტურის განვითარების დღევანდელ დონეს შეესაბამება ჩვენში დიალექტების სწრაფი ტემპით ნიველირება, მათი შერწყმა სალიტერატურო ენასთან. ეროვნული სალიტერატურო ენა იქცევა იარაღად ნაციონალური კულტურისა. ერთი სიტყვით, წარმოებს „დიალექტების კონცენტრაცია ერთიან ეროვნულ ენად, განპირობებული პოლიტიკური და ეკონომიური კონცენტრაციით“ [2(427)].

დიალექტთა შორის განსხვავების მოსპობას, კონვერგენციის პროცესს, საფუძვლად უდევს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორები. გარეგან ფაქტორებად მიჩნეულია შინაკონოლიზაცია, რომელიც ტარდება ჩვენში ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, უცხოურ ენათა გავლენის გაძლიერება, მონათესავე ენებში ქართული ენის ძლიერი ზეგავლენით უნიფიკაციის ტენდენციის გატარება და სხვ. [3 (184)], მაგრამ „ამ მნიშვნელოვან გარეგან ფაქტორებთან ერთად მოქმედებს სხვა ფაქტორიც: ენის, ამ შემთხვევაში დიალექტის, განვითარების შინაგანი კანონი. ამ კანონს ექვემდებარება ყველა ის ახალი წარმონაქმნი, რომლებიც წარმოიშვა სინქრონიულად ან სხვადასხვა დროს ტერიტორიულად მეზობელ ან დიდად დაშორებულ დიალექტებში და რამაც გამოიწვია თავის დროზე მკვეთრად გათიშულ

კილოთა დაახლოება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთგვაროვან ფონე-ტიკურ და გრამატიკულ მოვლენათა გაჩენა...

ამგვარად, ბევრია მიზეზი, რომელთა მეოხებით დიალექტური სხვაობები იშლება და მათ ნიველირებას ფართო გასაქანი ეძლევა, კონვერგენციის პროცესი გრძელდება და ახლა უფრო საგრძნობი ხდება, ვიდრე ამ ორიოდე ათეული წლის წინათ“ [3 (184)].

ყოველივე ეს, როგორც ამის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ სპეციალურ ლიტერატურაში, დღის წესრიგში აყენებს დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლის საჭიროებას. გადაუღებელ ამოცანად ისახება დიალექტთა არა მარტო აღწერა და მოვლენა: კვალიფიკაცია, არამედ მათი დინამიკაში განხილვა, „რადგან ენობრივი სისტემის დინამიკობა, რაც ენის ცელაში მქდავენდება, ენის ისეთ უნივერსალურ თვისებად გვევლინება, რომლის გაუთვალისწინებლად ენობრივი ფაქტის არც გაგება შეიძლება და არც მეცნიერული აღწერა“ [4].

დიალექტური მონაცემების შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ენის ისტორიისა და თანამედროვე სტატუსის გასარკვევად, ისეთი საკითხების გასაშუქებლად, როგორცაა ენის განვითარების გზებისა და ტენდენციების საკითხები, საერთო ქართულის არქეტიპის აღდგენის საკითხი, „რაც ეგოდენ საჭიროა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ქართველურ ენათა განვითარების საფეხურის დასადგენად და მათთან გენეტური ნათესაობის გასარკვევად“ [3(161)].

დიალექტთა შესწავლა, საზოგადოდ, ენათა ისტორიული რეკონსტრუქციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. „ასეთი შესაძლებლობის პრინციპულ საფუძველს ქმნის ენის სისტემის სხვადასხვა მხარის უთანაბრო განვითარება ტერიტორიულ დიალექტთა ცხოვრების სხვადასხვა პირობებში“ [5].

ცნობილია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფ. ენგელსი დიალექტებში არსებულ გადაშენებულ ფორმებს ენის ისტორიის შესასწავლად. „მშობლიური ენის მასალა და ფორმა მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, — წერდა ის, — როცა მის წარმოშობასა და თანდათანობით განვითარებას გავითვალისწინებთ, მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ ყურადღება არ მივაქციეთ, ერთი მხრით, მის საკუთარ გადაშენებულ ფორმებს და, მეორე მხრით, მონათესავე ცოცხალ და მკვდარ ენებს“ [6(333)].-

მაგრამ დიალექტთა შესწავლის მნიშვნელობა საერთოდ, და მათ შორის ქართული ენის დიალექტებისაც, შერთო თეორიული ინტერესებით არ შემოიფარგლება, დიდია ამ შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობაც. „ძველი ქართული ენის მოვლენები და მათი ფუნქცია შეიძლება დიალექტთა მონაცემებით აიხსნას. აღიარებულია, რომ ესა თუ ის დიალექტი საფუძველია ლიტერატურული ენისა და დაუშრეტელი წყაროა შემდგომი მისი განვითარებისა. ძველი ქართულით მოყოლებული დღემდე, განსაკუთრებით საშუალო და ახალი ქართული ლიტერატურული ენა... გაყენილია დიალექტიზმებით. პერსონაჟთა მეტყველება დიალექტურია და ნაწარმოების გაგება გაჭირდება, თუ არ ვიცნობთ მწერლის მიერ გამოყენებულ დიალექტს“ [3 (161—162)].

აქედან გამომდინარე, გასაგებია ის დიდი ინტერესი, რასაც დიალექტების შესწავლისადმი იჩენენ.

ქვემო იმერეთი უშუალოდ ესაზღვრება ლინგვისტური თვალსაზრისით ისეთ საინტერესო რეგიონებს, როგორცაა: გურია, სამეგრელო, ლეჩხუმი, რაჭა და ზემო იმერეთი. ექვმიუტანელი საბუთების საფუძველზე ვარაუდობენ აგრეთვე, რომ, როგორც უკვე ითქვა, ქვემო იმერეთის გარკვეული ტერიტორია ეჭირათ ზანურ ტომებს, რამაც თავისი კვალი დატოვა როგორც ტოპონიმიაში, ასევე გრამატიკასა და ლექსიკაში. ყველაფერი ეს კი სვაშს საკითხს ენობრივ ფორმათა ნაირგვარობის, დიალექტთა ურთიერთგავლენის, ინტერფერენციისა და იმავდროულად გამძლეობის, სუბსტრატის, დიალექტის კილოკავებად, თქმებად და ქცევებად დიფერენციაციის მიზეზთა შესახებ. ამ საკითხთა შესწავლა უთუოდ საშური და მეცნიერულად ფასეული ქართული დიალექტოლოგიისათვის.

ნაშრომის გამოცემა განზრახული გვაქვს სამ ნაწილად:

წიგნის პირველ ნაწილში განზოგადებულია კვლევის ის შედეგები, რომლებიც ქვემოიმერეთის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების შესწავლის გზით მივიღეთ. ამასთან ერთად, რამდენადმე მაინც გარკვეულია ქვემოიმერეთის ადგილი ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში.

განზრახული გვაქვს წიგნის მეორე ნაწილი მივუძღვნათ ქვემოიმერეთული მეტყველების ლექსიკურ თავისებურებათა ანალიზს, ხოლო

შესაშე ნაწილი დაეთმოა ქვემო იმერეთის რეგიონებში შეკრებილ მასალას — ტექსტებსა და ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს.

ქვემოიმერული მეტყველების თავისებურებათა შესწავლისას გამოვიდით იქედან, რომ დიალექტის კვლევის ერთ-ერთი არსებითი საკითხი — დადგენილ და აღნუსხულ მოვლენათა კვალიფიკაცია — „გულისხმობს თავისებურების გენეზისის ძიებას, იმის ახსნას, თუ რა გზით წარმოიშვა იგი, იმის გარკვევას ძველია თუ ახალი მოვლენა, რა მნიშვნელობა აქვს მას ენის განვითარების ისტორიისათვის და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის... ჩანს, სტატიკურ (აღწერილ) შესწავლას თან სდევს ისტორიულ-შედარებითი შესწავლა. დიალექტი იკვლევს მის დინამიკაში, მისი განვითარების ისტორიაში“ [3 (186)].

როგორც ვხედავთ, განსახილველ საკითხთა წრე ფართოა და მრავალმხრივი. ქვემოიმერული მეტყველების თავისებურებათა შესწავლა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულთან შეპირისპირებით, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში, მნიშვნელოვან ჩვენებას გვაძლევს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებათა გვერდით ცვლილებათა საერთო ტენდენციების გასათვალისწინებლად და ც. ენობრივ მოვლენათა ინტერპრეტაცია ნაშრომში წარმოდგენილია როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით.

ამგვარად ჩატარებული კვლევა-ძიება, რომელიც უკვე კარგა ხანია დამკვიდრებულია დიალექტოლოგიურ პრაქტიკაში, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ თავისებურებათა ხასიათზე, არამედ განვითარების იმ ტენდენციებზე, რომლებსაც ემორჩილება ენობრივი ცვლილებები.

შ. ძიძიგურიის აღრიხედელ გამოკვლევაში «К характеристике нижнеимерского говора грузинского языка», რომელიც გამოქვეყნდა კრებულში «Памяти академика Н. Я. Мара» (Москва-Ленинград, 1938, стр. 116 — 133) დასმულია არაერთი საინტერესო საკითხი, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ იმერული დიალექტის თავისებურებათა გათვალისწინებისათვის მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ხოლო ივ. ქავთარაძის ნაშრომი „იმერული დიალექტის ისტორიისათვის“ („მაცნე“, ქართული ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1975, გვ. 110—124) ამავე დიალექტის თავისებურებებს განიხილავს ისტორიულ ასპექტში.

ქვემოიმერული მეტყველების შესწავლა ჩვენც, როგორც აღვნიშნეთ, ღიდი ხანია დაიწყო.

საკვლევ ობიექტზე დაკვირვების ხანგრძლივ პერიოდში ფართოდ დებოდა შესასწავლ საკითხთა წრე, იკვეთებოდა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს როგორც შესასწავლი დიალექტური ერთეულის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებისთვის, ისე ზოგ შემთხვევაში ამ თავისებურებათა დაფასებისთვის ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

წინამდებარე გამოკვლევა „ქვემოიმერული დიალექტი“ ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი არკვევს ქვემოიმერულის მიმართების საკითხს უშუალო მეზობლობაში მყოფ დიალექტურ ერთეულებთან, ხოლო მეორე ნაწილი ამ დიალექტის ფონეტიკურ, გრამატიკულ და ზოგად ლექსიკურ დახასიათებას ეძღვნება.

ქვემო იმერეთის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

ქვემო იმერეთი ტერიტორიულად მოიცავს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს, აგრეთვე მის სამხრეთით და ჩრდილოეთით განლაგებულ გორაკ-ბორცვებს მათი მოსაზღვრე მთის კალთებით. მისი ტერიტორია შეადგენს 3787 კმ-ს.

ზემო იმერეთი წარმოადგენს პლატოს და მისკენ დახრილ მთის კალთებს. ეს პლატო სამი მხრიდან შემოზღუდულია საშუალო სიმაღლის ქედებით და მხოლოდ აღმოსავლეთისკენ არის ღია. კოლხეთის დაბლობისაგან იგი გამოიყოფა გორაკ-ბორცვიანი ზოლით. სწორედ ამ ზოლზე გადის საზღვარი ქვემო და ზემო იმერეთს შორის [7 (3)].

მსგავსი ბუნებრივი და მეურნეობრივი ნიშნების მიხედვით ზემო იმერეთში ერთიანდება საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის ადმინისტრაციული რაიონები და ქალაქები: ჭიათურა, ზესტაფონი, ხოლო ქვემო იმერეთში — თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონები, აგრეთვე ქალაქები: ქუთაისი, ტყიბული, სამტრედია, წულუკიძე და წყალტუბო.

ქვემო იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებუ-

ლი პუნქტია. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები როგორც ბარის, ისე მთის რაიონებში საშუალებას აძლევდა ადამიანებს, უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულიყვნენ აქ და განეითარებინათ თავიანთი კულტურა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოქმედების ყველა სფეროში.

ქვემო იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საკმაოდ მდიდარი პალეოლითური, ნეოლითური და ენეოლითური მასალა საინტერესო ცნობებს შეიცავს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა მატერიალური და სულიერი კულტურის თანდათანობითი განვითარების შესახებ. აქ მოპოვებული „კოლხური კულტურის“ ტიპის ბრინჯაოსაგან ნაკეთები სამეურნეო და საყოფაცხოვრებო იარაღ-ინვენტარი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ლითონის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებაზე, რასაც მიწათმოქმედების განვითარება მოჰყვა [8(63)]. შემდეგში საწარმოო ძალების წინსვლამ გააღრმავა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობას გამოეყო ხელოსნობა, წარმოიქმნა ქალაქები. „კოლხური თეთრის“ აღმოჩენა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იმ ხანებში ქვემო იმერეთში ფართოდ ყოფილა განვითარებული ვაჭრობა და ვაჭართა ფენაც ჩამოყალიბებულია [8(64)].

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო იყოფა ცალკე სამეფო-სამთავროებად. ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო რღვევას განიცდის [9(294)]. ამ დროს წარმოიშვა იმერეთის სამეფოც. იმერეთის გაყოფა ორ ნაწილად, ზემო და ქვემო იმერეთად, უმთავრესად ბუნებრივი პირობების სხვაობას ემყარება.

ზიუხნდავად იმისა, რომ წარსულში ქვემო იმერეთი სხვა პროვინციებთან შედარებით უკეთ იყო დაცული გარეშე მტრებისაგან, იგი მანც განიცდიდა დამპყრობთა შემოსევებს, ამას ემატებოდა შინაური მტრობა და შუღლი, ფეოდალური სეპარატიზმის გაძლიერება.

გაუთავებელ ომებს, უცხოელ ბარბაროსთა შემოსევებს ბოლო მოუღო საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. ამ ისტორიულმა ფაქტმა ქვემო იმერეთიც, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, საბოლოოდ იხსნა მაჰმადიანური სამყაროსაგან.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეს პატარა კუთხეც ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვემო იმერეთის მოსახლეობა

ეროვნული შემადგენლობით შედარებით უფრო ერთფეროვანია, რასაც თავისი საფუძველი აქვს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ამ კუთხეს არ განუცდია მკვიდრი მოსახლეობის მიგრაცია და ვერც უცხო. ტომები ჩამოსახლებულან აქ. ძველთაგანვე ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველი ტომები მკვიდრობდნენ. „ის ადგილები, სადაც ეხლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომით უნდა სახლებულიყო, ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება“ [10(56)]. „ზანიზმები უხვად არის წარმოდგენილი დღევანდელ გურულში. ამ მხრივ გურული ქვემოიმერულის მდგომარეობაშია“ [11(8)]. დროთა განმავლობაში ეს ადგილები ქართულად მოლაპარაკე ტომებს დაუკავებიათ, რომლებსაც შერევია ადგილობრივი მოსახლეობა და შემოსულთა ენა შეუთვისებია; ამასთან, თავისი მეტყველების ელემენტებზე შემოუნახავს. ამის გამო ითვლება ქვემოიმერული ნარევი კილოკავად. იგი წარმოქმნილია ქართულისა და მეგრულის შერევით. თავისი ნარევი ხასიათით ქვემოიმერული თვალსაჩინოდ განსხვავდება ზემოიმერულიაგან [3(166)].

მაშასადამე, ქვემოიმერულისთვის დამახასიათებელ ფორმათა მრავალფეროვნებას და სიჭრელეს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, თორემ განსახლების დღევანდელი პირობების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, აქ ერთფეროვნება უნდა გვქონოდა ენობრივი სისტემის ყველა რგოლში. ვფიქრობდით, დიალექტოლოგიური კვლევის თვალსაზრისით არსებითი ხასიათის მნიშვნელობა იმ ფაქტსაც ექნებოდა, რომ დღევანდელ პირობებში ქვემო იმერეთში გავრცელებულია საკარმიდამო ტიპის დასახლება, „რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ საცხოვრებელ სახლს ზედ ეკვრის საკარმიდამო ნაკვეთი, სოფელი შედგება დიდ ტერიტორიაზე გაფანტულ საცხოვრებელი უბნებისაგან... საზღვარი სოფლებს შორის მეტწილად პირობითია და დასახლებული პუნქტები ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამოიხნული“ [7(104)].

ქვემო იმერეთის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს მარცვლეული მეურნეობა. მის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებულია შეღვინეობაც.

- XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისში

ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეხილეობა და მებოსტნეობა.

საკვები ბაზის სიმცირის გამო მეცხოველეობა ნაკლებად განვითარებულ დარგს წარმოადგენს ქვემო იმერეთში. სამაგიეროდ მძლავრი მარცვლეული მეურნეობა ყოველთვის მტკიცე ბაზას უქმნიდა ამ მეფრინველეობის განვითარებას [8(77 — 80)].

ზოგი რამ მკვამრიზმარულს კილოკაპური დიფერენციაციის შესახებ

ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე, როცა დიალექტთა არა მარტო სრულყოფილი შესწავლა, არამედ საკითხთა განზოგადება და ისტორიულ ასპექტში გაშუქება მთავარ ამოცანად ისახება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვლევ პრობლემას დიალექტთა კლასიფიკაცია წარმოადგენს.

ცნობილია, რომ დიალექტთა გავრცელების ფარგლების დადგენა, განსაკუთრებით ისეთ ენობრივ არეალში, სადაც დიალექტები ინტენსიურად მოქმედებენ ერთმანეთზე, მეტად რთული საქმეა, იმდენად რთული, რომ ტრადიციული ლინგვისტური გეოგრაფია შეუძლებლადაც კი თვლიდა დიალექტთა გამიჯვნას.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტური გეოგრაფია მოწოდებულია ახლებურად დააყენოს საკითხები, სხვაგვარი კვალიფიკაცია მისცეს ადრე დადგენილ ცნებებს, შეიტანოს საჭირო ცვლილებები დიალექტთა არსისა და მათი მიმართების საკითხის გარკვევაში.

საკლასიფიკაციო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავება დიალექტთა თავისებურებების გამოწვლილვით ანალიზს ემყარება.

დიალექტთა კლასიფიკაციის საკითხი არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად ამა თუ იმ ენის დიალექტოლოგიის ისტორიაში, რადგანაც დიალექტთა დანაწევრების პრინციპები და მეთოდები უშუალოდ დაკავშირებულია დიალექტური მონაცემების შესწავლის დონესთან [12(7)].

მართალია, დიალექტთა დანაწევრებას მასში შემავალ უფრო წვრილ ენობრივ ერთეულებად—კილოკაპებად, თქმებად, ქცევებად—უწინარეს ყოვლისა, ლინგვისტური თავისებურებები უდევს საფუძ-

ვლად, მაგრამ გარდა წმინდა ენობრივი ფაქტორებისა, როგორც ცნობილია, მას სხვა გარეგანი ფაქტორებიც განსაზღვრავს.

განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობის საფუძველზე იმერულში ტრადიციულად ორ კილოკავს გამოყოფენ: ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს, გარდა ენობრივი და ინტონაციური ნიშნებისა, განსხვავებას მათ შორის ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ძლიერი კილოკაური დიფერენციაციაც კმნის. ზემოიმერული გაცილებით უფრო მონოლრთურია, ვიდრე ქვემოიმერული. ფორმათა მრავალფეროვნება და სიჭრელე, რამაც ამ ორ ერთეულს შორის სხვაობა ხელშესახებად წარმოგვიდგინა, სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორებით. შინაგან ფაქტორებად მიჩნეულია ენის შინაგანვითარების მოქმედების დიალექტურ მოვლენათა ევოლუცია, არქაიზმების დაცვა, ახალწარმონაქმთა გაჩენა და სხვა, ხოლო გარეგან ფაქტორებად — აქაურ მკვიდრთა ისტორიული წარსული და ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მოქცეულია ქვემოიმერული მეტყველება.

ქვემოთ დავინახავთ, რომ მსგავსი და განმასხვავებელი ენობრივი ნიშნების სრული გათვალისწინება უფრო მეტ განსხვავებას აღმოაჩენს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის, ვიდრე მსგავსებას.*

ამის მიხედვით ზემოიმერული და ქვემოიმერული ერთმანეთის მიმართ დიალექტებად შეიძლება წარმოჩინდეს და არა ერთი დიალექტის კილოკავებად.

დასკვნა ქვემოიმერულის ცალკე დიალექტად გამოყოფის შესახებ ემყარება მდიდარ ემპირიულ მონაცემებს: ნაშრომში წარმოდგენილი მასალა ჩვენ მიერ შეკრებილია ქვემო იმერეთის 6 რაიონის 60 სოფელში. ჩაწერილია ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ნიმუშები, ზღაპრები, გამოცანები, ლეგენდები, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი სხვა მასალები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო. მათმა გულდასმითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ ქვემოიმერული ცალკე დიალექტური ერთეულია. მას გაცილებით მეტი აქვს საერთო ლეჩხუმურთან და ზემოგურულთან, ვიდრე ზემოიმერულთან.

* ამ განსხვავებაზე მიუთითებდა ქ. ძოწენიძე თავის ნაშრომში „ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით“ (იხ. მისი „ზემოიმერული კილოკავი“, გვ. 227—241).

ცნობილმა ქართველმა მწერალმა მიხ. ჯავახიშვილმა 1928 წელს გამოთქვა მოსაზრება: „ზემო-იმერულ კილოს ქართლურ-კახურთან უფრო მეტი ნათესაობა აქვს, ვიდრე ქვემოიმერულთან“ [13(326)].

ლინგვისტურმა ალლომ მწერალს შესაძლებლობა მისცა, სწორად განეჭვრიტა ის მკვეთრი დაპირისპირებულობა, რაც ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის არსებობს. ამ დებულების მეცნიერული დასაბუთება მას არც მოუცია და არც უცდია, რომ მოეცა. მიხ. ჯავახიშვილის მიერ 1928 წელს ლიტონად გამოთქმულ მოსაზრებას მეცნიერული საფუძველი აღმოაჩნდა. ამ დასკვნამდის, როგორც ვთქვით, მიგვიყვანა დიალექტური ფაქტების ლინგვისტურმა ანალიზმა: ფონეტიკური სისტემის თავისებურებათა წარმოჩენამ, გრამატიკული წყობის, სიტყვაწარმოების ნიშანდობლობათა გამოვლენამ, მათმა განხილვამ თანამედროვე სალიტერატურო ენასთან მიმართებაში და ამასთან ერთად, მათი ადგილის გარკვევამ ქართული დიალექტების საერთო სისტემაში. ქვემოიმერულის ცალკე დიალექტად გამოყოფა რეალური ვითარების ასახვაა მხოლოდ და მასში საექვო არაფერია. ჩვენ, ცხადია, ამით იმის თქმა სრულებით არ გვინდა, რომ ქვემოიმერული ახლად წარმოიშვა ცალკე დიალექტად. რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ არსებულის შესწავლა, ფიქსაცია, ანალიზი გვჭირდება, რადგან დიალექტური მონაცემები ხშირ შემთხვევაში საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ენის რეკონსტრუქციისათვის, ცოცხალი მეტყველების კანონზომიერებათა დინამიკაში განხილვისათვის.

ქვემოიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად ჩამოყალიბებას მეტად ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. თავისი ენობრივი თავისებურებებით იგი გამოყოფა ზემოიმერულს და ზემოგურულსა და ლეჩხუმურის გვერდით დგება. ქვემოიმერული, ზემოგურული და ლეჩხუმური ერთ წრეს ქმნის ქართულ-დასავლურ დიალექტურ არეალში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვემო იმერეთის გარკვეული ტერიტორია ეკირათ ზანურ ტომებს (ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვ.), რამაც თავისი კვალი დატოვა როგორც ტოპონიმიაში, ასევე ქვემოიმერულის გრამატიკაში და ლექსიკაში.

რაც შეეხება საკვლევო ობიექტის შინაგანი დიფერენციაციის

საკითხს, ამის შესახებ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: გრამატიკული მოვლენების ანალიზითა და მათი ურთიერთშეპირისპირებით ირკვევა, რომ ქვემო იმერეთის გეოგრაფიულ დარაიონებას ზუსტად ემთხვევა ქვემოიმერულში შემავალი თქმების გავრცელების არეალი. ესენია: წულუკიძური, წყალტუბური, სამტრედიული, ვანური, მიაკოვსკური, ოკრიბული და თერჯოლური.

ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხანია არსებობს მეორე მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ იმერულში სამი კილოკავი გამოიყოფა: ზემოიმერული, ქვემოიმერული და შუაიმერული. ე. წ. „შუაიმერულში“ აერთიანებენ ტყიბულის, თერჯოლის და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას.

კილოთა კლასიფიკაციის საკითხი, საზოგადოდ, არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. ამჟამად აღიარებულია დიალექტთა კლასიფიკაციის ლინგვისტური პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ა. შ ა ნ ი ძ ე ქართულში ექვს დიალექტურ ჯგუფს გამოყოფს. დასავლურ ჯგუფში აერთიანებს იმერულს (ზემო, შუა და ქვემოიმერულს), გურულსა და რაჭულს. მისი აზრით, იმერულთან ახლოს არის ლეჩხუმური, გურულთან — იმერული. ზემორაჭული რჩება დასავლურ კილოთა სისტემაში, მაგრამ თავისი არქაული ნიშნებით უახლოვდება მთიულურ-ფშაურ ჯგუფს [14(828-832)].

ქართულ კილოთა კლასიფიკაციის საკითხს მიეძღვნა შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს შრომა «Опыт классификации диалектов грузинского языка», სადაც ავტორი გამოყოფს დიალექტთა ხუთ ძირითად ჯგუფს, დასავლურ კილოთა ერთი ჯგუფი წარმოდგენილია ზემოიმერულის, ქვემოიმერულისა და ქვემორაჭულის სახით, ხოლო მეორე ჯგუფი — გურულის, აჭარულისა და იმერხეულის სახით [15].

როგორც ამ კლასიფიკაციებიდან ჩანს, ა. შ ა ნ ი ძ ე იმერულში სამ კილოკავს გამოყოფს, ხოლო შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი — ორს.

აზრთა სხვადასხვაობა იმერული დიალექტის კილოკავური დიფერენციაციის შესახებ დღემდე გრძელდება. საკამათოდაა ქცეული შუაიმერულის საკითხი, მკვლევართა დიდი ნაწილი მას ცალკე დიალექტურ ერთეულად მიიჩნევს. ამ კილოკავში აერთიანებენ, როგორც ვთქვით, მიაკოვსკის, ტყიბულისა და თერჯოლის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა, ადრეც გამოგვეთქვა მოსაზრება აღნიშნული საკითხის შესახებ და ეპვის ქვეშ დაგვეყენებინა შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფის შესაძლებლობა: „აქვე კი შუაიმერულს ისეთი საერთო თავისებურებები, რომლებიც მას საკუთარ ადგილს მიაკუთვნებდა ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის? ქართული ენის ამ დიალექტის მეცნიერულად შესწავლის შედეგად დღესდღეობით მიღებული დასკვნები და ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვება უფლებას არ გვაძლევს, შუაიმერული ცალკე კილოკავად გამოვყოთ და ამით იგი ზემოსა და ქვემოიმერულს გავუთანაბროთ. შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი თავისი თავისებურებით ისევე დაუპირისპირდება ზემოსა და ქვემოიმერულს, როგორც ეს უკანასკნელები უპირისპირდებიან ერთმანეთს“ [16(220)].

შემდეგში ქ. ძოწენიძემ სპეციალური გამოკვლევაც უძღვნა ამავე საკითხს, სადაც იგი ახალიზებს შუაიმერულ კილოკავად მიჩნეულ თერჯოლის, ტყიბულისა და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას, განსაზღვრავს შეჩინეულ თავისებურებათა ხასიათს და განიხილავს მათ საერთო იმერულთან მიმართებაში.

ამგვარად ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ ფაქტებით ქ. ძოწენიძეს შესაძლებლობა მიეცა დაედგინა ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა სრული კომპლექსი, რომლითაც განისაზღვრება შესასწავლი ობიექტების დიალექტური პროფილი, და გარკვევით დასკვნა, რომ შუაიმერულ კილოკავად მიჩნეული თერჯოლის, მიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში ზემოიმერული კილოკავის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერულისაც და, რომ ე. წ. „შუაიმერულის“ ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება მხოლოდ მისი ნარევი შემადგენლობის გამო [17(209-224)].

მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს ზოგი მკვლევარი საკითხის არასპეციალური განხილვისას ქართული ენის სხვა დიალექტურ ერ-

თეულებს შორის კვლავ ასახელებს შუაიმერულს,* რაც არ მიგვაჩნია მართებულად.

ცხადია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქართული დიალექტოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე, როცა დიალექტთა საკლასიფიკაციო პრინციპები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი [18(16)], როცა ქართული ლინგვისტური გეოგრაფია თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და ამის გამო ნაკლები წარმოდგენა გვაქვს ენის ლინგვისტურ ლანდშაფტზე, შესაძლებელი იყოს დიალექტთა და დიალექტურ მოვლენათა გავრცელების ზუსტი საზღვრების დადგენა, მაგრამ დღემდე მოპოვებული მასალების საფუძვლზე სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, დასკვნა კი ემყარება არა მხოლოდ განსხვავებათა უბრალო აღრიცხვას (ცხადია, იგი ზღორ შედეგამდე მაინც ვერ მიგვიყვანდა!), არამედ თავისებურებათა ხასიათის გარკვევას და იმ მიმართებათა დადგენას, რაც შესასწავლ რეგიონში შემავალ დიალექტურ ერთეულებს შორის არსებობს.

შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მეტყველებას თერჯოლური და გამოეყოს როგორც გარდამავალი დიალექტური ერთეული [შლრ. 19(260)].

ასეთი კვალიფიკაცია მისთვის ნადრევი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ ჩვენებას, რასაც ის გვაძლევს მეზობელ დიალექტურ ერთეულებთან მიმართებაში.

თერჯოლური ნარევი შედგენილობისაა. მასში თავს იყრის ზემომიერულის, ქვემიმერულისა და ქვემორაქულის თავისებური მოვლენები [20 (160)].

მომიჯნავე კილოების ფონეტიკურ და გრამატიკულ ნიშნეულებათა ე. შერევა საფუძვლეს ქმნის მერყევ თავისებურებათა წარმოქმნის, პარალელურ ფორმათა გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. თერჯოლურისათვის, როგორც გარდამავალი ზოლის მეტყველებისთვის, ფორმათა მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი. სხვადასხვა დიალექ-

* ვ. კახაძე, მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება დიალექტებში (ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2, თბ., 1972, გვ. 65), მ. ქაცარავა, ნაცვალ-სახელი იმერულში (ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი, 1975, გვ. 20), ბ. ცხადაძე, იმერულის თავისებურებანი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით (ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978, გვ. 53).

ტების თავისებურ მოვლენათა ერთდროული ასახვა ნარევე ხასიათსაც ანიჭებს მას და იქ გამოვლენილ ცვლილებებსაც ცოცხალ მიმდინარე პროცესებად წარმოგვიდგენს.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

-მ ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი ზემოიმერულში დისციპლიაციური ხასიათის ცვლილებას განიცდის მომდევნო -მ ბგერის წინ: მამშორდი, მამეწონა, მამკლა [16(262—263)]. ქვემოიმერულში ასეთ ცვლილებას ადგილი არ აქვს: -ო ამ პოზიციაში ან თავისი ძირითადი სახითაა რეალიზებული: მომშორდი, მომკლა, მომქრა..., ან ასიმილაციურ გარემოცვაში -ე-დ არის ქცეული: მემეწონა, მემეკლა, მემეტანა და მისთ.

თერჯოლურში შეზავებულია ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ვითარება. აქ გავრცელებულია როგორც ქვემოიმერულისთვის დამახასიათებელი მომკლა, მომიტანა, მემექცა, მემენატრა, ისე ზემოიმერულისთვის ნიშანდობლივი: მამქრა, მამკლა, მამკა და მისთ. ფორმები.

ასევე -ო ხმოვნის რეალიზაცია არტიკულაციაში მერყევე ხასიათს ატარებს ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა: მოუტანა, მოუვიდა, მოუყვანა, მოუგონა, მოუარა და სხვ. ასეთ პოზიციაში -ო ხან თავისი ძირითადი სახესხვაობით წარმოგვიდგება, ხან მომდევნო -უ ხმოვნის ასიმილაციური ზეგავლენით -უ-დ იქცევა: მუუნახა, მუუყვანა, მუუგონა, მუუარა და ა. შ.

პირველ შემთხვევაში ზემოიმერულის ვითარებაა გამოვლენილი, მეორე შემთხვევაში — ქვემოიმერულისა. პარალელურ ფორმათა სიუხვე უფრო მეტად გრამატიკულ მნარეში შეიმჩნევა; მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად გარდამავალ ზმნებთან ქვემოიმერულში -ენ სუფიქსია წარმოდგენილი, ზემოიმერულში —-ებს, თერჯოლურში ორივე ფორმანტი თანაბარი უფლებით სარგებლობს, ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთმანეთის გვერდით არის როგორც -ებს, ისე -ენ სუფიქსი: ყაჩაღები მაშინათვე შეიპყრენ, შეუკრეს ხელები, პირში ბამბები ჩოუდვენ და გზას გოუყენეს...

სტატიკურ ზმნათა აწმყოს მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ზემოიმერულის ნორმაც მოქმედებს თერჯოლურში და ქვემოიმერულისაც: გავრენ, მოჩარენ, დგარენ ფორმების პარალელურად აქ დადასტურებულია ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი: დგალარიენ, ზილარიენ, წუხლარიენ, მოჩანლარიენ...; [19(250)].

ასევე, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები თურმეობით პირველში ხან ქვემოიმერულსებურად გვხვდება: გადარეულარიენ, წასულარიენ, ყოფილარიენ, ხან კიდევ — ზემოიმერულსებურად: გადარეულენ, წასულენ, ყოფილენ და მისთ. [19 (250)].

ჩვენი პირადი დაკვირვების საფუძველზე თერჯოლური მეტყველების სპეციფიკას ფონეტიკურ ნაწილში უფრო ქვემოიმერულს თავისებურებათა სიჭარბე ქმნის (თუ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით ვიმსჯელებდით!), ხოლო გრამატიკულ ნაწილში — ზემოიმერულსა.

მკვეთრად გამოვლენილ პარალელურ ფორმათა წარმოების მხრივ თერჯოლური მნიშვნელოვნად განსხვავდება ტყიბულისა და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებისაგან, სადაც ფონეტიკური და გრამატიკული ხასიათის ცვლილებები გაცილებით უფრო დამდგარ ხასიათს ატარებს, ამიტომაც მიგვაჩნია მიზანშეუწონლად მათი ერთ კილოკავად გაერთიანება ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს საპირისპიროდ, რომ არაფერი ვთქვათ ნიშანდობლიობათა ხასიათზე და იმ თავისებურებაზე, რასაც ტყიბულისა და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ავლენს, ერთი მხრივ, თერჯოლურისა და, მეორე მხრივ, ერთიმეორესა და საერთო ქვემოიმერულთან მიმართებაში. თავისებურებათა ამგვარი ანალიზი კი მათი დამოუკიდებელ თქმებად გამოყოფის საკითხს სვამს.

მომიჯნავე კილოთა თუ კილოკავთა ურთიერთზეგაველენით წარმოქმნილი გარდამავალი ზოლის მეტყველება შეუძლებელია დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად გამოვაცხადოთ, რადგან მოკლებულია იმ ინდივიდუალობას, რაც დიალექტურ ერთეულს თავის თავადობას ანიჭებს და სხვა კილო-თქმებთან მიმართებაში მისი განხილვის საკითხს აყენებს.

ასეთ გარდამავალი ზოლის მეტყველებას, როგორც ითქვა, წარმოდგენს თერჯოლური, რომელშიც თავს იყრის ორი დიალექტური ერთეულის თავისებური მოვლენები — ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს.

რაც შეეხება ტყიბულისა და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას, თავისებურებათა ხასიათის გამო ჩვენ მათი დამოუკიდებელ თქმებად გამოყოფის საკითხი დავსვით და მივაკუთნეთ ისინი ქვემოიმერულს [16 (221)].

„შუაიმერული შეიძლება იმერული კილოს ცალკე კილოკავად გამოეყოთ, თუ მას აღმოაჩნდება ისეთი თავისთავადი ფონეტიკურ-გრამატიკული თუ ლექსიკური ნიშნები, რითაც იგი ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის გვერდით დადგება და მათ დაუპირისპირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შუაიმერულის ცალკე კილოკავად გამოეყოფა მხოლოდ მისი ნარევი შედგენილობის გამო პირობითი თუ იქნება“ (ხაზი ჩვენი) [19(242)].

„ნარეობას“ ვერ მივიჩნევთ საკლასიფიკაციო ნიშნად, რადგან ასეთი ნარევი მეტყველება დიალექტთა შეხვედრის პუნქტებში ყოველთვის წარმოიშობა. თითოეული მათგანის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოეყოფა კილოკავთა რიცხვს უსაშველოდ გაზრდიდა და დიალექტთა დიფერენციაციის ისედაც რთულ საკითხებში კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას შეიტანდა.

„ქართული დიალექტების საკლასიფიკაციო ნიშნად ვ. თოფუჩია თვლიდა ლინგვისტურ პრინციპს — თავისებურებათა კომპლექსს“ [21(44)] და არა „ნარეობას“. ეს უკანასკნელი რომ საკლასიფიკაციო ნიშნეულებად მიგვეჩნია, მაშინ ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ან კიდევ ზემოიმერულისა და დასავლურ-ქართლურის მიჯნებზე წარმოქმნილი ნარევი მეტყველებაც დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულებად უნდა გამოგვეცხადებინა და თავ-თავისი სახელები დაგვერქმია. ჩვენ აქ მხოლოდ ორი შემთხვევის დასახელებით დავკმაყოფილდით, შეგვეძლო მაგალითების რიცხვი ბევრად უფრო გაგვეზარდა, რადგან ასეთი გარდამავალი ზონების წარმოშობა დიალექტურ ერთეულთა შეხვედრის პუნქტებში, როგორც ვთქვი, სავსებით ბუნებრივია.

**ქვემოიმერულის მიმართება უშუალო კონტაქტში მყოფ
დიალექტურ ერთეულებთან**

ქვემოიმერული მეტყველება ტერიტორიულად მოიცავს თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონებს. იგი გავრცელებულია ნაწილობრივ აბაშის რაიონშიც [29(436)].

ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებამ ცხადი გახადა, რომ ენობრივ თავისებურებათა გავრცელების საზღვრები, როგორც უკვე ვთქვი, ძირითადად ემთხვევა ქვემო იმერეთის გეოგრაფიულ დარაიონებას. ამიტომ ქვემოიმერულის განდასებისას წვრილ დიალექტურ ერთეულებად წმინდა ლინგვისტური პრინციპის მომარჯვებითა იმდენი ქვესისტემა გამოიყოფა თქმების სახით, რამდენი რაიონიც არსებობს.

საერთო მოვლენების გვერდით, რაც წვრილ დიალექტურ ერთეულებს ერთ სისტემაში აერთიანებს, მათ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებებიც აქვთ, რომელთა განხილვა საერთო ქვემოიმერულთან დაერთიმეორესთან მიმართებაში მეტად საინტერესო დიალექტოლოგიურ შედეგს გვაძლევს.

ქვემოიმერული მეტყველება აღმოსავლეთ მხრიდან კონტაქტშია ზემოიმერულთან, დასავლეთიდან მას ემეზობლება მეგრული მეტყველება, სამხრეთ-დასავლეთიდან — ზემოგურული და ჩრდილო-დასავლეთიდან — ლეჩხუმური.

ქვემოიმერულსა და მასთან უშუალო კონტაქტში მყოფ დიალექტურ ერთეულებს შორის წარმოიქმნება გარდამავალ ზონათა მეტყველება. ასეთ გარდამავალ ზონებს ქმნის ქვემოიმერულ-

ლი და ზემოიმერული თერჯოლის რაიონში, ქვე-
მოიმერული და ლეჩხუმური ცხენისწყლის ხეო-
ბაში და ქვემოიმერული და ზემოგურული მათი ტე-
რიტორიული შეხვედრის პუნქტებში.

განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდებით მომიჯნავე დიალექ-
ტურ ერთეულებში საერთო მოვლენების კვალიფიკაციის საკითხს:
მიღებული არიან ისინი ურთიერთზეგავლენით,
თუ საერთო პროცესებით დიალექტთა განვითარ-
ებაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ზოგჯერ შეიძლება შეცდომაც
დაუშვათ. სწორედ იმის გამო, რომ აქ დასახელებული ენობრივი
ერთეულები უშუალო კონტაქტში იმყოფებიან ერთმანეთთან და
ბევრი რამ აქვთ საერთო, განსაკუთრებით ძნელია მათში მსგავსი
მოვლენების გათიშვა ისეთი შემთხვევებისა-
გან, როცა ერთ-ერთი მათგანი მოქმედებს მეორე-
ზე.

საერთო მოვლენებზე მსჯელობისას ვერც იმას გამოვრიცხავთ,
რომ შეიძლება საქმე გვქონდეს ისოგლოსთან, რომელიც უწყვეტ
ტერიტორიაზე ერთი დიალექტის ფარგლებიდან გადის მეორე-
ში. თავისთავად ცხადია, ისოგლოსის ისეთი გავრცელება სრულიადაც
არ გულისხმობს დიალექტთა ურთიერთგავლენას ჩვეუ-
ლებრივი გაგებით.

თავი I

ქვემოიმერული მიმართება ზემოიმერულთან

გამოკვლევაში „ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მი-
მართებით“ ქ. ძოწენიძე ანალიზებს თავისებურებებს, რომ-
ლებიც დამახასიათებელია ამ ორი დიალექტური ერთეულისათვის,
თანაც გამოყოფს ისეთ ნიშნებს, რომლებიც მათ ერთიმეორეს უპი-
რისპირებს და საკუთარ ადგილს აკუთვნებს ქართული ენის სხვა კი-
ლო-თქმებს შორის [22(227—240)].

ჩვენ აქ შევეცდებით გამოავლინოთ სხვა რიგის ფაქტები, რომ-
ლებიც სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ამ

ორი დიალექტური ერთეულის ურთიერთმიმართების შესახებ კიდევ უფრო დააზუსტებს და შეავსებს. თანაც, მოვლენათა არა უბრალო სტატისტიკა, არამედ თავისებურებათა ხასიათის გარკვევა და ცვლილებათა საერთო ტენდენციების გამოვლენა ჩვენს მთავარ ამოცანად დგას და იკვლევა ამ შემთხვევაში.

კონკრეტული მასალის ჩვენება სხვაგვარად აყენებს საკითხს, ვიდრე აქამდე იყო ეს ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. უფრო თვალსაჩინო ხდება ცვლილებები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს ენობრივი სისტემის ყველა რგოლში. ეს კი მათი დამოუკიდებელ დიალექტებად გამოიყვანის საკითხს სევამს.

იმ რეალური ვითარების გათვალისწინების შემდეგ, რაც დასახელებული ენობრივი ერთეულების თავისებურებათა ურთიერთმიმართებაში განხილვით მივიღეთ, მათი „კილოკავებად“ მიჩნევა, შეცდომა იქნებოდა.

ასეთი განსხვავების მიზეზი, როგორც ითქვა, გარდა შინაგანვითარების კანონის მოქმედებისა, ამ დიალექტზე მოლაპარაკეთა ისტორიული წარსულიცაა.

ზემოთ აღინიშნა, ქვემოიმერული ნარევი დიალექტია, მისთვის, ამ მეტად თავისებური პროფილის მქონე დიალექტისათვის, განმსაზღვრელ ნიშანს ფორმათა ნაირგვარობა და სიკრელე წარმოადგენს. ფორმათა ამ მრავალფეროვნებაში აღბეჭდილია ის შედეგები, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია დიალექტის შინაგანვითარების კანონის მოქმედებით, ხოლო, მეორე მხრივ, განპირობებულია გეოგრაფიული გარემოცვით, ზანური სუბსტრატითა და იმ საერთო მოვლენებით, რომელთა წარმოშობას დიალექტებში საერთო საფუძველი აქვს.

როგორია შედეგი, რაც ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ურთიერთმიმართებაში განხილვით მივიღეთ? ასეთმა განხილვამ ხელშესახებად წარმოაჩინა მსგავსი ცვლილებების გვერდით ისეთი განსხვავებული მოვლენები, რომლებიც მათ ერთი მეორეს უპირისპირებს და ამდენად განსაზღვრავს თითოეული მათგანის პროფილს.

მსგავსი და განსხვავებული ნიშნების შეფარდებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ არაიდენტური მოვლენები სპარბობს იდენტურს როგორც ფონეტიკურ პროცესებში, ისე სახელთა ცვლილებებში, უფრო

ხშირად განსხვავებული მოვლენები ზმნურ ფორმათა წარმოებაში გვაქვს.

ფონეტიკიდან საერთოა: ზ-სა და ო-ს დავიწროება ორი სიტყვის შეხვედრის მიჯნაზე თვარ (<თუ არ), ხვარ <ხომ არ), საერთოა აგრეთვე რედუქციის კანონის სუსტად მოქმედება: სტუმარის, მასპინძლის, ქმარის და ა. შ.

ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბგერათასუბსტიტუციის, ბგერის დაკარგვის, ჩამატების, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესებით გამოწვეული ცვლილებები ერთნაირად დამახასიათებელია ზემოიმერულისთვისაც და ქვემოიმერულისათვისაც, თუმცა ამ საერთო ცვლილებებში არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა სათანადო პროცესების ის ფაქტები, რომლებიც ნიშანდობლივად ითვლება, ვთქვათ, ქვემოიმერულისთვის ნაკლებად დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის ან კიდევ, პირიქით. სპეციალური ლიტერატურიდან, მაგალითად, ცნობილია, რომ ბგერათა მეტათეზისით გამოწვეული ცვლილებები, დადასტურებული ქვემოიმერულში, ზემოიმერულისთვის უცხოა: წ რ ჟ ბ ლ ე ბ ი, გა ს ა დ ა რ ე ვ ი, ძ რ ი ე ლ ი [19(245)].

სრული -ი ხმოვნის მასიმილირებელი გავლენის მხრივ პრევერბისეულ -ა-ზე ერთნაირი ვითარება გვაქვს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულში: წ ე ო ლ ო, წ ე ი ყ ვ ა ნ ა, მ ე ი წ ვ ი ა..., მაგრამ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ამავე ხმოვნის ძალა ასიმილაციის პროცესში ო ხმოვანზე: ი ყოველთვის იმსგავსებს ო-ს ქვემოიმერულში მ ე ი ტ ა ნ ა, მ ე ი ყ ვ ა ნ ა, მ ე ი წ ვ ი ა..., ხოლო ზემოიმერულში მისი მასიმილირებელი ძალა შეუდარებლივ უფრო სუსტია, რაც საფუძველს ქმნის პარალელურ ფორმათა ქარბად გამოვლენისთვის აქ: მ ე ი ტ ა ნ ა // მ ო ი ტ ა ნ ა, მ ე ი ყ ვ ა ნ ა // მ ო ი ყ ვ ა ნ ა, მ ე ი წ ვ ი ა // მ ო ი წ ვ ი ა.

-ოე კომპლექსის -უე-დ ცვლის ის ფაქტები, რომლებიც ძალზედ გავრცელებულია ქვემოიმერულში: გ ო გ უ ე ბ ი, ო ქ რ უ ე ბ ი, კ ო ლ უ ე ბ ი, ე ზ უ ე ბ ი..., ნაკლებად დამახასიათებელია ზემოიმერულისთვის.

ორ მ-ს შორის მოქცეული -ო, როგორც ვთქვით, დისიმილაციური კანონის მოქმედების საფუძველზე რეალიზებულია -ა-დ ზემოიმერულში: მ ა მ კ ლ ა, მ ა მ ი ტ ა ნ ა, მ ა მ ი ყ ვ ა ნ ა... ქვემოიმერულში კი -ო

ამ პოზიციაში დისიმილაციური ხასიათის ცვლილებას არ განიცდის: მომკლა, მომპარა, მომკრა, მომიტანა...

- ხმოვნის დისიმილაციური ცვლილება აღნიშნულ პოზიციაში იმდენად ნიშანდობლივია ზემოიმერულისათვის და იმდენად არ არის დამახასიათებელი ქვემოიმერულისთვის, რომ ერთ დროს მას საკლასიფიკაციო ნიშნეულებადაც კი ვთვლიდით იმერული დიალექტის განდასებვისას ორ ნაწილად [16(263)].

ძალზე განსხვავებული ვითარება გვაქვს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის მახვილის თვალსაზრისითაც.

საკითხის სპეციალურმა კვლევამ ქვემოიმერულის ჩვენების მიხედვით დაადასტურა, რომ აქ ფრაზის მახვილი მოქმედებს, ზემოიმერულში კი ფიქსირებულია დინამიკური მახვილი სიტყვაში ტონური მახვილის ელემენტებით [19 (170)]. (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ზემოთ განხილული ცვლილებები ქვემოიმერულსა და ზემოიმერულში შინაგანვითარების კანონის მოქმედების ნიმუშებად შეიძლება მიგვეჩინა და მის საფუძველზე აგვეხსნა, მაგრამ, ცხადია, განსხვავებულ ცვლილებათა წარმოქმნა ყოველთვის არაა შინაგანვითარების კანონის მოქმედების შედეგი. მას შეიძლება სხვა საფუძველიც ჰქონდეს. არაინდეტურ ცვლილებებში საზოგადოდ არეკლილია განსხვავებული კონტაქტების შედეგები, სხვადასხვა სუბსტრატის კვალი და ა. შ. თუმცა მიმართებათა საკითხის გარკვევისას გავლენით წარმოქმნილი ცვლილებები მნიშვნელობის თვალსაზრისით ვერ გაუტოლდება იმ ცვლილებებს, რომლებიც შინაგანვითარების კანონის მოქმედების შედეგია.

ქვემოიმერულსა და ზემოიმერულს შორის წარმოიქმნება გარდამავალი ზონის მეტყველება მერყევი თავისებურებებით. ერთ-ერთ ასეთ გარდამავალ ზონად თერჯოლური მეტყველებაა მიჩნეული.

გარდამავალი ზონის წარმოქმნა შედეგია ორ დიალექტს შორის არსებული მკვეთრი სხვაობისა. ასეთ სხვაობას, გარდა აღნიშნულისა, როგორც ითქვა, ქმნის განსხვავებული კონტაქტებიც. ქართლურის გავლენის კვალი ზემოიმერულ მეტყველებაზე, მაგალითად, საგრძნობია ენობრივი სისტემის ყველა რგოლში და მათ შორის ბგერათცვლილებებშიც. ასევე თვალსაჩინოა ზემოგურულის გავლენა ქვემოიმერულზე მათი ტერიტორიული შეხვედრის პუნქტებში. მოვიყვანთ მაგა-

ლითებს. თანხმობანთა პროგრესული ასიმილაცია, როცა გამვლენელი ყრუ აბრუატივია, ქვემოიმერულში სისტემატურობასთან დაქვემდებარებულ მოვლენად ითვლება: ტპა, კპილი, დაამიწყტა... მაგრამ ქართლურის გავლენით ზემოიმერულში ეს ფონეტიკური პროცესი მერყეობს. რაც უფრო ქართლისკენ მივიწევთ, მით მეტად ჰარბობს უასიმილაციო ფორმები [19 (39, 137, 171, 228)].

მაშასადამე, განსხვავება ამ ორ კილოს შორის, რაც იმერულის შინაგანვითარების კანონს ეწინააღმდეგება (ცნობილია, რომ თანხმობანთა პროგრესული ასიმილაცია, როცა გამვლენელი ყრუ მკვეთრია, დასავლურ-ქართული დიალექტური წრის საერთო დამახასიათებელი ნიშანია), ამ შემთხვევაში აღმოცენებულია ზემოიმერულის კონტაქტით ქართლურთან.

ასევე, ვიწრო -უ ხმოვნის ნაწილობრივი მასიმილირებელი გავლენა პრევერბისეულ -ა-ზე საერთო იმერული მოვლენაა: გოუკეთა, დოუმალა, გოუთოხნა... მაგრამ ზემო გურიის მიჯნაზე მდებარე ქვემო იმერეთის სოფლებში -უ სრულად იმსგავსებს პრევერბის -ა-ს: გუუკეთა, დუუმალა, გუუთოხნა... რაც ზემოგურულის აშკარა გავლენის შედეგია ქვემოიმერულზე. აქვე ხშირად არის გაუჩინარებული გნაცვალსახელებში: აი (<აგი), ეი (<ეგი), იი (<იგი). ესეც ქვემოიმერულის ზემოგურულთან კონტაქტით აიხსნება.

დაპირისპირებას ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის აღრმავებს აგრეთვე ამ უკანასკნელში ჰარბად გამოვლენილი ზანური სუბსტრატის კვალი.

აქ დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას ბგერათცვლილებიდან: ხონ-სამტრედისის ზოლის მეტყველებისთვის დამახასიათებელია პრეფიქსის -ი ხმოვნის გავლენით პრევერბისეული -ა ხმოვნის სრული დამსგავსება: დიიხჩო (<დეიხჩო), წიილო (<წეილო), გიიქნია (<გეიქნია)... მსგავსი ვითარება გვაქვს ჰანურ-მეგრულშიც. -ეი კომპლექსი სრული ასიმილაციით აქაც იძლევა იი-ს: იიწკედუ (<ეიწკედუ), აიხედა; იისელი (<ეისელი), ადექი; შიილებე (<შიიძლებე <შეიძლებე) [23(54)].

-ია კომპლექსი მეგრულში პროგრესული ასიმილაციით გვაძლევს -იე-ს: ფუჩი გოტახასიე (<გოტახასია), ფიცი გატეხესო' [23(127)].

შესაბამისი ცვლილება დამახასიათებელია ქვემოიმერულისთვისაც: ტ ი რ ი ე ნ (< ტირიან), ყ ვ ი რ ი ე ნ (< ყვირიან), მ ი დ ი ე ნ (< მიდიან)... ი ე ფ ი (< იაფი), ც ი ე გ ი (< ციაგი) [16 (255)].

ის ფაქტი, რომ აღნიშნული ცვლილება სისტემატურობასთან დაქვემდებარებული სწორედ იმ არეალში ჩანს, სადაც ზანური სუბსტრატი სხვა შემთხვევებშიც ხელშესახებად ვლინდება (გურულში, ქვემოიმერულში, ლეჩხუმურში), ხოლო ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებში სათანადო ფონეტიკურ პროცესს ან სულ არ აქვს ადგილი (აქარულში), ან სუსტად გამოვლინდება ხოლმე (ზემოიმერულსა და რაჭულში), სარწმუნოს ხდის ვარაუდს იმის შესახებ, რომ -ია კომპლექსის -იე-დ ქცევა, ანლაუტში იქნება ეს, ინლაუტსა თუ აუსლაუტში, მეგრული სუბსტრატის შედეგია ქვემოიმერულში.

ზანური სუბსტრატითვე უნდა აიხსნას ორი სიტყვის შეხვედრის მიჯნაზე წარმოქმნილი ასიმილაციური ხასიათის ცვლილების ხშირი შემთხვევები ქვემოიმერულში: რ ო უ ყ ა ვ ი (< რა უყავი), რ ე ი ქ ნ ა (< რა იქნა), რ ო უ ქ ე ნ ი (< რა უქენი), რ ე ე შ ვ ე ლ ე ბ ა (< რა ეშველება).

ასეთივე მოვლენა არანაკლებ დამახასიათებელია მეგრულისათვისაც: მ ო ო რ ე ? (< მუორე?), რ ა არ ის ?, ვ ე ე ნ გ ა რ ა (< ვაინგარა) — არ იტირო, ვ ე ე ღ ა (< ვაიღა), ნ უ წ ა ხ ვ ა ლ , ვ ე გ ი ო ხ ე (< ვაგიოხე), არ ზ ის [23 (126-127)].

მოტანილი მაგალითები ნათელყოფს, რომ ბგერით სისტემაში მომხდარ ცვლილებათა თვალსაზრისით ზემოიმერული და ქვემოიმერული უფრო მეტ სხვაობას ავლენენ, ვიდრე მსგავსებას.

იგივე უნდა ითქვას მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ხასიათის ცვლილებებზეც. ს ა ე რ თ ო მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ის გვერდით აქაც ბევრია განსხვავებული, განსაკუთრებით ზმნურ ფორმათა წარმოებაში.

მორფოლოგიურ მხარეში მომხდარ ცვლილებათა ანალიზისას პირველ რიგში შევეხებით ს ა ე რ თ ო მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს, მაგრამ, ცხადია, აქ არაფერს ვიტყვით იმ ცვლილებებზე, რომლებიც არა მარტო დასახელებული ობიექტებისთვის არის ნიშანდობლივი, არამედ დასტურდება ქართული ენის სხვა კილო-თქმებშიც და სავსებით სამართლიანად მიჩნეულია კ ო ნ ვ ე რ გ ე ნ ც ი ის პროცესის გამოხატულებად.

მხედველობაში გვაქვს: ა) პირის ნიშანთა ერთგვარი ევოლუცია ზემოიმერულსა და ქვემოიმერულში; ბ) -შემო ზმნისწინის ნაცვლად -შამო-ს ხმარება შ ა მ ო კ რ ა; გ) -ია სუფიქსის გატარება თურმეობით პირველში: დ ო უ ბ ი ა , შ ე უ კ ე რ ი ა , დ ო უ ხ ნ ი ა და სხვა ასეთი

ცვლილებები, რომლებიც საერთოა ქართული ენის სხვა კლოებისთვისაც (ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა) და ამ მხრივ, მაშასადამე, ქვემოიმერული და ზემოიმერული რაიმე გამონაკლისს სრულიადაც არ წარმოადგენს.

ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ საერთო იმერულ მოვლენებზე და სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილ ფაქტებს დავუმატებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას: ა) ორივესთვის ერთნაირად არის დამახასიათებელი, მაგალითად, პრეპოზიციული წყობის სუბსტანტიურ მსაზღვრელში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტის მოკვეცა, რის გამოც ზემოიმერულშიც და ქვემოიმერულშიც ერთნაირად გავრცელებულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეხამების ასეთი ტიპი: ყურძნი კრეფა დეიწყო..., ყური ტკივილი აწუხებს..., ბალი ვაშლი მოვკრიფე... ბ) ორივენი ერთნაირად ამჟღავნებენ პირის სახელების ბრუნების გათანაბრების ტენდენციას საზოგადო სახელებთან, წოდებით ბრუნვაში დაირთავენ -ო-ს: აკაკო, ბესარიონო, ეთერო... გ) -ვით თანდებული -ვეთ ვარიანტით არის გავრცელებული: ქვასავეთ მაგარია, ბაღანესავეთ ტირის..., ღამესავეთ ბნელია... დ) -გან თანდებულთან ნათესაობითის ნაცვლად სახელი, ჩვეულებრივ, ყოველთვის -გან თანდებულთან მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გვხვდება: შენ დან ამას არ მოველოდი..., შვილი დან მივიღე დღეს წერილი..., დვინი დან კეტარი კაცი ჯერეთ არ მინახავს*..., ე) -თვის თანდებული ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია -თვის სახით: მისთვის, დედისთვის, ბოვშისთვის... ვ) -მდე თანდებულის -მ დი ნ// -მ დი ს ი ნ სახეობაა უპირატესად გავრცელებული: აქამდინ საიყავი, ბიკო..., სახლამდისინ დიდი გზაია..., გზამდინ ფეხით უნდა ვიაროთ...!

ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს აზრით, თვინ და მდინ უძველესი ფორმებია. ამდენად მათი ღირებულება დიალექტოლოგიის ფარგლებს სცილდება [74 (192)], ზ. სარჯველაძის აზრით, კი მდინ, თუნ ძველ ქართულშიც დიალექტიზმებს წარმოადგენს [25 (25)]. ზ. პირის ნაცვალსახელები შენ, ჩვენ, თქვენ ორივე კილოკავში გავრცელებულია შენე, ჩვენე, თქვენე, სახით.

-გან თანდებულთან მოქმედებითის ფორმები უმეტესწილად საშუალო საფეხურით გვხვდება: სახლი დგან ახლა გამევიდა..., ორმოდგან ამოქრა..., ჰი დგან ამევიღე...

საერთოა აგრეთვე პირის ნაცვალსახელთა ამგვარი წარმოება: მათმა, იმათმა, მაგათმა... იმგენმა, ამგენმა, მაგენმა... ამგენს, მაგენს, იმგენს... იმგენის, ამგენის, მაგენის... [შღრ. 19(236)].

საერთო იმერულის გვერდით ზემოიმერულსა და ქვემოიმერულში გამოიყოფა განსხვავებული ენობრივი ცვლილებები. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირატესად ზმნურ ფორმათა წარმოებაში გამოვლინდებიან და წარმოადგენენ შედეგს ჩვენ მიერ დასახელებული ფაქტორების მოქმედებისას.

იგივე მიზეზები განსაზღვრავს სახელურ ფორმათა წარმოებაში მომხდარ ცვლილებებსაც.

ქართლურის გავლენის კვალი ცხადად ჩანს ბოლონმოვნიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისას ზემოიმერულში: მოსამართლეთმა, ქეთოთმა, მოჯამაგირეთმა და ა. შ.

მოთხრობითის ამგვარი გაფორმებით ზემოიმერული მკვეთრად უპირისპირდება ქვემოიმერულს.

ასეთივე მკვეთრი დაპირისპირება არსებობს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის ზემოიმერულში გავრცელებულ ისეთი ფორმების მხრივაც, როგორცაა: ყოველთვინა, იქითკენა, წისკვილიდანა, გვერდიდანა, იქითკენა, ზეიდანა, მაშინა, გარეთა, ხანდახანა, ამალამა, გუშინა, გაისათა.

ქვემოიმერულში ასეთ შემთხვევებში ყველგან გვაქვს -ე: წისკვილიდანე, ხვალე, ამალამე და მისთ.

დასახელებულ ფორმათა გავრცელებაში ქართლურის გავლენა ზემოიმერულზე საეჭვო არაა.

ზემოიმერულის მონაცემთა მიხედვით მიცემით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი სახელი ნიშანმოკვეცილია [19(146)]: საჰმელვჰამ..., ვახშამ ვიკეთეფ..., მასპინძელ ვაღღეგრძელებ..., ასევე ქართლურშიც [26(143, 194)].

ქვემოიმერულში კი ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია. აქ, როგორც წესი, -ხ თავის პოზიციას არ თმობს: საჰმელს ვჰამ..., სიმიდს ფჰეავს..., ვარსკვლავებს ითვლის...

ქართლურის გავლენა ზემოიმერულზე ამ შემთხვევაშიც ადვილად დასანახი ფაქტია.

ზემოიმერულის ჩვენების მიხედვით, მიცემითში, ნათესაობითში,

მოქმედებითსა და ზოგჯერ ვითარებითში სახელი ხშირად წარმოდგენილია ემფატიკური ხმოვნით: მეზობელსა ვკითხე..., ღვინოს ამევიღეუ ჩაფითა..., არ ვარგინარ კაცადა...

ეს მოვლენაც ზემოიშერულის ქართულთან კონტაქტით აიხსნება. ქვემოიშერულისათვის ემფატიკური -ა დამახასიათებელი არაა. თვით ზემოიშერულშიც „ემფატიკური -ს ხმარება თანდათან იკლებს, რაც უფრო დასაველეთისკენ მივიწევთ“ [19(147)].

ემფატიკური -ა ხმოვნის აგრერიად უგულუბელყოფა ქვემოიშერულში შეიძლება ზანური სუბსტრატის შედეგი იყოს, რადგან „ემფატიკური დაბოლოებისათვის -ა ჰანურსა და მეგრულში არ იხმარება“ [11(54)].

ეს გარემოება საფუძველს ქმნის იმ განსხვავებული ვითარების ასახსნელად, რაც ვლინდება ამ ორ ენობრივ არეალში -ა ხმოვნის ბაღლად -ის ხმარების თვალსაზრისით როგორც ფუძეუკვეცელ, ისე ფუძეთანხმოვნის სახელებშიც.

ზემოიშერულში, სადაც ემფატიკური -ა ხმოვანი ხშირად დაერთვის სახელებს, ზოგჯერ მის ბაღლად -ი-ც გამოვლინდება: თინამ არ იცის მორიღება ადამიანისი..., ნაპურალზე არ ვარგა დაფქვა სიმიდისი..., მიწის შოტანას დევიწყფთ ძართითი..., ანზორას გავს სახითი, ფერ-ხორციითი*.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში გამოვლენილი -ი ბოლოხმოვნის უკვეცელ სახელებში სალიტერატურო ქართულში (სამშობლოსი, სამშობლოთი), ხოლო კვეცად ფუძებთანაც და ბოლოთანხმოვნისებთანაც დიალექტებში (რკინისი, კაცისი), ემფატიკური -ა-ს ბაღალია [27(239—262)]. ამიტომაც, რომ ზემოიშერულში (და აგრეთვე იმ კილოებში), სადაც ემფატიკურ -ა-ს ხშირად დაირთავს სახელები, აღნიშნულ ბრუნვებში მის ბაღლად -ი-ც გვხვდება. იქ, სადაც -ა-ნიანი ფორმები ჰარბობს (თონისა, ნაჯახითა...) -ი-ნიანი ფორმების (ფულისი, ნიჩაფითი...) მოხმარების არეა შემცირებული და, პირუკუ [19(148—149)]. ქვემოიშერულში კი, სადაც -ა-ს გამოყენება ემფატიკური ხმოვნის ფუნქციით ნულამდეა დასული, -ი თითქმის არასოდეს არ დაერთვის

* მაგალითები ამოღებულია ქ. ძოწენიძის წიგნიდან „ზემოიშერული კილოები“, თბ., 1973, გვ. 148.

სახელებს აღნიშნულ ბრუნვებში: წყლისი, კაცისი, თოხითი, კობზითი და სხვ. ასეთი ფორმები მისთვის ძალზედ იშვიათია.

ღიალექტის შინაგანავითარების კანონის მოქმედების ნიმუშებად შეიძლება დაგვესახელებინა სახელებში მომხდარი ასეთი ცვლილებები: ა) ნართანიანი მრავლობითის ფორმები, მართალია, შეზღუდულად, მაგრამ ზემოიშვრულში მაინც გამოიყენება, ქვემოიშვრულში კი — არა. ბ) —თან თანდებულის დართვისას ხმოვანფუძიან სახელებზე ქვემოიშვრულში ყოველთვის იკარგება —თ: ხესან, ქასან, ეზოსან და ა. შ., ხოლო ზემოიშვრულში — არა. გ) —ვით და მისი ვარიანტი —ვეთ ქვემოიშვრულში ნათესაობითის ფორმასთან გვხვდება, როცა სახელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება: ნუ ტირიხარ ბოვშისავით//ვეთ..., ქალისავით//ვეთ ხმა აქვს..., ძაღლფსავით//ვეთ ყმუა...

სპეციალურ გამოკვლევებში —ვით//—ვეთ თანდებული ნათესაობითთან ზემოიშვრულისათვის ნაჩვენები არ არის. დ) —ებრ თანდებული ქვემოიშვრულმა საერთოდ არ იცის. მის ფუნქციას აქ ასრულებს —ვით//—ვეთ თანდებული: კაცისავით//ვეთ აცვია..., ქვისავით//ვეთ მაგარია... ზემოიშვრულში —ებრ თანდებული, ფონეტიკურად სახეცვლილი, არც ისე იშვიათად გამოიყენება: ქვასაეფ გამხთარა..., უროსაეფ არი მიწის დამტკეპნი..., რავა იმასაეფ ლაპარაკოფ... [19(149)]. ე) ქვემოიშვრულის დასავლურ ზოლში ხშირად გამოიყენება ნაწილაკი —ყენ(ნ), განსაკუთრებით კი მისი ფონეტიკური ვარიანტი „წყენ“ თანდებულის ფუნქციით: მარჯენიწყენ გოვუხვიო, თუ მარცხნიწყენ... ზემოიშვრულისთვის ასეთი ფორმები სრულიად უცხოა. ვ) ქვემოიშვრულისათვის დამახასიათებელია ვინცხა, რაცხა, საცხა, რომელიცხა და სხვ. მისთ. ფორმები. მათ ნაცვლად ზემოიშვრულში გავრცელებულია ვინძლა, რაძლა და კონტამინაციური: ვინძახა, რაძახა [19(151)].

როგორც ვთქვით, ზმნურ ფორმათა წარმოებაში იდენტური მოვლენები საძებარია, განსხვავებული კი მრავლად მოიპოვება. სხვაობაცა და მსგავსებაც საგულისხმო ჩვენებას. გვაძლევს ზემოიშვრულისა და ქვემოიშვრულის ურთიერთმიმართების საკითხის სარკვევად. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ცვლილებებს ენიჭება, რომლებიც საფუძველს წარმოადგენენ ახალი ტენდენციის გატა-

რებისთვის. მაგალითად: -ენ სუფიქსი ქვემოიმერულში გვაძლევს ფუნქციის გაფართოებას. იგი აქ გამოიყენება III პირის სუბიექტის სინრაელის გამოსახატავად არა მხოლოდ აწმყო-მყოფადში -ი ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან: თოხნიენ, მკიენ, ჭრიენ... ან კიდევ -ის სუფიქსის ნაცვლად გარდამავალ ზმნებში: მოკლენ; დაქრენ, დეიწყენ... და -თ სუფიქსის მაგიერ ინვერსიულ ზმნებში: აქვენ, რაიგინდენ, მოუტანიენ..., არამედ -ენ ფორმანტი II და III პირში დასმული გრამატიკული ობიექტის სიმრავლესაც გამოხატავს პირდაპირი წყობის ზმნებში: ერთი, იგი მოყვი, შოფერმა რომ გაგიტაცენ..., ნეტაი თქვენ, თუ არ გაწუხებენ ახლა სიცხე..., რა ჯანდაბა გადარევენ მაგენს, რო არ ვიცი..., მასწავლებელი გოუწყრებიენ ბოვშებს...

მართალია. ასეთი ცვლილება დღესდღეობით ხონ-სამტრედიის ზოლისთვის უფროა დამახასიათებელი, მაგრამ მისი მართულება ნათელია: ქვემო იმერეთის ზოგიერთი რაიონის მეტყველებაშიც მსგავსი შემთხვევები აქა-იქ ფიქსირებულია.

საკითხის სპეციალურმა კვლევამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ამ შემთხვევაში ახალი ტენდენციის გატარებაში ძლიერი ტრადიციის გარდა წილი ანალოგიასაც უღევს. სწორედ ინვერსიულ და ინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნათა ანალოგიით -ენ სუფიქსმა ქვემოიმერულში გაიფართოვა მოხმარების არე და იგი სიმრავლის გამომსატველ საყოველთაო სუფიქსად მოგვიჩვენა, თუ მთელ ქვემოიმერულში არა, მის ერთ ზოლში მაინც (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება ზემოიმერულს, იგი -ენ სუფიქსის გლობალური გამოყენების თვალსაზრისით მკვეთრად უპირისპირდება ჩვენთვის საკვლევ ობიექტს. ეს ფორმანტი აქ გარდამავალ ზმნათა წყვეტილშიც ვერ ცვლის ყოველთვის -ეს სუფიქსს, რაც დამახასიათებელია ქვემოიმერულინათვის, ამიტომ ზემოიმერულში იშვიათი არაა პარალელური ფორმები (გააკეთენ//გააკეთეს, გათოხნიენ//გათოხნეს დაწერენ//დაწერეს), ზედმეტია ლაპარაკი -თ-ს ნაცვლად -ენ ფორმანტის გამოყენებაზე ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში: ზემოიმერულში ჩვეულებრივ იხმარება: აქვთ, ძინავთ, გოუკეთებიათ და არასოდეს: აქვენ, ძინავენ, გოუკეთებდენ...

ეს არის მიზეზი იმისა, რომ -ენ ზემოიმერულში ვერ გვაძლევს ფუნქციის გაფართოებას. ქვემოიმერულში კი მისი გლობალური გა-

მოყენება საფუძველი ხდება იმ ახალი ტენდენციისა, რომლის შე-
სახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ზმნის ნაკეთობა წარმოებაში გამოვლენილ ფორმათა უნიფორ-
მაციის შედეგები აგრეთვე განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ქვემო-
იმერულსა და ზემოიმერულში.

უნიფორმაციის საფუძველზე წარმოქმნილ ენობრივ ცვლილე-
ბას ზოგჯერ ქვემოიმერულში უფრო ფართო ასპარეზი აქვს, ვიდრე ზემო-
იმერულში, ან პირიქით. მაგალითად, არსებობს ტენდენცია ზემოიმე-
რულშიც და ქვემოიმერულშიც იმისა, რომ სტატიკური ზმნები -ია
დაბოლოებით წარმოგვიდგეს აწმყოს III პირში: დ ვ ი ა, დ გ ი ა,
ქ ი რ ი ა, წ ყ ე ნ ი ა, უ ძ ღ ვ ი ა და მისთ. ფორმები ორივესთვის
ერთნაირად არის დამახასიათებელი. მაგრამ სათანადო მოვლენის ის
ფაქტები, რომლებიც ქვემოიმერულში გვხვდება: ჯ დ ი ა, უ ყ ვ ა რ ი ა,
ძ უ ღ ი ა, წ ვ ი ა, უ კ ვ ი რ ი ა და სხვ., ზემოიმერულში არ დასტურ-
დება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ უნიფორმაციის ტენდენცია
უფრო შეუზღუდავად მოქმედებს ამ შემთხვევაში ქვემოიმე-
რულში, ვიდრე ზემოიმერულში.

ბოლოე მხრივ. ქვემოიმერულში -ავ თემის ნიშანი ზმნებთან ჩვეუ-
ლებრივ რეალიზებულია თავისი ძირითადი სახით. მართალია, სპეცია-
ლური ლიტერატურის ჩვენებაც და ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო
დაკვირვებაც ზოგჯერ -ამ თემის ნიშანსაც გამოავლენს ასეთ შემ-
თხვევებში: ც ე კ ვ ა მ ს, ბ ა რ ა მ ს, ნ ა ხ ა მ ს... მაგრამ ეს ცვლი-
ლება, რომელსაც საერთოდ უნიფიკაციის ტენდენცია უდევს საფუ-
ძვლად, ზემოიმერულში გაცილებით უფრო სისტემატურ ხასიათს
ატარებს, ვიდრე ქვემოიმერულში.

აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში მოსალოდნელ -ებ თე-
მის ნიშნის ნაცვლად -ობ ზემოიმერულშიც და ქვემოიმერულშიც და-
ერთვის ზმნებს: ც ა ხ ც ა ხ ო ბ ს, ქ ი კ ქ ი კ ო ბ ს, უ შ ო ბ ს... მაგ-
რამ მისი მოხმარების არე ქვემოიმერულში გაცილებით უფრო ფარ-
თოა, ვიდრე ზემოიმერულში. ამის გამოა, რომ ქვემოიმერულში გავ-
რცელებული ც ე კ ვ ო ბ ს, ბ რ ძ ო ლ ო ბ ს, ა წ ო ბ ს (აწებს) და
სხვ. მისთ. ფორმები ზემოიმერულისთვის საერთოდ უცხოა.

გვაქვს ისეთი ცვლილებები, რომლებიც ერთ-ერთი არეალში ძალზედ
გავრცელებულია, ხოლო მეორეში ჩანასახის სახითაც არ არის მოცემული.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი ჯგუფი სტატიკური ზმნებისა, რომლებიც პირველი და მეორე პირის ანალოგიურად მრავლობითის ფორმებს III პირშიც აღწერთად აწარმოებენ: მოდილარიენ, წევლარიენ, მიჩერებლარიენ. ასეთი წარმოება დამახასიათებელია ქვემოიმერულისათვის, ზემოიმერულისათვის იგი ნაჩვენები არ არის.

ქვემოიმერულში, გარდა სტატიკური ზმნებისა, ამავე ყალიბში მოქცევას ლამობს სხვა რიგის გარდაუვალი და ზოგჯერ გარდამავალი ზმნებიც, რაც უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების შედეგია: გიციტილარიენ, ემშვიდობებლარიენ, რაიგაჩხუბებლარიენ, იხთილარიენ, ემზადებლარიენ...

ზემოიმერულისათვის სტატიკურ ზმნათა აწმყოს წარმოებაში ნიშანდობლივად ითვლება მოჩარან, წუხრენ, გავრენ [19(250)].

ასეთივე განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველის წარმოების მხრივ ზემოიმერული და ქვემოიმერული. ამ უკანასკნელში აღწერთად ფორმები გვაქვს მრავლობითის III პირში: წასულარიენ, გაზრდილარიენ, ყოფილარიენ...

უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების საფუძველზე ამავე ყალიბში ექცევა აქ ზოგი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნაც: გამომშვიდობებლარიენ, გოუტაცებლარიენ, შეგებებლარიენ...

ზემოიმერულისათვის ასეთი ფორმები უცხოა. მისთვის ნორმად ითვლება ყოფილენ, გადარეულენ, წამოსულენ..., ზედმეტია ლაპარაკი სხვა რიგის გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ამგვარ წარმოებაზე, რაც ქვემოიმერულისათვის გვაქვს ნაჩვენები ზემოთ: (გოუტაცებლარიენ, გამომშვიდობებლარიენ, შეხვთელირალიენ).

ზემოიმერულში აწმყოში, უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ კავშირებით I-ში, -ავ, -ამ სუფიქსების გვერდით ხშირად იხმარება -ევ, -ემ: ფქვევენ, ვხნევდი, ხნევდა, ხედევდეს, ვაბემდი, აბემდენ [19(238)].

ამგვარი ფორმები ქვემოიმერულისათვის სრულიად უცხოა. -ევდ ტიპის უწყვეტლის ადგილას გურულში გვაქვს -ვიდ წარმოება: ვმალვიდი, მალვიდი, მალვიდა [28(195)].

არის სხვა ნიშნეულებანიც, რომელთა მიხედვით ზემოიშერული და ქვემოიშერული მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს ზმნის ნაკვთთა წარმოების თვალსაზრისით.*

ზემოიშერულისათვის დამახასიათებელია კავშირებით მეორეში, ზოგჯერ პირველშიც ე-ს ნაცვლად ანალოგიის საფუძველზე -ო-ს ხმა-რება: გა დ მ ო ხ ტ ო ს, ა კ ე თ ე ბ დ ო ნ, ი ღ ე ბ დ ო ნ... [19(238—239)].

შესაბამისი ტენდენცია ქვემოიშერულშიც მოქმედებს, მაგრამ ძალზედ შეზღუდულად: მე ვ ი დ ო ს დ რ ო ზ ე..., რაი უნდა გ ო უ ხ ა რ დ ო ს აწი...

ქვემოიშერულისათვის უცხოა უწყვეტლის ისეთი წარმოება, რაც ზემოიშერულისათვის არის ნაჩვენები სპეციალურ ლიტერატურაში: ზ ო მ დ ა, დ ა ხ ა რ ჯ დ ა, ნ ა ხ დ ა, ლ ა ნ ძ დ დ ა...

ზემოიშერულში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ ქვემოიშერულში ძალზე გავრცელებულია დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმები: ნ ა ყ ვ ა რ ე ბ ა, მ ო ნ ა ქ ო ნ ი ყ ო, ნ ა ყ ი დ ა ვ ა, ნ ა კ ე თ ე ბ ი ყ ო, ნ ა ლ ა ნ ძ ღ ა ვ Ⴀ ყ ო...

ეს და სხვა რიგის ფაქტები, რომლებიც ზემოიშერულსა და ქვემოიშერულს ერთმანეთს უპირისპირებს, ზოგი მომიჯნავე კილოს (თუ კილოების) გავლენითაა მიღებული, ზოგი სუბსტრატის შედეგია. ზოგი კიდევ დიალექტის შინაგანვითარების კანონის მოქმედების საფუძველზეა წარმოქმნილი.

მაგალითად, წყვეტილის ასეთი წარმოებით პირველსა და მეორე პირში: ვ ი ყ ი დ ე ი, კ ი თ ხ ე ი, გ ა ა კ ე თ ე ი... ზემოიშერული უპირისპირდება ქვემოიშერულს, თვით ზემოიშერულში კი რგი ქართლურის გავლენით მიღებული ჩანს [19(238)].

ასევე, ქართული ენის დასავლური კილოებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია -ენ სუფიქსის გამოყენება გარდამავალ ზმნათა წყვეტილის III პირში -ეს სუფიქსის ნაცვლად: გ ა ა კ ე თ ე ნ, დ ე ი წ ყ ე ნ, დ ა მ ა ლ ე ნ... მაგრამ, თუ ამ ნიშნით დასავლურ-ქართულ დიალექტურ არეალს ზემოიშერული ემიჯნება და აქ -ეხ-იანი ფორმები უფრო გვხვდება: დ ა მ ა ლ ე ს, გ ა ა კ ე თ ე ს, დ ე ი წ ყ ე ს..., ესეც ქართლურის გავლენის შედეგია.

დრო-კილოთა მე-4 ჯგუფის ფორმათა გავრცელება (ნ ა ყ ვ ა რ ე ბ ა, მ ო ნ ა ქ ო ნ ი ყ ო), -თ-ს ნაცვლად -ენ-ის გამოვლენა

* ამ ნიშნეულებათაგან ზოგი უკვე ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში.

ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში (ყ ა ვ ე ნ, მ ი ა ქ ე ნ, ქ ო ნ დ ე ნ) და სხვა ასეთი ცვლილებები ქვემოიმერულ-ში ახსნილია ზანუბრი სუბსტრატის საფუძველზე, ამიტომ გასაგებია, თუ მისი შედეგები ზემოიმერულში ან სულ არ ჩანს, ან ნაკლებად გამოვლინდება ხოლმე.

ნაგრამ ისეთი ფაქტები, როგორცაა: ა) -ენ სუფიქსის ფუნქციის გაფართოება (გ ა გ ი ტ ა ც ე ნ მ ა ნ თ ქ ვ ე ნ..., ს ი ც ხ ე ა წ უ ხ ე ბ ე ნ ბ ო ვ-შ ე ბ ს..., ბ) -წყენ, -კენ ფორმანტის გამოყენება სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად პირდაპირი წყობის ზმნაში (დ ე ი ძ ა ხ ე ს-წყ ე ნ..., ა გ ო ს კ ე ნ ა ხ ლ ა პ ა ს უ ხ ი...), გ) აღწერითი ფორმების ფართოდ მოხმარება სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და თურმეობით პირველში (მ ი ჩ ე რ ე ბ ი ლ ა რ ი ე ნ, დ ა წ ო ლ ი ლ ა რ ი ე ნ), დ) გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ანალოგიური წარმოება (ე კ ი თ ხ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, გ ო უ ლ ვ ი ძ ე ბ ლ ა რ ი ე ნ) და მისთ. შინაგანვითარების კანონის მოქმედების ნიშნუებად შეიძლებოდა მიგვეჩინა ქვემოიმერულში.

განსხვავებული ვითარება გვაქვს აგრეთვე ვნებითი გვარის ზმნის ფორმათა წარმოების თვალსაზრისითაც ზემოიმერულსა და ქვემოიმერულში. ვნებითებში პრეფიქსიანის ნაცვლად გვაქვს სუფიქსიანი წარმოება: გ ა მ გ ზ ა ვ რ და (ღ გაემგზავრა), მ ო ნ ა ტ რ და (ღ მოენატრა), დ ა თ ა ნ ხ მ და (ღ დაეთანხმა), დ ა ჟ ა ნ გ და (ღ დაეჟანგა), დ ა ლ ა ლ და (ღ დაილალა)...

პრეფიქსული ტიპის ვნებითების სუფიქსურით შეცვლა არც ზემოიმერულიათვის უნდა იყოს უცხო (თუმცა სპეციალურ გამოკვლევებში. რომლებიც ამ მეტყველების თავისებურებების შესწავლას ეძღვნება, მის შესახებ არაფერია ნათქვამი), მაგრამ ეს ტენდენცია გაცილებით უფრო ხელშესახებად არის გამოვლენილი ქვემოიმერულში, ვიდრე ზემოიმერულში.

გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ს გვერდით გვაქვს ს ა ე რ თ ო ი მ ე რ უ-ლი მოვლენები, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნურ ფორმათა წარმოებაში ისინი ცოტაა.

ს ა ე რ თ ო ა, მაგალითად: ა) აწმყოს პირველ და მეორე პირში ფუძის შეკუმშული ფორმით გამოვლენა: თ ე ს ვ ე ნ, ბ ა რ ვ ე ნ, კ ე-რ ვ ე ნ, ბ) -ოდ სუფიქსიანი თურმეობითის ნაცვლად მეშველზმნიან ფორმათა ხმარება: რ ო ქ ო ნ ი ყ ო, ქ ე მოქცემდა..., ს ტ უ მ ა რ ი მ ო ს-ვ ლ ი ყ ო..., შ ე კ ი თ ხ ვ ი ყ ო მ ა ამ ის..., გ) ა რ ის, ა ქ ვ ს ზმნები ჩვეულებრივ სუბიექტური პირის ნიშნის გარეშე წარმოდგენილი ზემო-

იმერულშიც და ქვემოიმერულშიც — ფული არ მაქ..., ხვალ ჩვენი დღესასწაული არ ი... დ) ერთნაირად გავრცელებულია თურმეობით პირველსა და მეორესში: უთქვამს, ეთქვას ნაცვლად უთხოვია, ეთხოვია. ე) ქვემოიმერულში გვხვდება ზმნი-ეღათა ამგვარი წარმოება: მადანა, მაანა, სადანა, საანა, სანა, აქანა, იქანა. ამგვარადვე იხმარებიან ისინი ზემოიმერულშიც.

სინტაქსიდან: საერთო იმერულის გვერდით აქაც გამოყოფა განსხვავებული ცვლილებები, თუმცა არც ისე ბევრი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბგერითს მხარეში, სახელთა ცვლილებებსა და ზმნურ ფორმათა წარმოებაში.

საერთოა: ა) რიცხვითი სახელით განსაზღვრულ სახელს საზღვრული შეეწყობა მრავლობითის ფორმით: სამი ძმები იყვენენ იგენი..., ორი შეილები დარჩა უპ.ტრონოთ..., ბევრი სტუმრები მევიდა..., ბ) ორივე შემთხვევაში გავრცელებულია ორმაგი უარყოფის ფორმები: არავინ არ მოსულა..., არაფერი არ ვიცი..., ნურაფერს ნუ იკითხავ... გ) კრებითი შინაარსის სახელთან შემასმენელი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: შეიკრიბენ ხალხი..., საქონელი დაღევენ წყალს..., ახალგაზრდობა ასე ფიქრობენ დღეს..., დ) ებ-იანი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი სულიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში ვერ ითანხმებს. წესი საერთოა როგორც ზემოიმერულისთვის, ისე ქვემოიმერულისათვის: ძმებმა შეთანხმდა..., ბიჭებმა იჩხუბა..., აქ გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნა...

მოცემულ შემთხვევაში სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების პრინციპი ირღვევა, რასაც თან სდევს ამ დამოკიდებულების დი-ალექტობრივი ნორმით გამოხატვა.

ზოგჯერ რიცხვში შეთანხმების პრინციპი არ ირღვევა, მაგრამ მის გრამატიკულ გამოხატულებაში ტარდება დიალექტობრივი ნორმა: სახელის სიმრავლეს ზმნაში ნაცვლად -თ და -ნ ფორმანტებისა გამოხატავს -ყენ (ნ) ნაწილაკი და მისი ფონეტიკური ვარიანტები: -წყენ, -კენ, -ღენ: ყავს-ყენ, ჩანს-კენ, აგოს-კენ, რაი აკივლებს-კენ, მეიტაცოს-ენ, დეიძახეს-წყენ.

განსხვავება, რაც სინტაქსურ თავისებურებათა თვალსაზრისით მქლავნდება ქვემოიმერულსა და ზემოიმერულს შორის, ზოგჯერ

ტენდენციის სრულყოფილად გატარებაში იჩენს თავს. ასე, მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის რღვევის ტენდენცია ორივე კილოსათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მისი შედეგები ქვემოიმერულში გაცილებით უფრო ხელშესახებად არის წარმოდგენილი, ვიდრე ზემოიმერულში: ლ ა მ ა ზ ი ბ ო ვ შ ი, ლ ა მ ა ზ ი ბ ო ვ შ მ ა, ლ ა მ ა ზ ი ბ ო ვ შ ი ს და ა. შ.

ასევე შეიძლება ითქვას გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტის მოთხრობითის ფორმით შეწყობის შესახებ: ც ა ზ ე ლ რ უ ბ ლ ე ბ მ ა ა კ რ ე ლ და... ი მ გ ო გ ო მ გ ა თ ხ ო ვ დ ა..., ჩ ე მ ა შ ე ი ლ მ ა მ ე - 5 კლასში გა დ ე ვ ი დ ა... ეს მოვლენაც გაცილებით უფრო ჩანს სისტემატურობასთან დაქვემდებარებული ქვემოიმერულში, ვიდრე ზემოიმერულში.

ქვემოიმერულის წულუქიძურ თქმაში -ყე ნაწილაკი და მისი ფონეტიკური ვარიანტები: -კენ, -წყენ, -ენ სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს არა მხოლოდ ინვერსიულ ზმნაში, არამედ პირდაპირი წყობის ზმნაშიც, თანაც არა მხოლოდ კავშირებითის ფორმებთან, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში ამ თქმის მიმართ არის აღნიშნული, არამედ თხრობითი კილოს ფორმებთანაც: ა გ ო ს კ ე ნ ა ხ ლ ა პ ა ს უ ხ ი..., გ ე ი ტ ა ნ ო ს კ ე ნ ბ უ რ თ ი ჩ ე ვ ე ნ ბ მ ა ც..., მაგრამ: დ ე ი ძ ა ხ ე ს წ ყ ე ნ — ძირს, ნიკოლოზიო და შეიქნა ამბავი..., ს ა ჩ ა ნ კ ე ნ ნ ე ტ ა..., ამგვარი ფორმები ზემოიმერულში არ გვხვდება.

ზემოიმერულზე ქართლურის გველენის შედეგია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ თანხმოვანფუძიან სიტყვასთან -ა ნაწილაკის გამოყენება: ა მ ა ს კ ი გ ა ვ ა კ ე თ ე ფ ა ო..., ხ ე ა ლ წ ა ვ ა ლ ა ო..., არაფელს არ ჭ ა მ ს ა ო...

ქვემოიმერულისთვის ასეთი რამ სრულიად უცხოა. ზემოიმერულში „მეთქი“ ნაწილაკი არც ისე იშვიათად გვხვდება პირველი პირის ნათქვამის განმეორების გადმოცემის მიზნით: წ ა დ ი მ ე თ ქ ი, რამდენჯერ უნდა გითხრა... ქვემოიმერულში კი მისი ხმარება სრულიად უგულვებელყოფილია. მ ე თ ქ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ ა ქ მ ხ ო ლ ო დ თ ქ ე ვ გ ვ ა ქ ე ს — გ ა ა კ ე თ ე თ ქ ე ვ, გ ი თ ხ ა რ ი...

ორივე კილოსათვის თანაბრად დამახასიათებელია პარონიმაზიის ძირეული სახის გამოყენება. ზმნასთან იხმარება მისივე ს ა წ ყ ი ს ი ს მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: წ ა ს ვ ლ ი თ კ ი წ ა ვ ა ლ, მ ა რ ა გ ვ ი ა ნ ლ ა ი ქ ნ ე ბ ა..., მ ო ყ ვ ა ნ ი თ კ ი მ ე ი ყ ვ ა ნ ს, ნ უ გ ე შ ი ნ ი ა..., ს ი ც ი ლ ი თ შ ე ნ ც ზ ე ქ რ ი ი ც ი ნ ე...

ლექსიკიდან: გვხვდება საერთო იმერული ლექსიკური ერთეულები და განსხვავებულიც. მაგალითად, ეკულუმბურება (ედიღვლება), ქვემოიმერულში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა, ზემოიმერულისათვის შედგენილ ლექსიკონში კი იგი არ ჩანს (იხ. ქ. ძოწენიძე, „ზემოიმერული ლექსიკონი“, 1974 წ.), ასევე შეიძლება ითქვას სიტყვებზე: დღეასელი (დღესასწაული), ძენწა (ძეწნა), გამოსარკვა (გასუფთავება), გააწყო (გაანადგურა), დელირღილა (ძლივს თქვა), შეხვილიფება (შექმა), მიგზიტირებული (მიძიდგურებული), ნაყვერბულა (ნაცარში გამომცხვარი ჭადი), ბალაბანდურა (ნელი, ზარმაცი), კვანჯდი (უხეში, ბოროტი კაცი), დაქირქატება (გაბნევა), ღულამბურები (ლოკონები), ბზნლოფს (იბედებს), კორინობს (ითმენს), ლაქე (ნამიანი), მოკვირვება (მოძებნა), მეიკვირა ინდოურები (მოიძებნა ინდაურები)...

გვაქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც ზემოიმერულის ლექსიკონში ნაჩვენებია (ქ. ძოწენიძე, „ზემოიმერული ლექსიკონი“), მაგრამ არ გვხვდება ქვემოიმერულში: კედელკუჩხე (კედელ-ყურე), კერენჩხო. (კლერტი). დოუგუგრუ შეფს (დოუყუყუებს), დოყი (უკმაყოფილება), გაახანიფეფს (დააყოვნებს), ბალიკარტი (ქათმის ფეხზე წამონაზარდი), ბანდი („უხმარი ძონძი“ საბა, დ. ნ. ჩუბ.), ქყუპალა (რამდენიმე ნაყოფი ერთ ტოტზე), ხაბარი (გონი, აზრი).

საერთო იმერული ლექსიკური ერთეულებიც ბევრია. აქ რამდენიმეს დავასახელებთ: დასამხარი (ადვილად მისადგომი), დაბისკნილი (დატკეპნილი), დაბძგალული (დამსკდარი), კუნიახი (ავი, კაპასი), კორომი (წნელით მოწნული პატარა ქონი), გაღქურნალდა (განიკურნა), ბანცალობს (ტორტმანობს), ფუნდრიაკი (აყალ-მაყალი, არეგ-დარევა), ფიცხი: ადგილი (ის ადგილი, რომელსაც ხანგრძლივად ანათებს მზე).

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულთა ნაირგვარობას და სიჭრელეს, ამ მხრივ ქვემოიმერული შესამჩნევად განსხვავდება ზემოიმერული-საგან. ზემოიმერული ლექსიკური შედგენილობითაც გაცილებით უფრო მონოლითურია, ვიდრე ქვემოიმერული. გარდა ამისა, ქვემოიმერულის ლექსიკურ შედგენილობაში უფრო შესამჩნევია ზანური დაფენება, ვიდრე ზემოიმერულისაში. სხვა მხრივ კი: არქაიზმების გამოვლენით, ახალწარმონაქმნთა გაჩენით, ახალ ლექსიკურ ერთეულთა

წარმოსაქმნელად ერთი და იმავე კონფიქსების გამოყენებით, უცხოური ენებიდან სიტყვათა სესხების თვალსაზრისით და ა. შ. ისინი ერთიმეორისაგან დიდად არ სხვაობს.

თ ა ვ ი II

კავშირში არსებულ სიტყვების ლექსიკონი

მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით ლ ე ჩ ხ უ მ უ რ ს დამოუკიდებელ კილოდ არ თვლიან. იგი უფრო ი მ ე რ უ ლ ი ს კ ი ლ ო - კ ა ვ ა დ არის მიჩნეული [29(482)]. კიდევ უფრო დაზუსტებულია დებულება: ლეჩხუმური „ღირითადად ქვემო იმერული ტიპისაა“ [20(184)].

ჩვენ ხელთ არსებული მასალების გულდასმითი ანალიზით ეს მოსაზრება მტკიცდება. ამასვე ადასტურებს ენათმეცნიერული მიზნით შეკრებილი და გამოცემული სხვა ტექსტები, ორივე კუთხის ისტორიულ საბუთებში (XVII—XVIII სს) გამოვლენილი ენობრივი ცვლილებები და ის ცალკეული გამოკვლევები, რომლებიც სპეციალურად განიხილავს ქვემო იმერულსა და ლეჩხუმურის თავისებურებებს.

მსგავსება ქვემო იმერულსა და ლეჩხუმურს შორის შეინიშნება ენობრივი სისტემის ყველა მხარეში. ამ მსგავსებაში ჩანს ქვემო იმერეთისა და ლეჩხუმის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ყოფის ამსახველი რეალიების ერთიანობა, მათი ზნე-ჩვეულებების, შრომითი პროცესების, იარაღების ერთგვარობა და ერთნაირი ისტორიული წარსული. ცნობილია, რომ ისე, როგორც ქვემო იმერეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ლეჩხუმის ტერიტორიაც ერთ დროს ზანთა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა. ამას ამტკიცებს ის ზანიზმები, რითაც მდიდარია ქვემო იმერულთან ერთად ლეჩხუმურიც.

ყველა ამ გარეგანმა ფაქტორმა და, რასაკვირველია, დიალექტის შინაგანვითარების კანონის მოქმედებამ განაპირობა ამ ორი ეთნიკური ერთეულის ენობრივ თავისებურებათა მსგავსება.

მიუხედავად ამისა, სანამ ლეჩხუმურის სისტემატური კვლევით თავისებურებათა სრული კომპლექსი არ გამოვლინდება, რომელსაც შეეძლება ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას ლეჩხუმურში დადასტურებულ ცვლილებათა ხასიათზე და განვითარების ტენდენციებზე, სანამ მონოგრაფიულად არ იქნება შესწავლილი ის, მანამ უფლება არ გვაქვს

ლენინური მივიჩნით იმერულის კილოკავად და არ გავიზიაროთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მეორე მოსაზრება, რომელიც მიზანშეწონილად თვლის ამ ეტაპზე მის ცალკე დიალექტად გამოყოფას [29 (482)]. ამდენადვე არის გამართლებული ლენინურთან მიმართებაში ქვემოიმერულის თავისებურებათა კვლევაც, თუმცა წინასწარი შთაბეჭდილების მიხედვით კვლევის შედეგებში მსგავსი მოვლენები, ალბათ, უხვად წარმოჩნდება, ხოლო განსხვავებული საძებარი იქნება.

ქვემოიმერულისა და ლენინურის ურთიერთშეპირისპირებისას ამ უკანასკნელისათვის დამასახილებელი თავისებურებები დამოწმებული გვაქვს გამოკვლევებიდან: შ. ძიძიგურის „ლენინური დიალექტი“ [20(173—186)] და მ. ალავერძის „ლენინურის თავისებურებანი“ [30(229—247)].

ქვემოთ წარმოდგენილია ის შედეგები, რაც ქვემოიმერულისა და ლენინურის ურთიერთმიმართებაში განსილვით მივიღეთ.

ფონეტიკიდან: სხვადასხვაგვარი ვითარება გვაქვს უმარცვლო -უ-სა და -ა-ს ხმარების თვალსაზრისით ამ ორ ერთეულში. ლენინურში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით მიუთითებენ უმარცვლო -უ-სა და -ა-ს არსებობაზე: ბეჭერი, ჟუარი, თქუენ, დედაე, გოგოე, შალვაე... ქვემოიმერულში კი ამ ბგერათა გამოყენება ძალზე იშვიათია. -ა-ს ხმარების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს: როა, წაა, მოა, რაა... უმარცვლო -უ კი ორიოდე გამონაკლისის გარდა: ჩუენ, ბეჭერი, თუალი... აქ მიიღება პოზიციურად, ფონეტიკურ ნიადაგზე -ო-ს დავიწროვებით (გოგუები), -ვ-ს გაწყვილბავისმიერებით (წაართუა) და -უ-ს გაუმარცვლობით უარესი (ღუარესი).

პრევერბისეულ და ფუძისეულ ხმოვანთა შედეგად წარმოქმნილ კომპლექსებში ასიმილაციური ცვლილებების მხრივ ქვემოიმერული და ლენინური ერთიმეორისაგან ძირითადად არ სხვაობს: ორივეში ერთნაირია -ე, -ო და -უ ხმოვნების მასიმილირებელი ძალა ზმნისწინის ხმოვნებზე. შედეგად ვღებულობთ: წეეკიდენ, წეელო, მეეწერა, წოუკიდა, ჩოუწერა და მისთ. ფორმებს.

-გადა რთული პრევერბის ორივე ხმოვანი აგრეთვე ერთნაირად ასიმილირდება ლეჩხუმურშიც და ქვემოიმერულშიც: გოლოუ-გარდა, გოლოუცია, გოლოუთარგმნა...

თანაბრადვე გავრცელებულია ასიმილაციის პროცესი თანხმოვნებში. გვხვდება როგორც რეგრესული მიმართულების ასიმილაციის შემთხვევები (საპქო, მოქპარა, შაშვალ...), ისე პროგრესულისა. ეს უკანასკნელი მაშინაც ხორციელდება, როცა გამვლენელი ფშინივიერია და მაშინაც, როცა ის მკვეთრია: გაჩთა, გახთა, კტე, დააშიწყტა...

ასევე შეიძლება ითქვას დისიმილაციური ხასიათის ცვლილებებზე, აგრეთვე — მეტათეზისის, სუბსტიტუციის, ბგერის დაკარგვის, ჩამატების, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციისა და სიტყვის ძირში წარმოქმნილ ხმოვანთა კომპლექსში დადასტურებულ მოვლენებზე. აქ დავახელებთ რამდენიმე შემთხვევას, რომლებიც ერთნაირად არის გავრცელებული ლეჩხუმურში და ქვემოიმერულში: სუნელი (<სულელი>), არეკი (<არაკი>), მაინძელი (<მასპინძელი>), სამე (<სადმე>). კინტრი (<კიტრი>), მურთაქა (<მურთაქა>), მასკელავი (<მარსკელავი>), ბუავე (<მუავე>), განძრახ (<განზრახ>), ფარცაგი (<ფარსაგი>), შტილი (<ჩდილი<ჩრდილი>), წოულობა (<წვეულობა>), კოდუები (<კოლოები>).

ლეჩხუმურში -ოვან-ის გამარტივებით მიღებულია -ოან, ხოლო ეს უკანასკნელი დიფთონგიზაციით გეაძლევს -ოან-ს, ე. ი. ა-სთან მეზობლობაში წინამავალი -ო ვიწროვდება. ბოლო საფეხურია უმარცვლო -უ-ს -ვ-ში გადაზრდა: გელოვანი > გელოანი > გელუანი > გელვანი... [20(175)].

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია ქვემოიმერულისთვისაც: ჩიქვანი, სახელვანი, დიდრვანი...

რამდენიმე ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ვინცხა, რაცხა, საცხა ერთნაირად გავრცელებულია ორივეში.

გრამატიკიდან: მსგავსი ცვლილებები ამ შემთხვევაშიც ბევრია, განსხვავებული — ცოტა.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში, რომლებშიც ლეჩხუმურის თავისებურებები სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენს, ნაჩვენებია მთელი რიგი მორფოლოგიური ცვლილებები, რომლებიც

პოულობენ თავიანთ სრულ ანალოგონს ქვემოიმერულში. აქ დავასახელებთ მთავარს: ბოლოთანხმოვნისანი სახელები ხშირად -ი ხმოვნით არიან გაფორმებული სახელობითში: ქ ვ ა ი, გ ო გ ო ი, გ ზ ა ი...

სახელობითის ი ფორმანტი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშიც აღნიშნულია, ზოგ შემთხვევაში ფუძისეულ -ა-ს -ე-დ აქცევს რეგრესული ასიმილაციით: ბ ა ღ ა ნ ე, ტ ო მ ა რ ე, ი ა ს ო ნ ე...

სათანადო პროცესის შედეგად მიღებული ასეთი ფაქტები გვხვდება ლეჩხუმურშიც [20(184)].

ბოლოხმოვნისანი კვეცადი სახელები არც ისე იშვიათად შეუქვეცელი სახით გამოვლინდებიან ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში: ქ ვ ა ი ს, ხ ე ი ს, ძ მ ა ი ს, რ ა ი თ, ღ ე ლ ე ი თ..., ხოლო უქვეცელი სახელები ამავე ბრუნვებში ფორმანტებს სრული სახით დაირთავენ: გ ო გ ო ი ს, გ ო გ ო ი თ, ა ბ ა ნ ო ი ს, ა ბ ა ნ ო ი თ, ძ უ ძ უ ი ს, ძ უ ძ უ ი თ...

ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტისა და ფუძისეული ხმოვნის ურთიერთზემოქმედება, როგორც ვხედავთ, ნულამდეა დასული ორივე შემთხვევაში.

ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში დადასტურებულ სხვა საერთო მოვლენებიდან დაუასახელებთ კიდევ რამდენიმე შემთხვევას: ა) წოდებით ბრუნვაში თანხმოვანზე დაბოლოებული პირის სახელები დაირთავენ ბრუნვის ნიშანს: ა კ ა კ ო, დ ა ვ ი თ ო, ბ ე ს ა რ ი ო ნ ო [20(177)], ბ) თანდებულები ხშირად ერთნაირი სახით წარმოგვიდგებიან: ს ტ ო ლ ზ ე ნ, კ ა ც ი ს თ ვ ი ნ, ს ა ხ ლ ი დ ა ნ ი, ა ქ ა მ დ ი ს ი ნ..., გ) -ვით თანდებული სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის: კ ა ც ი ს ა ვ ი თ..., დ) -თვის თანდებულისანი ნათესაობითის ფუნქციით ხშირად იხმარება -იზა, -იზან ტიპის წარმოება: გ უ ლ ი ზ ა, დ ი ზ ა ნ..., ე) -გან თანდებული წარმოდგენილია საშუალო საფენურით: ქ უ თ ა ი ს ი ღ გ ა ნ..., ე) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები -ეს, -ეგ, -შაგ ყოველთვის გამარტივებულია ლეჩხუმურშიც და ქვემოიმერულშიც: ე კ ა ც ი..., შ ა დ ა ლ ო ც ვ ი ლ ი..., ზ) მრავლობით რიცხვში ერთნაირად გამოიყენება: ა მ გ ე ნ მ ა, ა მ ა თ მ ა, ი მ ა თ მ ა, მ ა ვ გ ე ნ მ ა, ი შ გ ე ნ მ ა...; თ) გვხვდება კინობითი სუფიქსი -ია საკუთარ სახელთა საწარმოებლად (ე თ ე რ ი ა), ხშირია -იკელა ამავე ფუნქციით დ ო დ ი ძ ე ლ ა..., ი) გავრცელებულია -იერ სუფიქსი -იან-ის ფუნქციით — ა დ ა-

მიერი, ჰევიერი, სახიერი [20(180)], კ) ზმნიზღღების, ნაწი-
ლაკების, კავშირების თავისებური წარმოება, დადასტურებული ქვემო-
ნიერულში, მეორედაა ლეჩხუმურშიც: აქანე//აქანა, იქინე//
იქინა, მადანა, მადერ, სანე, აქნამდი, მარა, რა-
ხან, რავარც (როგორც), სულე, დღესე, ძირსე...,
ლ) ხშირად ლეჩხუმურში სიტყვის აუსლაუტში ჩანს ირაციონალური
ხმოვანი -z, აგრეთვე ხმოვნები — ე და -უ: ხუთშაბათს z დეიწ-
ყებდნენ მუშაობას?..., ბოეშსე, ბატონო, ნოვლა უნდა...,
უქმეები რავიციოდითუ... [20(183)]. მსგავსი ვითარება დადას-
ტურებული აქვს ქ. ძოწენიძეს ლეჩხუმურთან ერთად ქვემოიმი-
ერულის ოკრიბულ თქმაში [19(258)]. იგივე მოვლენა ქვემოიმიერულს
სხვა თქმებისთვისაც არ არის უცხო, მ) -გარდა პრევერბი ხშირად
კარგავს -დ-ს: გარახტნა..., ნ) ორივე ენობრივ ერთეულში -ენ
სუფიქსის სასარგებლოდ წარიმართა მე-3 პირის მრავლობითი რიცხ-
ვის ნიშანთა უნიფიკაცია: ტირიენ, უთხრენ, გოუკეთებო-
ენ..., ო) ერთნაირი ცვლილება მოუღის ზმნის თემატურ სუფიქსებს:
-ებ-ს ენაცვლება -ობ: ფრიალობს..., იშვიათად -ავ იცვლება
-ამ-ით: კლამს..., „ივივის“ ტიპის ზმნები წარმოდგენილია -ა და-
ბოლოებით: კივა, წივა, ჩხავა..., ფუძედრეკადი ზმნები -ავ თემის
ნიშანს დაირთავენ აწმყოში: ხვრიტავს, დრიკავს, წყვი-
ტავს..., -ავ დაერთვის აგრეთვე ერთთემიან ზმნებსაც აწმყოსა და
მისგან ნაწარმოებ მწკრივებში: ტეხავს, ტეხავდა, ტეხავ-
დეს..., პ) ერთნაირად მოქმედი უნიფორმაციის ტენდენციის საფუძველ-
ზე ლეჩხუმურშიც და ქვემოიმიერულშიც სტატიკური ზმნები I და II
პირში დაირთავენ მეშველ ზმნას: ვბრუნავარ, ვყვირივარ,
ვფიქრობვარ, ბრუნავხარ, ყვირიხხარ..., ე) III პირის
მრავლობით რიცხვში ზოგი სტატიკური ზმნა I და II პი-
რების ანალოგიურად აწმყოში ფორმებს აღწერიტად აწარმოებს:
წევლარიენ, ჩანლარიენ, მოდილარიენ..., რ) ასევე, გარ-
დაუვალი ზმნების თურმეობითი პირველის წარმოების თვალსაზრი-
სით სრული მსგავსებაა ლეჩხუმურსა და ქვემოიმიერულს შორის: და-
მალულარიენ, დალუპულარიენ, წასულარიენ...,
ს) მსგავსი ვითარება გვაქვს აგრეთვე დრო-კილოთა IV ჯგუფის
ფორმათა გამოყენების მხრივ ქვემოიმიერულსა და ლეჩხუმურში. ორი-
ვე ენობრივ ერთეულში გავრცელებულია: ნაყვარება, მინაქო-

ნა, ნაწერა, ნაკეთებიყო, შენახვედრილიყო და სხვა მისთ. ფორმები.

მსგავსი მოვლენების გვერდით გვაქვს განსხვავებულიც, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი თითქმის საძებარია. დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას: ა) მიც. ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი სახელე-ბი ლეჩხუმურში უფრო ხშირად იკვეცენ დაბოლოებას, ვიდრე ქვემოიმერულში: მ ტ ე რ მ ო ვ ს ზ ო ბ თ..., ბ) -კენ თანდებული ლეჩ-ხუმურში უპირატესად გამარტივებულია -კე სახით (სახლის-კე), ქვემოიმერულში ასეთი ფორმით -კენ თანდებულის ხმარება სა-ერთოდ არ დაგვიდასტურებია, გ) -ყენ ნაწილაკის ფონეტიკური ვა-რიანტი -წყენ ქვემოიმერულში ხშირად გვევლინება თანდებულის ფუნქციით: ს ა დ გ უ რ ი წ ყ ე ნ, მ ა რ ჯ ე ნ ი წ ყ ე ნ, ს ა ხ ლ ი წ ყ ე ნ..., ხოლო ლეჩხუმურში — არა, დ) იშვიათად, მაგრამ ლეჩხუ-მურში მაინც გამოიყენება კნინობითობის მაწარმოებლად -ჟყ (ცხე-ნუკა...), ქვემოიმერულისათვის იგი სრულიად უცხოა, ე) ლეჩხუმურ-მა არ იცის აღმატებითი ხარისხის ასეთი ფორმები: უ გ ო უ კ ე თ ე-ზ ე ლ ი, უ დ ო უ ჯ რ ე ბ ე ლ ი..., რაც ქვემოიმერულის დასავლური ზოლისათვის საკმაოდ დამახასიათებელია, ვ) კავშირებითი III-ის ფორ-მების გამოყენება მართალია, შესლუდულად, მაგრამ ლეჩხუმურში მაინც არის დადასტურებული: რ ო მ ე ე ტ ა ნ ო ს, კ არ ქ ს ი ზ ა მ დ ა... ქვემოიმერულში კი თითქმის — არა. -ჟყ მაწარმოებელი და კავშირე-ბითი III-ის ფორმები ლეჩხუმურში რაჭულის გავლენის შედეგი ჩანს.

- მსგავსი ცვლილებები კიდევ უფრო გამოვლინდება ქვემოიმერუ-ლისა და ლეჩხუმურის სინტაქსურ თავდასებურებათა ურთიერთმიმართებაში განხილვისას. აქაც დავასახელებთ მხოლოდ მთავარს: ა) მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთო-ბის რღვევის თვალსაზრისით ლეჩხუმურში ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ქვემოიმერულში. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღ-ვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმით არის შეწყობილი საზღვრულთან: მ ა დ ა ლ ი კ ა ც მ ა, მ ა დ ა ლ ი კ ა ც ს, მ ა-ღ ა ლ ი -კ ა ც ა დ, ბ) გარდაუვალ -ზმნასთან ქვემდებარე წარ-მოდგენილია მოთხრობითი ბრუნვის ფორმით: ბ ო ვ შ მ ა დ ე ი-მ ა ლ ა..., დ ე ვ მ ა დ ა ფ ი ქ თ ა..., კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ბ მ ა შე უ-დ გ ა მ უ შ ა ო ბ ა ს..., გ) ქვემოიმერულის ვითარება დასტურდება ლეჩ-ხუმურში -ყენ ნაწილაკის გამოყენებისას. იგი ორივე ენობრივ ერთე-

ულში აღნიშნავს პირდაპირი წყობის ზმნაში ობიექტის (პირდაპირის და ირიბის) მრავლობითობას: უ თ ხ რ ა ყ ე დედამ შევიღებს..., გ ა მ ო ღ ე ნ ე ყ ე ხარები აქეთ..., ხოლო ინვერსიულ ზმნაში — მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობას: გ ო უ ლ ა მ ა ზ ე ბ ი ა ყ ე აქოურობა..., დ) სინტაქსური გამარტივების ნიშნით მიმდინარეობს სუბსტანტიურ მსაზღვრელში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტის დაკარგვის პროცესი, თანაბრად დამახასიათებელი ლეჩხუმურისთვისაც და ქვემოიმერულისთვისაც: ჭ უ რ ი თ ა ვ ი, ე კ ლ ი ფ ო თ ო ლ ი, ბ ა ღ ი ვ ა შ ლ ი..., ე) პირველი პირის ნათქვამთან-მე თ ქ ი ნაწილაკი არცერთ დიალექტურ ერთეულში არ იხმარება.

სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება დასტურდება -ქვე ნაწილაკის გამოყენების მხრივ. იგი ქვემოიმერულში ყოველთვის მარტივდება და გვეძლევა -ქმ-ს სახით, ხოლო ლეჩხუმურში დომინანტობს -ქვე.

საყურადღებო მასალას გვაძლევს ქვემოიმერულისა და ლეჩხუმურის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას ლ ე ქ ს ი კ უ რ თავისებურებათა გათვალისწინებაც.

ორივე ერთეულის ლექსიკურ შედგენილობაში დიდი რაოდენობით მოიპოვება საერთო სიტყვები, რომელთაგან ზოგი სხვა კილოშიც დასტურდება, ზოგიერთი მათგანი კი ქვემოიმერულისა და ლეჩხუმურის კუთვნილებას წარმოადგენს. ნიმუშისათვის აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: ბ უ რ უ ლ ი ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება ლეჩხუმურშიც და ქვემოიმერულშიც — ნიშნავს ისლის სახურავს. ასეთივე ერთნაირი მნიშვნელობითაა გამოყენებული სიტყვები ბ უ ს უ ნ ი — ჩამი-ჩუმი, გ ა მ ა რ ძ ა ღ ე ბ უ ლ ი — ძალიან ცხელი, კ ა რ ა პ ა ნ ი — სასიძინდე (ქვედა ნაწილი ხილის შესანახადაა გამოყენებული), ყ ვ ე ო ბ ი — კერიის ჩაღრმავებული ქვა, რომელსაც ლადარი ფარავს, ხ ა პ ი — გამხმარი გოგრის კანისაგან გაკეთებული წყლის ამოსაღები ჭურჭელი, ბ ა ლ ა ტ ი — ოდის ქვეშ მოზრდილი მიწის იატაკიანი ოთახი, რომელსაც იყენებენ საცხოვრებლად, ტ უ-

კი — გრძელი ხის კეტი (სიმინდის ან ლობიოს დასაფშენელად იყენებენ)*.

ამგვარად, ქვემოიმერულისა და ლეჩხუმურის თავისებურებათა ურთიერთმიმართებაში განხილვა მსგავსი ცვლილებების გამოვლენისათვის გაცილებით უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), ვიდრე განსხვავებულისათვის. მისი მნიშვნელობა ქვემოიმერულის ადგილის გარკვევისათვის დასავლურ-ქართულ დიალექტურ არეალში ძალზე დიდია.

თ ა ზ ი III

კვემოიმერულის მიმართება ზემოგურულთან

ქვემოიმერული სამხრეთ-დასავლეთიდან კონტაქტშია ზემოგურულთან. მათი ტერიტორიული შეხვედრის პუნქტებში წარმოიქმნება გარდამავალი ზონის მეტყველება, რომელიც ატარებს ორივე მათგანისათვის დამახასიათებელ ნიშნულებებს და ხასიათდება მერყევი თავისებურებებით. !

გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა (31).

შრომში ავტორი გამოწვლილით აანალიზებს ქვემოიმერულისა და ზემოგურულის ურთიერთშეგავლენით მიღებულ ცვლილებებს და ამასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს ერთიანი სუბსტრატითა და სხვა საერთო ფაქტორებით წარმოქმნილ ენობრივ ცვლილებებზეც.

ქვემოიმერულისა და ზემოგურულის ურთიერთმიმართებაში განხილვა მეტად საგულისხმო ჩვენებას გვაძლევს მათი ადგილის გასარკვევად ქართული ენის სხვა კილო-თქმათა შორის.

გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ მოტანილი დიდძალი ფაქტობრი-

* ქვემოიმერული სალექსიკონო მასალის ლეჩხუმურთან შესადარებლად გამოყენებული გვაქვს მ. ალავეძის „ლეჩხუმური ლექსიკონი“, ქართველურ ენათა ლექსიკა, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938, მისივე „მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის“, ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. X 111, ქუთ., 1955. მისივე, „მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიკისათვის“, იქვე, ტ. IV, 1949. მ. ჩიქოვანი, „ლეჩხუმური ლექსიკონი“, აღ. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941, ა. ლლონტი, ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, 1974; ტ. II, 1975. ივ. გიგინეიშვილი, გ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, „ქართული დიალექტოლოგია“, ტ. I, ლეჩხუმური ლექსიკონი, გვ. 674—680, თბ., 1961.

ვი მასალა ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს იმ მსგავსებაზე, რაც ქვემოთმხრობისა და ზემოგურულს შორის არსებობს.*

ამგვარად, ქვემოთმხრობის თავისებურებათა კომპლექსური კვლევა, ერთი მხრივ, ზემოთმხრობის, ხოლო მეორე მხრივ, ზემოგურულთან და ლეჩხუმურთან მიმართებაში მრავალმხრივ აღმოჩნდა სასარგებლო. ჯერ ერთი, იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთმხრობისა და მასთან უშუალო კონტაქტში მყოფ დიალექტურ ერთეულებში დადასტურებულ სხვადასხვა რიგის ცვლილებებზე; მეორე, შეუქმნის თავისებურებათა ხასიათს, არკვევს განვითარების ტენდენციებს და, რაც მთავარია, ეპეზიუტანლად განსაზღვრავს ქვემოთმხრობის ადგილს.

მიმართებათა ანალიზმა ცხადი გახადა, რომ ქვემოთმხრობის მეტი აქვს საერთო ლეჩხუმურთან და ზემოგურულთან, ვიდრე ზემოთმხრობის. თავისი ფონეტიკურ-გრაფიკული და ლექსიკური თავისებურებებით იგი ემიჯნება ამ უკანასკნელს და ზემოგურულისა და ლეჩხუმურის გვერდით დგება. ქვემოთმხრობი, ზემოგურული, ლეჩხუმური, როგორც ვთქვით, ერთ წრეს ქმნის დასავლურ-ქართულ დიალექტურ არეალში.

* განმეორების თავიდან აცილების მიზნით თავს ვიკავებთ გამოწვლილვით ანალიზისაგან. საკითხით დაინტერესებულ პირს მიუთითებთ გრ. იმნაიშვილის ნაშრომზე, რომელიც ზემოთ გვაქვს დასახელებული.

ნ ა წ ი ლ ი II

გვამომიერულის ენობრივი მიმოხილვა

თ ა ვ ი I

ზონათიკური თავისებურებანი

ცნობილია, რომ ენის სხვადასნვა მხარე სხვადასხვა ტემპით განიცდის ცვალებადობას. ნელი ტემპით იცვლება ძირითადი ლექსიკური ფონდი, გრამატიკული წყობა და ბგერითი სისტემა, ხოლო სწრაფად იცვლება ენის ლექსიკური შედგენილობა, რადგან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან. ამის გამოა, რომ დიალექტთა ნიველირებისას პირველ რიგში ქრება ლექსიკური თავისებურებები, შემდეგ — გრამატიკული, ხოლო წარმოთქმის თავისებურებათა შეცვლა უფრო ძნელი საქმეა [32(12)].

დიალექტთა წარმოქმნისა და განვითარების პროცესში ფონეტიკური მოვლენები ყველაზე უფრო ადრე იჩენენ თავს. ამავე დროს ძალიან დიდხანს ძლებენ და ერთგვარ წინააღმდეგობასაც ავლენენ ენის სორმალიზაციის ტენდენციებისადმი [18(12)].

ქვემოიშვრული კილოკავის მონაცემების განხილვა მასში შემავალ უფრო წვრილ დიალექტურ ერთეულებთან და ქართული ენის სხვა კილო-თქმებთან მიმართებაში მრავალ საგულისხმო ჩვენებას გვაძლევს ბგერით მხარეში მომხდარ ცვლილებათა საერთო ტენდენციების დასადგენად, ერთი მხრივ, და თვით ამ დიალექტური ერთეულისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოხატულებლად, მეორე მხრივ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ცვლილებებს ენიჭება, რომლებიც საბაზად იქცევიან ახალი ტენდენციის გატარებისათვის საკვლევ ობიექტში. მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბ გ ე რ ი თ ი შე დ გ ე ნ ი ლ ბ ი ს თვალსაზრისით ქვემოიშვრულ-

ლი სალიტერატურო ქართულისაგან დიდად არ სხვაობს. მით უფრო არ შეინიშნება განსხვავება ამ მხრივ თვით ქვემოიმერულში შეშავალ უფრო წვრილ დიალექტურ ერთეულებს შორის.

თავისებურება, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, შეეხება -ა-სა და -უ-ს გამოვლენას.

-ა გვხვდება ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: რ ო ა მ ს, წ ა მ, მ ო მ, რ ა მ... სხვაგან კი ი ყოველთვის სრული ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს [შდრ. 43(64)].

-ი-ს სისრულეზე ქვემოიმერულში, გარდა აკუსტიკური ეფექტისა, მეტყველებს მისი ძალაც ასიმილაციის პროცესში. მას აქ შეუძლია არა მარტო ნაწილობრივ მიიმსგავსოს პრევერბისეული ხმოვანი, არამედ სრულადაც (დი ი ხ ჩ ო ლ დ ე ი ხ ჩ ო ლ დ ა ი ხ ჩ ო..., ნ ა თ ლ ი ა > ნ ა თ ლ ი ე > ნ ა თ ლ ი ი). ხმოვანთან უშუალო მეზობლობაში მყოფი -ი ქვემოიმერულში დაუსტების კანონზომიერებას რომ ემორჩილებოდეს, მაშინ ის ფუძისეული ხმოვნის ნაწილობრივ მიმსგავსებასაც ვერ შეძლებდა, ზედმეტია ლაპარაკი სრულ ასიმილაციაზე. იმ კილოებში კი, სადაც დიფთონგიზაცია საკმაოდ შორს წასული ფაქტია, ასიმილაციის პროცესი ბოლომდე არ მიდის, მაგალითად -ა-ს, როგორც სუსტ ბგერას, აქარულში არ შესწევს იმის უნარი, რომ მასთან უშუალო მეზობლობაში მყოფი პრევერბირეულა ემოვანი სრულიად მიიმსგავსოს: წ ე მ ღ ო, გ ე მ ქ ც ა, გ ე მ გ ო ნ ა და მისთ. „რომ დიფთონგიზაციის პროცესის ჩარევა ამ შემთხვევაში ერთადერთ დამაბრკოლებელ მიზეზად იქცა ასიმილაციის პროცესის დასრულებისთვის, ამას ექვემიუტანელს ხდის ის გარემოება, რომ სათანადო ფონეტიკურ პროცესს ყოველთვის აქვს ადგილი არაუშუალო მეზობლობაში: გ ი გ ი კ ე თ ე, დ ი მ ი წ ე რ ე, დ ი გ ი შ ა ვ ე“ [33(246)]. ასეთ პოზიციაში -ი, ცხადია, ინარჩუნებს სრულხმოვნობასაც და ასიმილაციის ძალასაც.

რაც შეეხება უმარცვლო -უ-ს, ქვემოიმერულში მისი გავრცელების არე კიდევ უფრო ვიწროა: ბ ე უ რ ი, თ უ ა ლ ი, ჩ უ ე ნ და კიდევ ორიოდ მაგალითი საერთო სურათს ვერ ცვლის, მით უფრო, რომ პარალელურად ასეთ შემთხვევებში -ფ-ინიანი ფორმებიც დასტურდება ხოლმე.

უმარცვლო -უ გამოიყენება აქ, ჩვეულებრივ, პოზიციურად, ფონეტიკურ ნიადაგზე. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განხილვა ბგერათცვლილებებში.

წარმოქმნის ელემენტების მხრივ „მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს კილოების, კილოკაეების, თქმებისა და ქცევების მიხედვით. თითოეულ ამ ერთეულს აქვს წარმოქმნის თავისებური ჩვევები, ბგერათა შეჯგუფების, შერთვისა და შერწყმის თავისებური ტენდენცია, ინდივიდუალური აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი“ [34(151)].

დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში, რომლებშიც იმერული კილოს შესწავლის შედეგებია მოცემული, მახვილის შესახებ ან სულ არაფერია ნათქვამი, ან ძალზე მკრთალად არის მისი თვისებები წარმოდგენილი და ეს მაშინ, როცა ქართული აქცენტოლოგიის საკითხთა გარკვევისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა დიალექტურ მონაცემებსაც ეკისრება.

სამაგიეროდ, არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა მახვილის საკითხის შესწავლას ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა საფუძველზე. გამოითქვა ბევრი საყურადღებო მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება, რა თქმა უნდა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობის დროს.

გ. ახვლედიანის აზრით, ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილი დომინანტობს, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტიც. იგი არ გამოიყოფა ქართულ მეტყველებაში ისეთი სიძლიერით, როგორც ფრანგულში და, მით უმეტეს, როგორც რუსულში [35(132 — 136)].

ს. უდენტიის აზრით, ქართულში ცალკეული სიტყვა სუსტ-მახვილიანია და იგივე სიტყვა როდესაც წინადადებაში ჩაერთვება, კარგავს საკუთარ სუსტ მახვილსაც კი და იღებს წინადადების საერთო მახვილს, ამიტომ ძირითადი ტონის საერთო მიმოქცევაში კომოგრაფიულ მრუდეებზე ცალკეული სიტყვები არ გამოიყოფიან რიტმიკულ ჯგუფებსა და სინტაგმებში [36(11)].

ქართული მახვილის ბუნების გასარკვევად საჭიროა, პირველ რიგში, შევისწავლოთ რიტმიკული ჯგუფების რაობა, დავადგინოთ ცალკეული რიტმიკული ჯგუფები და მახვილიც იქ ვეძიოთ და არა იზოლირებულ სიტყვებში [36(11)].

ქართული ცოცხალი კილოების, მეგრულ-ქანურის და ქართული

სალიტერატურო წარმოთქმის აქცენტურ-რიტმიკული სტრუქტურის ექსპერიმენტული მეთოდებით კვლევის საფუძველზე ავტორი საბოლოოდ ასკვნის: „ამჟამად ქართულში (და საერთოდ ქართველურ ენებში) მოქმედი მახვილი მუსიკალურ-დინამიკური ტიპის რიტმიკული მახვილია (და არა დინამიკურ-მუსიკალური“ (ხაზი ავტორისაა) [36(137)].

ი. თევდორაძის აზრით, სიტყვათმახვილი ქართულში დინამიკურია და სიტყვის დასაწყის მარცვალს მოუდის. ხმოვანგრძლივობაც ამას ადასტურებს: „მახვილიანი ხმოვნის გრძლივობა აღემატება სიტყვაში შემავალი დანარჩენი ხმოვნების გრძლივობას... რაც შეეხება ტონური სიტყვათმახვილის არსებობას ქართულში, ეს აზრი ნაკლებად სარწმუნოა. იგი არ დადასტურდა არც სმენით, არც ოსცილოგრაფიული მონაცემებით“ [37(25)]. და შემდეგ: „მახვილიანი მარცვალის უმახვილო მარცვლებისაგან უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა მეტი იტენსივობით. ტონის მეტი სიმძალით და ხმოვნის მეტი გრძლივობით“ [37(27)].

მახვილის საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვამ არნ. ჩიქობავა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში უნდა გვეპოვოდა ძლიერ-დინამიკური, არაფიქსირებულნი მაგნიტი, რომელიც იწვევდა ფუძისეული თუ აფიქსისეული ხმოვნის რედუქციას. რაც შეეხება ახალ ქართულს, აქ „მახვილის საკითხი პირველ ყოვლისა, არის რიტმული ჩგუფის, ფრაზის მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გვდაქრის“ (ხაზი ავტორისაა) [38(299)].

ასეთი რიტმული ჩგუფის მახვილი, ავტორის აზრით, ნთქავეს სიტყვის მახვილს და გაბმულ მეტყველებაში ცალკეულ სიტყვათა მახვილი იჩრდილება.

როგორც ცნობილია, მახვილი ფრაზაში ქმნის სამახვილო ცენტრს. ასეთი ცენტრი ფრაზაში შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტიც. შესაბამისად, აქცენტუაციაც ერთცენტრიანია ან ერთზემეტცენტრიანი.

ორ პაუზას შორის მოთავსებულ უმცირეს ერთეულს სინტაგმას უწოდებენ. სინტაგმა ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ზოგჯერ მარტივი ან რთული წინადადებებისგანაც.

სალიტერატურო ენასთან შედარებით ფრაზის მახვილი კიდევ უფრო გამოჩინებული დიალექტურ წარმოთქმაშია, რადგან დიალექ-

ტისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობა თავის გამოხატულებას არა მარტო გრამატიკულ და ლექსიკურ მხარეში პოულობს, არამედ მკვეთრად გამოვლენილ აქცენტუაციურ და ინტონაციურ თავისებურებებშიც. სწორედ ეს გარეშობა გვაძლევს უფლებას, ვიმსჯელოთ ქვემოთ იმერული დიალექტის მელოდიკური წყობის ერთ მხარეზე — მახვილზე.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქვემოთმერულის მელოდიკური წყობა არაერთი მახასიათებლით გამოირჩევა ქართული ენის სხვა დიალექტებს შორის, მაგრამ თვით ქვემოთმერულშიც არ არის იგი უკვლავან და ყოველთვის ერთნაირი. წინასწარ აღნიშვნას მოითხოვს ისტორიით ხასიათის მნიშვნელობის ის გარემოება, რომ ქვემოთმერულის დიფერენციაციის საფუძველს წვრილ ენობრივ ერთეულებად გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად სწორედ შესამჩნევად განსხვავებული აქცენტუაციური თავისებურებებიც ქმნის. ინტონაციურ მრავალფეროვნებას და, საზოგადოდ, სპეციფიკურ მოვლენებს წარმოთქმაში ადვილად ამჩნევენ თვით ადგილობრივი მკვიდრნიც. თავიანთ დამოკიდებულებას აღნიშნული ფაქტისადმი ისინი ხშირად ურთიერთ წაბაძვაშიც კი გამოხატავენ მეგობრული გამოჯავრების მიზნით.

ამ ინტონაციურ მრავალფეროვნებას, გარდა მახვილის ვარიაციული სხვაობისა, მრავალი სხვა ფაქტორიც განსაზღვრავს:

აქ ყურადღებას გავამახვილებთ ქვემოთმერულში მოქმედ მახვილის მხოლოდ ზოგად ნიშნებზე. მათ განხილვას სალიტერატურო ენასა და სხვა მეზობელ დიალექტებთან მიმართებაში შეუძლია ხელშეწყობა გაშლასადმი ქვემოთმერულისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებანი.

სმენითი შთაბეჭდილებით ქვემოთმერულში უბირატესად ტონური ანუ მუსიკალური მახვილი გვაქვს დინამიკური მახვილის ელემენტანით. ტონური მახვილის მკვეთრად გამოვლენის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი მდგომარეობა შეინიშნება არა თუ თქმებისა და ქცევების მიხედვით, არამედ მოსაზღვრე სოფლების მიხედვითაც. კიდევ მეტი, ზოგჯერ განსხვავებული ვიზარება დასტურდება ამ მხრივ თვით ერთი სოფლის ფარგლებში ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს შორისაც: ტონური მახვილი ხან მეტად არის გამოჩინებული, ხან — ნაკლებად.

ასეთი მერყეობა ტონური მახვილის გამოხატვაში ნაკარნახევი უნდა იყოს როგორც დიალექტის შინაგანვითარების კანონის მოქმედებით, ასევე გარეშე ფაქტორების ზეგავლენითაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, ლიტერატურული ენის ძლიერი გავლენა; მეორე მხრივ, მეზობელი კილო-თქმების ზემოქმედება ქვემოიმერულის მულოდიკურ წყობაზე.

ქვემოიმერულის მონაცემთა მიხედვით ცალკე აღებულ სიტყვაში, რაგინდ მრავალმარცვლიანიც უნდა იყოს იგი, მახვილი არ ჩანს. მისთვის დამახასიათებელია ფრაზის მახვილი. მახვილიანი სიტყვა ფრაზაში უფრო ხშირად ერთია.

ექსპერიმენტული მონაცემებით დადგენილია, რომ მულოდიკურ მწვერვალს სინტაგმაში საზოგადოდ ის სიტყვა ქმნის, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს [37(14)].

სამახვილო სიტყვის ადგილი ქვემოიმერულში მკაცრად განსაზღვრული არ არის, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ უპირატესად იგი მაინც წინადადების ბოლოსაა მოქცეული. მახვილის ტიპისა და სამახვილო სიტყვების რაოდენობის თვალსაზრისით ფრაზაში აქ არსებითად ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც რაქულში (აქაც აქცენტუაცია ერთცენტრიანია და მახვილი მუსიკალურ-ტონურია თავისი ბუნებით, რომელსაც აგრეთვე დინამიკური მახვილის თვისებაც აქვს [20(58—59)], მაგრამ სრულიად განსხვავებული, ვიდრე ზემოიმერულში. ამ უკანასკნელში, პირიქით, დინამიკური მახვილია ფიქსირებული ტონური მახვილის ელემენტებით [19(170)].

სწორედ ეს ვითარებაც ქმნის საფუძველს იმ მკვეთრი ინტონაციური განსხვავებისათვის, რომელიც არსებობს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის.

ჩვენთვის საკვლევ ობიექტში ფრაზის ტონური მახვილი სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა (მიუხედავად იმისა, თუ რამდენ მარცვლიანია სიტყვა). გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ის უკანასკნელ მარცვალზეც აღმოჩნდეს. ერთმარცვლიან სიტყვაში მახვილი იწვევს ხმოვნის გარამაგებას. ორი ხმოვანი აქ თითქმის გარკვევით ისმის. ახალი მარცვლის გაჩენა ამ შემთხვევაში მახვილისათვის ვოკალური ფონის შესაქმნელად არის საჭირო [39(343)]. ჩვენი მსჯელობა ამჟერად ემყარება ერთპაუზიანი თხრობითი წინადადების ანალიზს: მიმან არ იცოდა თხროვა..., ის ადგილი ქე გ ე ტ ო დ ი ნ ე ბ ა...,

რავა ტყულათე ელ აპარაკებ ი... გარეკე, გო, საქონელი... ჩვენი ბოვშეები შორს დადრენ სკოლაში).

გარკვეულ შემთხვევაში ფრაზის მახვილი შეიძლება უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზეც აღმოჩნდეს და გამოიწვიოს ხმოვნის შესამჩნევი დაგრძელება, ამას ადგილი აქვს ისეთ თხრობით წინადადებაში, რომელშიც მონაწილეობს დადასტურებითი ნაწილაკი: ქარ (ქე არ): ქარ მეტეკა ძალი ფეხებში..., ქარ დამიწყო ყვრილი... ქარ დაამოცეცხლი...

ასეთი წინადადების მელოდიკა თავისი აღმავალი ტონით რამდენაღმე უახლოვდება იმ კითხვითი წინადადების მელოდიკას, რომელიც არ შეიცავს კითხვით სიტყვას.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მახვილიანი მარცვალი უმახვილო მარცვლებისაგან უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა მეტი ინტენსივობით, ტონის მეტი სიმაღლითა და ხმოვნის მეტი გრძლივობით.

რაკი ქვემოიმერულის მახვილი საზოგადოდ მუსიკალურ-დინამიკური ბუნებისაა, ამის გამო, ცხადია, ამ სამი კომპონენტიდან მახვილის რეგულარულ მაჩვენებლად ტონის ცვალებადობა გვევლინება. ტონის შესამჩნევად ენერგიული მოდულაციით მახვილის მატარებელი ხმოვანი გახანგრძლივებული არტიკულაციით წარმოითქმის, თუმცა ქვემოიმერულში ხმოვნის გრძლივობა ყველგან და ყოველთვის ისე შესამჩნევად გამოკვეთილი არ არის, როგორც ეს ქართული ენის ზოგი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

ტონურ მოდულაციაზე დამყარებულ ე. წ. გრძელი ხმოვნის საკითხის შესწავლას ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტის, კერძოდ, მთიულურის მონაცემთა საფუძველზე არნოლდ ჩიქოზავამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა [40].

- გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ მთიულურის ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონურ მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს და განსაზღვრულია არა მისი რაოდენობითი ბუნებით, არამედ მისი ადგილმდებარეობით. სიტყვაში იგი თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალზეა ბოლოდან [40(339)].

აქვე აღნიშნულია, რომ მთიულური არ უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს ამ მხრივ ქართული ენის სხვა დიალექტებს შორის. მართალია, არა ისე მკაფიო და განსაზღვრული ბუნების, მაგრამ არსებითად ასეთივე მახვილი დასტურდება ფერეიდნულში და ქუთაისელ

ებრაელთა მეტყველებაში. აქ. შ ა ნ ი ძ ე ს ი გივე მოვლენა ზემორა-
ქულშიც აქვს დადასტურებული (გლოლა-ჭიორა-ღების თემში)
[40(347)].

ანალოგიური ვითარება აღინიშნება ქვემოიმერულშიც, როდონ ტო-
ნური მახვილის მატარებელი მარცვალე ყოველთვის ისე შესამჩნევად
არ გამოირჩევა დანარჩენი უმახვილო მარცვლებისაგან, როგორც ეს
ქვემო იმერეთში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისათვის არის და-
მახასიათებელი.

სინტაქსურ მოვლენასთან დაკავშირებული ხმოვნის სიგრძის სა-
კითხის განხილვისას გურულსა და აჭარულში ქ. ლომთათიძე
იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დამოკიდებულ წინადადებაში ბოლო
მარცვლის გაგრძელება შედეგი უნდა იყოს გარკვეული ფუნქციის
მქონე მომდევნო ხმოვნის (resp. სიტყვის) დაკარგვისა [39(340)].
ავტორი ასეთ გარკვეული ფუნქციის მქონე მომდევნო ხმოვანდ
თელის -ა-ს, რომელიც თავის მხრივ ცალკე სიტყვის ნაშთს უნდა
წარმოადგენდეს, ვთქვათ, „არს“ მეშველი ზმნისას ან დადასტურე-
ბითი ნაწილაკისას „არა“, როცა ამ უკანასკნელს ე. წ. „განსაზღვრუ-
ლობის“ ფუნქცია აქვს. ასე, რომ ფორმებს: „რომ მოვიდა“ და „რომ
მოვიდაა“ ქ. ლომთათიძე თელის ან „რომ მოვიდა არის“-
საგან, ან კიდევ „რომ მოვიდა არა“-საგან მიღებულად [39(342)].

გურულისა და აჭარულის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მი-
ღებული დასკვნა: დადასტურებითი ნაწილაკი, ერთი მხრივ, და და-
მოკიდებულ წინადადებაში ხმოვნის სიგრძე, მეორე მხრივ, ურთიერთ-
ზე დამოკიდებული მოვლენებია [39(343)], მეტად საყურადღებოა და
იგი ეჭვს არ იწვევს.

მაგრამ სულ სხვაგვარ ჩვენებას გვაძლევს ამ მიმართულებით ქვემო-
იმერული დიალექტი. მარტივი წინადადების მელოდიკის ანალიზმა ზე-
მოდ დაგვანახა, რომ უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალე
გახანგრძლივებული ინტონაციით განსაკუთრებით მაშინ წარმოითქმის,
როცა წინადადება დადასტურებით ნაწილაკს შეიცავს: ქ ა რ დაამთო
ცეცნლი... ქ ა რ მეიპარა საქონელი....

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რთულ წინადადებაშიც.
ბოლო ხმოვანი გახანგრძლივებული ინტონაციით სწორედ იმ წინადა-
დებაში წარმოითქმის, რომელსაც იწყებს დადასტურებითი შინაარსის
შემცველი ნაწილაკი: ქ ა რ დეიწყო ტყულათე ტ ი რ ი ლ ი, მარა მალე
მიუხვთენ ეშმაკობას... ქ ა რ მ ე ე ფ ე რ ა, თელათ გედირია..., არ

დოუწვა მართლა სახლი, მარა იმასაც გოდოუხადენ სამაგიერო...

ქვემოიმერულში სწორედ შვეეთრად გამოხატულ აღმავალ მახვილს ერთვის თან ხმოვნის დაგრძელება (მდრ. ქ. ლომთათიძე) [39(342)];

საკვლევ ობიექტში დადასტურებითი ნაწილაკი -ხო ხშირად დაერთვის დამოკიდებულ წინადადებას ბოლოში. ამ შემთხვევაშიც ხმოვანი გრძლად ისმის: რო ჩეიცვამს ახლა ხო, მაშინ ნახეთ რაფერი შესახედავია...; დილას რო ავდექი ხო, მერეთ აღარ ჩამიმუხლია...; წეხან რო კაცი შოდიოდა ხო, თურჲე გიორგი ყოფბლა...;

ასე, რომ უქანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვლის გახანგრძლივებული ინტონაციით წარმოთქმა დამახასიათებელია საერთოდ დადასტურებითი წინადადებისთვის ქვემოიმერულში. ხმოვანი ამ პოზიციაში გრძელდება მაშინაც, როცა მარტივი წინადადება დამოუკიდებლად გადმოგვცემს აზრს და მაშინაც, როცა ის რთული წინადადების კომპონენტი წარმოადგენს. ზემოთ განხილული მაგალითებიდან ცხადად ირკვევა, რომ ყველა შემთხვევაში ხაუკეთესოდ ეგუება ერთმანეთს ხმოვნის სიგრძე და დადასტურებითი ნაწილაკი.

ამდენად, თუ გურულისა და აქარულის მონაცემთა მიხედვით ხმოვნის დაგრძელება უქანასკნელ მარცვალში დადასტურებითი ნაწილაკის დაკარგვის საკომპენსაციოდ იყო მიჩნეული, აქ, პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ასეთი ნაწილაკების შემცველი წინადადების ბოლო ხმოვანი გრძელდება. ყოველივე ამის გამო უფლება არა გვაქვს ქვემოიმერულში ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დაუპირისპიროთ და ხმოვნის გრძლივობა დადასტურებითი ნაწილაკის დაკარგვის კომპენსაციად გამოვაცხადოთ.

მაშასადამე, ხმოვნის გრძლივობას აღნიშნულ პოზიციაში, ქვემოიმერულის ჩვენების მიხედვით, არაფერი აქვს საერთო გარკვეული ფუნქციის მქონე ხმოვნის დაკარგვასთან (როგორც ეს გურულისა და აქარულის მონაცემთა მიხედვით გამოვლინდა), ამის გამო სინტაქსურ საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენად მას აქ ვერ მივიჩნევთ. ხმოვნის დაგრძელება ქვემოიმერულში სინტაქსის მიღმა დგას და ფრაზის ტონურ მახვილს უკავშირდება. :

ცალკე განხილვას მოითხოვს გაბმულ მეტყველებაში მიჯრით წარ-

მოთქმული რამდენიმე წინადადების ერთი აქცენტუაციური თავისებურება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ქვემოთმხრულ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებით გამოვლინდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: მიჯრით წარმოთქმულ რამდენიმე წინადადებაში ფრაზის მუსიკალური მახვილი, ჩვეულებრივ, ყველა წინადადებაში კი არ არის მკვეთრად გამოჩინებული, არამედ ერთში ან იშვიათად — ორში. დანარჩენებში კი მახვილი იმდენად დაჩრდილულია, რომ მისი შემჩნევა ჯერს. ასეთ შემთხვევაში მიჯრით წარმოთქმული რამდენიმე წინადადება ერთ სინტაგმად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ერთი შელოდიკური მონახაზი აქვს. მახვილის მატარებლად, ჩვეულებრივ, ის ფრაზა გამოდის, რომელიც სხვა ფრაზებს შორის ყველაზე მეტად არის სემანტიკურად დატვირთული და ამდენად წარმოადგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს.

ქვემოთმხრულში შემავალ სხვა თქმებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოკრიბული მეტყველება თავისი მელოდიკური ინდივიდუალობით. ქვემოთ ჩვენ ზოკლედ შევხებით ამ საკითხს და გამოვთქვამთ მოსაზრებას ოკრიბულში მოქმედი ფრაზის მახვილის თავისებურებების შესახებ.

სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც ამ თქმის შესწავლას ეძღვნება, მახვილის შესახებ აღნიშნულია: ოკრიბულში შეინიშნება, როგორც დინამიკური მახვილი, ისე მახვილი, რომელიც იწვევს სათანადო ხმოვნის დაგრძელებას. ეს უკანასკნელი კითხვით წინადადებაში გვხვდება და ტონური მახვილის ნაშთი უნდა იყოს. ასეთივე წარმოშობას ჩანს ლოგიკური მახვილიც, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს თავისებური ინტონაცია. სიტყვა, რომელსაც ლოგიკური მახვილი დაესმის წინადადების ბოლოსაა მოქცეული და დანარჩენი სიტყვებისაგან იმით აჯერხებს გამოყოფას, რომ თავისებური ინტონაციის „ფონზე“ ოდნავ აგრძელებს ბოლოდან მეორე მარცვალს [41(164)]. ასეთი ვითარება ორმარცვლიანი სიტყვების მიმართ არის დადასტურებული.

ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება შემდეგ ჩვენებას გვაძლევს: ოკრიბულში იზოლირებულ სიტყვაში მახვილი არ ჩანს. აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ფრაზის მახვილზე. ქვემოთმხრულის არც ერთ თქმაში ფრაზის მუსიკალური მახვილი ისე გამოჩინებული არ არის, როგორც ოკრიბულში. იგი დამახასიათებელია როგორც

კითხვითი, ისე თხრობითი წინადადებისათვის. მაგრამ მთავარი, რაც ოკრიბულის მელოდიკურ ინდივიდუალობას განსაზღვრავს (მხედველობაში გვაქვს თხრობითი წინადადების მელოდია), არის ტონის მკვეთრი ცვლილება სიტყვაში, რაც სიტყვის ბოლო ხმოვნის გაგრძელებასა და მეორე მარცვალზე ხმის შესამჩნევად აწვევაში გამოიხატება. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ამ მეტად თავისებური ინტონაციისა, რაც ოკრიბულ მეტყველებას ქვემოიმერულში შემავალ სხვა თქმებისაგან განასხვავებს: მაშინა ვერ დავაყენებთ, იმდენი ხალსია...; დღეს პოლი ვერ მოვწმინდე, ერთი ჭიქა შაქარი მქონდა 'მენგან ნასესხები და ახლა მოგიტანე ქე..., ძლივს ამოვაწიე ამ სიცხეში...

ოდენ სმენითი ანალიზიც სულ ადვილად გამოავლენს ასეთ შემთხვევებში ხმოვნის დაგრძელებას ბოლო მარცვალში. ხოლო მის წინა მარცვალზე ხმის შესამჩნევად აწვევას. ეს წესი თანაბრად ვრცელდება ორ და მეტმარცვლიან სიტყვებზე.

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, მელოდიკური მწვერვალი ზმნა-შემასმენელზე მოდის, რომელსაც წინადადებაში უმეტესად ბოლო ადგილი უჭირავს.

აღნიშნული მოვლენა იმდენად გავრცელებულია ოკრიბულში, რომ იგი შეიძლება ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნადაც კი გამოდგეს მისი დიალექტურ ერთეულად (თქმად) გამოყოფისათვის.

ქვემოიმერულის მახვილთან დაკავშირებული მსჯელობა აქამდე ემყარებოდა თხრობითი წინადადების ანალიზს.

საგანგებო განხილვას მოითხოვს კითხვით წინადადებაში მახვილის საკითხი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თხრობითი წინადადების მელოდია თვალსაჩინოდ განსხვავებულია ქვემოიმერულში თქმებისა და ქცევების მიხედვით, ხოლო კითხვითი წინადადების მელოდია ამ მხრივ გაცილებით უფრო სტაბილურია.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ქართულში კითხვითი წინადადების ინტონაცია არაა ყოველთვის ერთნაირი. თუ კითხვითი წინადადება კითხვით სიტყვას არ შეიცავს, მაშინ მისი ინტონაცია აღმავალია, ამ შემთხვევაში ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება — ჩხუბი მოგივიდა? მაგრამ, თუ კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა ურყევია, ამ შემთხვევაში ინტონაცია დამავალია. ამ დროს ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, სახელდობრ, კითხვით სიტყვაზე: რა ამბავია? ამ ტიპის ინტონაცია რამდენადმე უახ-

ლოცდება თხრობითისას, მაგრამ ის მაინც უფრო მაღალია, ვიდრე თხრობით წინადადებაში [35(140)]₁

ქვემოიმერულში სრულიად წაშლილია ზღვარი ამ ორ სხვადასხვა სახის კითხვით წინადადებას შორის. ორივესთვის თანაბრად დამახასიათებელია აღმავალი ინტონაცია. უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვლის ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის: სა მიხვალ?... , რომელ კლაში გადადნი?... , სიმიდი როის გათოხნი?... , გუშინ აქ იყო?... , ბაზარში იყავი?...

მახვილის ლოკალიზება (იგი ორივე სახის კითხვით წინადადებაში ბოლო მარცვალზე) და ტონის ცვალებადობის მინიმუმამდე დაყვანა (კითხვით: სიტყვინ წინადადებაში) არის საფუძველი ამ ორი ტიპის კითხვით წინადადებას შორის ინტონაციური სხვაობის წაშლისა.

ამგვარად:

ა) ქვემოიმერულის აქცენტუაციურ თავისებურებებს განსაზღვრავს ფრაზის მუსიკალური მახვილი, რომელსაც თან ახლავს დინამიკური მახვილის ელემენტებიც;

ბ) აქცენტუაცია ძირითადად ერთცენტრიანია. სამახვილო სიტყვა ფრაზაში ჩვეულებრივ ერთია;

გ) მახვილი სიტყვას მოუღის ბოლოდან მეორე მარცვალზე, წინადადების შინაარსისა და აღნაგობის შესაბამისად შესაძლებელია ის ბოლო მარცვალზეც აღმოჩნდეს;

დ) გაბმულ მეტყველებაში ერთმანეთის მიჯრით წარმოთქმულ რამდენიმე წინადადებას ხშირად ერთი მელოდიკური მონახაზი აქვს. ასეთ შემთხვევაში მახვილის მატარებლად ჩვეულებრივ ის ფრაზა გვევლინება, რომელიც ყველაზე მეტად არის სემანტიკურად დატვირთული და ამდენად წარმოადგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს;

ე) ეს წესები ვარიაციებს გვაძლევს ქვემოიმერულში შემავალი უფრო წვრილი დიალექტური ერთეულების მიხედვით.

ზგმარათა ცვლილება

ქვემოიმერულის ფონეტიკურ თავისებურებათა სრული გათვალისწინებისათვის წინამდებარე გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია როგორც კომბინატორული, ისე სპონტანური ხასიათის ცვლილებებზე.

კვლევის შედეგები, რაც ქვემოიმერულში შემავალ წვრილი დიალექტური ერთეულების ურთიერთმიმართებაში განხილვით მივიღეთ, ხელშეახებლად წარმოგვიდგენს როგორც იმ თავისებურებებს, რომლებიც თანაბრად დამახასიათებელია ყველა დიალექტური ერთე-

ულისათვის, ასევე იმ ცვლილებებსაც, რომლებიც ნიშანდობლივად ითვლება თითოეული მათგანისთვის.

პირველი სახის ცვლილებები ზოგადი ტენდენციის გამომხატველია, მეორენი გვიჩვენებენ იმას, თუ ცალკეულ შემთხვევებში ესა თუ ის ზგერა ცვალებადობის რა კანონზომიერებას ემორჩილება ამა თუ იმ დიალექტში. ასეთი სახის ცვლილებები ყურადღებას იმ მხრივაც იმსახურებს, რომ მთელ რიგ სხვა თავისებურებებთან ერთად შეიძლება ისინიც საფუძვლად დაედონ დიალექტურ ერთეულებად დაყოფის პრინციპს [16(218)].

განმეორების თავიდან აცილების მიზნით წინამდებარე გამოკლევაში აღრაფერს ვამბობთ იმ ბგერათცვლილებებზე, რომლებიც გამოწვლილვით არის გაანალიზებული ჩვენს ნაშრომში — „ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში“ [16(217—270)].

ხმოვანთა ცვლილებები

მონოგრაფიაში, რომელშიც ფშაურის დეტალური დიალექტოლოგიური ანალიზია მოცემული [42(3—270)], ხმოვანთა სისტემის თავისებურებები ქართული ენის დიალექტებში საზოგადოდ განიხილება როგორც მორფოფონემატური დონის თავისებურებები: „ფონოლოგიურად ზუსტად ერთნაირ, ხოლო მორფოლოგიურად განსხვავებულ გარემოში აღგილი აქვს ხმოვანთა განსხვავებულ მონაცვლებებს“ (ხაზი ჩვენია) [42(21)]. ამიტომ — განაჯრძობს იქვე მკვლევარი — ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტში ხმოვანთა დისტრიბუციულ მიმართებების შესწავლისას (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მიმართებები კი ძირითადად მორფოფონოლოგიურია), აუცილებელია გამოიყოს მიკროსტრუქტურები და კვლევის დასაწყის ეტაპზე ვიმსჯელოთ ხმოვანთა დისტრიბუციულ მიმართებებზე თითოეულ მიკროსტრუქტურაში ცალ-ცალკე“ [42(22)].

ხმოვანთა კომპლექსის არსებობას სიტყვაში ჩვენც ამ კომპლექსში მომხდარი ცვლილებების მიზეზად ვთვლიდით აღრეც, თუმცა არა ყოველთვის. არსებითი ხასიათის მნიშვნელობის ფაქტად სწორედ ის მიგვაჩნდა, რა მორფოლოგიური ღირებულების მქონე ელემენტის დართვა იწვევდა კომპლექსის წარმოქმნას და სიტყვის რომელ ნაწილში იქმნებოდა იგი [16(223)].

დიფთონგიზაცია ქვემოიმერულში

დიფთონგიზაცია ქვემოიმერულში ნაკლებად განვითარებული ფონეტიკური პროცესია. დიფთონგის სუსტ ნაწილად აქ, ჩვეულებრივ, გვევლინება -უ ბგერა. რაც შეეხება -ი-ს, როგორც ზემოთ დაინახეთ, იგი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს სრულხმოვნობას ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ამიტომ გვაქვს: დაი, დაის, დაით და არა: დაა, დაას, დაათ, თუმცა -ა ხმოვნის წინა პოზიციაში იშვიათად -ი იმდენად ვიწროვდება, რომ იგი უმარცვლო ხმოვნის აკუსტიკურ ეფექტს ტოვებს: შაატყო < შიაატყო < შეატყო.

უმარცვლო -უ ქვემოიმერულში მიიღება, როგორც აღვნიშნეთ, პოზიციურად. გარდა ზემოდასახელებული შემთხვევებისა, ამ ბგერისკენ იხრება:

ა) -ა და -ე ხმოვნების წინა პოზიციაში -ო-ს დავიწროებით მიღებული ბგერა: გოგუეზი, კოლუეზი, ეზუეზი, პუეტრი, ვათხუე, მუასწო... -ო ხმოვნის დავიწროება საერთო მოვლენაა ქართული კილოებისათვის. მის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში. ქვემოიმერულში სათანადო ფონეტიკური პროცესი ხდება სიტყვის ძირშიც და პრეფერებშიც.

ბ) არც ისე იშვიათად დიფთონგი ქვემოიმერულში წარმოიქმნება -ვ თანხმოვნის გაწყვილბაგისმიერებით: წაართუ < წაართვა, დაწუ < დაწვა, გაართუ < გაართვა...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ -ვ თანხმოვნის გაწყვილბაგისმიერების შედეგად დიფთონგის წარმოქმნის პროცესი მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ დამდგარ ფონეტიკურ მოვლენად ქვემოიმერულში. რასაც ადასტურებს პარალელურ ფორმათა სიხშირე (წაართუა // წაართვა, დაწუა // დაწვა...).

-ვ-ს გაწყვილბაგისმიერება უდევს საფუძვლად უმარცვლო -უ-ს გამოვლენას სიტყვის ბოლოს წულუკიძელთა უფროსი თაობის მეტყველებაში. მაგალითად, -ვ თემის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი -ვ. უმარცვლო -უ-ს სახით წარმოგვიდგება ხოლმე უმეტესწილად პირველსა და მეორე პირში: ვხერხაჟ < ვხერხავ, ვბარაჟ < ვბარავ, ვკერაჟ < ვკერავ...

მსგავსი ვითარება პ. გაჩეჩილაძის დადასტურებული აქვს. ხანურ-ზეგნურ მეტყველებაში, მაგრამ არა მარტო სიტყვის ბოლოს, არამედ სიტყვის თვშიც, თანაც განსაზღვრულ შემთხვევებში: პირ-

ველი სუბიექტური პირის ნიშნის -ვ-ს შეტათეზის თან სდევს მისი გაწყვილბაგისმიერება და უმარცვლო -უ-დ ქცევა: ხ უ ლ ა წ უ ნ ო ბ (ღ ე ხ ლ ა წ უ ნ ო ბ); ან შეიძლება პირველი სუბიექტური პირის ნიშანი -ვ სულ დაიკარგოს და ძირეული -ვ გარდაიქმნეს უმარცვლო -უ-დ, მაგ., ხ უ რ ე ტ ა უ ჯ ხ უ რ ე ტ ა უ ჯ ვ ვ რ ე ტ ა ვ, ხ უ რ ე პ ა უ ჯ ხ უ რ ე პ ა უ ჯ ვ ვ რ ე პ ა ვ [85(111)].

გ) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ დიდთონგი წარმოიქმნება ქვემოიმერულში თვით უ-ს გაუმარცვლოებით. ამ გზით არის მიღებული: უ რ ე ს ი (ღ უ რ ე ს ი), ს ა შ უ ა ლ ი (საშუალი). მ ა შ უ ა ლ ი (მაშუალი), ს ი მ ა უ რ ი (სიმაური)*.

ქვემოიმერულის დასავლურ ზოლში უფრო -ვ-ინიანი ფორმებია გავრცელებული: ვ რ ე ს ი, ს ა შ ვ ა ლ ი, ს ი მ ა ვ რ ი...

ამგვარად, უმარცვლო უ ქვემოიმერულში -ო, -ვ და -უ ბგერათა პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს.

უ ო რ ი (ორი), უ ო ც ი (ოცი), უ ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი და მისთ. ფორმები, რომლებიც ნაგარაუდევია ქართული ენის დასავლური კილოებისათვის, ქვემოიმერულში არ დაგვიდასტურებია.

ხმოვანთა ელიზია

ხმოვანთა ელიზიის შემთხვევებს ქვემოიმერულშიც ვხვდებით: აგი უპირატესად ორი არასრულმნიშვნელოვანი სიტყვის შეერთების შედეგად წარმოქმნილ ხმოვანთა კომპლექსებისათვის არის დამახასიათებელი: კ ა რ < კ ი არ, ქ ა რ < ქ ე არ, ხ ვ ა რ < ხ ო მ ა რ, თ ვ ა რ < თ უ არ, კ ვ ჯ რ < კ ი ვ ე რ.

ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია

ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია ქართული ენის დასავლურ კილოებში საზოგადოდ აქტიურად მოქმედი პროცესი არ არის, თანამედროვე ზანურ დიალექტებში კი (როგორც ამას საკითხის კვლე-

* მაგალითები გაანალიზებული აქვს გ. ცხადაძეს შრომაში „იმერულის თავისებურებანი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით“ (ზოგადი და იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978, გვ. 56).

ვა ცხადყოფს), ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია აღარც ყოფილა მოქმედი ფონეტიკური პროცესი [45(170)].

ქვემოთხსენებულში ხმოვანთა დისტანციური ასიმილაციის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები თუ გვაქვს.

ერთადერთი კანონზომიერება, რაც ამ მიმართებით შეიძლება დადგინდეს ის არის, რომ ხმოვანთა პროგრესული დისტანციური ასიმილაცია უფროა გავრცელებული, ვიდრე რეგრესული.

ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: ა ბ რ ა შ უ შ ი (<აბრეშუმი), მ ო ნ ო ზ ო ნ ი (<მონაზონი), გ ა რ ა მ ო ე ბ ა (<გარემოება) და მისთ..., ხოლო — რეგრესულისა: ნ ე მ ე ტ ა ნ ი (<ნამეტანი), პ ე ტ ე ფ ო ნ ი (<პეტეფონი), რ ე მ ე ლ ი (<რენელი) და ა. შ.

დისტანციური რეგრესული ასიმილაციითვეა მიღებული — კ უ ნ უ (<კინუ), ქ ო რ ო (<ქერო), რ ე ი ქ ნ ა (<რაქნა) რ ო უ ყ ა ვ ი (<რაყყავი).

-რა, -კი, -ქე ასეთ სიტყვაშეხამებებში პროკლტიკებს წარმოადგენს. როგორც უმახვილო სიტყვები, ისინი ეკედლებიან მომდევნო სიტყვას და ერთ სიტყვად წარმოგვიდგებიან.

ხმოვანთა დისიმილაცია

ხმოვანთა დისიმილაციას აღვნიშნავ: როგორც უშუალო, ისე არაუშუალო მეზობლობაში. შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება ამ მიმართებით: დისტანციური დისიმილაციის შემთხვევაში ერთმანეთს ყოველთვის იდენტური ხმოვნები განემსგავსება, ხოლო უშუალო მეზობლობაში მხოლოდ არაიდენტურ ხმოვანთა დისიმილაციას აქვს ადგილი.

რეგრესული დისტანციური დისიმილაციის ნიმუშებია: კ ე კ ა ლ ი (<კაკალი), შ ე ქ ა რ ი (<შაქარი), ბ ი ჭ ე დ ი (<ბეჭედი), ტ ი ლ ე ფ ო ნ ი (<ტელეფონი), დ ე ვ ა (<დავა) და მისთ., ხოლო პროგრესულისა: ლ ა პ ა რ ი კ ი (<ლაპარაკი), ა რ ე კ ი (<არაკი), ა მ ე ლ ა მ (<ამელამ), ხ ა ნ დ ი ხ ა ნ (<ხანდახან), ა მ ხ ა ნ ი გ ი (<ამხანაგი) და მისთ...

როგორც აღვნიშნეთ, უშუალო მეზობლობაში არაიდენტურ ხმოვანთა დისიმილაციას აქვს ადგილი: გ ო გ უ ე ბ ი (<გოგობი), ღ ვ ო ნ უ ე ბ ი (<ღვინობი), ე ზ უ ე ბ ი (<ეზობი), კ ო ლ უ ე ბ ი (<კოლობი), პ უ ე ტ ი (<პოეტი), ვ ა თ ხ უ ე (<ვათხოე>ვათხოვე),

აქ დასახელებულ მაგალითებში დისიმილაციის შედეგად -ოე კომპლექსის -ო რეალიზდება -უ-ს სახით, რითაც იზრდება განს-
ვავება კომპლექსის წევრებს შორის არა მარტო დ ი ა ო ბ ი ს მიხედ-
ვით, არამედ წარმოების რიგის მიხედვითაც.

ანალოგიური ვითარება გვაქვს -ოა კომპლექსშიც. ისიც დისიმილა-
ციით -უა-ს გვაძლევს: მ უ ა ხ ე რ ხ ა (<მოახერხა), მ უ ა ლ წ ი ა
(<მოალწია), მ უ ა (<მოა<მოვა), გ ა ა თ ხ უ ა (<გაათხოა<გაათხო-
ვა).

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში -ო-ს დავიწროების
შედეგად მიღებული ბგერა უმარცვლო -უ-სკენ იხრება (იხ. ზემოთ).
ამის გამო ეს მოვლენა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისიმილაციურ
ო ი ფ თ ო ნ გ ო ზ ა ც ი ა დ.

-ეა კომპლექსში -ე ვიწროვდება და იქცევა -ი-დ: შ ი ა ტ-
ყ ო (<შეატყო), შ ი ა გ დ ო (<შეაგდო), შ ი ა ს რ უ ლ ა (<შეას-
რულა).

ზემოგანხილულ კომპლექსებში დადასტურებული ეს ცვლილე-
ბები არ არის მხოლოდ ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივი მოვ-
ლენა. იგი ქართული ენის არც სხვა დასავლური და აღმოსავლური
კილოებისათვის ჩანს უცხო. ამის გამო მასში ქართული დიალექტე-
ზისათვის დამახასიათებელი ს ა ე რ თ ო ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ტ ე ნ-
დ ე ნ ც ი ა ა დ ა ს ა ნ ა ზ ი.

იდენტური ხმოვნების დისიმილაცია უშუალო მეზობლობაში ქვე-
მოიმერულისათვის დამახასიათებელი არ არის. ცვლილება -ეე კომ-
პლექსში: დ ი ე მ ა ლ ა (<დეემალა), შ ი ე ხ ვ ე წ ა (<შეეხვე-
წა), შ ი ე კ ი თ ხ ა (<შეეკითხა) არ ხდება თვით ზემო გურიის
საზღვარზე მდებარე ქვემო იმერეთის სოფლებშიც კი, საადაც მოსა-
ლოდნელი იყო გურულის გავლენა (აქ ასიმილირებული
ფორმები გვხვდება: მ ე ე წ ო ნ ა, გ ე ე გ ო ნ ა, დ ე ე მ ა რ თ ა).

ხმოვანთა სუბსტიტუცია

ს. მოვანთა ერთობაში „შემთხვევითი“ ხასიათის ცვლილებას ძალ-
ზე იშვიათად ვხვდებით. მათ ცვალებადობას სიტყვაში თითქმის
ყოველთვის კანონზომიერი ხასიათი აქვს. ხმოვანთა ს პ ო ნ ტ ა ნ უ-
რი ცვლის ნიმუშებად შეგვეძლო დაგვესახელებინა: რ ა მ დ ო ნ ი

(**Հրամდენი**), **იმ დონი** (Հიმდენი), **ხირხიმალი** (Հხერხემალი), **ესიამუნა** (ესიამოვნა).

ფონეტიკურად შეუპირობებელი და ამდენად არაკანონზომიერი ცვლილების შედეგია აგრეთვე -ი ხმოვნის გარდაქმნა -ე-დ-ვით თანდებულში: **ხესავეთ**, **მგელსავეთ**, **კაცსავეთ**...

ცვლილებას თითქმის სისტემატური ხასიათი აქვს ქვემოიპერულში. მსგავსი ვითარება დადასტურებულია ქართული ენის სხვა კილოთქებშიც.

თანხმოვანთა ასიმილაცია

კოარტიკულაციის შედეგები, რეალიზებული თანხმოვანთა ასიმილაციაში, მრავალფეროვანია. უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ ვთვლით იმის აღნიშვნას, რომ აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ზოგჯერ რეალიზდება ლიტერატურულ წარმოთქმაშიც. მაშინ, როცა ხმოვნებში გავრცელებული ბგერათცვლილების ეს სახე თითქმის ყოველთვის დიალექტური მოვლენაა.

რადგან ასიმილაცია ბგერათა კოარტიკულაციის შედეგია, ამის გამო თავისთავად ცხადია, ასეთ სხვაობას ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის კონსონანტთა შემართვა-დამართვის თავისებურება განსაზღვრავს. იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად თვით თანხმოვანთა ასიმილაციურ ცვლილებებში გამოვლენილ თავისებურებებსაც.

ექსპერიმენტულად შესწავლილია თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხი სალიტერატურო ქართულში და გამოტანილია საყურადღებო დასკვნები [46(109.—144)].

ცნობილია, რომ ქართული ენის მჟღერი თანხმოვნები გაცილებით უფრო ნაკლები მჟღერობისანი არიან, ვიდრე, ვთქვათ, რუსული ენისა.

თვით ლიტერატურულ წარმოთქმასთან შედარებით მჟღერობის ხარისხი კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირებულია ბარის კილოებში, განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ დასავლური დიალექტები. სწორედ მჟღერობის ხარისხის ასეთი შემცირება და ყრუ ბგერის იმპლოზია-ექსპლოზიის ენერგიულობა მჟღერ ბგერასთან შედარებით არის იმის საფუძველი, რომ ეს უკანასკნელი ადვილად ემორჩილება ყრუ ბგერის გავლენას (47(115, 158)].

ასიმილაციური გაყრუება

უწინარეს ყოვლისა, ნაშრომში განხილულია ასიმილაციური გაყრუების შემთხვევები კომპლექსში — მელერი+ყრუ. რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე მელერი ბგერა სრულიად კარგავს მელერობას და იქცევა ყრუ თანხმოვნად, რის შედეგადაც ასიმილაციური გაყრუება ბევრად ჰარბობს ასიმილაციურ გამჟღერებას.

ასიმილაციური გაყრუების ნიმუშებად შეიძლება დაგვესახელებინა: ნ ი ფ თ ი (<ნიმთი<ნივთი), კ ა ფ შ ი რ ი (<კამშირი<კავშირი), ნ ე ფ ს ი (<ნემსი<ნესი)... ამ და სხვა ასეთ შემთხვევებში გამვლენელია ფშინვიერი ბგერა, მაგრამ ასიმილაციური ტენდენცია არანაკლებ ფართო გასაქანს პოულობს ქვემოთმოხსენებულში მანინაც, როცა გამვლენელი მკვეთრია: ა ხ ტ ა ც ე ბ ი თ (<ალტაცეზით), ა ხ წ ე ვ ს (<ალწევს), ა ხ ჭ უ რ ვ ი ლ ი (<ალჭურვილი), ბ ტ ყ ე ლ ი (<ბტყელი<ბტყელი), ს ა ბ ჰ კ ი (<საბჰკი), კ პ ა ტ ი ჟ ო ბ (<გპატეობ), კ ჰ ი რ ს (<გჰირს), კ ტ ი რ ი ს (<გტირის).

ობიექტური პრეფიქსი -გ აბრუპტივის წინ არა მარტო მკვეთრი ბგერის სახით რეალიზდება, არამედ ფშინვიერი სახითაც. შედეგად ვლდებულობთ პარალელურ ფორმებს: კ ჰ ი რ ს//ქ ჰ ი რ ს, კ ყ ა ვ ს//ქ ყ ა ვ ს, კ წ ა მ ს//ქ წ ა მ ს.

ასევე -გვ პრეფიქსი -გვ-საც გვაძლევს და -ქვ-საც აბრუპტივის წინ (-ვ ვერ იცავს -გ-ს მოსალოდნელი ცვლილებებისაგან: კ წ ყ ე ვ ლ ი ს, //ქ წ ყ ე ვ ლ ი ს, კ ვ პ ა ტ ი ჟ ო ფ ს//ქ ვ პ ა ტ ი ჟ ო ფ ს, კ ვ წ ა მ ს//ქ ვ წ ა მ ს).

გარდა ობიექტური -გ პრეფიქსისა ასეთივე ცვლილებას განიცდის მელერი -ბ ბგერა აბრუპტივის წინა პოზიციაში. იგი სიტყვში რეალიზდება არა მარტო მოსალოდნელი აბრუპტივით, არამედ თავისი ფშინვიერი სახეობითაც: ს ა ფ ჰ კ ი //ს ა ბ ჰ კ ი, ფ წ კ ა რ ი //პ წ კ ა რ ი, ფ ტ ყ ე ლ ი //პ ტ ყ ე ლ ი...

მელერი თანხმოვნების ეს გაფშინვიერება აბრუპტივითა წინა პოზიციაში ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ ფონემის ერთი სახეობა მოხვედრილია სხვა სახეობის პოზიციაში? [შლრ. 35(272)].

ვფიქრობთ — არა!

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აბრუპტივებს, როგორც ჩანს, ქვემოთმოხსენებულში არ აქვთ სიმკვეთრის ის ძალა, რაც საზოგადოდ მათთვის დამახასიათებელია ქართულში, მაშინ ფშინვიე-

რის გამოვლენა ზემოდასახელებულ პოზიციაშიც სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, მკვეთრობის დაბალი ხარისხიანობა საფუძველია იმისა, რომ ფშვინვიერი ბგერაც თავის შესაფერ პოზიციაში აღმოჩნდა ასეთ შემთხვევებში და სალიტერატურო ენისა და ლიალექტებისაგან განსხვავებული შედეგი მოგვცა.

მეღერი თანხმოვნის გაფშვინვიერება აბრუპტივის წინ დადასტურებული აქვს ქ. ძოწენიძეს ზემომერულშიც, ოღონდ მის მიერ საანალიზოდ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ობიექტური პრაფექსებისათვის ვარაუდობს ასეთი სახის ცვლილებას: ქ-ჭამ, ქ-ყოლია, ქ-კითხა, ქეყავდა და მისთ. თანაც, ავტორი იქვე დასძენს: „ზემო-მერული ასეთ შემთხვევაში გაურბის მკვეთრთან მკვეთრითვე გამოხატული პრაფექსის ხმარებას და ასიმილირებულ მკვეთრ ყრუს ფშვინვიერთ ცვლის, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში დისიმილაციურ გაფშვინვიერებას უწოდებენ დისიმილაციური გამჟღერების ანალოგიით“ [19(201—202)].

ვფიქრობთ, აქ ორი სხვადასხვა პროცესის თანმიმდევრულ მოქმედებას ადგილი არა აქვს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ცვლილების საფუძველია ასიმილაცია, ოღონდ ერთ შემთხვევაში მეღერი -ზ და -გ ბგერები აბრუპტივითა წინ -კ, -პ-ს გვაძლევს (ს ა პ ჯ ო, კ-პ ი რ დ ე ბ ი), ხოლო მეორე შემთხვევაში -ფ, -ქ-ს (ს ა ფ ჯ ო, ქ-პ ი რ დ ე ბ ი).

ასეთი ვარიაციისათვის საფუძველი არ არსებობს მაშინ, როცა მეღერი ბგერა წყვილის ცალია. ასეთ შემთხვევაში აბრუპტივის წინ მან შეიძლება მოგვეს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ჰომორგანული ფშვინვიერი სახეობა: ა ხ წ ე რ ა (ღაღწერა), ვ ა შ ქ ა ც ი (ღვუჟაცი), ა ხ ტ ა ც ე ბ ა (ღაღტაცება)...

ეს გარემოება ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ მოყვანილ მაგალიტებში (ს ა ფ ჯ ო, ფ ტ ყ ე ლ ი, ქ-ჭ ი რ ს) ადგილი აქვს ასიმილაციას და არა დისიმილაციურ გაფშვინვიერებას. ორივე შემთხვევაში ასიმილაციის პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში: გ ა მ ვ ლ ე ნ ე ლ ი ა ა ბ რ უ პ ტ ი ვ ი, ა ს ი მ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ე ლ ე რ ი. როცა ეს უკანასკნელი თანხმოვანთა სამეულბრივ სისტემას განეკუთვნება, მაშინ აბრუპტივის წინა პოზიციაში იგი შეიძლება აბრუპტივადაც იქცეს და ფშვინვიერადაც (კ ტ კ ი ვ ა//ქ ტ კ ი ვ ა), ხოლო,

თუ მელერი ბგერა წყვილის ცალია. მაშინ, ცხადია, ამავე პოზიციეში მას შეუძლია მოგვეს მხოლოდ და მხოლოდ ყრუ ფშვინვიერი სახეობა (ვაშკაცი, ახწე რა).

ყველა შემთხვევაში დაცულია ბგერათა პოზიციური განაწილების წესი. მელერი ბგერის ფშვინვიერად გარდაქმნას აბრუპტივის წინ თავისი მიზეზი აქვს ქვემოიმერულში (როგორც აღენიშნეთ, მკვეთრობის დაბალი ხარისხიანობა).

საკმაოდ მკვეთრადაა აგრეთვე გამოხატული ასიმილატორული გაყრუების ტენდენცია კომპლექსში ყრუ + მელერი. გამვლენელი ყრუ ბგერაა. მიმართულების მიხედვით ასიმილაცია პროგრესულია.

ქვემოიმერულშიც და ზემოიმერულშიც ფშვინვიერი ბგერა ერთნაირად იწვევს მელერი თანხმოვნის გაფშვინვიერებას, მაგრამ, თუ ასიმილატორი მკვეთრია, მაშინ ზემოიმერულში პროცესი მერყეობს და ასიმილირებული ფორმების გვერდით უასიმილაციო შემთხვევებიც გვაქვს [19(137)].

ნიმუშები: გამეფთა, გაჩთა, დაფასთა, გაგულისტა, მოკპიჩა, ყპა, დაამიწყტა.

იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ფშვინვიერი ბგერა იმსგავსებს ნკვეთრს. ბ. ფოჩხუა: თავის ნაშრომში — „თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში“ — დასახლებული აქვს სამი მაგალითი: „სთვა“, „სთუდენტი“, „ნასთავლი“ [48(187)]. ამათ შეიძლება დავუმატოთ რამდენიმე მაგალითი. ცნობილი სენათმეცნიერო ლიტერატურიდან: უსთაბაში (<უსტაბაში), სთოლი (<სტოლი). ზესთაფონი (<ზესტაფონი).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აქცესიური კომპლექსებისათვის უმეტესად ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ხოლო დეცესიურისთვის — რეგრესული [35(335)]. ჩვენი დაკვირვებით, პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებს არანაკლებ გამოავლენს დეცესიური კომპლექსები, ვიდრე აქცესიური. მეორე მხრივ, გარკვეულ შემთხვევებში რეგრესული ასიმილაცია უფრო მეტადაა გავრცელებული აქცესიურ კომპლექსებში, ვიდრე დეცესიურში.

ასე, მაგალითად, კომპლექსი დეცესიური თანმიმდევრობისაა, მაგრამ ასიმილაცია პროგრესულია: რაცხა (ღრაცლა ღრალაც), გუშ-

ხ ა მ (ლ გ უ ლ ა მ), ყ ე ფ თ ა (ლ ყ ე ფ დ ა), გ ა მ ე ფ თ ა (ლ გ ა მ ე ფ დ ა) ...
მეორე მხრივ, აქცესიურ კომპლექსებში რეგრესული ასიმილაცია გვაქვს: ბ ა ხ ჩ ა (ლ ბ ა ლ ჩ ა), დ ა ა ხ წ ი ა (ლ დ ა ა ლ წ ი ა), რ ი ქ შ ი (ლ რ ი გ შ ი) ...

პროგრესულ ასიმილაციას აქცესიურ კომპლექსებში გ. ა ხ ვ ლ უ დ ი ა ნ ი საფუძვლად უდებს პირველი კომპონენტის დაკარგვის ან დასუსტების საშიშროების თავიდან აცილებას. „წარმოთქმის მკაფიობა აქცესიურ კომპლექსებში უფრო ძლიერდება, რადგანაც უიმისოდ პირველი კომპონენტი (ქ გ ლ შ ი) დაკარგვის ან დასუსტების საფრთხეშია. მისი არტიკულაციის გაძლიერება კი იწვევს მისი სიყრუის (resp. მკვეთრობის) შენარჩუნებას მომდევნოსთვისაც“ [35(336)].

როგორც ზემოთ დავინახეთ, პროგრესული ასიმილაცია შეიძლება არანაკლებ მოხდეს დეცესიურ კომპლექსებშიც. თუ აქცესიურ კომპლექსებში ამ ფონეტიკურ პროცესს პირველი კომპონენტის დაკარგვის საშიშროებით ავხსნიდით, მაშინ საკითხავია: რით უნდა აგვეხსნა იგივე მოვლენა დეცესიურ კომპლექსებში, რომელთა გამარტივების საჭიროება საერთოდ არ იგრძნობა ქართულში?

ზემოთ განხილული დიალექტური მასალა გამოიყენება კომპლექსში შემავალ წევრთა თანმიმდევრობასთან ასიმილაციის მიმართულების დაკავშირების შესაძლებლობას.

ამგვარად, ქართულში საზოგადოდ ასიმილაციური გაყრუების კანონი დომინანტობს ისტორიულადაც [50(81)] და განვითარების თანამედროვე ეტაპზეც, რაც მელერობის დაბალი ხარისხიანობითაა ახსნილი. მელერ ბგერათა იმპლოზია-ექსპლოზიის სისუსტე, ხოლო ყრუ ხშულთა ენერგიულობა ფართოდ უხსნის გზას ჩვენს ენაში ასიმილაციური გაყრუების ტენდენციის გაბატონებას.

რადგან ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმასთან შედარებით მელერობის ხარისხი კიდევ უფრო საგრძნობლად ბარის კილოებშია შემცირებული და განსაკუთრებით დასავლურ დიალექტებში [47(115)], ამის გამო აქ მეტად ჩანს ის შედეგი, რომელიც მელერობის ხარისხიანობის შემცირებასთან არის დაკავშირებული: ასიმილაციური გაყრუების კანონი დასავლურ კილოებში და მათ შორის ქვემოიმერულშიც არა მარტო რეგრესულად მოქმედებს, არამედ — პროგრესულადაც: მელერი + ყრუ > ყრუ + ყრუ (რეგრესული ასიმილაციით), ხოლო ყრუ + მელერი > ყრუ + ყრუ (პროგრესული ასიმილაციით).

ასიმილაციური გამჟღერება

კომპლექსში ყრუ+მელერი ასიმილაციური გამჟღერების კანონიც მოქმედებს, მაგრამ სათანადო ფონეტიკური პროცესის ფაქტები სალიტერატურო ქართულშიც იშვიათია (ისტორიულად და განვითარების თანამედროვე ეტაპზეც) და დიალექტებშიც.

ასიმილაციური გამჟღერების მხრივ ქვემოიმერული რაიმე მნიშვნელოვან თავისებურებას არ ამჟღავნებს. აქ გამოვლენილი რეგრესული ასიმილაციის ნიშნუები კომპლექსში ყრუ+მელერი უმეტესწილად დამახასიათებელია საერთოდ ქართული ბუნებრივი წარმოთქმისთვისაც: დ ე ე მ ზ გ ა ე ს ა (ღღემსგაეგსა), ძ მ ი ზ გ ა ნ (ღძმისგან), წ ა ზ ძ ლ ი ა (ღწასძლია), ზ ჯ ე რ ა (ღჯერა)...

-გან თანდებულებიანი მოქმედებითის ფორმები; ს ა ხ ლ ი თ გ ა ნ, გ ზ ი თ გ ა ნ, ქ ა ლ ა ქ ი თ გ ა ნ..., საიდანაც ასიმილაციისა და ბგერათა დაკარგვის შედეგად მიღებულია ს ა ხ ლ ი დ ა ნ, გ ზ ი დ ა ნ, ქ ა ლ ა ქ ი დ ა ნ, ქვემოიმერულში მეტწილად საშუალო საფეხურით არის წარმოდგენილი: ს ა ხ ლ ი დ გ ა ნ, გ ზ ი დ გ ა ნ, ქ ა ლ ა ქ ი დ გ ა ნ...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულისათვის საზოგადოდ ნიშანდობლივად ითვლება მელერობის დაბალი ხარისხიანობა განვითარების თანამედროვე ეტაპზეც და ისტორიულადაც, ეს გარემოება საფუძვლად უდევს იმ თანაფარდობას, რომელიც არსებობს გავრცელებულობის თვალსაზრისით ასიმილაციურ გაყრუებასა და ასიმილაციურ გამჟღერებას შორის: განვითარების ყველა ეტაპზე ქართულში ძლიერ მოქმედი ასიმილაციური გაყრუების კანონი, ხოლო სუსტი ასიმილაციური გამჟღერების ტენდენცია.

მელერობის დაბალი ხარისხიანობის საფუძველზე აღმოცენებული თანაფარდობის ეს სხვაობა მით უფრო ხელშეწყობდა არის წარმოდგენილი ქვემოიმერულში, სადაც ლიტერატურულ წარმოთქმასთან შედარებით მელერობის ხარისხი კიდევ უფრო საგრძნობლად ჩანს შემცირებული.

ამგვარად, ძლიერად მოქმედი ასიმილაციური გაყრუების ფონზე ასიმილაციური გამჟღერების ტენდენციის ასე სუსტად გამოვლენა ამ თანაფარდობის რეალური ასახვაა.

თანხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია

თანხმოვანთა დისტანციური ასიმილაციის საფუძველზე წარმოქმნილ ცვლილებათა თვალსაზრისით ქვემოიმერულში სხვა კილო-თქმეებისაგან განსხვავებული ვითარება არა გვაქვს, ამის გამო აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ალარ ვამახვილებთ.

თანხმოვანთა დისიმილაცია

საანალიზო მასალა, რომელმაც დისიმილაციური ხასიათის ცვლილება უნდა გამოავლინოს, ქვემოიმერულში ზშირად ერთფეროვანია. ეს ერთფეროვნება, რაც სალიტერატურო ქართულისა და სხვა დიალექტების მონაცემებთან მიმართებაში მკაფიანდება, უძეტეს წილად ფაქტის კონსტატაციაზე უფრო შორს წასვლის უფლებას არ გვაძლევს.

მიმართულების მიხედვით ორივე სახის დისიმილაციაა გავრცელებული, ასევე მანძილის მიხედვით დისიმილაცია კონტაქტურიც არის და დისტანციურიც. უფრო გავრცელებულია ეს უკანასკნელი. კერძოდ, პროგრესულად უმეტეს წილად ორი -რ დისიმილირდება, ხოლო რეგრესულად — ორი -ნ ან -ლ.

ასე რომ ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ცნობილ დებულებას — ქართულისათვის უპირატესად პროგრესული დისიმილაციაა დამახასიათებელი [51(18)] — ქვემოიმერულის ჩვენება არ ამართლებს. ხოლო გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს დებულება იმის შესახებ, რომ ქართულში თანხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია არანაკლებ გავრცელებულია, ვიდრე პროგრესული [35(345)], ქვემოიმერულის მონაცემებითაც დასტურდება.

პროგრესული დისიმილაციის ნიმუშებია: ე რ თ ჯ ე ლ (ღერთჯერ), გ ა დ ი ხ ა რ ხ ა ლ ა (ღვადიხარხარა), პ რ ო კ უ ლ ო ლ ი (ღპროკურორი), ო რ ყ უ ლ ი (ღორყური). პ ო ლ ი კ ა რ ტ ე (ღპოლიკარტე), - ხოლო რეგრესულისა: ს უ ნ ე ლ ი (ღსულელი), წ ი ნ ა დ ო ბ ი ლ ა (ღწილადობილა), ს უ ნ ყ ვ ე ლ ა (ღსულყველა), ნ ა კ რ უ ლ ი (ღნაკლული).

იშვიათად ვხვდებით განსხვავებული ბგერების დისიმილაციის შემთხვევებს. მაგალითად, წყვილბაგისმიერი ბგერები ზშირად განიცდის დისიმილაციას სიტყვაში. შედეგად—მბ>ნბ: ა ნ ბ ა ვ ი, ბ ა ნ ბ ა, ბ უ ნ ბ უ ლ ი, ა ნ ბ ო ხ ე ბ ა..., მფ>ნფ: შ ა ნ ფ უ რ ი (ღშამფური)..., მპ>ნპ: ა ნ პ ა რ ტ ა ვ ა ნ ი (ღამპარტავანი)..

გარდა ორიოდ შემთხვევისა, აქ დასახელებული ყველა მაგალითი ცნობილია ძველ ქართულშიც [52(70 — 71)].

ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ ფორმებში: იხტიდენ, შეხ(ვ)ტა, გახტა, გამხტარი, ხტა, საატარი, დეხტნო ადგილი აქვს ორი ფონეტიკური პროცესის თანმიმდევრულ მოქმედებას: ჭერ ასიმილაციური გაფშვინვიერების საფუძველზე -ხდ კომპლექსი გვაძლევს ხთ-ს: იხთიდენ (ღიხდიდენ), შეხვთა (ღშეხვდა), გახთა (ღგახდა), ხოლო ასიმილაციური გამკვეთრებით -ყდ-საგან ვლბულობით ყტ-ს: საყტარი (ღსაყდარი), ყტა (ღყდა), დეეყ(რ)ტნო (ღდაეყრდნო), შემდეგ კი პირველი რიგის შემთხვევებში ადგილი აქვს დისიმილაციურ გამკვეთრებას: იხტიდენ (ღიხთიდენ), შეხ(ვ)ტა (ღშეხვთა), გახტა (ღგახთა), გამხტარი (ღგამხთარი), ხოლო მეორე რიგის შემთხვევებში — დისიმილაციურ გაფშვინვიერებას: ხტა (ღყტა), საატარი (ღსაყტარი), დეეხტნო (ღდეეყტნო < დეეყრტნო).

დისიმილაციური გამკვეთრების ნიმუშად გ. კაჭარავას დასახელებული აქვს აგრეთვე ხპო<ხფო<ხბო [53(10)].

დისიმილაციური გაყრუების კანონის არსებობა საზოგადოდ დადასტურებული აქვს მ. ძიძიშვილს ძველ სამწერლობო ქართულშიც [50]. ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური კილოებისთვისაც. ამ მხრივ ქვემოიმერული გამონაკლის არ წარმოადგენს, მაგრამ ეს კია, რომ საკვლევ ობიექტში დისიმილაციური გაფშვინვიერებისა და გამკვეთრების ნაირფეროვანი და მრავალმხრივი ნიმუშები არ გვაქვს.

თანხმოვანთა სუბსტიტუცია

ბგერათსუბსტიტუცია ბგერათა სპონტანური ცვლილებაა. თანხმოვანთა ჩანაცვლების ისეთი შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ ქვემოიმერულისათვის შეიძლებოდა მიჩნეულიყო ნიშანდობლივად, ძალზე იშვიათია. დიდი ნაწილი ასეთი ჩანაცვლებისა ერთნაირად დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილო-თქმათათვისაც, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლურისათვის. ოღონდ აღმოსავლურ კილოებში ეს ფონეტიკური პროცესი ზოგჯერ უფრო ფართოდ არის მოღებული, ვიდრე დასავლურში. ასე, რომ ერთი და იმავე ბგერების ჩანაცვლების თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტები ერთი შეგორისაგან თითქმის არ სხვაობს, მოვლენის გავრცელებულობის მიხედვით კი მათ შორის სხვაობა საგრძნობია.

დაეასახელებთ ყველაზე უფრო ტიპურ შემთხვევას:

-ვ ენაცვლება -მ-ს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში.

თანხმოვნთა თანაფარდობა -ვ>-მ ქვემოიმერულში უფრო სწორად გვაქვს ინლაუტში ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით ((V-C): ნ ა მ-თ ი, ნ ე მ ს ი, ს ა მ ს ე. გვაქვს ჩანაცვლება ინლაუტში, ინტერვოკალურ პოზიციაში: კ ა რ ა მ ი, დ ა ა მ ი წ ყ ტ ა..., მაგრამ გაცილებით იშვიათად. ასევე. იშვიათია -ვ-ს შეცვლა -მ-თი ანლაუტში, ხმოვნის წინ (\neq -V). თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით ამგვარ ჩანაცვლებას აქვს ადგილი, მაგალითად, სიტყვაში „მ ა ს კ ვ ლ ა ე ი“. რაც შეეხება მ ი წ რ ო-ს, ეს სიტყვა ამ სახით საკვლევ ობიექტში ძალზედ იშვიათად იხმარება, უფრო გავრცელებულია ი ნ წ რ ო.

ქვემოიმერულში -ვ-ს იშვიათად ენაცვლება -მ აუსლაუტში: თ ე-ს ა მ, ბ ა რ ა მ, კ ე რ ა მ და სხვა მსგავსი ფორმები მისთვის ბუნებრივი არ არის.

დასახელებულ ბგერათა მონაცვლეობის პროცესს, ქართლურის მონაცემთა მიხედვით, საგანგებო სტატია მიუძღვნა ლ. ნოზაძემ [54(125—134)].

საანალიზო მასალა მას უფლებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს პოზიცია, რომელშიც ხორციელდება ბგერათჩანაცვლების ეს პროცესი და სათანადო ახსნაც მოუძებნოს მომხდარ ფაქტს. მისი აზრით, ქართლურში სამწერლობო ენის -ვ-ს ნაცვლად -მ გვაქვს: ა) ანლაუტში, ხმოვნის წინ (\neq -V): მ ა ს კ ვ ლ ა ე ი..., ბ) ინტერვოკალურ პოზიციაში (V-V): მ ო რ წ ყ ა მ ე ნ... გ) ხმოვნის შემდეგ მომდევნო თანხმოვნით (V-C): ვ კ ლ ა მ დ ი..., დ) ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში (V \neq): ნ ე ტ ა მ, ვ კ ი თ ხ ა მ... [54(125)].

ჩანაცვლების ეს პროცესი კვალიფიცირდება ავტორის მიერ, როგორც პოზიციური ხასიათის ცვლა: „მოვლენის ანალიზი გვიჩვენებს, რომ -ვ>-მ ცვლა თავდაპირველად შესაძლებელია წარმოშობილიყო პოზიციაში ხმოვნის შემდეგ მომდევნო -ხ, -ზ, -შ სპირანტთან -ვ დისიმილაციის გზით: (კოვზი>კომზი, ბავშვი>ბამშვი, სავსე>სამსე, თესავს>თესამს)“ [54(132)].

ლ. ნოზაძის მიერ გამოტანილი დასკვნა -ვ>-მ-ს პოზიციური განაწილების შესახებ, როგორც ვთქვით, ფაქტობრივ მასალას ემყარება,

თვით მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაცია კი ამ ფაქტების მართებული ანალიზიდან გამომდინარეობს.

საკითხავია: რა ადგილი უჭირავს ქვემოიმერულს ბგერათჩანაცვლების იმ საერთო პროცესში, რომლის საფუძველზეც -ვ-ს ფარდად -მ გვეძლევა ქართული ენის დიალექტთა მეტ წილში? შეგვეძლო თუ არა ასეთივე ახსნა მოგვეცა ქვემოიმერულში დადასტურებულ ამ ცვლილებისათვის?

ჩვენს განკარგულებაში არსებული საანალიზო მასალა ხელშესახებად გამოავლენს მსგავსებასაც და განსხვავებასაც ქართულსა და ქვემოიმერულს შორის. მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ -ვ-ს -მ-თი შენაცვლების პროცესი თანაბრად დამახასიათებელია სახელურ ფუძეებში ორივე დიალექტისათვის. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ -ვ-ს ფარდად -მ ქართულში თემატურ სუფიქსებშიც გვაქვს: ყ ა მ ს, გ ო რ ა მ ს, წ ე მ ს, ა ძ ლ ე მ ს, თ ხ ო მ ს..., ქვემოიმერულში კი—არა.

ქვემოიმერული ამ მხრივ ძირითადად დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელ ვითარებას გამოხატავს, ქართული კი, ცხადია, აღმოსავლურისას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თვით სახელურ ფუძეებშიც ეს ცვლილება გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული ქართულში, ვიდრე ქვემოიმერულში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: -ვ>-მ ცვლის პროცესს ამ ორ დიალექტურ ერთეულში, არ შეიძლება ერთნაირი საფუძველი ჰქონოდეს. ქვემოიმერულში იგი უფრო სპონტანური ცვლის ნიმუში ჩანს, ვიდრე ფონეტიკურად შეპირობებული და, მაშასადამე, კანონზომიერი ფონეტიკური განვითარების შედეგი.

-მ>-ბ, -მ<-ნ თანხმოვანთა ჩანაცვლების თანაფარდობის თვალსაზრისითაც აღმოსავლურსა და დასავლურ კილოებში ერთნაირი მდგომარეობა არ გვაქვს: საერთოა სიტყვის მატერიალურ ნაწილში მომხდარი ცვლილება: ჯ ი მ გ ი რ ი, კ მ ე ნ ს, ლ უ ა რ ს ა მ ი, დ ა ვ ა ნ ტ კ ი ც ე, უ ა ნ ბ ო..., ხოლო განსხვავებული—თემატურ სუფიქსებში: აღმოსავლურ კილოებში ჩანაცვლება ამ შემთხვევაშიც ხდება: გა ტ ი რ ე მ ს (ღგატირებს), გ ი ღ ა ლ ა ტ ე მ ს (ღგილაატებს), უ ყ უ რ ე მ დ ა (ღუყურებდა), ვ ა ბ ა ნ დ ი (ღვაბამდი), დ ა ა რ ტ ყ ა ნ ს (ღდაარტყამს), მ ი ვ ც ე ნ (ღმივცემ)... [26(206)], დასავლურ კილოებში (და მათ შორის ქვემოიმერულში) კი ასეთ ჩანაცვლებას ადგილი არ აქვს.

აღმოსავლურ კილოებში შექმნილ საერთო ვითარებას ამ მხრივ მხოლოდ კახური დიალექტი ემიჯნება. დასავლური კილოების მსგავსად არც კახურში აქვს ადგილი დასახელებულ ბგერათა ჩანაცვლებას აუსლაუტში. „მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ფრიად გავრცელებულია, -მ-ანის -ნ-ართ შენაცვლების თითქმის არც ერთი შემთხვევა აუგვაქვს ზმნის თემატიკურ სუფიქსებში, რითაც კახური ნაწილობრივ განსხვავდება ქართლისაგან, კერძოდ, ქართლის დასავლეთ რაიონის მეტყველებისაგან და მკვეთრად ემიჯნება მესხურ-ჯავახურს“ [55(44)].

ამგვარად, -გ>-მ, -ბ>-მ, -შ>-ნ ცვლის პროცესი თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში. კილოთა ორივე ჯგუფისათვის თანაბრად დამახასიათებელია აღნიშნულ ბგერათა ჩანაცვლება ანლაუტსა და ინლაუტში. ერთგვარობაა დაცული აგრეთვე აუსლაუტში ამ პროცესის განხორციელების თვალსაზრისით: აღმოსავლურ კილოებში ცვლილებას თემატურ სუფიქსებშიც აქვს ადგილი*, ხოლო დასავლურში — არა.

რაც შეეხება მოვლენის შეფასებას მისი გავრცელებულობის თვალსაზრისით, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: იგი აღმოსავლურ კილოებში გაცილებით უფრო ჩანს სისტემატურობასთან დაქვემდებარებული, ვიდრე დასავლურ კილოებში. ამის თქმის უფლებას არა მხოლოდ ზმნის თემატურ სუფიქსებში შექმნილი ვითარება გვაძლევს, არამედ სიტყვის მატერიალურ ნაწილშიც მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებაც. ასე, მაგალითად, საერთო შემთხვევების გვერდით: ნ ა მ თ ი, მ ა ს კ ე ლ ა ვ ი, ს ა მ ს ე, დ ა ა ნ თ ა ვ რ ა, გ ა ჩ უ ნ დ ა, ყ მ ე დ ი, ჯ ი მ გ ი რ ი..., გვაქვს მხოლოდ აღმოსავლური კილოებისათვის დამახასიათებელი, ბ ა მ შ ვ ი, კ ა მ შ ი რ ი, კ ო მ შ ი, ს ო ნ ხ ე ბ ი, ს ი ნ დ ე რ ა, თ ო რ ე ნ, მ ა გ რ ა ნ, ტ კ მ ო ლ ი, თ მ ი ლ ი, ს ა მ ქ ო დ ა ს ხ ვ.

დავასახელებთ ბგერათსუბსტრუქციის სხვა შემთხვევებსაც, რომლებიც გვხვდება ქვემოთმხრობულ მეტყველებაში, მაგრამ ამასთან ერთად ქართული ენის არც სხვა კილო-თქმებისათვის არის უცხო.

-ნ>-მ: ს ა მ თ ე ლ ი, დ ა ა მ თ ო, მ ე კ ე რ ჩ ხ ა ლ ი (ღნეკერჩხალი), ი მ ტ ე რ ე ს ი (ღინტერესი)...

* როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -მ-ანის -ნ-ართ ჩანაცვლება დამახასიათებელი არაა კახურისთვის თემატურ სუფიქსებში, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერცვლის.

მ>ბ: ბ რ უ დ ე (ღმრუდე), ბ უ ზ ი კ ა (ღმუსიკა), ბ ზ ი თ ვ ი, ბ ზ ე (ღმზე), ბ რ ა ვ ა ლ ი (ღმრავალი)...

ბ>პ: ა პ ა (ღაბა), დ ე ი ა ნ ა (ღდაინა), ჩ ხ უ პ ი (ღჩხუბი)...

გ>კ: ა ფ ხ ა ნ ა კ ი (ღამხანავი), ბ უ ნ ა კ ი (ღბუნავი)...

გ>ღ: გ ა ა ზ ა ნ ა (ღგააგზანა), ყ ო ლ დ ა ნ (ღყველგან)...

მ>ფ: ა ფ ხ ა ნ ა კ ი, ფ თ ა (ღმთა), ფ შ ე ი ლ დ ი (ღმშვილდი), ფ ხ ა რ ი (ღმხარი), ზ ა მ ხ უ ლ ი (ღზაფხული)...

მ>პ: ლ უ რ ს პ ა ნ ი (ღლურსმანი)...

ლ>ნ: უ მ ა ნ (ღუმალ), ო ს მ ა ნ ე თ ი, თ ე ბ რ ო ნ ე (ღთებრონე)...

რ>ლ: ბ უ ლ თ ი, კ ე ლ პ ი, ტ ა ლ ხ უ ნ ა, ტ ი ლ ი ფ ი, ხ უ ლ მ ა...

ხშირად ჩაენაცვლებიან ურთიერთს სიტყვაში სპირანტები, იშიათად — აფრიკატებიც.

ს>ზ: პ ა პ ი რ ო ზ ი, ზ ა ბ უ თ ი (ღსაბუთი),

ს>ხ: ხ წ ო რ ე ფ, ს ა ხ წ ო რ ი (ღსახწორი)...

ღ>წ: წ ა ხ ა ნ ა (ღწელან), ქ ა ხ ა ლ დ ი (ღქალღალი)...

პ>ხ: ხ ა ი ე რ ი (ღჰაერი), ხ ო დ ა (ღჰოდა), ხ ო (ღჰო), ხ ა ე - რ ო პ ლ ა ნ ი (ღჰაეროპლანი), ხ ა (ღჰა), ხ ე (ღჰე)...

ჯ>ძ: ძ ა გ ა რ ი (ღჯაგარი).

ამ დასახელებული ბგერათსუბსტიტუციის შემთხვევები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დადასტურებულია აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში, მაგრამ გვაქვს ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ნიშანდობლივია კილოთა ერთი ჯგუფისათვის, ხოლო მეორე ჯგუფისათვის — არა. მაგალითად, წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი მჟღერი -ღ აღმოსავლურ კილოებში იცვლება ამავე წარმოების ყრუ ფშვინვიერი -თ-თი, ან მკვეთრი -ტ-თი, რის შედეგადაც გვაქვს: ა მ თ ე - ნ ი // ა მ ტ ე ნ ი, რ ა მ თ ე ნ ი // რ ა მ ტ ე ნ ი, ა მ ო ტ ე ლ ა...

დასავლური კილოებისათვის საზოგადოდ უცხოა ამ ბგერათა მონაცვლეობა. მსგავსი ფორმები მხოლოდ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ი ს მიერ არის ფიქსირებული ზემომიწერულში, სადაც მათი გაჩენა ქართლურის გავლენას მიეწერება.

კომპლექსთა ცვლა

კომპლექსთა ცვლის კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენს -გა-ს რეალიზაცია -ო-ს სახით სიტყვებში: ს ხ ო გ ა ნ, ს ხ ო ფ რ, მ უ ა რ-თ ო (ღმობართვა).

-ვე კომპლექსიც ხშირად გვაძლევს -ო-ს; ჩ ო უ ლ ო ბ ა (ღრვეულება), ყ ო ლ გ ა ნ (<ყველგან), და წ ო ბ ა (<დაწვება), მ ო ყ ო ბ ა (ღმოყვება), ქ ო მ ო თ (ღქვემოთ), ო უ ნ ე ბ ი (ღვეუბნები), უ ხ ო ვ ს (ღუხვევს), ი რ კ ო ვ ს (ღირკვევს), ა ჩ ო ვ ს (ღაჩვევს), გ ო უ-შ ო ბ ს (ღგაუშვებს), ქ ო წ ა რ მ ა ე ა ლ ი (ღქვეწარმავალი).

არც ისე იშვიათია -ვი-ს ადგილას -უ-ს გამოვლენა: წ უ მ ს (ღწვიმს), გ უ მ რ ა (ღგვიმრა), გ ა თ ხ ო უ ლ ი (ღგათხოვილი), უ ჩ ხ უ ტ ა (ღუჩხვიტა)...

ზოგჯერ ხდება პირიქითაც, -ო რეალიზდება სიტყვაში ხან -ვა, ხან კიდევ -ვე სახით:

მ ა რ ტ ვ ა (ღმარტო), თ ვ ი თ ვ ა ნ (ღთითონ), ხ ვ ა ნ თ ქ ა რ ი (ღხონთქარი), მ ი ა წ ვ ა დ ე (ღმიაწოდე), ქ ვ ე ბ უ ლ ე თ ი (ღქობულეთი), ი ყ ვ ე ს (ღიყოს)...

ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა

შესასწავლ არეალში ხშირად აქვს ადგილი აფრიკატიზაციას, თუმცა შეუძლებელია აქვე არ აღინიშნოს, რომ ისეთი შემთხვევები, რომელთაც შეუძლიათ ქვემოიმერულს ამ მიმართებით საკუთარი ადგილი მიუჩინოს ქართული ენის სხვა კილო-თქმათა შორის, თითქმის საძებარია.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები, რომლებიც აფრიკატიზაციის საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს, დადასტურებულია ქართული ენის სხვა კილო-თქმებშიც.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილავთ სპირანტთა აფრიკატიზაციას. ჩვეულებრივ, აფრიკატლებიან წინაენისმიერი და ნუნისმიერი სპირანტები -ზ, -ხ და -ჟ.

ზ>ძ: ს ა გ ძ ა ლ ი (ღსაგზალი), გ ა ნ ძ რ ა ხ (ღგანზრახ), და ძ-გ ა (ღდაზგა)...

ხ>ც: მ ე ი პ ა რ ც ა (ღმოიპარსა), პ ე ნ ც ი ა (ღპენსია), ფ ა რ-ც ა გ ი (ღფარსავი)...

ზ>ჟ: ჟის (ღზის).

ფ>ჟ: დაპაიჯა, ჟანდარი, ჟანგი...

ქვემოიმერულში -ჩ მიიღება პოზიციურად -თ-სა და შ-ს შერწყმით. ამიტომ -ში თანდებულის -შ ელემენტი -ჩ-ს, ჩვეულებრივ, არ გვაძლევს, თუ იგი არ აღმოჩნდა -თ-ს წინა პოზიციაში: ს ა ხ ი, დ ღ ე-ჩ ი, ე ზ თ ჩ ი და სხვა მსგავსი ფორმები, რომლებიც დადასტურებულია ქართული ენის კილოთა უმრავლესობაში, ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი არ არის.

თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს ისეთი, როცა სონორის მომდევნო პოზიციაში -შ გადადის -ჩ-ში: მიღღემჩი, ხარჩავს...

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სპირანტთა აფრიკატიზაცია გარკვეულ შემთხვევებში პოზიციურია. ფონეტიკური გარემო, რომელშიც ხორციელდება ეს ცვლილება, შემდეგია: სონორი+სპირანტი. ახსნილია ცვლილების საფუძველიც. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სპირანტთა აფრიკატიზაცია ზოგჯერ ხდება ყოველგვარი ფონეტიკური შეპირობებულობის გარეშე [56(72)].

ნაწილი ზემოდასახელებული აფრიკატიზაციის ნიმუშებისა. სპონტანური ცვლის შედეგს წარმოადგენს. რაც შეეხება წინაენისმიერ ხშულ -ფ, თ, -ტ-ს, როგორც ცნობილია, ეს ბგერები აფრიკატიზაციის შედეგად გადადიან სისინა რიგის -ძ, -ც, -წ, ან შიშინა რიგის -ჭ, -ჩ, -ჭ თანხმოვნებში. წინაენისმიერთა აფრიკატიზაცია უძველესი დროიდანვეა დამახასიათებელი ქართველური ენებისათვის [57(68)].

ქართული ენის დიალექტები საზოგადოდ და მათ შორის ჩვენთვის საკვლევი ენობრივი ობიექტაც წინაენისმიერ ხშულთა შესატყვისად სისინა და შიშინა აფრიკატების ნიმუშებს იშვიათად გამოავლენენ. სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე ცნობილ შემთხვევებს შეგვიძლია დავუმატოთ ქვემოიმერულში ეგრერიგად გავრცელებული „ყრონჭი“, მიღებული „ყრონტი“-საგან -ტ-ს აფრიკატიზაციის შედეგად.

სამაგიეროდ ხშირად წარმოიქმნებიან აფრიკატები ბგეთარა შერწყმის ნიადაგზე.

თ+შ>ჩ: მინუჩი (ღმინუთშიღმინუტში). წუჩი (ღწუთში), ხუჩაფათი (ღხუთშაბათი), სააჩი, (ღსაათში), გვერჩი (ღგვერთშიღგვერდში).

ღ+ზ>ძ: გვერძე (ღგვერდზე), ფერძე (ღფერდზე).

თ+ს>ც: წელიწაც (ღწელიწათსღწელიწადს), მკეცც

(\angle მკერტს \angle მკერდს), გვერც (გვერტს, გვერდს), ბეჭეც (\angle ბეჭეტს \angle ბეჭედს), ქურც (\angle ქურტს \angle ქურდს), ღმერც (\angle ღმერთს), ქურღმა ქურც მოპარა და ღმერც გვეცინაო.

ასეთივე მოვლენა დადასტურებული აქვს ი. მეგრელიძეს გურულში [24(348—355)].

დ ე ზ ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა

აფრიკატიზაციის საპირისპირო ფონეტიკური პროცესია დეზაფრიკატიზაცია, რომელიც ვარაუდობს აფრიკატის შეცვლას მარტივი თანხმოვნით. ეს პროცესი სუსტად არის განვითარებული საერთოდ ქართულურ ენებში როგორც ისტორიულად, ისე განვითარების თანამედროვე ეტაპზე. გამოწვევის წარმოადგენს ამ მხრივ სვანური ენა [56(35—42)], ასტონაა, რომ „ამ ფონემური ცვლილების კომბინირებული (პოზიციური) შეპირისპირებულობის გამოვლენა სვანურში საუშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სვანურ ფონოლოგიურ, სიტყვაში მომხდარი მთელი რიგი ფონემური ცვლილებების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა“ [58(5)].

ქვემოთხსენებულში, ისე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, აფრიკატისაგან მარტივი ხშულის წარმოქმნის თითო-იაროლა შემთხვევა თუა დადასტურებული:

წ>ტ: სტორეთ (\angle სწორეთ), გაასტრო (\angle გასწრო), სასტაველებელი (\angle სასწავლებელი)...

წედარებით უფრო ხშირად ვხვდებით აფრიკატთა სპირანტიზაციას.

ძ>ზ: ოზდაათი (\angle ოდდაათი \angle ოცდაათი), ორმოზდაორი (\angle ორმოდდორი \angle ორმოცდორი), ნიზლევი (\angle ნიძლევი).

ჩ>შ: შტილი (წთილი \angle ჩრდილი), დააშტთა (\angle დააჩთა \angle დააჩნდა).

მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი

დადგენილია, რომ მეტათეზისური ცვლილებების მეტი წილი ისეთ შემთხვევებზე მოდის, რომლებშიც მუდგანდება მოლაპარაკის მიდრეკილება, შეცვალოს ამ ენისათვის უჩვეულო ბგერათკომპლექსი ჩვეულით [35(207)].

არაძირითადი მოდელების ძირითადზე გადასვლის ერთ-ერთ გზად მიჩნეულია მეტათეზისი [44(120)].

დიალექტებში, სადაც ენა თავისი ბუნებრივი სახითაა მოცემული, მეტათეზისური ხასიათის ცვლილებები კიდევ უფრო ფართო გასაქანს პოულობს.

როგორც ცნობილია, მეტათეზისი, ჩვეულებრივ, სონანტებს მოსდით, იშვიათად — ჩქამიერებს. განასხვავებენ ერთიმეორისაგან მარტივსა და საურთიერთო მეტათეზისს. მარტივი მეტათეზისი შეიძლება იყოს კონტაქტურიც და დისტანციურიც. საურთიერთო მეტათეზისი ყოველთვის დისტანციურია [35(205)].

ქართული ენის დიალექტებში მეტწილად მეტათეზისის ერთი და იგივე შემთხვევები გვაქვს.

ქვემოიშვრულ მეტყველებაში დადასტურებული მეტათეზისის ნიმუშები გამოვლენილია ი. ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს მიერ იმერეთის კუთხეებში შედგენილი ისტორიული საბუთების ენაში [59(114)], ხოლო ძველი და საშუალო ქართულის მწერლობის ძეგლებში იგივე პროცესი გაანალიზებულია ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა და ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ი ს მიერ [60(90)], [61(357—372)].

-რ ბგერა გადასმულია რეგრესულად: რ ღ მ ა (ღღრმა), ზ რ უ გ ი (ზზურგი), ბ რ ე ვ ი (ბბევრი), ჯ რ ი კ ი (ჯჯირკი), ძ რ მ ი ა ნ ი (ძძმრიანი)..., ხოლო პროგრესულად — შემდეგ შემთხვევებში: ხ უ მ რ ა (ხხურმა), მ ე მ რ ე (მმერმე), ბ ე რ წ ო უ ლ ი (ბბერწოული), გ რ ო ლ ი (გგროლი)...

სალიტერატურო ქართულში მეტათეზისის მიმართულება რეგრესულია [35(206)]. დიალექტურ წარმოთქმაში კი პროგრესული მეტათეზისის შემთხვევები პირიქით სჭარბობს რეგრესულს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, -რ ბგერის გადასმა სხვადასხვა ბგერითს კომპლექსში ხდება. იგი არ იზღუდება ერთი რომელიმე პოზიციით. ამ მოვლენის ფიზიოლოგიური დასაბუთება ამგვარად შეიძლება: ჩანს, -რ მეტად სუსტი არტიკულაციის მქონე ბგერაა ქვემოიშვრულში, რის გამოც მას შეუძლია ადვილად შეიცვალოს ადგილი. რომ „უჩვეულო“ ბგერათკომპლექსის „ჩვეულით“ შეცვლის გზით უზრუნველყოს თავისი პოზიციის განმტკიცება სიტყვაში და დაკარგვის საშიშროება თავიდან აიცილოს.

-ლ ბგერა გადასმულია სიტყვებში: ჩ ი ლ ქ ი (ჩჩლიქი), ჩ ლ უ ქ ი (ჩჩულქი), კ ვ ლ ა მ ი (კკვამლი), ბ ლ ე ნ ი (ბბნელი)...

განსაკუთრებით ხშირია -რ და -ლ ბგერათა ადგილის მონაცვლეობა

სიტყვებში: მ ა დ რ ი ე ლ ი (ღმადლიერი), ს უ რ ი ე ლ ი (ღსულიერი), უ ძ რ ი ე ლ ე ს ი (ღუძლიერესი), გ ა ვ ე რ უ ლ ე ბ უ ლ ი (ღგაველურებული), დ ა ა თ ვ ა რ ი ე ლ ა (ღდაათვალიერა)...

ძალზედ საინტერესო ჩვენებას გვაძლევს ქვემოთმეორული -ვ ბგერის მეტათეზისთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში -ვ-ს მეტათეზისი გარკვეულ შემთხვევებში ხდება. სახელდობრ, მაშინ, როცა -რვ, -ლვ, -შვ, -წვ კომპლექსებს წინ უძღვის არასონორი თანხმოვანი: წყვილბაგისმიერი ხშული, წინაენისმიერი თანხმოვანი ან უკანაენისმიერი თანხმოვანი [35(358)].

-ვ-ს მეტათეზისს ამ პოზიციაში იწვევს -რ, -ლ, -შ, -წ ბგერათა სონორობა. ისინი მარცვლოვან ბგერებად გადაიქცევიან, თუ მოხდებიან ისეთ ბგერათა გარემოცვაში, რომლებიც მათზე ნაკლები სონორობისაა, სონორთა მარცვლიანობა კი უჩვეულოა ქართულისათვის [35(360)].

სხვა მოსაზრებისაა გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. -ვ-ინის მეტათეზისზე სალიტერატურო ქართულში: „მის შემდეგ, რაც ძველი ქართულის -ვ ბგერა გაუტოლდა უმარცვლო -უ-ს (უ-ს), ასეთი -ვ (უ) ბგერა ვერ ძლებს ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო -რ, -ლ, -წ სონორებთან, გადაინაცვლებს მათ წინ ადგილს და აღმოჩნდება კომპლექსში ჩქამიერ თანხმოვნებთან: ხ რ ვ ა → ხ ვ რ ა, კ ლ ვ ა → კ ვ ლ ა, ხ წ ვ ა → ხ ვ წ ა... ყველა არასონორი თანხმოვნისა და წყვილბაგისმიერი უმარცვლო -უ-ს კომპლექსები კი ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვის“ [62(123)].

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, -ვ-ს მეტათეზისს მკვლევარი ძირითადად -ვ ასოთი აღნიშნული ბგერის ისტორიულად შეცვლის საკითხს უკავშირებს. მაშასადამე, -ვ-ინის გადანაცვლება სალიტერატურო ქართულში ისტორიულადაც და დღევანდელი მონაცემების მიხედვითაც კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე დიალექტებში. ჯერ ერთი, ქართული ენის კილო-თქმებში და მათ შორის ქვემოთმეორულშიც სრულიადაც არ არის სავალდებულო -ვ-ს მეტათეზისისათვის -რ, -ლ, -წ სონორებს წინ უძღოდეს ჩქამიერი თანხმოვანი და მეორეც, -ვ ბგერა არც ისე იშვიათად ინაცვლებს ხოლმე ადგილს არასონორთა შეზობლობაშიც.

მოვიყვანოთ მაგალითებს როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევისას:

შ ა ე ლ ა (ღ შ ა ლ ვ ა), გ ა ჭ ი ვ რ ე ბ ა (ღ გ ა ჭ ი რ ე ბ ა), ყ ი ვ ნ ა (ღ ყ ი ნ ვ ა), ი ლ ვ ა ნ ი დ ი (ღ ი ნ ვ ა ლ ი დ ი), ქ ა ვ რ ა (ღ ქ ა რ ვ ა), ნ ე ვ რ ი (ღ ნ ე რ ვ ი), ი ქ ა ვ რ ე ბ ს (ღ ი ქ ა რ ვ ე ბ ს), ნ ა ვ ხ ე (ღ ვ ნ ა ხ ე), ნ ა ვ ყ ა ვ (ღ ვ ნ ა ყ ა ვ)... ამათ მარალელურად გავრცელებულია: ე გ ვ ე ნ ი ა, (ღ ე ვ ვ ე ნ ი ა), ძ ვ ი ლ ა (ღ ძ ლ ი ვ ა), გ ე ხ ე რ წ ვ ე ბ ი (ღ გ ე ხ ვ ე რ წ ვ ე ბ ი), ქ ვ ყ ა ვ ს (ღ გ ვ ყ ა ვ ს), ა ვ ქ ს ე ნ ტ ი (ღ ა ქ ვ ს ე ნ ტ ი)... ასეთ შემთხვევებში -ვ-სთვის ადგილის შენაცვლება სიტყვაში პოზ-ციურად არ არის შეპირობებული.

ქვემოიშვრულის მონაცემთა მიხედვით არ მართლდება ის დებულება, რომელიც -ვ-ს მეტათეზის სონორი ბგერის მარცვლიანობისთვის თავის არიდების საპირობას უკავშირებს გარკვეულ პოზიციში და ამით ხსნის ისეთი ფორმების დამკვიდრებას სალიტერატურო ქართულში, როგორცაა: მ ო კ ვ ლ ა, ხ ვ ნ ა, ხ ვ რ ა [35(360)] და ა. შ. ეს სიტყვები ქვემოიშვრულში გავრცელებულია: მ ო კ ლ ვ ა, ხ ნ ვ ა, ხ რ ვ ა, შ ე კ რ ვ ა... რით იხსნება ასეთი ფორმების არსებობა ქვემოიშვრულში? დაცულია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება, თუ საქმე გვაქვს ი ნ ო ვ ა ც ი ა ს თ ა ნ, ე. ი. მესამეულ მოვლენასთან? (მ ო კ ლ ვ ა > მ ო კ ე ლ ა > მ ო კ ლ ვ ა). როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არ იგრძნობა -ვ-სთან უშუალო მეზობლობაში მყოფი სონორის მარცვლოვან ბგერად გარდაქმნის საშიშროება, როგორც ეს სალიტერატურო ქართულის მიმართ იყო ნავარაუდები [35(360)]. წინააღმდეგ შემთხვევაში ან ამოსავალი ფორმა არ დარჩებოდა ქვემოიშვრულში, ან კიდევ მეტათეზის განმეორებით აღარ მოხდებოდა.

ვხვდებით -ნ ბგერის გადასმის შემთხვევებსაც: ბ ა ნ ა ლ ი (ღ ბ ა ლ ა ნ ი), წ ი ნ გ შ ი (ღ წ ი ნ გ შ ი), წ კ ე ნ ი (ღ წ კ ე ნ ე ლ ი), ნ ა მ ხ ვ ე ლ ი (ღ მ ნ ა ხ ვ ე ლ ი), გ ა ნ ო ყ ა (ღ გ ა ყ ო ნ ა), ი ლ ვ ა ნ ი დ ი (ღ ი ნ ვ ა ლ ი დ ი), ძ ა ნ ი ა ლ ი (ღ ძ ა ლ ი ა ნ ი).

შედარებით იშვიათადაა დადასტურებული -მ ბგერის გადასმა: შ ე მ ქ ნ ა (ღ შ ე მ ქ ნ ა), გ ა მ დ ა რ ი ე (ღ გ ა დ ა მ რ ი ე), შ ე კ მ ა ზ ა (ღ შ ე კ ა ზ მ ა), დ ა მ ბ ლ ი (ღ დ ა მ ბ ლ ი).

-მ და -ნ ბგერათა საურთიერთო მეტათეზის ადგილი აქვს ასეთ შემთხვევებში: ნ ი მ უ ტ ი (ღ მ ი ნ უ ტ ი), მ ა ნ გ ა ლ ი (ღ ნ ა მ გ ა ლ ი), მ ი ნ უ შ ი (ღ ნ ი მ უ შ ი), ე კ ო მ ო ნ ი ა (ღ ე კ ო ნ ო მ ი ა).

ქვემოიშვრულის მონაცემთა შეპირისპირებას ზემოიშვრულ-

თან მიმართებაში სონორ ბგერათა მეტათეზისის თვალსაზრისით ნიუყავართ იმ დასკვნამდის, რომ ეს ფონეტიკური პროცესი გაცილებით მეტადაა გავრცელებული ქვემოიმერულში, ვიდრე ზემოიმერულში [19(142)].

ზოგჯერ სიტყვაში ადგილს ინაცვლებს ჩქამიერი ბგერებიც: ქ ფ ი ლ ი, მ გ ზ ა ვ ს ი, გა ს ა და რ ე ვ ი, ჯ ი გ ბ ი რ ი, ყ უ რ ა ლ დ ე ბ ა, გა ს ხ ე ნ ი, ნ უ მ ა ხ ს რ ო ბ, ხ ს ლ უ ლ ი (ღ ს ხ ე უ ლ ი), ს ხ ნ ი ლ ი (ღ ს ხ ნ ი ლ ი).

ზემოთ განხილული მეტათეზისური ხასიათის ცვლილებები მეტნაკლებად დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილო-თქმებისთვისაც, ისინი ხშირად გამოვლინდებიან აგრეთვე, როგორც უკვე ვთქვივით, ძველი და საშუალო ქართულის მწერლობისა და ისტორიული საბუთების ენაშიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ფონეტიკური პროცესის მოქმედებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს როგორც სამწერლობო ქართულში, ისე ცოცხალ მეტყველებაში.

ზგერის ღბპარგვა

ზგერის დაკარგვის თვალსაზრისით ქართული ენის კილოებს შორის თვალსაჩინო სხვაობა არაა. თითქმის ყველგან ერთსა და იმავე შემთხვევებს ვხვდებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მხრივ ქვემოიმერულსაც ბგერი საერთო აღმოაჩნდა ქართული ენის სხვა კილო-თქმებთან, თუმცა სპორადულად იგი ინდივიდუალურ თავისებურებებსაც ამჟღავნებს. განვიხილავთ მთავარს.

ქართული ენის დასავლურ კილოებში და მათ შორის საკვლევ ობიექტშიც -ს ბგერის დაკარგვას სანოვადოდ ისე ფართო მასშტაბი არ აქვს, როგორც აღმოსავლურში. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფონეტიკური ცვლილება აქ უფრო ბრუნების პროცესშია გამოვლენილი, ვიდრე უღლილეშია [შ დ რ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 63(57)].

ქვემოიმერულში -ს ბგერა იკარგება:

ა) მსაზღვრელად გამოყენებულ სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში, ბ) უფრო იშვიათად — მიცემითში, გ) ხოლო ზმნებსა და სახელთა ფუძეებში -ს-ს გაუჩინარების თითო-ოროლა შემთხვევა თუა შემჩნეული.

-ს შეუზღუდავად იკარგება ნათესაობითში დასმულ პრეპოზიციულ

მსაზღვრელთან: ბ ე ლ ლ ი პ ო ლ ი, ბ ა ლ ი ბ ო ლ ო შ ი, გ ი შ რ ი
თ მ ა, ყ უ რ ძ ნ ი კ რ ე ფ ა, წ ი ნ დ ი ჩ ხ ი რ ი, წ ყ ლ ი ნ ა პ ი რ ი,
ქ უ რ ი თ ა ვ ი.

ქვემოიშვრულის ჩვენების განხილვას თითქმის ყველა ბარის კი-
ლოსთან და ნაწილობრივ მთის კილოებთან მიმართებაში მივყავართ
იმ დასკვნამდის, რომ -ს-ს დაკარგვა აღნიშნულ პოზიციაში წარმოად-
გენს ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელ საერთო
ტენდენციას.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტის დაკარგვა
იწვევს ორ სიტყვას შორის არსებული დამოკიდებულების ნაწილობ-
რივ მოშლას. მასში უკვე ჩანასახის სახით მოცემულია ორი სიტყვის
რთულ სიტყვად ქცევის ის ხანგრძლივი პროცესი, რომლის შედეგა-
დაც „მ ა შ ი ს დ ა-მ“ მ ა მ ი დ ა მოგვცა, „ე ლ ი ს დ ა-მ“ — დ ე-
ი დ ა და ა. შ... „ასეთ შეხაზებებში აღარ შეიგრძნობა კომპონენტი
სიტყვები და ფსიქოლოგიურად უკვე სავსებით შემზადებულია ნი-
დაგი მორფოლოგიური ელემენტის დაკარგვისათვის“ [64,67]. „პ რ ი ნ-
ცი პ უ ლ ა დ ასეთივე მდგომარეობა უნდა გვეჩონოდა ასეთ შესიტყ-
ვებებშიც: კ ვ ე რ ც ხ ი გ უ ლ ი, პ უ რ ი ს ქ ა მ ა, თ ო ფ ი ს რ ო-
ლ ა და ს ხ ე“. [55(59)].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო იშვიათად იკარგება მიცემითი
ბრუნვის ნიშანი -ს: ს ა კ ქ ე ლ ქ ა მ ს..., დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი
გ ო უ გ ზ ა ე ნ ს..., თავი ხ ე ლ რ ო დ ე ი ბ ა ნ დ ე ნ, რ ა უ ქ ი რ ლ ა რ ი ე ნ...
შეზღუდულია ამ ბგერის დაკარგვა ზმნაში, მხოლოდ რამდენიმე მა-
გალითი შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი, სადაც -ს მორფოლოგიურ
ფუნქციას ასრულებს და სისტემატურად იკარგება: ა რ ი, მ ი ა ქ, ა ქ
(ლაქვს).

ხშირია -დ-ს ჩაყარდნის ფაქტები ორ ვოკალს შორის — ს ა ი ლ ი,
(ლსადილი), წ ა მ ო ი თ, ჭ ა ი (ლჭადი), რ ო ი ს (ლროდის), შ ე ი თ
(ლშედით), მ ე ი ც ა ე ო (ლმოიცადეო), ან კიდევ მაშინ, როცა ის
მოქცეულია ვოკალსა და კონსონანტს შორის: ქ ო ნ ა ყ ე (ლქონდა-
ყე)...

-დ-ს დაკარგვის ეს შემთხვევები ქართული ენის სხვა კილო-თქმებ-
შიც არის დადასტურებული, მაგრამ მისი გავრცელების არე ქვემოი-
შვრულში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სხვაგან.

ხშირად იკარგება თავკიდური -მ, როცა იგი ჩქამიერი ბგერის წი-

ნა: გელი, წყერი, გზაერი, თვრალი... იგი სისტემატურად არ ჩანს აგრეთვე აუსლაუტში ფორმაუცვლელ სიტყვებთან: ხო, რო, თორე, რატო, მიტო. -მ ბგერის დაკარგვა სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არ არის მხოლოდ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა, მსგავს ცვლილებას ზოგ შემთხვევაში სალიტერატურო ქართული ენის ისტორიაც ადასტურებს: ფრინველი (ღმფრინველი), ბრწყინვალე (ღმბრწყინვალე), დაბალი (ღმდაბალი). ასევეა მიღებული სიტყვა კალია (ღმკალია) [52(94)]. -მ-ს, დაკარგვით სიტყვის ანლაუტში ენა იკმაყოფილებს თავისი ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნას: „ამ ცვლილებით კომპლექსი იშლება და გადადის ერთ-ერთ ძირითად მოდელზე CV-ზე“ [44(122)]. მაგრამ თუ აღნიშნულმა ცვლილებამ ფართო გავრცელება დიალექტებში პოვა, ეს იმის გამო, რომ ენა თავისი ბუნებრივი სახით სწორედ აქ არის მოცემული.

საერთო ცვლილებების გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, ვხვდებით მხოლოდ ქვემოიმიერულისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს: -მ ხშირად უჩინარდება სიტყვის ინლაუტში: შაომეჩვია (ღშამომეჩვია), გაომხედა (ღგამომხედა), გაომგზავნა (ღგამომგზავნა), გაომაწყეს (ღგამომაწყეს), ჩაომაკითხე (ღჩამომაკითხე).*

გამოთქმის გადავილების მიზნით ჩვეულებრივ მარტივდება -რ-ს შემცველი თანხმოვანთა რთული კომპლექსები: ჩრდ, ქრთ, გრძ, ზრდ: ჩთილი, ქთამი, ბძანა, ზდის, პჰალი, ფჩხილი, დამჩა (ღდამჩა).

მსგავსი ვითარება დამახასიათებელია საერთოდ ქართული ცოცხალი ბუნებრივი წარმოთქმისათვის. ჩვენთვის საკვლევი ენობრივი ობიექტი -რ-ს დაკარგვის ნიმუშებს გვაწვდის სიტყვის ანლაუტშიც: კინა, ცხილა (ღრცხილა), წყილი (ღრწყილი) და იშვიათად — აუსლაუტშიც — ბევრჯე.

კიდევ უფრო ადვილად თმობს -რ თავის პოზიციას ინტერვოკა-

* ც. აბულაძე, „ქვემოიმიერულის თავისებურებანი სოფ. როკითის მეტყველების მიხედვით“, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 7, 1955, გვ. 69.

ასეთივე ფორმების არსებობა დადასტურებულია ჩვენ მიერაც. ქვემო იმიერეთის სხვადასხვა რეგიონში: გაომკითხა (ღგამომკითხა), შაომხედა (ღშეომხედა), შაომითვალა (ღშამომითვალა), გაომართვა (ღგამომართვა), გაომემშვიდობა (ღგამომემშვიდობა)...

ლურ პოზიციაშიც და კონსონანტსა და ვოკალს შორისაც: ა ა ფ ე რ ი (ღარაფერი), ა ზ ნ ო უ შ ე ი ლ ი (ღაზნაურიშვილი), რ ა ვ ა ც (ღრავარც), ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი, ვ ე ც (ღვერც), კ ა ი (ღკარგი). მსგავსი ვითარება დამახასიათებელია ქართული ენის სხვა დასავლური კილოებისათვისაც.

ჩანს, -რ-ს დაკარგვა ყოველთვის არ არის გამოწვეული თანხმოდანთა კომპლექსების გამარტივების საჭიროებით. იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, სხვა პოზიციაშიც უჩინარდება.

ეს მოვლენა ცნობილია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან და სხვა ქართველური ენებიდანაც: ბ ე რ ბ ე რ ა > ბ ე ბ ე რ ა > ბ ე ბ ე ა > ბ ე ბ ი ა, ქ ა ნ. ბ ე რ ე > ბ ე ე, 'შვილი' [49(134)].

ქვემოთმერული იმით განსხვავდება ამ მხრივ ქართული ენის სხვა კილო-თქმებისაგან, რომ აქ, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველაზე უფრო ხელშესახებად არის გამოვლენილი ის, რაც ისტორიულად დამახასიათებელი ყოფილა ქართულისა და მისი მონათესავე ენებისათვის და რასაც საფუძვლად -რ-ს პალატალური ბუნება და მისი სუსტი არტიკულაცია უდევს: „რ-ს დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან. ისტორიულად იგი არ იყო მყარი ფონემა. ქართველურ ენებში -რ ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც“ [49(134)].

ხშირად უჩინარდება -ლ ბგერაც: ს ა ხ შ ი, ბ ო თ შ ი, კ ტ ე, ძ ა ლ მ ა, გ ა ც ო ც ხ თ ე ნ...

არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა -ლ ვერ უზრუნველყოფს თავისი პოზიციის შენარჩუნებას სიტყვის შიგნით ვოკალსა და კონსონანტს შორისაც: ს ა პ ა ნ ე (ღსაპალნე), ხ ე მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი (ღხელმძღვანელი), ც ა კ ე (ღცალკე), წ ე ვ ა ნ დ ე ლ ი (ღწლევანდელი), ხ ე მ წ ი ფ ე (ღხელმწიფე)...

იშვიათად -ლ უჩინარდება ანლაუტსა და აუსლაუტში: ხ ი ნ ი (ღლხინი), ს უ (ღსულ).

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ -ლ ბგერის დაკარგვის ხშირი შემთხვევები მიგვანიშნებს მის სუსტ არტიკულაციაზე ქვემოთმერულში. სწორედ ამის გამო ვღებულობთ განსხვავებულ შედეგებს, ვიდრე ეს სხვა კილო-თქმებისათვის არის დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, ქართულურში -ლ ბგერა ცდილობს განამტკიცოს თავისი პოზიცია არა მხოლოდ ზემოდასახელებულ ფონეტიკურ კონტექსტებში (ვო-

კალსა და კონსონანტს შორის, ან აუსლაუტში და რეტერეოკალურ პოზიციაში), არამედ თვით ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა შორისაც კი. ამიტომ აქ ხშირად ვხვდებით: დასახლდენ, გამართლდენ, გაწითლდა, აკლდა, კლდე, მუხლზეოფლს და მისთ. [26(139)].

-ლ-ს პალატალიზაციის ხარისხით ქვემოიმერული განსხვავდება არა მხოლოდ აღმოსავლური კილოებიდან, არამედ რიგ შემთხვევაში დასავლური კილოებიდანაც. -ლ-ს სილბო აქ შესაძლებელია ზანური სუბსტრატის შედეგი იყოს. ცნობილია, რომ მეგრულსა და ჰანურში -ლ საკმაოდ პალატალური ბგერაა [65]. მართალია, ქვემოიმერულში -ლ ისე პალატალური არ არის, როგორც მეგრულში, მაგრამ განსხვავება საკვლევ ობიექტსა და ქართული ენის სხვა კლო-თქმებს შორის ამ მხრივ მაინც საგრძნობია.

სინტემატურად იკარგება -თან თანდებულის თ, როცა იგი ფუძე-ხმოვნიან სახელს დაერთვის: ხესან, მამიდასან, წყაროსან, დედასან... ბოლოთახმოვნიან ფუძეებთან კი თ შედარებით იშვიათად უჩინარდება, მაგრამ მაინც დასტურდება: რუსებსან, სადგურსან, სტუმარსან, ამხანაგსან... სალიტერატურო ქართულის მსგავსად ასეთ შემთხვევებში უფრო -ს დაკარგული ფორმებია გამოვლენილი: სტუმართან, ამხანაქთან, სადგურთან და სხვ.

გვხვდება ცალკეულ თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები: დაბაიჯა, მაინძელი, მაინ (ღმაინც), მარა...

ბ გ ე რ ი ს ჩ ა რ თ ვ ა

ბგერის დაკარგვის პარალელურად გვაქვს ბგერის ჩამატების შემთხვევებიც.

ძირითადი ფონეტიკური წესი, რომლის თანახმადაც იკრძალება -ო და -უ ხმოვნების წინა პოზიციაში -ვ ბგერის რეალიზაცია [44(15)], თითქმის სისტემატურად ირღევეა ქვემოიმერულის მონაცემთა მიხედვით: ვო რ ი, ვო შ ი, ვო თ ხ ი, ვო ბო ლ ი, ვო ჟ ა ხ ი, ვო ხ ე რ ი, საბოლოო ვო, საშინავო, მხეცვო და სხვ. აქ საკმაოდ გავრცელებული ფორმებია.

ქართული ენის ფონემატური სტრუქტურით მოსალოდნელი იყო -ვ-ს გაუჩინარება ასეთ შემთხვევებში: „ქართულ ენაში (-ვ) იკარგება მხოლოდ (-ო, -უ) ლაბიალური ხმოვნების წინა (ხაზი ავტორისაა) [44(15)]. ქვემოიმერულში კი, პირიქით, -ვ ცდილობს განიმტკიცოს თავისი პოზიცია სწორედ აქ.

ანალოგიური ვითარება შენიშნულია ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებშიც. ამ დიალექტური მოვლენის ფონოლოგიური ახსნა საესებით დამაჯერებლად არის მოცემული თ. უთურგაიძის ნაშრომში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თბ., 1976 წ.).

დადასტურებულია -ვ ბგერის ჩამატების სხვა შემთხვევებიც: პოვეტი, სასოვებით, სარწმუნოვება, მოიცოლვეს, მხეცვი, ცოცხვი, შხვეფი...

ფონეტიკური ჩანართია -ნ შემდეგ შემთხვევებში: კინტრი, სადლინგრძელო, ბრიგანდა, ინწრო...

განსაკუთრებით ხშირია -მ-ს ჩართვის შემთხვევები: დამქვრივდა, იმჯავრა, ვიმწვაღე, დამწვრილებით, იმდარებეს...

ჩამატებულია -ბ: კამბეჩი, გემბრიელი...

-რ ბგერის განვითარების ფაქტებია: არდგილი, ურცხო, ეხვერწეჭოდა, გააარწბილა, ფორთოლი, ურწყება, არწვალა, დაგერშა...

ზედმეტი თანხმონის გამოვლენა სიტყვაში, როგორც აქ მოყვანილი მაგალითებით მტკიცდება, ფონეტიკურად შეპირობებული არაა. ჩამატებულ ბგერათა ეტიმოლოგიური ახსნა არ ხერხდება.

ამგვარად: ა) ქვემოიმერულში დადასტურებული ფონეტიკური პრო-

ცესების სრული ანალიზი ცხადად წარმოაჩენს როგორც ამ დიალექტიკათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს, ასევე იმ ფონეტიკურ ნაირსახეობებსაც, რომლებიც მასში შემავალ უფრო წვრილი დიალექტური ერთეულებისათვის არის ნიშანდობლივი და რომლებსაც, მაშასადამე, შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ქვემოთმხროლის კილოკაურ დიფერენციაციაში; ბ) საერთო ქვემოთმხროლისა და მასში შემავალ უფრო წვრილი დიალექტური ერთეულებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებების გვერდით ხელშესახებად გამოყოფა ისეთი ცვლილებებიც, რომლებიც ქართული ენის სხვა კილოტქმებშიც არის დადასტურებული და, მაშასადამე, წარმოადგენს ზოგად ტენდენციის გამოხატულების შედეგს: გ) ცვლილებათა გენეზისის საკითხის გარკვევა უფლებას გვაძლევს ურთიერთზეგავლენის შედეგად გამოწვეული მოვლენების გვერდით გამოვყოთ დიალექტის შინაგან-ვითარების კანონის მოქმედების საფუძველზე წარმოქმნილი ფონეტიკური თავისებურებები ან ისეთი ცვლილებები, რომლებიც მეგრული სუბსტრატის გამოწვევით წარმოადგენს საკვლევ ობიექტში.

თავი II

მორფოლოგია

სახელი

ბრუნება

შეიმჩნევა ტენდენცია ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნვის გათანაბრებისა ბოლოთანხმოვნიან სახელებთან (სახელობით ბრუნვაში. ფორმანტი -ი აქაც გვაქვს*: დანაი, წყაროი, ღვინოი, გოგოი, დედაი...

მართალია, ეს თავისებურება ნაკლებად ჩანს სისტემატურობასთან

* ქვემოთმხროლში შემავალ სხვა წვრილ დიალექტურ ერთეულებს შორის ოკრიბული მეტყველება ამ მხრივ განცალკევებით დგას. სახელობითის -ი ბოლოხმოვნიან სახელებს აქ თითქმის არასოდეს დაერთვის.

დაქვემდებარებული ამ დიალექტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, მაგრამ აქ გასაკვირვებელი არაფერია. სალიტერატურო ენის ძლიერი ზემოქმედების პირობებში - ი-ს გამოვლენა ბოლოთანხმოვნიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში თუნდაც იმ სიხშირით, როგორც ი-ს დღეს არის დადასტურებული ქვემოიმერულში, საინტერესო ფაქტია და ახსნას მოითხოვს. კერძოდ, როგორი ქვეალიფიკაცია შეიძლება მიეცეს აღნიშნულ მოვლენას: ძველი ვითარების ნაშთია ის, თუ ინოვაციაა?

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ -ი ფორმანტი სუსტდება (ა-ად იქცევა), რის გამოც წინამავალ ხმოვანთან ერთად იგი დამავალ დიფთონგს ქმნის (აა, ეა, ოა, უა). უკვე ძველსავე ქართულში დაიწყო დიფთონგის სუსტი ნაწილის თანდათან დაკარგვა და ახალ ქართულში ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა [66(59)].

ქვემოიმერულში -ი ბგერა ხმოვნის მომდევნო პოზიციაშიც სრულხმოვნობას ინარჩუნებს, რასაც წარმოთქმის აკუსტიკური ეფექტის გარდა მისი მონაწილეობის ფაქტიც მოწმობს ასიმილაციური ხასიათის ცვლილებებში (როცა კი საამისო პირობა იქმნება): დ ე ი დ ე ო დ ე ი დ ე ი ო დ ე ი დ ა ი. როგორც ცნობილია, დ ე ი დ ე, დ ა ნ ე, შ ა მ ი დ ე და სხვა მსგავსი ფორმები მიღებულია სახელობითის -ი-ს მასიმილირებელი გავლენით ფუძისეულ ხმოვანზე.

-ი-სთვის სრულხმოვნობის შენარჩუნება კი ამ პოზიციაში იმის მაჩვენებელია, რომ დ ე დ ა ი, დ ა ნ ა ი, დ ე ლ ე ი და სხვა მისთ. ფორმები ახლადწარმონაქმნები არიან და არა იმ უძველესი ვითარების ნაშთები, როცა სახელობითის -ი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში არ ემორჩილებოდა დასუსტების კანონზომიერებას.

მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოების მხრივ ქვემოიმერული მეტყველება რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებს. აქაც, ჩვეულებრივ, -მ და -შა გვაქვს და ისინი ისევე განაწილებული ფუძის დაბოლოების მიხედვით, როგორც სალიტერატურო ქართულში.

მიცემითი ბრუნვის ფორმანტიც არ გვაძლევს სალიტერატურო ქართულისაგან დიდად განსხვავებულ ვარიაციებს ქვემოიმერულში. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ ბრუნვაში (ისევე როგორც ნათესაობითსა და მოქმედებითში) სახელები ყოველთვის ემფატიკური ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი.

ბოლოთანხმონიანი სახელი იშვიათად ფუძის სახითაც გვხვდება: საკმელ ვკამ და მოვალ..., ვახშამ აკეთეფ?... ფეხსაც-მელ ვერ იშოვი მალაზიაში*...

მიცემით ბრუნვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ქვემოიმერულის ვანურ თქმამი გავრცელებულია ასეთი ფორმები: ვყიდულოფ სახლის..., ჰამს კიტრის..., გლენის რა პკონდა უწინ, შვილო..., რაც საერთო ქვემოიმერული არ არის, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ ამ დიალექტისადმი მიძღვნილ საპეციალურ გამოკვლევებში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, ოღონდ ქ. ძოწენიძე ნაშრომში — „ქვემოიმერულის უხუთური მენტყველება“ (უხუთი ვანის რაიონის სოფელია)—დასახელებულ ფორმათა შესახებ აღნიშნავს: „მიცემითის ამგვარი წარმოება უხუთური მეტყველების სახით ქვემოიმერულს სხვა კილო-თქმათა შორის საკუთარ ადგილს აკუთვნებს“ [19(286)].

დებულება კორექტივს საპირობებს: ცვლილება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საერთო ქვემოიმერული მოვლენა არაა. ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვებით იგი არ დაგვიდატურებია ქვემოიმერულში შემავალ არც ერთ წვრილ დიალექტურ ერთეულში, გარდა ვანურისა. ამის გამო მხოლოდ ამ უკანასკნელის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რაც აღნიშნულია საერთოდ ქვემოიმერულის მიმართ.

რაც შეეხება მოვლენის შეფასებას, იგი ზანიზმად უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც ჩანს, ქვემოიმერულის ვანურმა თქმამ მიცემითში ბოლოთანხმონიანი სახელებისათვის გაიმეორა ბრუნების ის წესი, რომლის მიხედვითაც მეგრულ-ვანურში სახელობითის ფორმანტი საზოგადოდ გადააყვება სახელებს ყველა ბრუნვაში: კოჩი, კოჩი-ქ, კოჩი-ს, კოჩი შ(ი) [11(49—50)].

სხვა საკითხია ის, თუ რატომ არ გავრცელდა ასეთი ფორმები, ვთქვათ, ხონ-სამტრედიის ზოლის მეტყველებაში, სადაც საზოგადოდ ზანური მოვლენები გაცილებით უფრო მეტადაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიც. ბრუნვაში სახელი ზოგჯერ -ე და-

* სახელი მიცემით ბრუნვაში ხშირად ფუძის სახით ლეჩხუმურშია წარმოდგენილი. მოვლენა საგულისხმოა იმ მხრივ, რომ სხვა თავისებურებებით ეს ორი დიალექტი ერთმანეთს შესამჩნევად არ უპირისპირდება (იხ. მიხ. ალაჯიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 231).

ბოლოებითაც გვხვდება: ფულსაც მიცემს და ყორი ფულსაც..., რას უშობი, გო, ბოვსსე..., გევიტანთ გარეთ სკამსე.

ხშირად გვხვდება ნანათესაობითარი მიცემითი ლოკატივის მნიშვნელობით: მეზობლისას ვიყაი..., მოყვრებისას გავათიე ლამე..., ფული თავის ნათესავისას ქონიყო გადამალული...

ნანათესაობითარი ფორმები -თან თანდებულის მაგიერობას ეწევიან მიცემითში.

არც ნათესაობითის ფორმანტი -ის გვაძლევს ვარიაციებს ქვემო-რემერულში. იგი ყველა შემთხვევაში უცვლელად ერთვის სასელის ფუძეს. ნათესაობითში ფუძისეული ხმოვანი გავლენას ვერ ახდენს ფორმანტის ხმოვნით ელემენტზე მაშინაც კი, როცა ეს ხმოვანი არის -ო ან -უ, რის გამოც ყველა ხმოვანზე დაბოლოებული სახელი აქ საზოგადოდ ამგვარი სახით წარმოგვიდგება: რაის მიზეზია, თუ იცი?... აბანოის თავზე ააგდო..., დელიის პირას ნახენ... დედაჩემის ძუძუს მადლმა, ამას არ შევარჩენ...

როგორც ვხედავთ, არც ფუძისეული ხმოვანი მოქმედებს ქვემო-რემერულში ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ელემენტზე: ეს წყალი წყაროისაა და არც ხმოვნით დაწყებული ფორმანტი იწვევს ფუძისეული ხმოვნის მოკვეცას: ჩემი დაის ბაღანეა..., კტეის პირას მიაყენა...

სავსებით ანალოგიური ვითარება გვაქვს მოქმედებითში. რაით უნდა გამაჯეგრო შენ..., ამ ქვაით გაგიტეხავ თავს..., ოქროით გოუღო ჩიბები...

ასევე, გვაქვს ურედუქციო ფორმები: თავისი მასპინძელით მევიდა ჩვენსა..., ქვის კედელით გაამაგრა ეს მხარე..., თავისი ქმართ მოაქ თავი...

დადგენილია, რომ ბრუნების პროცესს ქართველურ ენებში საზოგადოდ დაბოლოებისა და ფუძის ურთიერთობა განსაზღვრავს [11(56)]. ახალ ქართულში ფუძეც მოქმედებს დაბოლოებაზე და დაბოლოებაც ახდენს გავლენას ფუძეზე (გარდა უკუმშველი და უკვეცელი სახელებისა). პირველ შემთხვევაში ფუძე განსაზღვრავს, რა სახეს მიიღებს ბრუნვის ნიშანი, მეორე შემთხვევაში ფორმანტს შეაქვს ცვლილება ფუძეში, იწვევს მის კვეცას ან კუმშვას.

ძველ ქართულში განსხვავებული ვითარება გვაქვს. დაბოლოების ზეგავლენით ფუძე კარგავს ხმოვანს: იკუმშება ან იკვეცება, მაგ-

რამ თვით ფუძე გარკვეულ დრომდე გავლენას ვერ ახდენს დაბოლოებაზე. ბრუნების პროცესის ისტორიული განვითარება ქართულში ფუძის აქტიურობის გზით წარიმართა [11(57)].

სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ურთერთმოქმედების თვალსაზრისით ქვემოიმერული ახალი; სალიტერატურო ქართულისაგან სრულიად განსხვავებულ შედეგს გვაძლევს, ხოლო ძველი ქართულისაგან — ნაწილობრივად განსხვავებულს.

ქვემოიმერულის მონაცემთა მიხედვით ფუძე, როგორც ვთქვით, ვერ ახდენს გავლენას ბრუნვის ნიშანზე: ა) სახელობითში გვაქვს — დ ე დ ა ი, რ კ ო ი, ხ ე ი... ბ) ნათესაობითში — წ ყ ა რ ო ი ს, რ კ ო ი ს, ძ უ ძ უ ი ს... გ) მოქმედებითში — ო ქ რ ო ი თ, ძ უ ძ უ ი თ, ყ რ უ ი თ... დ) წოდებითში — დ ე ლ ე // დ ე ლ ე ო, დ ე დ ა // დ ე დ ა ო, ყ ა ნ ა // ყ ა ნ ა ო...*

თავის მხრივ, ვერც დაბოლოება ახდენს აქ გავლენას ფუძეზე: არ იწვევს მის შეკუმშვას და შეკვეცას: მ თ ა ი ს, დ ღ ე ი ს, ქ ვ ა ი თ, დ ე ლ ე ი თ..., უ რ ე მ ი ს, ქ მ ა რ ი ს, მ გ ე ლ ი თ, უ რ ე მ ი თ...

სახელის ფუძის უკვეცელობა დასავლურ ქართველური ლინგვისტური არეალის ნიშანდობლივი თვისებაა. გარდა ქვემოიმერულისა, იგი დამახასიათებელია გურულის, ზანურისა და სვანურისათვის და ახსნილია როგორც გაერთფორმირების ტენდენციის შედეგი [1(179)]⁷ მაგრამ ზანურსა და სვანურში თუ ფორმანტი ვერ მოქმედებს ფუძეზე, სამაგიეროდ ფუძეს შეუძლია შეცვალოს ბრუნვის ნიშნები, რის შედეგადაც იკარგება სახელობითის — ო ფორმანტი და ნათესაობითისა და მოქმედებითის ნიშანთა - ი ელემენტი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ენებში „ფუძისა და ბრუნვის დაბოლოებათა ურთიერთმოქმედება შესუსტებულია ცალმხრივ მოქმედებაში“ (ხაზი ავტორისაა) [67(446)].

ქვემოიმერულში კი ფუძისა და ბრუნვის დაბოლოებათა ურთიერთმოქმედება, როგორც ზემოთ დავინახეთ, ო რ მ ხ რ ი ვ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ დ ე ა შესუსტებული. ხშირად ვერც დაბოლოება ახდენს გავლენას ფუძეზე და ვერც ფუძისეულ ხმოვანს შეაქვს ცვლილება დაბოლოებაში.

* წოდებით ბრუნვაში სახელებს საერთოდ არ დაერთვის ფორმანტი, მაგრამ თუ დაერთო, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ -ო, მისი -ვ ვარიანტი ქვემოიმერულმა. საზოგადოდ არ იცის.

ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი ქვემოიმერულში სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი -ათ (⟨ად), -თ, (⟨დ), -ა. პირველი ორი ისეა განაწილებული ფუძეთა დაბოლოების მიხედვით, როგორც ეს სალიტერატურო ქართულშია: კ ა ც ა თ ა რ ვ ა რ გ ა... ტ ყ ვ ე თ წ ა მ ი ყ ვ ა ნ ე ს...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -ა დადასტურებულია როგორც -იან სუფიქსით წარმოქმნილ სახელებში: ც ო ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ა, ჯ ო ხ ი ა ნ ა, ხ უ რ ჯ უ ნ ი ა ნ ა..., ასევე სხვა შემთხვევებშიც: ს წ ო რ ა ი ლ ა პ ა რ ა კ ე..., ყ ვ ე ლ ა კ ა რ ქ ა ც ხ ო ვ რ ო ბ ს..., ჩ უ მ ა ი ყ ა ვ ი შ ე ნ მ ა ქ ა ნ ე, ტ ყ უ ლ ა თ ა ვ ს ნ უ ი წ უ ხ ე ბ...

-ა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ერთ-ერთ ვარიანტად არის მიჩნეული [68(118)].

უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ ვით. ბრუნვა ქვემოიმერულში შეზღუდულად გამოიყენება. მის მაგივრობას აქ ხან სახელის ფუძე ეწევა და ხან კიდევ მიცემითის მარტივი ან -ში და -ზე დართული ფორმები: იმის მაგიერ შენ მოხვალ?... ქუთაიში ნახევარ ფასში მოქცემენ და იყიდე..., მაგიორიში გუშინ იტრა ბეგრი... ს ა ვ ა კ რ ო ზ ე ვ ი ყ ა ი ქ ა ლ ა ქ შ ი.

ასეთივე მოვლენა შ. ნიჟარაძის მიერ დადასტურებულია აჭარულში*.

წოდებით ბრუნვაში სახელი გვევლინება ან ფუძის სახით, ან დაირთავს -ო-ს. -ვ ვარიანტი, როგორც ზემოთ ვთქვით, ქვემოიმერულინათვის საზოგადოდ უცხოა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: ა) ქვემოიმერულში სახელთა ბრუნება ვარიანტებს არ გვაძლევს. ზედმეტია ლაპარაკი ბრუნვათა ფუნქციურ სხვაობაზე; ბ) ცვლილებები, რომლებმაც ბრუნების პროცესში განსხვავებული შედეგები მოგვცა, ფონეტიკური ხასიათისაა. თავისებურება უპირატესად სუსტად გამოხატული იოტიზაციის ტენდენციით აიხსნება. ეს ტენდენცია უზრუნველყოფს -ი-ს პოზიციურ სიმტკიცეს ხმოვნის შემდეგ (ქ ვ ა ი, წ ყ ა რ ო ი ს, ძ უ ძ უ ი თ);

* შ. ნიჟარაძე, „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“, ბათუმი, 1961, გვ. 70, მკვლევარი აქვე ასახელებს ნ. მარის მიერ შეკრებილი იმერხეული ტექსტიდან ასეთ მაგალითს: „ამ ლესკისა გამოშქმელი ნახევარზე გიყიოა“.

გ) ბრუნვის ნიშნის ზემოქმედების შესუსტება კვეცად სახელებზე და ფუძის უცვლელად შენახვა ნათესაობითსა და მოქმედებითში (ც ა ი ს, ც ა ი თ) დასავლურ-ქართველური ლინგვისტური არეალის ნიშანდობლივი თვისებაა. გარდა საკვლევი ობიექტისა იგი დადასტურებულია გურულში, ლეჩხუმურში, ზანურსა და სვანურში, და სენათმეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია როგორც გაერთფორმიანების ტენდენციის მოქმედების შედეგი (ვ. თ ო ფ უ რ ი ა).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს -ა ხმოვანფუძიან სახელთა ერთი ჯგუფის ბრუნება ქვემოიმერულში. აღნიშნულ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისაგან განსხვავებულ დაბოლოებას წარმოვიდგენს სამ ბრუნვაში: სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. დასახელებულ ბრუნვებში -ა იცვლება -ფ-თი: და ნ ე, და ნ ე ს, და ნ ე თ...

მოვლენა ადრეც იყო შემჩნეული და სათანადოდ კვლიდებიდებოდა ი. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს მიერ [91(124)]. საკითხი შემდეგაც არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად [67(449--459), 70(117--119), 30(32)], სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მას ო. კ ა ხ ა ძ ე შ [69(187--196)].

გარდა საკვლევი ობიექტისა, ანალოგიური ვითარება დადასტურებულია ლეჩხუმურში (როგორც ცნობილია, კინობით სახელთა გაფორმებაში, მსგავსად ზემოიმერულისა), ზემოგურულსა და ქართველურ ენებში ასიმილაციას იწვევს ო. როშელიც სან ფორმანტია (სახ-ში), ხან კიდევ ფორმანტის ხმოვნითი ნაწილი (ნათ-სა და მოქ-ში). იგი მოწმედებს ფუძისეულ ა-ზე, იმსგავსებს მას და აქცევს ფ-დ, ხოლო თვითონ უპირატესად იკარგება. ამგვარად, მ ა მ ი დ ე, მ ა შ ი დ ე ს, მ ა შ ი დ ე თ და სხვ. მისთ. ფორმების ჩამოყალიბებისათვის ნავარაუდევია განვითარების ასეთი გზა: მ ა მ ი დ ე ჯ მ ა შ ი დ ე ჯ მ ა შ ი დ ე ი ჯ მ ა შ ი დ ა (სახ-ში), მ ა შ ი დ ე ს ჯ მ ა შ ი დ ე ა ს ჯ მ ა შ ი დ ე ი ს ჯ მ ა შ ი დ ა ი ს (ნათ-ში), მ ა შ ი დ ე თ ჯ მ ა შ ი დ ე ა თ ჯ მ ა შ ი დ ე ი თ ჯ მ ა შ ი დ ა ი თ (მოქ-ში)..

ო. კ ა ხ ა ძ ი ს დასახელებულ ნაშრომში მითითებულია აგრეთვე, რომ: ბ ა ჭ ი ა, კ ე რ ი ი, გ ა ლ ი ი და სხვ. მისთ. ფორმები, რომლებიც არანაკლებ არის დამახასიათებელი ქვემოიმერულისათვის, განმეორებითი ასიმილაციის შედეგადაა მიღებული ბ ა ჭ ი ე ი > ბ ა ჭ ი ე ა > ბ ა ჭ ი ე > ბ ა ჭ ი ი, სადაც მასიმილირებელ ხმოვნად წინამდებელი -ი გამოდის [69(190)]. „ამგვარად, — აღკვინის

ავტორი, — ჩ ვ ე ნ წ ი ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს, ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს ა და მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს მ ქ ო ნ ე

ბ რ უ ნ ე ბ ა ა , ბ რ უ ნ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ტ ი კ ი ა ” [69(192)].

ბრუნების ამ განსხვავებული ტიპის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის ო. კახაძე იხეთ პარადიგმას გვთავაზობს, სადაც სრული -ი ხმოვნით წარმოდგენილი ფორმები: დეიდეი, დეიდეის, დეიდეით საუბარად ფორმებად არის მიჩნეული [69(193)].

ჩვენი პირადი დაკვირვებით, სწორედ ამგვარი ფორმებია რეალური სინამდვილის ფაქტები და არა -მ-ანი, ამიტომ უფლება არ გვაქვს, ეპვი შევიტანოთ იმ ლიტერატურული მაგალითების სისწორეში, რომელთაც ვხვდებით ნ. ლორთქიფანიძის პერსონაჟთა მონოლოგებსა თუ დიალოგებში: ნიკორეი მაინც გამძღო..., ბაღანეი მოგიკვდე ბაო..., აბა შენი მაიძუნი ზაქარიეი ჯობია კი... [შდრ. 69(188)].

-ი-ს სრულხმოვნობაზე მიუთითებს ამგვარ ფორმებში ქ. ძოწენიძის მიერ საილუსტრაციოდ მოტანილი მასალაც: მაყვალეი არ მინახია..., დეიდეის გაზრდილია ე ბოვში..., წეერთშია ნადეჟნეიზა საქმელი..., ანიქკა ბიცოლეიდან მახსოვს... [19(252)].

მართალია, ამ ფორმათა პარალელურად ქვემოთმხრობაში გავრცელებულია -ი დაკარგული ფორმებიც: დეიდე, დეიდეს, დეიდეთ..., რომლებშიც ო. კახაძის სამართლიანი შენიშვნით, -ი-ს უბრალო დაკარგვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ დიფთონგის დაშლის საკმარის რთულ და ხანგრძლივ პროცესთან [69(190)], მაგრამ პირველი საფეხური ამ მოვლენის განვითარებაში, რაც -ი-ს დასუსტებასა და წინმავალ ხმოვანთან ერთად დიფთონგის წარმოქმნაში უნდა გამოვლენილიყო და რომლის შედეგადაც უნდა მიგვეღო დეიდეჲ, დეიდეჲს, დეიდეჲთ ფორმები კარგა ხნის განვლილი ეტაპია საკვლევი რეგიონის მცხოვრებთა მეტყველებაში. დიფთონგის სუსტ ნაწილზე ამ უკანასკნელს ადრიდანვე ისევე უნდა აელო ხელი, როგორც თავის დროზე უარყო ის სალიტერატურო ქართულმა.

მაგრამ ახლა საკითხი იმის შესახებ ისმის, თუ როდინდელი უნდა იყოს ის ფორმები, რომლებშიც -ი-ს სრულხმოვნობა ეჭვს არ იწვევს (ბაღანეი, ბაღანეის, ბაღანეით) და რომლებიც -ი დაკარგული ფორმების პარალელურად ცოცხლობს დღესაც აქ (ბაღანე, ბაღანეს, ბაღანეთ...).

ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით ამ ცვლილებაში შეიძლება ინოვაციის შედეგი დავინახოთ და ბაღანეი, ბაღა-

ნ ე ის, ბ ა ლ ა ნ ე ი თ... ფორმები ახალწარმონაქმნებად მივიჩნით ამ დიალექტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე და არა იმ უძველესი ვითარების ანარქულად, როცა -ი ბგერა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში დასუსტების კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა.

-ი ხმოვნის სახელობითში ხელახლა დართვის შესახებ (ტ რ მ ა რ ე ი, და ნ ე ი...) მიუთითებდა შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში (იხ. К. характеристике нижеимерского говора, Памяти академика Н. Я. Марра, Москва-Ленинград, 1938, стр. 124), თუმცა შემდეგში იგივე ფორმები მან მიიჩნია სახელობითს -ი ჩამოშცლელ ფორმებად (იხ. მისივე, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 115). ჩვენი აზრით, მისაღებია სწორედ ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც -ი ხელახლა დაერთო სახელებს ფუძეზე (შდრ. ვ. თოფურია) [67(449)].

ჩანს, ხანგრძლივი და რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული -ი-ნიანი ფორმები (ბ ა ლ ა ნ ე, კ ე რ ი ე, მ ა მ ი დ ე) დროთა განმავლობაში შიშველ ფუძეს გაუტოლდნენ, მათში აღარ შეიგრძნობოდა ამოსავალი ფუძისეული -ა და -ი ბრუნვის ნიშნის კვალი, ამის გამო ხელახლა დაირთეს ბრუნვის ნიშნები, რასაც შედეგად სახელობითში -ი-ს გაჩენა, ხოლო ნათ-სა და მოქ-ში ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტის აღდგენა მოჰყვა, საბოლოოდ მივიღეთ: ბ ა ლ ა ნ ე ი (სახ-ში), ბ ა ლ ა ნ ე ის (ნათ-ში), ბ ა ლ ა ნ ე ი თ (მოქმ-ში).

მაგრამ პროცესი ამ საფეხურზე არ ჩერდება. არსებობს ცხადად შესამჩნევი ტენდენცია, ასეთმა სახელებმა ბრუნვის ნიშნები დაერთონ მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითშიც: ყ ვ ე ლ ე მ ე რ თათ წამოით..., ბ ე ბ ი ე მ შეინახა საცხა..., ძლივა მიათრევს კ ა ლ ა თ ე ს..., ე ქალი ბ ი ც ო ლ ე თ მერგება მე...

ეს მოვლენა სისტემატურობასთან დაქვემდებარებული მეტწილად ანთროპონიმებში ჩანს (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

-ე ხმოვნის ფუძესთან შეხორცება ქვემოიმერულში ცოცხალი პროცესია, რომელიც ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს, თანაც უკვე ხელშესახებად გამოხატული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის მხოლოდ ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი მოვლენა. მსგავსი ვითარება შეინიშნება სხვა ქართველურ ენებშიც: მეგრულში, მაგალითად, -ე-ს შეხორცება ფუძესთან უკვე დამთავრებულია და იგი

ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს (მოთხ. ბ ა მ ბ ე -ქ; მიც. ბ ა მ ბ ე -ს და სხვ.) [(67(450)]. ასევეა სვანურშიც მიც. მ ა რ ე ს 'კაცს', მოთხრ., ვით. მ ა რ ე დ . კ ა ც მ ა , კ ა ც ა დ'..., ნაცვლად მ ა რ ა , მ ა რ ა დ და სხვა [3(184)].

აქედან გამომდინარე, -ე-ს ფუძესთან შეხორცება დასავლურ-ქართული ენობრივი არეალისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციაა და ქვემოიშვარულში მას მეგრულის გავლენით წარმოქმნილად ვერ მივიჩნევთ [შ დ რ. 19(233)].

ანთროპონიმების ბრუნებისათვის ქვემოიშვარულში

პირის სახელები ფუძის დაბოლოების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის პირის სახელები, რომელთა ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება (გ უ რ ა მ , ბ ე ს ი კ , გ რ ი გ ო ლ), ხოლო მეორე ჯგუფში ის სახელები შედის, რომლებსაც ფუძის ბოლოკიდურ ბგერად ხმოვანი უზის. ჩვენს ყურადღებას ამჟღერად -ი ხმოვანზე დაბოლოებული ანთროპონიმები იპყრობს (ა კ ა კ ი , გ ე ნ ა დ ი , ე გ ტ ი ხ ი...).

ორი ერთიმეორის მიმართ სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია იჩენს თავს პირის სახელთა ცვლილებისას ქვემოიშვარულში: თანხმოვანფუძიანი სახელები -ი ხმოვანფუძიან სახელებად იქცევა (ნ ო დ ა რ ი , ნ ო დ ა რ ი -მ , ნ ო დ ა რ ი -ს...) და პირიქით, ის სახელები, რომელთა ფუძე -ი ხმოვანზე ბოლოვდება, თანხმოვანფუძიანი ხდება (პ რ ო კ ო ფ -ი , პ რ ო კ ო ფ -მა , პ რ ო კ ო ფ -ს...).

-ი ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანად ქცევა დამახასიათებელია ძველთაგანვე სალიტერატურო ქართულისათვის, ოღონდ აქ ეს პროცესი გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. იგი ფონეტიკურად არის შეპირობებული: „ისტორიულად -ი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი დღეს თანხმოვანფუძიანადაა ქცეული იმ შემთხვევაში, თუ -ი-ს წინ მიუძღოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (-ლ, -რ, -მ, -ნ). ე. ი. მაშინ, თუ ძველ ქართულში ფუძისეული -ი დასტურდებოდა VC₂ -# პოზიციაში“ [71(132)].

სხვა პოზიციაში, სახელდობრ, ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ VC_N -# აკაკი, აღაპი, ამბროსი, ან კიდევ თანხმოვნის მომდევნო თანხმოვნის შემდეგ CC -# აღექსი,

ამ ბერკი, ირაკლი... საკუთარი სახელი ფუძისეულ -ი-ს ინარჩუნებს [71(132)].

საკვლევ ობიექტში ასეთ კანონზომიერებას პირის სახელთა ცვლილებაში ადგილი არ აქვს, რაც საფუძველს ქმნის სალიტერატურო ქართულთან შედარებით ბრუნების განსხვავებული ვარიანტის წარმოქმნისათვის ორივე შემთხვევაში: თანხმოვანფუძიანი სახელი ხმოვანფუძიანად გვევლინება: ნოდარი, ნოდარიმ, ნოდარის..., ხოლო -ი ხმოვანფუძიანი სახელი თანხმოვანფუძიანი ხდება: აქვსენტო, აქვსენტმა, აქვსენტს...

პირის სახელთა ბრუნებაში გამოვლენილი ეს ორი განსხვავებული ვარიანტი (ნოდარი, ნოდარიმ, ნოდარის) დადასტურებულია ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებშიც. ზოგ შემთხვევაში იგი არც აღმოსავლური კილოებისათვის ჩანს უცხო. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ეს ტენდენცია საუცხოოდ ეგუება დიალექტის საზღვრებს გარეთ მდებარე თანამედროვე ქართული სასაუბრო მეტყველების განვითარების ბუნებრივ ხაზს, რის გამოც ხშირად ისმის ნოდარიმ, ნოდარის, გურამიმ, გურამის... გვერდით აქვსენტმა, აქვსენტს, ამბერკმა, ამბერკს და მისთ. (ზოგჯერ წიგნის ენაშიც კი გვხვდება მსგავსი შემთხვევები).

არის მოსაზრება გამოთქმული, რომ ნოდარი, ვახტანგი და სხვ. ასეთ შემთხვევებში სახელობითის -ი პირის სახელებს სხვა ბრუნებშიც გადაჰყვებათ გიორგი, აკაკი და სხვა ასეთი სახელების ანალოგიით, რაკი ასეთ სახელებს -ი შენარჩუნებული აქვთ ყველა ბრუნვაში [72].

ეს მოსაზრება სწორია იმ ენობრივი გარემოს მიზართ, რომელშიც -ი, როგორც ფუძისეული მასალა, ყიელა ბრუნვაში გადაჰყვება სახელებს: გიორგიმ, აკაკიმ, ამბერკის და ა. შ. მაგრამ ქვემოთმხრობის მონაცემებით შეუძლებელია ნოდარიმ, ვახტანგიმ და სხვა მისთ. ფორმები ზემოდასახელებული -ი ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით ავსნათ, რადგან თვით -ი ხმოვანფუძიანი სახელები ქვემოთმხრობის მონაცემებში, ჩვეულებრივ, თანხმოვანფუძიანად არის ქცეული: გიორგ-მა, გიორგ-ს... აკაკ-მა, აკაკ-ს.

გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად თანხმოვანფუძიანი პირის სახელის ვახტანგ-ი, ვახტანგ-მა, ვახტანგ-ს

ხმოვანფუძიანად ქცევა ვახტანგი, ვახტანგიმ, ვახტანგის... რასაც ასე ფართოდ უხსნის კარს ქართული სასაუბრო მეტყველება ამ ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, დასავლური კილოებიდან მომდინარეობს, ხოლო დასავლურ კილოებში მისი დამკვიდრება მეგრულის გავლენის შედეგია [71(143)].

ვფიქრობთ, საპირისპირო ტენდენციის ინტენსიურად მოქმედების პირობებში, რაც ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანებად ქცევაში ვლინდება (ამბერკი, ამბერკმა, ამბერკს), პირის სახელების გახმოვანფუძიანება (გურამი, გურამიმ, გურამის) მეგრულის გავლენის შედეგი არ უნდა იყოს.

ორივე ეს ტენდენცია, ქართულისავე ნიადაგზე აღმოცენებული, ენის (resp. დიალექტის) შინაგანვითარების კანონის ნიმუშად შეიძლება მიგვეჩინა. მოვლენის ფართო მასშტაბით გავრცელება ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ამის ნათელ დადასტურებებს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრუნების განსხვავებულ ვარიანტს გვაძლევს ქვემოიმერულში -ა ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელების ერთი წყება: სახ-ში, ნათ-ში და მოქმ-ში -ა იცვლება -ე-თი: ბიძიე, ბიძიეს, ბიძიეთ.

ამავე ყალიბში ექცევა -ზე დაბოლოებული პირის სახელებიც: კოწიე, აგრაფინე, ნათელე...

აღვნიშნეთ ისიც, რომ საზოგადო სახელებში -ე-ს ფუძესთან შეხორცების პროცესი უკვე დაწყებულია. იგი ფუძისეულ მასალად არის გაგებული, რის გამოც ყველა ბრუნვაში სახელები, ჩვეულებრივ, ხელმეორედ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს (მამიდეი, მამიდემ, მამიდეს, მამიდეის...).

საზოგადო სახელებთან შედარებით ეს ცვლილება უფრო მეტად სწორედ პირის სახელებისათვის ჩანს დამახასიათებელი. შედეგად გვაქვს: მაყვალეი, მაყვალემ, მაყვალეს, მაყვალეის, მაყვალეით, მაყვალეთ... ასე რომ არსებობს ტენდენცია, ბრუნების განსხვავებული ვარიანტის დასრულებული სახით ჩამოყალიბებისა საერთოდ სახელებში.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე თანხმოვანზე დაბოლოებული პირის სახელების ერთი თავისებურება ქვემოიმერულში. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ წოდებით ბრუნვაში ისინი უპირატესად -ო ფორმანტს დაირთავენ: დავითო, ვახტანგო, ეთერო...

ჩანს, ქვემოიმერული სალიტერატურო ქართულთან შედარებით უფრო დასრულებული სახით წარმოგვიდგენს ენაში მომხდარ ცვლილებას პირის სახელების საზოგადო სახელებთან ბრუნების გათანაბრების თვალსაზრისით.

ნ. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება

გავრცელებულია მხოლოდ -ებ-იანი მრავლობითი. არ დაგვიდასტურებია -ნ-არიანი მრავლობის ხმარების არც ერთი შემთხვევა*. თვით ნაცვალსახელებშიც კი -ნ-ს ხშირად დაკარგული აქვს მრავლობითობის გაგება, რის გამოც სიმრავლის აღმნიშვნელი -ებ ფორმანტი ხელშეორედ ერთვის ფუძეს: მევიდენ ე გ ე ნ ე ბ ი ბარემ..., ე ს ე ნ ე ბ ი დიდი ხანია არ მინახავს..., მ ა გ ნ ე ბ მ ა არაფერი იციენ...

მიუხედავად -ებ-იანი მრავლობითის ასეთი მონოპოლიისა, მისი სინტაქსური ძალა ქვემოიმერულში მაინც სუსტია. -ებ-იანი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში, როგორც წესი, ვერ ითანხმებს: კ ა ც ე ბ ი მ დ ე რ ი ს..., ს ტ უ მ რ ე ბ ი მ ე ვ ი დ ა... უწინ, შეილო, გ ლ ე ხ ე ბ ი გაჭივრებაში ც ხ ო ვ რ ო ბ დ ა...

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს თანდებულები ქვემოიმერულში. ეს განსხვავება უპირველესად მათ გარეგნულ სახეს შეეხება, ფუნქციას — არა. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა თანდებული სახელისაგან მოითხოვს სხვა ბრუნვის ფორმას.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ასეთი თანდებულების განაწილება ბრუნვებში სახელის ფუძის დაბოლოებამ მიხედვით:

-ვით ბოლოთანხმონიან სახელს მართავს მხოლოდ სახელობითში. გვაქვს: კ ა ც ი ვ ი თ, ქ ა ლ ი ვ ი თ, მ ო ხ უ ც ი ვ ი თ..., მაგ-

* გამონაკლისს წარმოადგენს ქვემოიმერულის წულუკიძური მეტყველება, სადაც სპორადულად შეიმჩნევა გვართა ორმაგი მრავლობითის წარმოება: ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ნ ე ბ ი, ხ უ რ ო ძ ნ ე ბ ი, მ ე ლ ა ძ ნ ე ბ ი... მრავლობითის -ენ სუფიქსიან ფორმებზე არის მიჩნეული აგრეთვე აქვე დადასტურებული: ს ა ხ ლ ო კ ა ც ე ნ ი, მ ე ზ ო ბ ე ლ ნ ი... [20(156)],

რამ არ გვაქვს: ქალსავეთ, მოხუცსავეთ, კაცსავეთ...

მისი ფონეტიკური ვარიანტი - ვეთ კი სახელებს მართავენ მიცემითსა და ნათესაობითში, ბოლოთანხმოვნთან სახელს, როგორც წესი, იგი მიცემითში დაერთვის: რავა ხესავეთ გაჩერებულა..., რკინასავეთ მაგარია..., მზესავეთ წევას..., ხოლო ბოლოთანხმოვნიანი სახელისაგან ნათესაობითს მოითხოვს: კაცი-სავეთ დადის, რაცხა იგი..., თოფისავეთ ეშინოდა ჩემი..., ძაღლისავეთ დიეყეფა...

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ - ვით თანდებული ნათესაობითში სახელებს დაერთვის აღმოსავლურ კილოებშიც. ხშირად არის ეს ამ ბრუნვასთან დადესტურებული აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც [73 (147)]. გასაზიარებელია მოსაზრება, რომელიც ამ მოვლენას ილიას და სხვა მწერალთა ენაში დიალექტიდან შესულად თვლის.

ასე, რომ - ვით ნათესაობითთან საერთო მოვლენაა აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის. ეს კია, რომ ქვემოიმერულში ის ცოტაოდენი სახელცვლილებითაა რეალიზებული.

- ზე თანდებული საკვლევ ობიექტში ზოგჯერ - ნ დაართული ფორმითაც გვხვდება: ჯამზენ, ეზოზენ, კტეზენ... ეს თანდებული სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვის ყოველთვის და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სალიტერატურო ქართულში. - ზე თანდებულის კომბინატურული ვარიანტი - სე გვაქვს ხ-თი დაბოლოებულ ფუძეებთან: ვენახსე გედიარა..., თოხსე ჩამეეძინა..., მე სხვა ხერხსე გეუნები...

- თან თანდებული თანხმოვნითს ელემენტს კარგავს უპირატესად ბოლოხმოვნიან სახელებთან, იშვიათად — ბოლოთანხმოვნიანებთანაც: ხესან, ვისან, წყაროსან, აბანოებისან, ამხანაგსან...

როცა სახელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება, ამ შემთხვევაში ნანათესაობითარი მიცემითი უფრო ხშირად არის გამოყენებული - თან თანდებულის ფუნქციით: ამხანაგისას გაათია ღამე... ნათლიასას წასულიყო თურმე... მეზობლისას არის დედაჩემი...

თანდებული - კენ ჩვეულებრივ ნათესაობითში შართავს სახელს, ოღონდ ქვემოიმერულის წულუკიძურსა და სამტრედიულ თქმებში მის ფუნქციას ასრულებს - ყენ, უფრო ხშირად კი გავრცელებულია

-წყენ: სახლიწყენ წვევიდენ..., სადგურიწყენ ცხოვრობს..., მარჯვენაწყენ გოუხვიო, თუ მარცხენაწყენ..., მთიწყენ უჭირავს თვალი და ყური...

-თვის თანდებული ყოველთვის გვხვდება -თვის სახით: ადამიანისთვის, სახისთვის, მეზობლისთვის.

-თვის დამახასიათებელია მთელი რიგი აღმოსავლური და დასავლური კილოებისთვისაც. საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნულია, რომ -თვის არის -თვის თანდებულის უძველესი ფორმა და ამდენად მისი ღირებულება დიალექტოლოგიის ფარგლებს სცილდება, იგივე აზრია გატარებული -მდინ თანდებულის შესახებაც [74 (192)].

გავრცელებულია ჩანათესაობითარი, ვითარებითის ფორმები: ხალხიზა ასე აჯობებს..., ძმიზა გოუგზავნია ფული..., ღვინიზა წვევიდენ...

იგივე მოვლენა დამახასიათებელია გურულისთვისაც. -ისდა-საგან -ისა-ს მიღების ფონეტიკური გზა გარკვეულია ს. ქლენტიის გამოკვლევაში „გურული კილო“ (თბ., 1936, გვ. 57).

საგულისხმოა, რომ ქვემოიმერულში ე-თი დაბოლოებული ფორმები უფრო გვხვდება: ჩემ დაზე (<ღიზა) დოუბარებია..., საქონელიზე (<საქონელიზა) მექმია ნეტაი..., სპირიდონაზე-მ (<სპირიდონიზა) კარგი საქმე მაქვს გაკეთებული...

-ე აქ -ა ხმოვნის ბადალია, მსგავსად ასეთი შემთხვევებისა: ვკითხავ მეზობელსე..., მიდიხარ შენე..., დავამთებ ცეცხსე..., (იხ. ქვემოთ, გვ. 107).

-გან თანდებული არასოდეს არ დაერთვის ქვემოიმერულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. მისი ფუნქციით გვევლინება -გან თანდებულისანი მოქმედებითი: ნათესავიდან სწორეთ არ მეველოდი ამას..., შავი ნივთიდან კარქს რას უნდა ელოდე კაცი..., გლაზა ადამიანიდან ყოლიფერია მოსალოდნელი..., რძლიდან მეწყინა ამისთანა საქციელი...

მოქმედებით ბრუნვაში -გან თანდებულისანი სახელი უმეტესწილად წარმოდგენილია საშუალო საფეხურით. გავრცელებულია იდგან//იდგინ ტიპის წარმოება: სოფლიდგინ, ვანიდგინ, სახლიდგინ... ცხადია, გვხვდება -გ დაკარგული ფორმებიც: სიდან, ვანიდან, მაიაკოვსკიდან...

მ დ ე / მ დ ი ს თანდებული ვითარებითში უპირატესად ვარიანტებით გვხვდება — მ დ ი (ნ), მ დ ი ს ი ნ : ა ქ ა მ დ ი (ნ) არ ვ ი ც ო დ ი მე მაგი..., ს ა ხ ლ ა მ დ ი ნ ვერც მივალწევ..., ს ა ლ ა მ ო მ დ ი ს ი ნ უნდა მეეცადა იქინე...

ხშირად გამოიყენება რა კითხვითი ნაცვალსახელი -მდი (ნ) თანდებულის დართვით: რ ა მ დ ი გინდა, მასე რო იარო..., რ ა მ დ ი არ გაათავისუფლებენ, რ ა ვ ი ც ი..., რ ა მ დ ი უნდა შევინახო ეს ზარმაცი, რ ა მ დ ი...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ -მდი-ს დართვისას ბოლოხმოვნიან სახელებზე უკანასკნელი ხმოვანი ხშირად გაგრძელებულად გამოითქმის ხოლმე: დ ი ლ ა ა მ დ ი, ს ა ლ ა მ ო ო მ დ ი, დ ე ლ ე ე მ დ ი, წ ყ ა ა რ ო ო მ დ ი, ნ ა რ ' გ ი ზ ა ა მ დ ი...

საერთოდ არ გვხვდება ქვემოიმერულში -ებრ თანდებულიანი ფორმები. არ არის აგრეთვე დადასტურებული -ღამ და -ურთ თანდებულების ხმარება. ამ უკანასკნელის ფუნქციით გვევლინება სახელთა -იან სუფიქსიანი ვითარებითის ფორმები: ც ო ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ა გედვეიდა ქალაქში..., თავისი მ ა ნ ქ ა ნ ი ა ნ ა გედვიჩხა ხრამში...

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

პირველ რიგში განვიხილავთ პირის ნაცვალსახელების ბოლოკიდურ ხმოვანთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

-მე, -შენ, -ჩვენ ნაცვალსახელების თავისებურება უკავშირდება აუსლაუტში ხმოვანი ბგერის დართვას. ეს ხმოვანია ქვემოიმერულში -ე: შ ე ნ ე, ჩ ვ ე ნ ე, თ ქ ვ ე ნ ე, ხოლო აღმოსავლურ კილოებსა და ზოგჯერ სამწერლობო ქართულშიც -ა: შ ე ნ ა, ჩ ვ ე ნ ა, თ ქ ვ ე ნ ა...

გამოთქმულია მოსაზრება, რომ -შენა, ჩვენა, -თქვენა ფორმებში ხმოვანი -ა ახალი გაჩენილია. „ამ სახით პირის ნაცვალსახელები ძველმა ქართულმა არ იცის. სათანადო ხმოვანი არც ზანურისათვის არის დამახასიათებელი (მდრ. ს ი -ნ, 'შენ' ჩ ქ უ ნ, ჩ ქ ი -ნ, 'ჩვენ' თ ქ ვ ა -ნ, 'თქვენ' . პირველად, იგი თავს იჩენს საშუალო ქართულში, როცა ე მ ფ ა ტ ი კ უ რ მ ა -ა-მ უკვე დაკარგა განსაზღვრების ფუნქცია“ [75 (89)].

-ე აუსლაუტში, გარდა ქვემოიმერულისა, დამახასიათებელია

ჭემომიმერულისათვის, ლეჩხუმურისა და აჭარულისათვის [75 (90)], მაგრამ მის ხმარებას სისტემატური ხასიათი ყველაზე მეტად მაინც ქვემომიმერულში აქვს: რამდენი წლისა ხარ, ბიჭო, შენე..., დამთავროთ ახლა ლაპარაკი ჩვენე..., რას აკეთებთ მაქანა თქვენე...

როცა -მე ნაცვალსახელს -ც ნაწილაკი დაერთვის და, მაშასადამე, იქმნება ხელსაყრელი ფონეტიკური გარემო ხმოვნის გაჩენისა, ასეთ შემთხვევაში -ე აქაც გამოვლინდება ხოლმე: გაქყვები სოფლამდე მეცეე..., აქაური ვარ მეცეე..., გავაყოლე თვალი მეცეე...

-ც ნაწილაკიან სხვა პირის ნაცვალსახელებში -ე ხან წინ უძღვის ნაწილაკს, ხან მოსდევს მას: იმ სოფლიდან არა ვართ შენეცე და მეცეე?... ასე არ გითხარით ჩვენეცე?... ასე ეტყვიოთ თქვენეცე..., აჰა, ასე თუ იზამ შენეცე...

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ შენე, ჩვენე, თქვენე ფორმებისათვის ამოსავალია: შენა, ჩვენა, თქვენა, რომელთა ბოლოკიდური -ა სახელობითის -ი ფორმანტის დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით -ე-დ ქცეულა, თვითონ -ი კი დაკარგულა (შენაი > შენეი > შენე) [(76 (61), 75 (91)].

ჩანს, ბოლოკიდური ხმოვნის ცვლილების მხრივ ეს ნაცვალსახელები გათანაბრებული არიან -ა ხმოვანზე დასრულებულ საზოგადო სახელებთან. როგორც ცნობილია, -ი ფორმანტის დართვა ასეთ სახელებზე ქვემომიმერულში იწვევს ა ხმოვნის ნაწილობრივ ასიმილაციას, რის შედეგადაც ვლებულობთ ტომარე, ბაღანე, დეიდე და მისთ. ფორმებს. შენა, ჩვენა, თქვენა პირის ნაცვალსახელებზე, როგორც უბრუნველ სიტყვებზე, სახელობითი ბრუნვის ფორმანტის დართვა, საერთოდ არ არის მოსალოდნელი, ამიტომ პირის ნაცვალსახელთა ბოლოში გამოვლენილი -ე სხვაგვარ შეფასებას მოითხოვს.

ხომ არ შეიძლებოდა -ე ამ პოზიციაში აღმოსავლური კილოებისათვის დამახასიათებელი მავრცობი -ა ხმოვნის ბაღალად მიგვეჩნია? მით უფრო, რომ, გარდა დასახელებული შემთხვევებისა, აღმოსავლური კილოების -ა-ს დასავლურ კილოებში სხვაგანაც შეესაბამება -ე?

აღმოსავლური კილოები:

ი მ ა ნ ა
ვ ი ნ - ა
ვ ი - ს - ა
რ ო მ ე ლ - ს - ა
შ ი თ ა
ხ ვ ა ლ ა
ს უ ლ ა

დასავლური კილოები:

ი მ ა ნ ე
ვ ი ნ - ე
ვ ი ს - ე
რ ო მ ე ლ ს - ე
შ ი თ ე
ხ ვ ა ლ ე
ს უ ლ ე [77 (189)].

ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს პაუზის წინ თანხმონით დაბოლოებული სიტყვის აუსლაუტში წარმოჩენილი -ე სხვა შემთხვევებშიც როგორც სახელებში: ნუ აშინებ ბოვსსე..., დღეს ვხურავთ სახსე..., სულ შეშინოდა იმ დღისე..., ისე ზმნებში: დიდი გაჭირვება მაქვსე..., შორიდან მოღისე..., მაშინა გოუჩერეთე და ჩავაჯინეთე შით..., მოვლენა დამახასიათებელი ჩანს არა მთლიანად ქვემოიმერულისათვის, არამედ უპირატესად მისი ოკრიზული თქმისათვის. -ე ხმოვანი ასეთ შემთხვევებში სავსებით სამართლიანად სხვა კილოებში დადასტურებული ა ხმოვნის ბადლად არის მიჩნეული [19(258—259)].

მაგრამ თუ ასეთ შემთხვევებში -ე-ს ა- ხმოვნის ბადლად მივიჩნევდით, მაშინ არავითარი საფუძველი არ გვაქვს შენე შენა-ისგან მომდინარედ მივიჩნიოთ და ასიმილაციური ცვლილებით აეხსნათ [შდრ. 76(61), 75(91)].

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ -ეს ჩვენებითი ნაცვალსახელის პოზიცია ქვემოიმერულში ძალზე სუსტია. აქ ის, ჩვეულებრივ, -ეგი ვარიანტით არის წარმოდგენილი: ეგი, ბატონო, ასე მოხდა..., რაია, გო, ეგი....

სარწმუნოდ არ მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის თანახმადაც -ეგი-ში -ე თითქოს -ისი-ს ანლოგიით იყოს გაჩენილი [75(130)].

ქვემოიმერულისათვის -ისი ფორმა საერთოდ არ არის დამახასიათებელი. მაშასადამე, ანალოგიისათვის აქ საფუძველი არ არსებობს. ცხადია, -ე აქ არც სახელობითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება იყოს. -ეგი მთლიანი ფუძეა, რომლის ბოლოკიდური ხმოვანი მის ქსოვილში შედის.

ქვემოიმერულში -ეგი-ს პარალელურად -აგი-ც გვხვდება, მაგ-

რამ ამ სახით მის ხმარებას აქ ისეთი სისტემატური ხასიათი არ აქვს, როგორც გურულში.

მრავლობითში გვაქვს ე გ ე ნ ი // ე გ ე ნ ე ბ ი . ე გ ე ნ ი თავისთავად ლიტერატურული მასალაა, მაგრამ ქვემოთმეორულში ის დიალექტური ფაქტია თავისი ფუნქციის მიხედვით მიუთითებს საგნის მხოლოდ და მხოლოდ პირველ პირთან სიახლოვეზე. ამ ფუნქციის მქონე ე ს ე ნ ი ქვემოთმეორულმა თითქმის არ იცის: ე გ ე ნ ი კ ი მევიდენ თავის დროზე..., ბარემ ე გ ე ნ ი ც წეიყვანე და ისე წაი... ე გ ე ნ ი იყო, ბიჭო, ასე რომ ილანძღებოდნენ?...

ე გ ე ნ ი ლიტერატურულ ქართულში მრავლობითი რიცხვის ფორმა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევი საგნის მეორე პირთან სიახლოვეს გამოხატავს. ამ ფუნქციით ქვემოთმეორულში იხმარება შ ა გ ე ნ ი . სწორედ ამ ნაცვალსახელის არსებობის ფაქტი ქვემოთმეორულთა ენობრივ ინვენტარში განსაზღვრავს ლიტერატურული ე გ ე ნ ი -ს დიალექტურ შინაარსს.

ირიბ ბრუნვებში -შ ჩართული ფორმებია უფრო გავრცელებული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ნ ყველა ბრუნვაში გადაწყვებათ: ა მ გ ე ნ მ ა , ა მ გ ე ნ ს , ა მ გ ე ნ ი ს და ა . შ . ამგვარ ფორმთა გამოვლენაში წარმოების აგლუტინაციური პრინციპისაკენ სწრაფვა მქალენდება: ყველა გრამატიკული კატეგორია გამოიხატოს ცალცალკე აფიქსით.

-ეგ ნაცვალსახელი, რომელიც საგნის მეორე პირთან სიახლოვეზე მიუთითებს, ქვემოთმეორულში საერთოდ არ გვაქვს. მას აქ ცვლის ირიბ ბრუნვათათვის განკუთვნილი ფუძე მ ა გ ი : მ ა გ ი მევიდენს მ ა გ ი ..., მ ა გ ი ასთე მეუბნებოდა...

გვხვდება მ ა გ ე ვარიანტიც, მაგრამ იშვიათად. ზოგჯერ ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცის გამო სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი -გ ბგერა, როგორც წესი, დაყრუების კანონს ემორჩილება და ქ-დ იქცევა, რის შედეგადაც ვლებულობთ მ ა გ ნაცვალსახელის მაქ ვარიანტს: სწორედ მაქ (მაგ) არის, ვიზეც გეუბნებოდნი..., მაქ ჭიუტობს, თვარა..., რამ გადარია მაქ კაცი... -ქ ბგერამ ასეთ შემთხვევაში იმდენად განიმტყიცა თავისი პოზიცია, რომის ზოგჯერ ხმოვნის წინაც მკაფიოდ ისმის: რა არის მაქე? (ეგ), მაქაა (ეგ არის), რ)ა ც ა ა.

მოთხრობით ბრუნვაში -შაგ ნაცვალსახელი ხშირად წარმოვეიდგება -შ დაბოლოებით -მ ა გ ა მ .

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მრ. რიცხვში სახელობითში გვაქვს მ ა გ ე ნ ი. ამგვარი წარმოებისთვის, როგორც ცნობილია, ამოსავალია მხოლოდბითის ფუძე მ ა გ ე. -ნ ყველა ბრუნვაში ჩანს: მ ა გ ე ნ მ ა, მ ა გ ე ნ ს, მ ა გ ე ნ ი ს, მ ა გ ე ნ ი თ, მ ა გ ე ნ ა დ...., ხშირად სიმრავლის გამო-სახატავად მათ განმეორებით ერთვის -ვბ, ვლებულობთ მრავლობითის გაორმაგებულ ფორმებს: მ ა გ ე ნ ე ბ ი, მ ა გ ე ნ ე ბ მ ა, მ ა გ ე ნ ე ბ ს..., თუმცა, შეიძლება ითქვას, -ნ-ს აქ აღარ აქვს სიმრავლის გამოხატვის ძალა და ამის გამო ჩათვალა ენამ საჭიროდ ხელმეორედ -ებ ფორმანტის დართვა დასახელებულ ფორმებზე.

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელებების ორი ვარიანტიდან ის, ი გ ი, ქვემოთმეორულში გავრცელებულია ი გ ი, როგორც ეს საერთოდ არის დამახასიათებელი დასავლური კილოებისათვის [75 (137)].

იწვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა მოთხრობით ბრუნვაში ი მ ა ნ ნაცვალსახელი -მ-ს დაირთავს ბოლოში -ნ-ს ნაცვალად: ი მ ა-მ დეიწყო ახლა ლაპარაკი..., გარსტნა ი მ ა-მ..., რაი უნდა მიქნას ი მ ა-მ...

სწორია მოსაზრება, რომელიც -მ-ს ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილად თვლის ასეთ შემთხვევაში [75(312)].*

მრავლობით რიცხვში ი გ ე ნ ი (// ი გ ე ნ ე ბ)-ის პოზიციაა მყარი. ი გ ი ნ ი შედარებით იშვიათია. ი გ ე ნ ი (// ი გ ე ნ ე ბი) მრავლებული ჩანს მაგენი (// მაგენების) ანალოგიით. ირიბ ბრუნვებში აქაც -მ ჩართული ფორმებია გაბატონებული: ი მ გ ე ნ მ ა, ი მ გ ე ნ ს, ი მ გ ე ნ ი ს...

ამ გ ე ნ მ ა, ი მ გ ე ნ მ ა კონტამინირებული ფორმებია, რომელთა კომპონენტად ამათ და ა გ ე ნ ი, ი მ ა თ და ი გ ე ნ ი არის ნავარაუდები [75 (316)].

მოთხრობით ბრუნვაში ხშირად გვაქვს ა მ ა თ-მ ა, მ ა გ ა თ-მ ა, ი მ ა თ-მ ა..., ამ გ ე ნ-მ ა, მ ა გ ე ნ-მ ა, ი მ გ ე ნ-მ ა-ს პარალელურად.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ი გ ი ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციასაც ასრულებდა..., ინმარებოდა როგორც მე-3 პირის ნაცვალსახელი, როგორც მსაზღვრელი ნაწევარი და როგორც ნაწილაკი. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ახალ ქართულში ი გ ი

* მ-ს გამოვლენა სიტყვის ბოლოში ან პროგრესულ ასიმილაციას შეიძლება მიეწეროს იმან<იმამ, ან ბგერით ანალოგიას (შდრ. დ ე დ ა მ, მ ა მ ა მ, ი მ ა მ),

განსაზღვრების ფუნქციით აღარ იხმარება. ამ ფუნქციის შესრულება ეკისრება -ის ნაცვალსახელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვემოიმერულში -ის ნაცვალსახელის გამოყენება ერთობ შეზღუდულია. ეს იწვევს -იგი ნაცვალსახელის მოხმარების არის გაფართოებას. მას აქ განსაზღვრების გამოხატვის არქაული ფუნქციითაც ეხვდებით. განსაზღვრებად გამოყენებულია გ ძირის შემცველი ე გ ი და მ ა გ ი ნაცვალსახელებიც. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვემოიმერულის ვანურსა და სამტრედოულ თქმებზე: ე გ ი ზონა ვენახიზე არ ვარგა..., ე გ ი შვილი ამ ქმარმა გამაზრდევია..., მ ა გ ი ქალი სამტრედოიდან არი..., ი გ ი ამბავი მოუყევი, ბაბუა, შენ რო იცი..., შენ რომ ჭიშკარში არ შემოხვალ, რათ მინდა ი გ ი ჭიშკარი, შენ რო სახში არ შემოხვალ, რათ მინდა ი გ ი სახლი...

ე გ ჯ და ი გ ი ნაცვალსახელები მსაზღვრელად ზამოყენებისას უფრო ხშირად ქვემოიმერულის სხვა თქმებში წარმოდგენილი არიან მხოლოდ ხმოვნითი ელემენტით: ე კ ა ც ი, ე გ ო გ ო, ი ა მ ბ ა ვ ი, ი ს ა ხ ლ ი, ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი...

ხმოვნითი ნაწილაკის გამოვლენა ჩვენებითობის ფუნქციით არაა მხოლოდ ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი მოვლენა, იგი სხვა ერთთა ქართული ენის სხვა კილოებისთვისაც.

ვინ კითხვითი ნაცვალსახელი ქვემოიმერულში წარმოდგენილია, ჩვეულებრივ, ვ ი ნ ე სახით. -ე ხმოვნის გამოვლენას სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს, როგორც შე ნ ე, ჩ ვ ე ნ ე, თ ქ ვ ე ნ ე ნაცვალსახელებში ჰქონდა.

-რა კითხვითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში მეტწილად -ი ფორმანტით გვხვდება: ა ბ ა რ ა ი... რ ა ი გინდა რ ა ი...

ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ბოლოკიდური -ა, როგორც წესი, არ იკვეცება: რ ა ი ს მაქნისია ე გ ო გ ო..., რ ა ი ს ამბავს მეკითხები, რომ არ ვიცი..., რ ა ი ს სიხარული მქონდა, ნეტე..., რ ა ი თ მოდით ახლა თქვენ..., რ ა ი თ გინდა ახლა გ ა ა კ ე თ ო ე გ ი..., რ ა ი თ უნდა წეიყვანო ახლა ე საცოდავი...!

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში -ი ბგერა სრული ხმოვნის აკუსტიკურ ეფექტს ტოვებს.

არც ისე იშვიათად ნათესაობითში რასი-ც იხმარება: რასი გეშინია..., რასი ჰკუაქონდა..., რასია ეს, თუ იცი...

ვ. თოფურიას აზრით, რასი უდავო გაგრძელებაა ძველი ქართული რაა-ს ფორმისა [79 (147)].

მოქმედებით ბრუნვაშიც ხშირად გვაქვს რათი: რათი უნდა გადავიხადო ეს პატივისცემა, არ ვიცი..., რათი წადით? რათი შეგაშინა იმ დალუპულმა...

გვხვდება პარალელურად შეუკვეციელი რაით: რაით მხო-ბიხარ მე შენ?... რაით მოგაქ, თავი, თუ იცი!...

-რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ამ თავისებურებას, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, კერძო შემთხვევად ვერ მივიჩნევთ. იგი ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა ხმო-ვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისა საზოგადოდ ქვემოიშე-რულში. როგორც აღვნიშნეთ, ხმოვნით დაბოლოებულ სახელთა დიდი ნაწილი ქვემოიშერულში არ იკვეცება!

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირისა და კუთვნილე-ბითი ნაცვალსახელების სემანტიკური მონაცვლეობის საკითხის გაჩვენებას ქვემოიშერულის მონაცემ-თა მიხედვით. მხედველობაში გვაქვს -მე პირის ნაცვალსახე-ლის გამოყენების შემთხვევები კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფარდად: მე და შენი ამბავი ყველამ გეიგო..., მე და მისმა სიტყვამ თავისი გეიტანა..., მე და მისი ამხანაგობა ამით დამთავრ-და..., მე და შენი დაჯილდოება ხო არ ეწყინა ნეტა..., ხო მიიღო ნეტა მე და შენი წერილი...

ხშირად -მე ნათესაობითის ფუძის მაგივრადაც იხმარება: ვე-რაინ მიხვთა მე და ნინიკიას მეტმა..., ეს ნაპერი მე და ელენაზა გედევინახე, ქალო..., მე და კირილეს მეტმა არეინ იცოდა ეს ამბავი..., მე და გრიგოლის შვილს ასეთი მოქცევა არ შეგვშენის..., მე და ჩემი მეზობლის ზიარია ეს ყანა..., აწი იწ-ყება მე და გოგიეს თავგადასავალი.

მე პირის ნაცვალსახელის გამოყენება კუთვ-ნილებითი ნაცვალსახელის ფარდად მხოლოდ

ქვემოთხსენიებული არაა დაქაზასიათებელი. იგი არც ზემოთხსენიების ჩანს უცხო.

უარყოფითი ნაცვალსახელის შინაარსს ხშირად გადმოსცემს ისეთი სიტყვები, როგორცაა: არაადამიანი, არაკაცი, ვერაკაცი, ნურაკაცი...

მოვლენა არაა მხოლოდ ქვემოთხსენიებული, დამახასიათებელია ის დასავლურ-ქართული დიალექტური წრისათვის: გურულისათვის, რაჭულისათვის, ლეჩხუმურისათვის, აჭარულისათვის.

მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების მოშლის ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეწყობა საზღვრულთან სახელობითი ბრუნვის ფორმით. ყველა ბრუნვაში: ჩემი ძმამ როგვიგოს ეს..., შენ იცი და შენი ქალობამ..., მისი მეზობელმა მითხრა..., შეურიგდა მისი ცოლს..., ჩემი სახში მობრძანდით, ბატონო..., ერთი ის აქცია ჩემი შვილათ და მე მისი დედათ...

მსგავსი ვითარება დამახასიათებელია მეგრულისთვისაც. აქაც საერთოდ მსაზღვრელი არც ბრუნვის დაბოლოებას დაირთავს და არც რიცხვის მიზედვით იცვლება [II (68)].

თღონდ ეს კია, რომ ქვემოთხსენიებულში აღნიშნული ცვლილება არ ატარებს კანონზომიერ ხასიათს. პარალელურ ფორმათა არსებობის ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების მოშლის პროცესი დღესაც გრძელდება. ამ გაგებით, ეს ნოვლენა ახლადწარმოქმნილი გრამატიკული ცვლილებაა საკვლევი ობიექტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი

ზმნისართების მასალობრივი მხარე საკვლევ ობიექტში ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავდება სალიტერატურო ქართულის ზმნისართებისგან. აღარას ვამბობთ იმ მნიშვნელობით ნიუანსებზე, რომლებიც თან ერთვის ბგერითი შედგენილობით განსხვავებულ ზმნი-

სართებს და რომელთა განხილვა უფრო ლექსიკის სფეროს განეკუთვნება.

უნიფიკაციის გზით წასული ევოლუცია სხვადასხვა უინაარსის ზმნაზედებს ხშირად ერთ ყალიბში აქცევს. დროის, ადგილისა და ზოგჯერ ვითარების ზმნისართები ერთნაირად დაირთავს ბოლოში -ე-ს: ზეგე, დღესე, ხვალე, მერეთე, წინე, უკანე, შითე, ძირსე, ზეთე, გარეთე, ჩუმათე, თელათე, ჯერეთე*.

ზოგჯერ მაწარმოებელ -ე-სა და ფუძისეულ მასალას შორის ჩართულია -ნ: აქანე, იქანე, ჩუმათანე, მაჩტვანე...

-დ-ს ადგილს იკავებს -ნ ზმნისართებში სანააღსადა, მანააღსადა [80 (174)].

გარშემო ხშირად წარმოდგენილია გარეშამო სახითაც: ამ სახს გარეშამო ლობე არტყია...

ამვე ლექსიკურ უინაარსს ატარებს გვრილიაშემო: ამ ეკლესიის გვრილიაშემო სულ მწვანე მინდორი იყო...

-გან თანდებულიანი ზმნისართები, ჩვეულებრივ, გარდამავალი ფორმით არიან წარმოდგენილი ქვემოიშვრულში: უკნიდგან მიეპარა..., ხვალიდგან დეიწყება ყურძნი კრეფა..., ასეა ავათ შარშანიდგან..., გარმოავდო მადლიდგან..., იმ დღეიდგან მე იგი არ მინახავს...

მხოლოდ ფონეტიკური სახეცვლილებით გვხვდება ქვემოიშვრულში ადგილის ზმნისართი „სადღაც“ და დროის ზმნისართი „როდესღაც“. „სადღაც“ წარმოდგენილია „საცხა“ სახით, ხოლო „როდესღაც“ — „როცხას“ სახით.

ზოგი ზმნისართი ბოლოში დაირთავს -ი ხმოვანს: ძალიანი გამიხარდა უენი ნახვა..., ჯერეთი მასე არ მიიქვამს..., ჩუმათე იყავი შენ მაქანე..., წადი ახლა აქიდან ი...

ზმნისართები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში -ივ აქვთ ბოლოში საკვლევ ობიექტში გვხვდება მხოლოდ -ით დაბოლოებით: მარჯვნივ, მარცხნივ, ყოველწლივ, ცალმხრით,

* ჩვენე, თქვენე, ვინე ნაცვალსახელებში გამოვლენილი -ე ჩვენ ზემოთ ა ხმოვნის ბაღად მივიჩნით. ანალოგიური ახსნა, შეიძლება მიეცეს ზემოდასახელებულ ზმნისართებში წარმოიჩინილ -ე-საც.

მეორე მხრით..., ოღონდ ზმნიზედა ძლივს თითქოს უგამონაკ-
ლისოდ იხმარება ძლივა სახით: ძლივა გაამსო ჩაფი...

ისევე ზმნისართი, ჩვეულებრივ -ლე დაბოლოებით არის გავრცე-
ლებული: მე წავალ ისევლე...

აქამდე, იქამდე, ზმნისართებს ქვემოთმერულში ან აქამ-
დის, იქამდის ფორმით, ან კიდევ უფრო ხშირად აქნობამდე,
იქნობამდე სახით ვხვდებით: საიყაიგო, შენ აქნობამდე...,
იქნობამდე თუ ველარ მივანწიეთ, რაღა გამევიდა..., ამგვარად-
ვა ნაწარმოები: მანობამდე არაფელი მეტკინა..., მანობამ-
დეკარქა იყავი...

ისე და ასე ზმნისართები, ჩვეულებრივ, -თ ჩართული ფორ-
მებით არიან წარმოდგენილი: ისთე, ასთე: წამალი ისთე მო-
მიხდა..., ასთე თუ გახტებოდა, ხწორეფ არ მეგონა..., ხოლო ზმნი-
სართი მე რამე -თ-ს ბოლოში დაირთავს: მერეთ მოგელაპარაკები
მე შენ... (ქვემოთმერულში არ გვაქვს მერმე, იხმარება მხოლოდ მე-
რე, ბოლოში -თ-ს დართვით).

აგრე, მაგრე, ეგრე ზმნისართები, რომლებიც აღმოსავლურ
დიალექტებში ხშირად ენაცვლება -იხე და -ახე ზმნისართებს, საკლდე
ობიექტში საერთოდ არ იხმარება.

„მას შემდეგ“ ზმნისართის მნიშვნელობით გავრცელებულია ჩვე-
ულებრივ მასკვან, რომელიც მიღებულია მას უკან-იდან მე-
ტათუზისისა და -უ-ს, გაწყვილბაგისმიერების შედეგად — მას უკან
>მას კჟან>მასკვან: მასკვან ყველაფერი ქე გევიგეთ,
მარა გვიან იყო...

ზევით და ქვევით ზმნისართებში -ვ იკარგება: ზეით, ქვე-
ით: იგი ჩვენ ზეით ცხოვრობს: ნიკოე ქვეით მიდიოდა ახლა...

აღნიშნული ზმნისართების ამ ფორმით გავრცელებაში შეუძლებე-
ლია არქაული მოვლენა დავინახოთ (როგორც ცნობილია, ისინი -ვ-ს
გარეშე იხმარებოდა ძველ ქართულში). ქვემოთმერულისათვის დამა-
ხასიათებელ ბგერათა ცვლილებების ფონზე „ზეით“ და „ქვე-
ით“ ფორმების გამოვლენა ფონეტიკურად განპირობებულ ბგერათ-
ცვლილებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ და არა არქაიზმებად.

-მაშინვე ზმნიზედა წარმოდგენილია, ჩვეულებრივ, მაშითვე
სახით: მაშითვე ქე გევიგეთ ყოლიფერი...

შიდა ზმნისართი გავრცელებულია შით სახით: შით შეაგ-
დო...

სწორეთ ფორმას ქვემოიმერულში მისი ფონეტიკური ვარიანტი სწორედ ცვლის: კარგი გოგოა სწორედ... ვითარებიდან ზმნიზება „ცოტა“ ყოველთვის -თინ დართული სახით გვევლინება: ცოტათინ ქე მოკეთდა...

ქვემოიმერულის ლექსიკურ შემადგენლობაში საერთოდ არ ჩანს კითხვითი ზმნიზება როგორ, მას აქ ჩვეულებრივ რავა ცვლის: რავა იყიდე..., ან—რა ფელ: რა ფელ ხარ ახლა..., ზოგჯერ გვხვდება რა ფერათ.

რა კითხვითი ნაცვალსახელის მდინ (ნ) თანდებულებიანი ვითარებითი ბრუნვის ფორმა რამდი ზმნიზებად არის ქცეული და ატარებს როდემდი, სანამდი ზმნიზებების შინაარსს. ეს უკანასკნელი ქვემოიმერულში არც გვხვდება.

ჩვენს განკარგულებაში არსებული დიალექტოლოგიური მასალა, მაშასადამე, ცხადად გვიჩვენებს, რომ ცვლილებათა დიდობილი ზმნიზებების თავისებურ წარმოებაზე მოდის. ძირეული ზმნიზებები; შედარებითი შვიათად გვხვდება, მაგრამ თუ გვხვდება, ისინიც უპირატესად ფონეტიკური სახეცვლილებითაა რეალიზებული.

სიტყვაწარმოება

ქვემოიმერული მეტყველების მიკროანალიზმა სიტყვაწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით გამოავლინა ბევრი საყურადღებო ფაქტი, რომელთა განხილვა ქართული სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტურ მონაცემებთან მიმართებაში წარმოადგენს საფუძველს მოვლენათა სწორი ინტერპრეტაციისათვის, თუ ყოველთვის არა — უმეტესწილად მაინც!

დიალექტური სიტყვაწარმოების საკითხთა განხილვა პირველ რიგში დიალექტებში არსებული ვარიანტების დადგენას მოითხოვს, შემდეგ დადგენილი ვარიანტების გენეზისის გაშუქებას, მაწარმოებელ ელემენტთა ფუნქციურ ანალიზს, აფიქსთა მონაცვლეობის საკითხის გარკვევას სემანტიკური ჯგუფის ფარგლებში, მათ დახასიათებას პროდუქტიულობა-არაპროდუქტიულობის თვალსაზრისით და, საერთოდ, დიალექტთა სიტყვაწარმოებისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ სხვა თავისებურებებთან გამოვლენას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ენის დიალექტებში, საზოგადოდ, იგივე აფიქსებია გამოყენებული სიტყვათა წარმოსაქმნელად, რაც სალიტერატურო ენაში. ამასთან, ისინი იმავე მნიშვნელობით აწარმოებენ სახელებს, რა მნიშვნელობითაც არიან გავრცელებული საერთოდ ქართულში.

ასეთ პირობებში, ცხადია, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს დიალექტებში გამოვლენილ აფიქსთა სახეცვლილებები და ფუნქციური ცვალეზადობის ფაქტი.

პირველ შემთხვევაში დასადგენია ძირითად აფიქსთა ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნის გზები, მეორე შემთხვევაში სარკვევია აფიქსთა ფუნქციების საკითხი.

-ი ა ნ, -ო ვ ა ნ, -ი ე რ სუფიქსები ქვემოიმერულში

-ი ა ნ, -ო ვ ა ნ, -ი ე რ ყოლა-ქონების გამომხატველი სუფიქსებია თანამედროვე ქართულში, ქონების მაწარმოებელ სხვა ფორმანტთა შორის ყველაზე უფრო პროდუქტიულ სუფიქსად -ი ა ნ არის მიჩნეული.

ქვემოიმერულში იგი კიდევ უფრო იფართოებს ხმარების არეს და ზოგჯერ ახალი ფუძეებისაგანაც აწარმოებს სახელებს: ვ ი ფ ი ქ ო ბ ე, ს ა შ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ -ი ცხოვრება მომეცემა თქვა..., დიდი ს ა ნ დო -ი ა ნ -ი კაცი იყო საცოდავი..., დ ა ვ ი დ ა რ ე ბ ი ა ნ -ი ხარ, შეილო..., უ კ უ ლ მ ა რ თ -ი ა ნ -ი იყავი თავიდანვე...

-ი ა ნ სუფიქსის გენეზისის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ჩვენ ვემყარებით იმ მოსაზრებას, რომელიც მას ევ -ა ნ -ისგან მომდინარედ თვლის: ევ -ა ნ > ე -ა ნ > > ი ა ნ [81(89)].

რაც შეეხება -ი ა ნ სუფიქსის ფუნქციებს, ამის შესახებ აღნიშნულია, რომ მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო წარმომავლობის აღნიშვნა. აქედან უნდა განვითარებულიყო შემდეგ გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა [66(122)].

ს. ჭ ა ნ ა შ ი ა -ა ნ -ს გამოყოფს საერთო ელემენტად ქონების აღმნიშვნელ რთულ სუფიქსებში: ი -ა ნ, ო -ა ნ, ო ვ -ა ნ, ე ვ -ა ნ და მიუთითებს მის რამდენიმე მნიშვნელობაზე. მათ შორის ყველაზე უფრო პირვანდელ და უძველეს ფუნქციად თვლის კრებითობის, მრავლობის გამომხატვას [82(34—47)].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ -იან სუფიქსის ძველი ფუნქციები მიმდევრობის, წარმომავლობის და კუთვნილების აღნიშვნისა დღევანდელ ქართულში გამჭრალა, მისი ერთადერთი ფუნქციაა ქონების სახელთა წარმოება [83(25)]. ეს მოსაზრება სწორია სალიტერატურო ქართულის მიმართ. დიალექტური მონაცემები კი საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტას მოითხოვს.

ქვემოიმერულში -იან||-ან სუფიქსით წარმოქმნილი პირის სახელები აკაკის-ან-ი (||აკაკის-იან-ი), გიორგის-ან-ი, პოლიკარტეს-ან-ი. პეტრეს-ან-ი, პავლეს-ან-ი, ისიდორეს-ან-ი, ლევანტიას-ან-ი, კირილეს-ან-ი და მისთ. წარმომავლობასაც გამოხატავენ და სიმრავლის გაგებასაც შეიცავენ გრამატიკული ფორმანტის გარეშე. ქვემოიმერულის ეს ვითარება ხაზს უსვამს -იან||-ან სუფიქსისათვის მრავლობითობის გამოხატვის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას, რასაც, ალბათ, ხელს უწყობდა მისი მჭიდრო კავშირი -ნ ფორმანტთანაც [82(47)].

უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად -ებ-იან მრავლობითის ფორმებიც იკაფავს გზას: აკაკის-ან-ებ-ი, პეტრეს-ან-ებ-ი, ივდითის-ან-ებ-ი, გიორგის-ან-ებ-ი, ლევანტიას-ან-ებ-ი...

ჩანს, ამ დიალექტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე -იან||-ან სუფიქსი თანდათანობით კარგავს სიმრავლის გამოხატვას ძველ ფუნქციას, რაც ახალი გრამატიკული ფორმის დაძებნის საჭიროებას მოითხოვს.

წარმომავლობის აღნიშვნის ძველი ფუნქციით -იან||-ან სუფიქსი დატულია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ შტო-გვარის სახელებში [66(123)], თუმცა სტრუქტურული მოდელის მიხედვით აქ სრულიად განსხვავებული ვითარება აღინიშნება: სახელები -იან||-ან სუფიქსთან ერთად, როგორც წესი, მრავლობითი რიცხვის გენეტივის -თ ფორმანტსაც დაირთავენ (-იან||-ან+თ) ციციან-თ-ი, ომარა-ან-თ-ი, ოთარა-ან-თ-ი და სხვა.

ქვემოიმერულში -იან სუფიქსი, ცხადია, კუთვნილების გაგებასაც შეიცავს, ცოლის-იან-ი, ცოლის-იან-ებ-ი, ქმრის-იან-ი, ქმრის-იან-ებ-ი, ქალის-იან-ი, ქალის-იან-ებ-ი.

ასეთ შემთხვევაში იგი ზიტყვაში ყოველთვის თავისი ძირითადი სახითაა რეალიზებული.

-იან||-ან სუფიქსის ანალიზმა ხელშესახებად გამოავლინა მას-

თან დაკავშირებული თავისებურება ქვემოთმხრობაში. გაიკვია, რომ თანამედროვე ქართული ენის შესაბამისად მანქონების აღნიშვნის ახალი ფუნქცია შეიქმნა, მაგრამ არც ძველი დაუკარგავს: რიგ სახელებთან შეინარჩუნა სიმრავლისა და წარმოშობის გამობატვის ოდინდელი ფუნქციები, რითაც მის კომპენტენციაში შემავალ ფუნქციათა წრე უფრო გაიზარდა და მრავლის შემცველი გახდა.

∴ -იან სუფიქსის მსგავსი ფუნქციონალური დანიშნულებისაა ქართულში -ოვან მაწარმოებელიც. იგი რთული სუფიქსია, შეიცავს -ოვ და -ან ელემენტებს (აკ. შანიძე). -ან ელემენტის თავდაპირველი და უძველესი ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ზემოთ გვაქვს განხილული (იხ. გვ. 116).

-ოვან სუფიქსი არსებით სახელთაგან აწარმოებს ზედსართავებს. ქვემოთმხროული მეტყველების თავისებურებათა შესწავლისას იგი გამოვლინდა მაწარმოებელ ელემენტად რიგ სახელებში, მაგრამ არა ქონების გამობატვის ფუნქციით, არამედ კრებითობისა და სიმრავლის გამობატვის ოდინდელი ფუნქციით. ამ მიზნით -ოვან სუფიქსი დაერთვის ზომა-ოდენობის სემანტიკის შემცველ ვითარებით ზედსართავ სახელებს და აგრეთვე თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით გამოყენებული ხი—ე კონფიქსებით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებს: სისქე, სიმადლე, სიფართე, სიგრძე. ასეთ შემთხვევებში მისი ფონემური შედგენილობა ამგვარად არის სახეცვლილი -უან||-ვან: პატრუანი||პატროვანი (პატაროვანი), დიდრუანი||დიდვრანი, სისქუანი||სისხვაანი, ამხელუანი||ამხელვანი, სიგრძუანი||სიგრძვანი, სიფართუანი||სიფართვანი, სიმადლუანი||სიმადელანი.

მსგავსი შემთხვევები ქვემოთმხროლთან ერთად პ. ჯაჭანიძეს დადასტურებული აქვს ზემოთხსენებულშიც [84(358)].

-უან სუფიქსი -ოვან-ისაგანაა მიღებული (ოვ > უ) [85(134)]. რაც შეეხება -ვან-ს, იგი თვით უან-ის ფონეტიკური ვარიანტია. -უ-ს გაუმარცვლების ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. -უან||-ვან სუფიქსის შემცველი სახელები ქვემოთმხროლში დამოუკიდებლადაც

იხმარება და მსაზღვრელადაც. საზღვრულად შეწყობილი სახელები ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას. მოგვეყავს მაგალითები ცოცხალი მეტყველების ნიმუშებიდან: პატერანი ბოვშები დამრჩა..., იგი მარცვლები თითის სიმსხვანი იზრდება..., აუ, რა სიმალღუანია ეხეები..., რამ სიგრძუანი კაბები აცვიენ ამ გოგუებს..., რამხელუანი დაზრდილან, ბეჩა, ე ბალნები..., უფროსკანებმა ასთე მეილაპარაკენ..., ამი სიფართვანს თოვდა თელი ზამთარი..., ჩემი შვილები დიდერანებია უკვე...

როგორც აქ მოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, -ოვან სუფიქსით წარმოქმნილი სახელები ყველა შემთხვევაში სემანტიკურად მრავლობითს გამოხატავს. ცხადია, ამ გაგებას მათ -ოვან-ის -ან ელემენტი აძლევს, რომლის უძველეს ფუნქციად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კრებითობის, სიმრავლის გამოხატვა ივარაუდება.

სათანადო შინაარსის გადმოსაცემად ამ სახელებს ზოგჯერ მრავლობითის -ებ ფორმანტიც დაერთვის: პატერან-ებ-ი, უფროსკან-ებ-ი, დიდერან-ებ-ი, სიმსხვან-ებ-ი და მისთ., მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია.

მრავლობითის გამოხატვის ფუნქციით -ოვან სუფიქსი, საზოგადოდ, ძველ ქართულში დადასტურებული არაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თამარ მეფის ისტორიკოსის ტექსტში ნახმარ ასეთ ფორმას „დიდრუვანი“ [82(46)] (ლაპარაკია სოფლებზე „დიდრუვანი სოფლები“). არც ქართული ენის სხვა დოკუმენტებში გვხვდება ის ამ ფუნქციით, მაგრამ აქედან შეუძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თითქოს სიმრავლის გამოხატვის ფუნქცია -ოვან სუფიქსისათვის ქვემოიშვრულში ახალი შენაძენი იყოს [შდრ. პ. ჯაჯანიძე, 84(359)]. პირიქით, მან აქ თავისი პირვანდელი ფუნქცია შეგვინახა.

ქონების აღმნიშვნელი -იერ არსებით სახელთაგან აწარმოებს ზედსართავებს. მისი დანიშნულებაა აღნიშნოს რისამე მაგიერობა-შემცველობა ან წარმომავლობა, ოღონდ დღეს მას აღარ შესწევს ძალა ახალ-ახალი ფუძეებიდან აწარმოოს სახელები. მისი ადგილი ამ მხრივ -იან-მა დაიჭირა. ასეთი ვითარება აღინიშნება დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმეტესობაში.

ქვემოიშვრულში საწინააღმდეგო პროცესი გვაქვს. კერძოდ, -იერ

სუფიქსი აქ მიისწრაფვის პროდუქტიულ წარმოებაში ჩაებას და -იან-ის ადგილი დაიკავოს, თუ ყველა შემთხვევაში არა, უმეტეს წილად მაინც. ამის გამო აქ ხშირად ჭვაქვს ვარიანტული ფორმები: კეკიანი||ქკვიერი, ტვინიანი||ტვიციერი, ჯიშინი||ჯიშოქი, სანდომიანი||სანდომიერი, თავიანთი||თავიერი, ადამიანი||ადამიერი, ფხიანი||ფხიერი, თავიანი||თავიერი, შვილიანი||შვილიერი: შვილიერიობას გისურვებთ, შვილიერიობას..., ქონებიანი||ქონებიერი: ქონებიერი ქალია...

-იან და -იერ სუფიქსთა მონაცვლეობის ეს შემთხვევები სემანტიკური ჩგუფის ფარგლებში ხაზგასმით მიუთითებს მათ ფუნქციონალურ იდენტურობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვემოიშვრულში, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, სიტყვათა საწარმოებლად იგივე პრეფიქსები და სუფიქსებია გამოყენებული, რაც სალიტერატურო ქართულში, ოღონდ ზოგჯერ ადგილი აქვს: ა) აფიქსთა მონაცვლეობას სემანტიკური ჩგუფის ფარგლებში; ბ) მაწარმოებელი ელემენტების კომპენტენციაში შემავალ ფუნქციათა წრის გაფართოებას ან შემეცირებას; გ) ფონეტიკურ საფუძველზე აფიქსთა სახეცვლილი ვარიანტების გამოვლენას; დ) სახელთა ორმაგი წარმოების შემთხვევებს და ა. შ.

ფართოდ არის გავრცელებული კნინობითობის საწარმოებლად -ა, -ია, -იკ-ო, -იკ, -ელ-ა, -იკ-ელ-ა სუფიქსები პირის სახელებში:

-ა: ვასილა, ლევანა, დარეჯანა...

-ია: ჯენგრა, ნინჯრა, ლუბაია...

-იკ-ო: პეტრიკო, ვასიკო, ვალდკო...

-ელ-ა: დამამკირებელი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება; სონიელა, გივიელა, ბიჭიელა...;

ამ უკანასკნელ შემთხვევებში კნინობითობის ორმაგი წარმოება გვაქვს. კიდევ უფრო დამამკირებელ შინაარსს ატარებს პირის სახელები, წარმოქმნილი -იკ-ელ-ა სუფიქსით, რომელშიც კნინობითობის სამი ფორმანტია გაერთიანებული: პეტრიკელა, ნონიკელა, ბიჭიკელა...

იშვიათად კნინობითობის -ა, -იკ, -ელა და -იკელა სხვა სახელებსაც აწარმოებს: მოდგმულა (სახლზე მიშენებულ პატარა სათავსოს

ეძახიან წულუკიძის რაიონში), შტერიკელა: დიდი შტერიკელაა გოგოე..., მუნჯიელა: მუნჯიელამ შემაშინა..., ბოვშიკელა: მეიყვანე, გო, მა ბოვშიკელეი აქანე..., ტურიკელა: კაი ტურიკელა ხარ, ნუ გეშინია!..

სადაურობის -ელ და -ურ მაწარმოებლები ზოგ შემთხვევაში გარჩეული არაა. -ელ არც ისე იშვიათად გამოიყენება არა ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად: ექათამი ხონელია..., იბუოლა ვანელია..., ნიგოზი რაქველია კაი...

საწინააღმდეგო შემთხვევაჲ, როცა -ურ სუფიქსი განოხატავს ადამიანის სადაურობას, ქვემოიმერულში შედარებით იშვიათად ვხვდებით: გაღმოურივარ... (თუმცა გვხვდება პარალელურად გაღმოთელი-ც), ზემოური, ქვემოური...

საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ორი სუფიქსის ერთდროულად დართვა ისეთ სიტყვებზე, რომლებიც სალიტერატურო ენაში ერთმანეთისაგან არ არჩევენ ადამიანისა და ნივთის სადაურობას. კითხვითი სიტყვა „სადაური“ აქ იხმარება სადაურელი ფორმით, ხოლო სახელები აქაური, იქაური, მანდაური, შინაური გვხვდება: აქაურელი, იქაურელი, მანდაურელი, შინაურელი სახით.

ისევე ზოგორც სადაური, აქაური, იქაური, შინაური სალიტერატურო ქართულში ერთიმეორისაგან არ ასხვავებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს, ასევე მათგან ნაწარმოები სადაურელი, იქაურელი, შინაურელი, მანდაურელი საკვლევ ობიექტში განურჩევლად იხმარება ადამიანისთვისაც და არაადამიანისთვისაც.

სადაურელი ხარ, ბიჭო შენ?... სადაურელია ეყველი..., აქაურელი არაა ებოვში, თბილისიდან არის ჩამოსული..., აქაურელი ჰაერი დიდი მოსახთენი არაა..., იქაურელები არიან შენი სტუმრები?... , იქაურელი ვაშლი კაი ჯიშის იქნება..., შინაურელ ღვდელს შენდობა არ აქო..., შინაურელმა ქათამმა გემრიელი ხორცი იცის..., მსგავსი ვითარება დადასტურებული აქვს ქ. ძოწენიძეს ზემოიმერულშიც [19(125)], აქაურელი ცნობილია აჭარულიდანაც [86(52)].

-ურ და -ელ სუფიქსებას ერთდროული გამოყენება ორი განსხვავებული მნიშვნელობის გადმოსაცემად სიტყვაში ერთხელ კიდევ

ზავგასმით მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ ფორმანტთა სემანტიკური დაპირისპირება პირველად არაა, იგი მეორეული მოვლენა უნდა იყოს [81(137)].

-ურ (დისიმილაციით -ულ) ქვემოიმერულში სემანტიკური გადახრითაც იხმარება. იგი ემატება გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარს: კოკელოური (კოკელაძის ქალი), ბრეგოული (ბრეგაძის ქალი), გაბელოური (გაბელაშვილის ქალი), ფეიქროული (ფეიქრიშვილის ქალი), კუჭუხოური (კუჭუხიძის ქალი), სიბილოური (სიბილაძის ქალი), კვინიკოური (კვინიკაძის ქალი)... და აღნიშნავს წარმავლობას.

მსგავსი ვითარება შენიშნულია ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებშიც და იგი შეიძლება მივიჩნიოთ მთელ რიგ სხვა მოვლენებთან ერთად გაერთფორმიანების ტენდენციის გამოსატულებად დასავლურ-ქართულ დიალექტურ არეალში.

საზოგადოდ კი -ურ სუფიქსით გვართა წარმოება დამახასიათებელია ქართულენათვის. ამგვარდ ნაწარმოები გვარები: აფციური, დუდაური, გიგაური გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში.

სათანადო დოკუმენტური მასალით მტკიცდება, რომ -ურ მაწარმოებელი გვარის სახელებში ძველად ვაჟიშვილის აღმნიშვნელი იყო [87(176)], ქართული ენის დასავლურ დიალექტებში კი იგი, პირიქით, მხოლოდ ქალის გვარის მაწარმოებელი სუფიქსის როლში გამოდის. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ქვემოიმერულის წულუკიძურსა და სამტრედიულ თქმებში მეგრული ენის სუბსტრატი ნათლად გამოსკვივის გათხოვილი ქალის გვართა წარმოებაში. გათხოვილი ქალის გვარებს აქ ემატება -ხე: სანაიხე, გორდეიხე, დაქახე (ლაჭავას ქალი), სურმეიხე (სურმავას ქალი), ბუიხე (ბუაძის ქალი), ფარცხალაიხე (ფარცხალაძის ქალი). მსგავს ფორმებზე წულუკიძურში ადრე მიუთითებდა შ. ძიძიგური [20(156)]. საყურადღებოა, რომ ცვლილება საერთო ქვემოიმერული არ არის.

გვარის სახელების ასეთი წარმოება შენიშნულია გურულშიც, ოღონდ ს. უდენტის მიერ აქ ფიქსირებულია -ფხე [88(295)].

შეიმჩნევა -ნარ (დისიმილაციით -ნალ) სუფიქსის არის გავრცე-

ლებულობა ქვემოიმერულში. იგი გამოიყენება არა მხოლოდ მცენარეთა სახელების ფუძეებთან მისთვის განკუთვნილი მნიშვნელობის გადმოსაცემად, არამედ სხვა შემთხვევებშიც: კენკნარი: ეს ადგილი, შეილო, უწინ კენკნარი (ქვიანი) იყო..., ტყეობნარი: აგერ რო ადგილი მოჩანა, სულ ტყეობნარია (ტყიანია)..., ხეობნარი: ლამაზი ხეობნარი ადგილებია, იქითკენ რო წახვალ..., ქვარნალი, რბილნარი: ზერე ქვარნალი იყო და ამიტომ რბილნარისაკენ ჩამევეიწიეთ და იქ დავსახთოთ.

აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად საკვლევ ობიექტში -ება აფიქსის მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაში თუ გამოიყენება. მის ნაცვლად მოხმარების არეს იფართოებს -ობა: აგებულობა, ბედნიერობა, ქვეყნიერობა, ხელშეკრულება, რწმუნებულობა, თავისუფლობა და ა. შ.

-ობა-ს პროდუქტიულობაზე ქვემოიმერულში ისიც მეტყველებს, რომ იგი ზოგჯერ ცდილობს, იქაც დაიმკვიდროს ადგილი სიტყვაში, სადაც სიტყვაწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით ეს მოსალოდნელი არ არის: პეტერეი დალატობა იყო ამ საქმეში..., დამისთეობა (თევა) იცოდენ, შეილო, უწინ..., მაყრონობაც ძან იყო მოდაში..., ყრუობა იყო, შეილო, უწინ ყრუობა..., ცოლოურობას ვიყაი და აიქიდან მოვდივარ...

საინტერესო სურათს გვიჩვენებს კონფიქსების საშუალებით სიტყვათა წარმოების შემთხვევებიც.

წინა ვითარების შინაარსის გადმოსაცემად ნა—არ, ნა—ევ, აფიქსთაგან -ნა-ს პოზიცია მყარია, მაგრამ მისი მეწყვილე -არ, -ევ, ბოლოსართები უპირატესად შეცვლილი სახით წარმოგვიდგება. მათ ძლიერ მეტოქეობას უწევთ აქ -ებ:

დიდი ნაომები კაცია..., ის ადგილი ჩემი ნაბოსტნებია..., ნინაი გოგის ნაცოლებია..., ნატყვიები აჩნია..., ნამასწავლებლები იყო..., ეს ადგილები სუნატრაქტორები..., ნასახლები ჩანს მარტო იქინე..., ნაციხები კაცი არ ვარგა მერეთ... ნაციმბირები იყო და კილო დეიჭირენ..., კოწიე ჩემი ნაქმარები..., ახალგაზრდებმა ნანადირები მოგვართვენ..., ნადვინები იყო ეგი ჭურჭელი..., ჩემი ნამოჯამაგირებია ნიკაი..., ნაჭრილობები ატყვია შუბზე..., ნაკვალები კარქა ეტყობოდა.

-ევ სუფიქსს -ებ ენაცვლება აგრეთვე -ნა -ევ პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოების წინა ვითარების სახელებში, რომლებიც გაქვეავებული სახით წარმოდგენილია მიცემით ბრუნვაში. როგორც ცნობილია, ასეთი სახელები ზმნისართად არის ქცეული და თითქმის ყოველთვის დროც აღმნიშვნელია: ნ ა ა ხ ა ლ წ ლ ე ბ ს, ნ ა ვ ა ხ შ მ ე ბ ს, ნ ა შ უ ა ღ ა მ ე ბ ს, ნ ა ს ა დ ი ლ ე ბ ს, ნ ა შ ო ბ ე ბ ს და ა. შ.

-ევ სუფიქსის ნაცვლად -ებ ბოლოსართის გამოვლენა ამგვარად ნაწარმოებ სიტყვებში მხოლოდ ქვემოიმერული სთვის დამახასიათებელ ინდიკულურ მოვლენად არ ჩაითვლება. იგი უცხო არ არის ქართული სასაუბრო ენისთვისაც, ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებებშიც გვხვდება. სათანადო მაგალითები ლიტერატურიდან დამოწმებული აქვს თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ს თავის გამოკვლევაში [89(136)].

კიდევ უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს ხა—ე კონფიქსებს საკვლევი ობიექტში. ისინი ახალი ფუძეებისაგან ხშირად აწარმოებენ სახელებს: სა ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ე, სა ა ა ბ რ ე შ უ შ მ ე, სა კ ე ლ ე, სა ტ ე ხ ე, სა ფ უ რ ე, სა ჩ ა ლ ე, სა ბ ა ტ ე, სა ნ ი შ ნ ე, სა რ ჭ ე, სა ს ი ნ ა თ ლ ე.

ასევე შეიძლება ითქვას ხა—ო კონფიქსების შესახებაც. ისიც მეტად პროდუქტიული ჩანს: სა წ ე ი მ ო, სა შ ი შ რ ო, სა თ ვ ა ლ თ მ ა ქ ე ო, სა ს ი ნ ა თ ლ ო (ალავ.), სა ქ ა თ მ ო, სა ქ ე ი ო (კავი, რომლითაც ქვიან ნიადაგს ხნავდნენ), სა რ ბ ი ლ ა რ ო (კავი რბილი ნიადაგის მოსახნავად), სა ძ ვ ი რ ფ ა ს ო, სა ი გ ა ე ო (საარაკო), სა დ ი დ ე ბ უ ლ ო, სა თ ვ ა ლ ო (კარზე გაკეთებული ნალი), სა ტ ა ლ ა ხ ო, სა მ ო ხ ე ო (უბანი სოფელში), სა მ ო რ ო ლ ო (მეორედ გასათოხნი ყანა), სა ნ ო ც ო ხ რ ო (გაჩეჩ.), სა ნ ა გ ა ო (გაჩეჩ.), სა შ ი შ რ ო (საშიში), სა ს ა თ რ ი ე ლ ო (ალავ.), სა ფ ი ც ხ ა რ ო (ალავ.).

არანაკლებ ჯავრცელებულია დანიშნულების სახელების საწარმოებლად ხა—ურჱ ქრომელიც ახალ სალიტერატურო ქართულში არაპროდუქტიულ კონფიქსს წარმოადგენს, ქვემოიმერულში კი ისიც ისევე ხშირად აწარმოებს ახალი ფუძეებისაგან სახელებს, როგორც ხა—ე და ხა—ო: სა კ ი ს უ რ ი, სა ქ ე დ უ რ ი, სა ფ თ ი უ რ ა (ჯაჯ.), სა ბ ე ღ უ რ ა (ალავ.), სა კ ი დ უ რ ი, სა მ ქ ე დ უ რ ი, სა ქ ა თ მ უ რ ი, სა ფ ა ფ ხ უ რ ი, სა ქ ქ ა ბ ჯ უ რ ი, სა ფ თ ხ უ რ ი (ალავ.), სა ფ რ თ ხ ბ ე ლ ა, სა ს ე ს ხ უ რ ი (ჭურჭელი, რომლითაც ასესხებენ ფქვილს), სა ს ა ფ უ რ ა (ხის ჭურჭელი, რომელ—

ზედაც ცომს აფუებენ), საწვეთური (გაჩეჩ.), სატკბური (გაჩეჩ.).

ახალ ლექსიკურ ერთეულებს გვაძლევს მო—ე, მე—ე კონფიქსებით წარმოქმნილი სიტყვები ქვემოთმეორულში:

მოკპილე: ეს კაცი ჩემი მოკპილეა (ტოლია)..., მობიძაშვილე (შორებელი ბიძაშვილი), მოენე (ენის მიმტან-მიმტანი). უფრო პროდუქტიულია მე—ე თავსართ-ბოლოსართები: მექორე: აგრაფინა დიდი მექორე ვინმეა..., მენახევრე: ის კაცი მენახევრეა (მოწილე)..., მემწვანოლე, მესაქონლე, მესამარე (მესაფლავე): გოგე ჩვენი სოფლის მესამარეა...

კომპოზიტები

კომპოზიციას, როგორც ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას, ხშირად მიმართავს ქვემოთმეორული დიდი-სიტყვა.

გასაკრვევია ქვემოთმეორულში დადასტურებული რთული სიტყვები: შედგენილობის, ფუძის ცვლილების, ფუძეთა შეერთების, მეტყველების ნაწილთა კომბინაციისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით.

1. შედგენილობა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უფრო გავრცელებულია ნაირფუძიანი კომპოზიტები. რედუქციაციის გზით წარმოქმნილი კომპოზიტები იშვიათია.

2. შეერთების თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება არადენტურ კომპოზიტებს.

3. მეტყველების ნაწილთა ნაირ-ნაირი კომბინაციებიდან, რომლებიც სალიტერატურო ენას მოეპოვება რთულ-სიტყვათა წარმოსაქმნელად, საკვლევ ობიექტში დომინანტობს სუბსტანციური-ადიექტური და სუბსტანციურ-პარტიციპიული წარმოება.

4. ფუძის ცვლილების მხრივ უფრო ხშირად ფუძე-ცვლილი კომპოზიტები გვაქვს, ხოლო მნიშვნელობის თვალსაზრისით ახლადწარმოქმნილი რთული სახელები მეტწილად ერთცნებიანები არიან.

რთულ სიტყვათა მნიშვნელობა ზოგჯერ გამჟღავნებელია, ზოგჯერაც ბუნდოვანი, რაც სიტყვაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგია.

ქვემოთ მოვიტანთ საილუსტრაციო მასალას ცოცხალი მეტყველების ნიმუშებიდან მთავარი მომენტების გათვალისწინებით.

კომპოზიტის პირველი ნაწილი შეკვეცილი სახითაა წარმოდგენილი: ხ ა ნ დ ა მ წ ვ ა რ ი (უდროოდ გარდაცვლილი): აქ მარხია ჩემი ხ ა ნ დ ა მ წ ვ ა რ ი ქ ა ლ ი შ ე ი ლ ი..., ხ ე ლ მ ო ქ მ ე დ ი (კაცი, რომელსაც ხელიდან ყველაფერი საქმე გამოუდის): ძ ა ნ ხ ე ლ მ ო ქ მ ე დ ი ი ყ ო სა წყ ა ლ ი გ ო გ ი ე, ო ქ ო რ ო ს ხ ე ლ ი ქ ო ნ დ ა..., ზ ა ფ მ ო ტ ე ხ ი ლ ი (დადლილი), წ ი კ ა რ ი (შესასვლელი კარი სახლის ქვედა სართულში): წ ი კ ა რ შ ი ე დ ი ა სა ც ო დ ა ვ ა თ..., დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა -ნ. ს ი კ ე დ ი ლ დ ო უ ქ ა რ ე ბ ე ლ ი (უკვდავი): ს ი კ ე დ ი ლ დ ო უ ქ ა რ ე ბ ე ლ ვ ი კ ნ ე ბ ო დ ი, ე ს ჯ ა ვ რ ი რ ო მ ა რ მ ქ ო ნ ო დ ა..., ი კ ვ ნ ა კ რ ა ვ ი (საეჭვო კაცი), ს ხ ა ლ კ უ ჯ რ ე (მსხლის ჯიში), ძ ა ლ უ მ ა დ უ რ ი (უგემური), გ ვ ა რ ძ ა დ ლ ი (კაცი, რომელსაც ცუდი ჩვევები გვარიდან მოდგამს).

პირველი კომპონენტი რთული სახელისა ფუძეა, მეორე კინონობითობის ა-სუფიქსითაა წარმოქმნილი, რომელიც ხშირად -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ყალიბში ექვევა, რის შედეგადაც -ა -ე-თი იცვლება: შ ა ქ ა რ ვ ა შ ლ ა, ბ ა მ ბ ა ვ ა შ ლ ა, ო რ ჯ ყ ა პ ა ბ ა ტ ა (ჯოჯი, რომელსაც ორი კაპი აქვს), ქ ა რ ც ხ ე ლ ა (ცხელი ქარი), ქ ა ჯ ე კ ა ლ ე (მცენარე, რომელსაც დიდი ეკლები აქვს), გ უ ლ მ ა გ ა რ ე (საქონლის ღვიძლი), გ ო რ მ ა ლ ა ლ ა (მაღალი გორა), ც ი ე ქ ა რ ე ლ ე (ცივი ქარი): ც ი ე ქ ა რ ე ლ ე ა რ უ ნ დ ა მ ი ე კ ა რ ო ს... თ ა ე ბ ე ლ ა ტ ე (მელოტი კაცი), ხ ა რ ს ა ბ ე ლ ა (ხარის დასაბმელი).

პირველი კომპონენტი ნათესაობითშია, თუმცა თანხმონებითი ელემენტი არ ჩანს, ხოლო მეორე კომპონენტი—სახელობითში: თ ა ვ ი ს ა ხ ლ ი, ს ა ხ ლ ი შ ე ი ლ ი, ს ა ხ ლ ი კ ა ც ი, გ უ ლ ი ბ ი რ ი.

როგორც აქ დასახელებული მაგალითებით ირკვევა, შედგენილობის მხრივ კომპოზიტები ან ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი უ რ ი ა (არსებითი სახელი+არსებითი სახელი) ან ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი უ რ -ა დ ი ე ქ ი ტ ი უ რ ი (არსებითი+ზედსართავი და პირუკუ), ან ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი უ რ -პ ა რ ტ ი ც ი პ ი უ ლ ი (არსებითი+მიმღეობა), ვხვდებით ნუმერალურ-სუბტანციურ

(რიცხვითი სახელი+არსებითი) და ადვერბიალურ-სუბსტანციურ (ზმნისართი+არსებითი) კომპოზიტებსაც, თუმცა, როგორც ვთქვით, ჭარბობს სუბსტანციურ-ადიექტიური და სუბსტანციურ-პარტიციპიული წარმოება. ნუმერალურ-სუბსტანციური და ადვერბიალურ-სუბსტანციური წარმოების კომპოზიტების თითო-ოროლა მაგალითი დასტურდება მხოლოდ.

ზემოდასახელებული სუბსტანციური ტიპის კომპოზიტებს: გვარ-ძალი, ქაჩეკალი, ბაჭბავაშლა, შაქარვაშლა... აქ დავუმატებთ: გულ-ნაწლავს.

სუბსტანციურ-ადიექტიურია: ქარცხელა, გორმალა, გულმაგარე, თავბეღელატი, დღეასქელი (დღესასწაული): უწინ, შვილო, სხვა დღეასველები იცოდენ..., მუცელკარქი, ხელტორიანი, გულბრახიანი, ძალუშადური, პირშიშველი, რცხილაკვანჯლი (რცხილის დაგრეხილი ხე): ერთი რცხილაკვანჯლი მიდგას ეზოში...

ადიექტიურ-სუბსტანციურია: ციექარელი, შავბარდა, (ყურძნის ჯიში), ცოცხალთვალემა, მაგარგულა, ჭრელფართალი.

სუბსტანციურ-პარტიციპიული ტიპის კომპოზიტებში მეორე კომპონენტი უმეტესწილად უარყოფითი მიმღეობა ან ნამყოს მიმღეობა ვნებითი გვარისა: სიკვდილდოუქარებელი, ხელში-უქარებელი, ხელგოუხსნელი: ჩვენი მეზობლის მიცვლებული ჯერეთ ხელგოუხსნელია..., ენამოკვართული (მახვილი ენის მქონე), ხანდამწვარი (უდროოდ გარდაცვლილი), ცრემლგამშრალი, ზაფმოტენილი (ძალზე დაღლილი), ფერდაკთული (ფერდაკარგული), რქამოტენილი, თავმიძაგრული (თავშიბმული): ძროხა ეგერაა თავმიძაგრული...

კომპოზიტის მეორე კომპონენტად მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობაც გვაქვს: გვარამოსაწყვეტი, სახელ-მოსაპობი, რქამოსატენი, ხარსაბმელი.

ნუმერალურ-სუბსტანციური ტიპის კომპოზიტების ნიმუშებად შეიძლება დაგვესახელებინა: ორბოძალა, ორქყაპატა.

ადვერბიალურ-სუბსტანციური კომპოზიტის ნიმუშია: წი(ნ)-კარი.

უარყოფითი ნაწილაკია კომპოზიტის პირველი კომპონენტი —
ა რ ა კ ა ც ი.

ღიალექტი, რომლის განვითარება კონტროლს არ ექვემდებარება, კომპოზიტთა თავისუფალი და მრავალფეროვანი წარმოების ნიშნულს გვაწვდის.

ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა

რიგი თავისებურებაა დაკავშირებული სახელზნის წარმოებასთან ქვემოთმხრობაში. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მასდარს.

აღსანიშნავია, უწინარეს ყოვლისა ეს ფაქტი, რომ სახელზნის წარმოებზე თავისებურება, საზოგადოდ, უკავშირდება როგორც ფუნქციის, ისე საწარმოებელი ელემენტის ცვლილებას, მაგრამ ამას გარდა რიგი გადახრები გამოწვეულია იმით, რომ ენაში არსებულ პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის მოხმარების არე ფართოა, მეორესა — შესამჩნევად ვიწრო.

-ნ-არიანი საწყისის ფორმები, რაც ეგრეტივად არის გაგრძელებული სალიტერატურო ქართულში, ქვემოთმხრობაში საერთოდ არ დასტურდება: პოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა, ძოვ-ნ-ა... აქ ყოველთვის -ნ-ს გარეშე წარმოდგენილი: ძაან გოუქირდა შოვა..., დოუწყო თხოვა..., ჩემ ნიკორას ბალახის ძოვა კარ მოწყინდება...

მასდარებში: სიცილი, სირბილი, ძილილ-ს ადგილას თითქმის უგამონაკლისოდ გვაქვს: -ნ: სიცინი ადამიანს უხდება..., არ შეიძლება ამდენი სირბინი..., აკაკს თურმე ძინი ძაან უყვარდა...

ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით -ნ-ს არსებობა დასახელებულ ფორმებში გამართლებულია [66(564)], მაგრამ საექვოა, რომ ქვემოთმხრობაში ამ მხრივ უძველესი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება იყოს დაცული. ბგერათსუბსტიტუციის, როგორც აქტიურად მოქმედი ფონეტიკური პროცესის პირობებში, ასეთი ფორმების არქაულობა, ვფიქრობთ, გამოირიცხებულია. აქ -ლ-ს -ნ-თი შენაცვლების უბრალო ფონეტიკურ ფაქტთან უნდა გვეკონდეს საქმე.

მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისის წარმოება.

როგორც ცნობილია, საწყისი იწარმოება ზმნის აწმყოს (ან მყო-

ფადის) თემაზე -ა სუფიქსის დართვით. რადგან საწყისის საწარმო-
 ებლად 1-ლი სერიის თემა საჭირო, ამის გამო თავისთავად ცხადია,
 რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისის ფუძეში -ე უნდა იყოს და
 არა -ი. ე. ი. უნდა გვექონდეს: გ რ ე ხ ა და არა გ რ ი ხ ა, ჟ ლ ე ტ ა
 და არა ჟ ლ ი ტ ა. კ ბ ე ნ ა და არა კ ბ ი ნ ა, თუმცა ქვემოიშერულში
 სწორედ ეს უკანასკნელი ფორმებია გავრცელებული, მაგრამ არა
 იმიტომ, რომ ამოსავალ ფუძედ აქ საწყისი II სერიის თემას
 იყენებს, არამედ იმის გამო, რომ ყველა ფუძედრეკადი ზმნა
 -ავ თემატურ სუფიქსს დაირთავს I სერიის ფუძეზე უნიფორ-
 მაციის ტენდენციის მოქმედების შედეგად: წყვიტავს, კრი-
 ქავს..., ამიტომ ისინი, ჩვეულებრივ, ორთემიან ზმნათა
 რეგში გადაირიცხებიან და საწყისს წესისამებრ, აწმყოს ფუძიდან
 აწარმოებენ: დეიწყო უშნოთ ბ ზ ი კ ვ ა..., დოუკვირი და მესმის რაც-
 ხა ქ შ ი ნ ვ ა..., ისტავლა ღ რ ი ნ ვ ა..., მოუხთა მაგას თმის გაკ-
 რ ი ჭ ვ ა..., ჩავერით ყურძენს საწნახელში და დევიწყებთ ფეხით
 ჭ ყ ლ ი ტ ვ ა ს..., ვაშლი კ რ ი ფ ვ ა თელი დღე არაა აღვილი საქ-
 მე..., ეტაკა და დოუწყო კ პ ი ნ ვ ა...

მ ი მ ლ ე ო ბ ა

მიმღობის ფორმები ქვემოიშერულში ყურადღებას იქცევს რო-
 გორც ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით, ასევე ფორმათა წარმოე-
 ბის ნარჩავაც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როგორც ყველა სხვა შემთხვევა-
 ში, მიმღობის წარმოების დროსაც ცხადად შეიმჩნევა ნაირ-ნაირ
 ფორმათა გავრთფორმიალების ტენდენცია, რასაც საფუძვლად სხვა-
 დასხვა სახის ცვლილებები უდევს.

მოქმედებითი გვარის მიმღობის ძირითად მაწარმოებლად მიჩნე-
 ულია პრეფიქსი -მ, ხოლო დამატებით შეიძლება მიმღობის ფორ-
 მას დაერთოს -ელ სუფიქსი. ეს უკანასკნელი მხოლოდ ი-ნიან
 ზმნათა მიმღობაში არის აუცილებელი, სხვა შემთხვევაში კი სუ-
 ფიქსი შეიძლება დაერთოს, შეიძლება — არა [66(570)], შედეგად
 ვლდებულობთ პარალელურ ფორმებს: გ ა-მ-ტ ე ხ ი||გ ა-მ-ტ ე ხ-ე ლ-ი,
 დ ა-მ-გ რ ე ხ ი||დ ა-მ-გ რ ე ხ-ე ლ-ი, ა-მ-რ ე ვ-ი||ა-მ-რ ე ვ-ე ლ-ი.

აღსანიშნავია, რომ პარალელურ ფორმათაგან ქვემოიშერულში
 გავრცელებულია მხოლოდ პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოება. მარ-

ტოდენ პრეფიქსით წარმოქმნილი მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმები ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებში არ ჩანს: ოჯახს გა მ- ყ ო ფ ე ლ ი გ ო უ ჩ თ ა, ბ ა ტ ო ნ ო ..., ჩვენ ამ საქციელის და მ გ მ ო ბ ე- ლ ი ვ ა რ თ ..., ევგრაფი ფოლადის გა მ ო მ დ ნ ო ბ ე ლ ი მ უ- შ ა ა ..., იხარა იმის შე მ კ ე რ ვ ე ლ მ ა ..., შვილის და მ კ ა რ გ ვ ე ლ ი დედა ვარ, ბატონო..., მიწის და მ ბ ა რ ვ ე ლ ი ს მეტს რას ვიშოვი, შე ქალო..., ცეცხლის და მ თ ე ბ ე ლ ი ა ლ არ დარჩა ოჯახში..., ამის და მ წ ე რ ე ლ მ ა იხარა..., დიდნი ამ რ ე ვ ე ლ ი ბიჭია ეს ჩვენი ზუ- რიკონე..., იყვირენ ხალხმა ფიცის გა მ ტ ე ხ ე ლ ი ა მაგიო..., ჭუ- რის მ რ ე ც ხ ვ ე ლ ი ა ეგი კაცი..., ვინაა მაგის და მ თ ე ს ე ლ ი, შვილო.

-ილ და -ულ ელემენტების გამოყენება ვნებითი გვარის მიმღე- იბის საწარმოებლად ლიტერატურულ ქართულში გარკვეულ წესს ექვემდებარება [66 (574)]. ქვემოთმხრობაში კი -ილ-ის ადგილას ხში- რად -ულ გამოვლინდება და პირუკუ, -ულ-ის ნაცვლად გვაქვს -ილ.

-ილ და -ულ ელემენტების ისეთი მონაცვლეობა ქართული ენის აზრ სხვა დიალექტებისათვის არის უცხო. მოგვყავს მაგალითე- ბი ქვემოთმხრობის მეტყველებიდან: სიმინდი მ ო ტ ა ნ უ ლ ი ა ..., ეზო შე მ ო ლ ო ბ უ ლ ი ა ქვიტიკირით..., გოგე რო და ქ ი რ უ- ლ ი ა, ვინ იცის ეგი..., და ბ ე კ ტ უ ლ ი ყოფილა გაზეთში..., გა თ- ხ ო უ ლ ი კი იყო..., მ ო თ ხ უ პ ნ უ ლ ი აქვს ცხვიმპირი...,

გვაქვს საპირისპირო: გა მ ზ ა დ ი ლ ი მაქ ვახშამი... და წ- ყ ი ლ ი ა მუშაობა..., ა ვ ს ი ლ ი ა რა ხანია შენი ჭურჭელი..., შე ვ- ს ი ლ ი ა უკვე სია..., და ძ ა ხ ი ლ ი ა ციალაზე..., ა ნ თ ი ლ ი ა ს ა ნ- თ ე ლ ი ..., და დ ე ბ ი ლ ი იქნება მაქანე საღმე და მონახე...

ასეთ შემთხვევებში ვნებითი გვარის მიმღობის საწარმოებელი მეორე სერიის ფუძეს დაერთვის.

სალიტერატურო ქართულს მოქმედებითი გვარის ფუძისაგან ნა- ნაწარმოები მიმღობის ფორმები: გა თ ბ ო ბ ი ლ ი, და დ ნ ო ბ ი- ლ ი და მისთ. ოდნავ განსხვავებული აქვთ, ვიდრე სათანადო ვნე- ბითი გვარის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები: გა მ თ ბ ა რ ი, და მ- დ ნ ა რ ი და მისთ. გა თ ბ ო ბ ი ლ ი ა ის, რაც გაათბეს, ხოლო გა მ თ ბ ა რ ი ა ის, რაც გათბა [66 (572)].

„მიუხედავად ისეთი განსხვავებული მნიშვნელობითი ნიუანსისა, რომელაც ახლავს სხვადასხვა გვარის ფუძისაგან წარმოქმნილ წყვი- ლის ცალგებს (გამთბარი და გათბობილი, და მ დ ნ ა რ ი და და დ ნ ო ბ ი ლ ი), სალიტერატურო ქართულში მაინც უნიშნო

ვნებითის მიმღეობას თითქმის მთლიანად განუდევნია სათანადო მოქმედებითი გვარის ფუძისაგან პირდაპირ ობიექტური პირისათვის ნაწარმოები მიმღეობა, ვინაიდან „გ ა თ ბ ო ბ ი ლ ი“ და „დ ა დ ნ ო ბ ი ლ ი“ და მისთ. შესაძლებელი ფორმებია, მაგრამ ნაკლებად ხმარებული“ [66 (573)].

ქვემოიშვებულში კი, პირიქით, გავრცელების ფართო მასშტაბი სწორედ მოქმედებითი გვარის ფუძისაგან -ილ სუფიქსით წარმოქმნილ ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმებს აქვს, უნიშნო ვნებითისაგან მ—არ (დისიმილაციით მ—ალ) პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ფორმები (დამკეცნარი, გამხმარი, გამომცხვარი, გამქრალი) იშვიათი გამონაკლისის გარდა არ დაგვიდასტურებია: რა ხანია წყალი გ ა თ ბ ო ბ ი ლ ი ა..., თოვლი და დ ნ ო ბ ი ლ ი ა..., წვანილი ბოსტანში თლათ გ ა დ ა კ ე კ ნ ო ბ ი ლ ი ა..., ამ წვიმებით ყველაფერი და ლ ბ ო ბ ი ლ ი ა..., ყველი და ლ ბ ო ბ ი ლ ი ა..., სარეცხი გ ა შ რ ო ბ ი ლ ი ა..., ჭაღი გ ა მ ო ც ხ ო ბ ი ლ ი ა..., ხ ე ე ბ ი გ ა ხ მ ო ბ ი ლ ი ა..., სინათლე ჩ ა ქ რ ო შ ი ლ ი ა..., საქმე წ ა ხ თ ო მ ი ლ ი ა..., ე. ი. უნიფორმაცია -ილ სუფიქსის სასარგებლოდ წარიმართა.

საკვლევი ობიექტისათვის უცხოა ის მნიშვნელობითი ნიუანსი, რომელიც სალიტერატურო ენაში ერთიმეორისაგან განასხვავებს ერთი მხრივ, გ ა თ ბ ო ბ ი ლ, და დ ნ ო ბ ი ლ, გ ა შ რ ო ბ ი ლ და, მეორე მხრივ, გ ა მ თ ბ ა რ, და მ დ ნ ა რ, გ ა მ შ რ ა ლ და მისთ. ფორმებს [შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, 66(572)].

სუფიქსურ წარმოებას მიმართავს ჩვენი დიალექტი იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში პრეფიქსური წარმოება გვაქვს: -ნა პრეფიქსით წარმოქმნილი მიმღეობის შემთხვევები ქვემოიშვებულში საძებარია, მას -ულ სუფიქსიანი წარმოება ცვლის, ასე, მაგალითად, იტყვიან: ს ტ ა ე ლ უ ლ ი კ ა ც ი ა (ნაცვლად ნასწავლისა)..., ძველიდანვე თ ქ მ უ ლ ი ა (ნაცვლად ნათქვამისა)..., კარგად ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი ა (ნაცვლად ნახმარისა)...

წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულ იმ მრავალი საშუალებიდან, რომლებიც ენას გააჩნია, ერთ-ერთის შერჩევა და მისი დამკვიდრება მეტყველებების უნიფორმაციის ტენდენციის მოქ-

მედების შედეგია. უნიფორმაციის ტენდენციით გამოწვეული ცვლილებები კი, როგორც ზემოთაც დავინახეთ, საკვლევ ობიექტში საკმაოდ მრავლადაა.

მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობა ჩვეულებრივ პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება: სა—ელ; გასაკეთებელი, გასამწარებელი, გასამდიდრებელი და მისთ., მაგრამ ხშირად მიმღეობას აწარმოებს მხოლოდ -სა, -ელ კი არ ჩანს. სახელი მაქვს ასაშენი..., იგი ხე გასათალია..., ეს საქონელი გასაყიდი..., ეთობი არ ვარგა, გამოსაცვალია..., რა არი ნეტა მოსარიდი..., ყანა სათოხნი და მომეხმარეთ პატარა..., წასავალი ვარ ერთ ადგილას..., გასარები ვარ ჩემ ძმასთან..., ხე მაქვს მოსაპერი... ძვლები მაქვს გადასაყარი..., ეს ადგილი მოსახარია...

ზოგჯერ -ელ წარმოდგენილია, მაგრამ არ ჩანს თემატური სუფიქსი: რაია დასამდურელი..., საქონლის საკმელი მაქვს მოსადუღელი..., ამას თავისი დასაკიდელი ქონდა, რო უყავი..., ძნელი მისაკარელია ეს ძაღლი...

ქვემოიმერულის სამტრედისულისა და წულუკიძურ თქმებში ყურადღებას იქცევს ორმაგი წარმოების უარყოფითი მიმღეობის ამგვარი ფორმები: უდოუწერელი, უგოუთლელი, უდუუჯერებელი, უგოუწურავი, უგოუგებარი, უგოუთხოვარი, უგოუკეთებელი, უდოუდგომელი.

წულუკიძურ მეტყველებაში ამგვარი ფორმების არსებობის შესახებ მიუთითა შ. ძიძიგურმა და სათანადოდაც გაანალიზა [20(156)]. მსგავსი ვითარება დამახასიათებელია ქვემოიმერულიდან ტერიტორიულად დაშორებული ინგილოური დიალექტისათვის [92(126)]. გვხვდება აქარულშიც [93(16)].

მოვლენა ორმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, იგი არაა საერთო ქვემოიმერული. დამახასიათებელია, როგორც ვთქვით, მხოლოდ წულუკიძური და სამტრედისული თქმებისათვის, ამის გამო შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთი საკლასიფიკაციო წინშეულებად ქვემოიმერულის კილოკავური დიფერენციაციისათვის დიალექტურ ერთეულებად. და მეორე, უარყოფითი მიმღეობის ორმაგი წარმოება (უგოუკეთებელი, უდოუწერელი, უდოუჯერებელი) თავისებურებათა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომლე-

ბიც, საზოგადოდ, წარმოიშობიან ტერიტორიულად ძალზედ დაშორებულ დიალექტურ ერთეულებში.

ზ მ ნ ა

სალიტერატურო ენასთან და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში რიგ თავისებურებას ამჟღავნებს ქვემოთმეორული ზმნის ფორმათა წარმოების თვალსაზრისითაც. განვიხილავთ მთავარს.

ზ მ ნ ის წ ი ნ ი

ზმნისწინი ქვემოთმეორულში მხოლოდ მასალობრივად განსხვავდება სალიტერატურო ქართულის ზმნისწინისაგან, ფუნქციით — არა. სხვაობა უპირატესად ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული. არის სხვა მიზეზიც, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ზმნისწინის გარეგნული ფორმის შეცვლაში.

ზმნისწინის ხმოვნურ შემადგენლობაში მომხდარი ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები, დამახასიათებელი, საზოგადოდ, დასავლური კილოებისათვის და მათ შორის ქვემო იმერეთის რეგიონებს მცხოვრებთა მეტყველებისათვის, დაწერილებით გვაქვს განხილული ნაშრომში „ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში“ [16(217 — 270)], ამიტომ ამაზე აქ ყურადღებას აღარ შევჩერებთ.

ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილი ცვლილებას განიცდის ან ასიმილაციის, ან კიდევ დისიმილაციის საფუძველზე ფუძისეული ხმოვნის გავლენით. შედეგად ვღებულობთ: დ ე ი წ ყ ო (> დ ი ო წ ყ ო), გ ა მ უ ე კ ო - და (< გ ა მ ე ე კ ი და), შ ი ე შ ი ნ და (< შ ე ე შ ი ნ და) და მისთ. ფორმებს.

აღნიშნული მოვლენის განხილვას ქართული ენის სხვა კილო-თქმებთან მიმართებაში მივყავართ იმ დასკვნამდის, რომ პრევერბისეული და ზმნის ფუძისეულ ხმოვანთა შეხვედრის პოზიციაში წარმოქმნილი ეს ცვლილებები მეტნაკლებად დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის, ამის გამო ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნენ დიალექტურ სხვაობათა მოშლისა და მათი ნიველირების

ძალუმ ფაქტორად და ამდენად კონვერგენციის პროცესის გამობატულებად.

-გადა ზმნისწინი არც ისე იშვიათად სიტყვაში რეალიზებულია -გა-რ-ა-ს სახით, დაკარგულია დ ბგერა: გარააგდო, გარაწყვიტა, გარაშალა...

-მო ზმნისწინი -მა-ს გვაძლევს მხოლოდ და მხოლოდ -მ-ს წინა პოზიციაში, სხვა შემთხვევაში — არა: მამკლა, მამიტანე, მამკიდა...

ზმნისწინებში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთ იყო განხილული, პოზიციური ხასიათისაა.

ზმნისწინთა ხმოვნურ შემადგენლობაში ცვლილებას ზოგჯერ სხვა საფუძველიც აქვს. მაგალითად, -შემო ზმნისწინი ქვემოთმერულში თითქმის უგამონაკლისოდ ყოველთვის გვაძლევს -შამო-ს: შამოხეთა, შამეიტანა, შამეიყვანა...

-შემო ზმნისწინის -შამო-ს სახით გამოვლენა არაკომბინატორული ცვლილების ნიმუშს წარმოადგენს. მაინც რა მიზეზით შეიძლება აიხსნას ეს ცვლილება?

ჩვენ მიერ ეს მოვლენა ადრე ანალოგიის საფუძველზე იყო ახსნილი. -შამო მიღებულია -აშო, -გაშო, -ჩაშო, -წაშო პრევერბთა ანალოგიით [16(252)].

-შე და -შა პრევერბთა დიალექტური ვარიაციების ისტორიული შემდგომადობის საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით გ. ცოცანიძეც შემდეგში -შამო ვარიანტს დასახელებულ ზმნისწინთა ანალოგიის საფუძველზე მიღებულად თვლის [95(122)].

არც ისე იშვიათად აქვს ადგილი ზმნისწინთა მონაცვლეობას. სალიტერატურო ქართულის -შე ზმნისწინი შეცვლილია -გა-თით: ღმერთმა ნუ გამაძულოს შენი თავი..., კირივით გაძულდა იქაურობა.

-და ზმნისწინის ადგილს ხშირად იკავებს აგრეთვე -გა: გამამიწყტა ყოლიფერი..., წვიმამ გააპირა მოსელა..., არ გამძრა ხოთახლა...

-მო-ს ზოგჯერ ენაცვლება -გა: ეშმაკი ვერ გაატყულებს (მოატყულებს), ისეთი ქალია..., ქათმი ხორცი მაქვს განატრებულნი..., ზოგ შემთხვევაში კი — და: დავატყუე დედაჩემი..., დამიშალა ამ ქალმა ნერვები..., ან პირიქით, -და-ს ნაცვლად გვაქვს -მო: ღვინოს მოთმობ...

-შე-ს ადგილს იშვიათად იკავებს -ღა-ც: დაწუხთა, ბიჰო, გუ-ლი..., ხოლო -ღა-ს ადგილს—ჩა: აქედან დიდი ჩაღმართი იწყება...

ზმნისწინთა ასეთი მონაცვლეობა ქართული ენის არც სხვა კილოე-ბისათვის ჩანს უცხო [55(91), 26(209), 86(41), 96(95)].

თავისთავად კი ზმნისწინთა ასეთი შეხაცვლება იმ ფაქტის ნათელი გაშვლენაა, როგორ შეიძლება ლიტერატურული მასალა დიალექტურად იქცეს, თუ ენაში ისტორიულად შემუშავებული დატრადიციით დამკვიდრებული ფორმა სხვა ფორმით შეიცვალა.

-გან ზმნისწინის თანხმობითი ელემენტი -ნ თითქმის უგამონაკლი-სოდ ეკედლება ფუძეს, შედეგად გვაქვს: გაანთავისუფლა, ანვითარებს, გაანწესეს, გაანცვიფრა, გაანიარა-ლა, გეინმტკიცა და ა. შ. ასევე, -წარ ზმნისწინის -რ ელემენტი ფუძის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ასეთ შემთხვევებში: წაარდ-გინა, წაარვლინა, წოურძღვა, გირდგენთ, გაარწ-პილა და სხვ.

ზმნისწინის საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით გვერდს ვერ აუუვლით კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს: -წა და -შო პრევერბთა ფუნქცია (ნათქვამს მიანიჭოს გარკვეული მოძალობა) ლიტერატურული ქართულისთვისაც არ არის უცხო. -წა-ს შესახებ, მაგალითად, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, ნათქვამია: „წა აღნიშ-ნავს, რომ მოქმედება ზერელეა, სახელდახელოა: ხელს_წაიბანს, წაისაუზმებს“ (ტ. VIII, გვ. 789). ოდნობით ელფერს აძლევს აგრეთვე ნათქვამს -შო ასეთ შემთხვევებში: მოისუსტებს, მოიპატა-რავენებს...

მაგრამ ცოცხალი სასაუბრო მეტყველება საზოგადოდ და კონკრე-ტულად კი ჩვენთვის საკვლევი ობიექტი იმით განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან ამ მხრივ, რომ ისინი კიდევ უფრო ფართოდ უკაფავენ გზას ოდნობითი შინაარსით დასახელებული პრევერბების გამოყენებას. აქ ხშირად შეიძლება სხვადასხვა ფუძეს დაერთოს -წა და -შო პრევერბები აღნიშნული ფუნქციით. აღამიანის სახელებიდა-ნაც და გვარებიდანაც კი იწარმოება ზმნური ფორმები თავისებური ნიუანსით: სტუმარმა წეიდიდგულა და გარეთ გავარდა..., წეი-ს აყვარლა ქალაქში ჩემა შეილმა და ქეღვენგრა ოჯახი..., წეი-ბინძურებს ცოტათი ე შენი კაბა..., აცალე, თუ კაცი ხარ, წეიმ-

ღერებს პატარას და მოვა მერეთ... წეიგოგოებსე შენი პატარა ბიჭი... ლამაზი არაა, მარა მეილა მამაზებს ვითამ... მეიგროლებს პატარას და გამოუშობ გარეთ... მეიტირა ცოტა და გაჩერდა მასკვან... მეიმეტიჩრებს პატარას ეს ჩვენი სტუმარი...

სახელებიდან და გვარებიდან ასეთი ფორმები ხშირად იწარმოება მაშინ, როცა მოუბარ პირს სურს ერთი ადამიანის გვარის თვისება მიაწეროს მეორეს ზერელე ნიუანსით: წეიჩიჯავაძებს, წეიჩხეიძებს, წეიბეშკენაძებს, წეითამარებს, მეიმაყვალებს, მეიეთერებს და მისთ:

ზმნის პირი და რიცხვი

კონვერგენციის პროცესის ერთ-ერთი გამოხატულებაა პირის ნიშნთა ერთგვარი ევოლუცია, რაც წარმოიშობა ფონეტიკურ ნიადაგზე სხვადასხვა კილოში.

ქვემოიმერული ამ შემთხვევაში აქტიური მონაწილეა იმ საერთო ცვლილებებისა, რომელთა საფუძველზე დიალექტებს შორის არსებული სხვაობა თანდათანობით იშლება.

წინამდებარე გამოკვლევაში, ცხადია, ჩვენ არ შეგვხვებით იმ პოზიციურ რეფლექსებს, რომლებსაც გვაძლევს პირის ნიშნები ქვემოიმერულში და რომლებიც ერთნაირად დამახასიათებელია თუ ყველა კილოსთვის არა, უმეტესობისათვის მაინც. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ არსებითი ხასიათის იმ ორიოდ თავისებურებაზე, რომლებსაც შესწევთ უნარი ინდივიდუალობა მიანიჭონ საკვლევ ობიექტს ამ თვალსაზრისით.

საგულისხმოა ამ მხრივ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის -ვ-ს გაუჩინარების შემთხვევები ორ ხმოვანს შორის, რასაც შედეგად ხმოვანთა კომპლექსის ცვლილებაც სდევს: გამუალთ < გამოალთ < გამოვალთ, გამუასწართ < გამოასწართ < გამოვასწართ, მუახერხეთ < მოახერხეთ < მოვახერხეთ, მუალ < მოალ < მოვალ, გამუათხოვე < გამოათხოვე < გამოვათხოვე, გამუეკიდეთ < გამოეკიდეთ < გამოვეკიდეთ...

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, -ვ-ს დაკარგვის შედეგად წარმოქმნილ -ოა, -ოე კომპლექსებში დისიმილაციური ხასიათის ცვლილებაც ხდება, რის შედეგადაც ვღებულობთ -უე, -უა კომპლექსებს.

მეორე პირში დასახელებულ კომპლექსებს ასეთი ცვლილება არ მოუდის: მო ა ხ ე რ ხ ე (შენ), გა მ ე ე კ ი დ ე (შენ), გა მ ო ა თ ხ ო ვ ე (შენ), შ ე მ ო ე ს წ ა რ ი თ (თქვენ).

კომპლექსის უცვლელად შემონახვა მეორე პირში სემანტიკური ფაქტორით არის გაპირობებული: შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ ი ს ხ ვ ა ო ბ ა ფ ო რ მ ი ს მ ხ რ ი ვ ა ც ს ა კ ი რ ო ე ბ ს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა ს.

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში არ იხმარება. ამ მხრივ ქვემოიშვრული რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებს, იგი არც აქ გვხვდება.

მე-3 სუბიექტური პირის ნიშნადაც ისეთვე ფორმანტებია გამოყენებული, როგორც სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებში, ოღონდ სტატიკურ ზმნათა დიდი წილი აქ ა-თი ბოლოვდება: დ ვ ი ა, წ ვ ი ა, ღ ვ ი ა, ჯ დ ი ა...

ყოველთვის, თითქმის უგამონაკლისოდ, ე. წ. „ყვიის“ ტიპის ზმნები ამგვარადვე ფორმდება III პირში. ა-ს უკავშირდება მესამე პირის გაგება: ყ ვ ი ა, ბ დ ა ვ ა, კ ი ვ ა, ღ ვ ი ვ ა, კ ნ ა ვ ა, ბ ზ უ ა, უ ი ვ ა, ყ ვ ა ვ ა, მ ო შ ხ უ ა, ღ მ უ ა, ჩ ხ ა ვ ა და ა. შ.

შეიძლებოდა ეს ცვლილება უნიფიკაციის ტენდენციის გამოვლენად მიგვეჩნია სტატიკურ ზმნათა დაბოლოებაში.

პირველი ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში, ჩვეულებრივ, -მ პრეფიქსით არის წარმოდგენილი, ასევე მეორე ობიექტურ პირს -გ პრეფიქსი გამოხატავს, თუმცა იგი გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციასაში რეალიზდება ქ და კ რეფლექსების სახით (ამ რეფლექსების წარმოშობის მიზეზებზე ჩვენ მსჯელობა უკვე ფონეტიკურ ნაწილში გვქონდა).

მე-3 ობიექტური პირის ნიშანი (არც პირდაპირისა და არც ირიბის) ზმნაში ისევე არ აღინიშნება, როგორც მე-2 სუბიექტური პირისა: მ ი წ ე რ ა, თ ხ ო ვ ა, კ ი თ ხ ა.

განსხვავებას სალიტერატურო ქართულთან და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში ხელშეშახებად წარმოგვიდგენს ჩვენთვის საკვლევეი დიალექტი ზმნის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით მრავლობით რიცხვში. მხედველობაში გვაქვს რღგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის მრავლობითის წარმოება.

პირველი და მეორე პირის სუბიექტის სიმრავლის ზმნაში გამოხატ-

ვის თვალსაზრისით ქვემოთმერულში ისეთივე ვითარებაა, როგორც სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში (მხედველობაში გვაქვს პირდაპირი წყობის ზმნა). მრავლობითის ფორმა, როგორც წესი, იწარმოება -თ სუფიქსით: ჩვენ ვ მ უ შ ა ო ფ-თ, ჩვენ გამოვა ჩ ე ნ-თ... თქვენ მ უ შ ა ო ფ-თ, თქვენ გამოა ჩ ე ნ-თ.

სხვა მდგომარეობა გვაქვს III პირში. სუბიექტის პირისა და რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსთაგან: -ეს, -ენ, -ნენ, -ნ, -ან აქ ძირითადად გამოყენებულია -ენ და -ნ ფორმანტები.

-ეს სუფიქსი III სუბიექტური პირის მრავლობითობას იშვიათად გამოხატავს ქვემოთმერულში. მის მაგივრობას -ენ ეწევა: და წ ე რ ე ნ, გა ა კ ე თ ე ნ, და მ ა ლ ე ნ..., თუმცა ამ მოვლენას საერთო ქვემოთმერულად ვერ ჩავთვლით*.

რაც შეეხება -ან ფორმანტს, რომელიც სალიტერატურო ქართულში, ერთი მხრივ, -ი ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს დაერთვის: თ ლ ი ა ნ, ჰ რ ი ა ნ, მ კ ი ა ნ, ყ რ ი ა ნ, შ ლ ი ა ნ და მისთ. ხოლო, მეორე მხრივ, გვხვდება სტატიკურ ზმნებთან: წ უ ხ ა ნ, დ გ ა ნ ა ნ, დ უ მ ა ნ..., ქვემოთმერულში საერთოდ არ დასტურდება. მას აქ ყველა შემთხვევაში -ენ სუფიქსი ცვლის.

ასე რომ გავრცელებულია: თ ლ ი ე ნ, ტ ი რ ი ე ნ, მი დ ი ე ნ, გ ო თ ო ხ ნ ე ნ, გა და წ ყ ვ ი ტ ე ნ, წ უ ხ ლ ა რ ი ე ნ, დ გა ლ ა რ ი ე ნ...

-ნ ფორმანტი კი კავშირებითის ფორმებთან გამოხატავს მრავლობითობას: რო ე მ ზ ა დ ე ბ ო დ ე ნ, ახლა უკვე დროა..., დროზე რო გა ა კ ე თ ე ბ დ ე ნ ამ გზას... მაგრამ გარდა -ენ და -ნ ფორმანტებისა III პირის სუბიექტის მრავლობითობა ქვემოთმერულში წარმოდგენილია -ყ ე (ნ) ნაწილაკითა და მისი ფონეტიკური ვარიანტებით: -კ ე ნ, -წ ყ ე ნ, -ენ:

რო ა მ ე ი ლ ო ს-ე ნ..., რო მ ო მ ი ტ ა ნ ო ს-ე ნ, ქე მინდა, მარა სა-თაა..., რო და წ ე რ ო ს-ე ნ, ქე ეშინიათ..., კავი და ურემი თუ უნდენ, ქე წ ე ი ლ ო ს-კ ე ნ..., რა ვქნა ახლა, კარქათ ი ყ ო ს-კ ე ნ..., აგერ ჩ ა ნ-კ ე ნ, ჩვენკენ მოდიენ..., ახლა რო მ ე ვ ი ლ ო დ ე-წ ყ ე ნ, კარ-

* საველისხმოა, რომ მიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში გარდამავალ ზმნებს ნამყო ძირითადის მე-3 პირში სუბიექტის სიმრავლის აღსანიშნავად უფრო ხშირად -ეს სუფიქსი დაერთვის: და წ ე რ ე ნ, გა ა კ ე თ ე ნ, დამალეს..., რაც ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნულებად უნდა ჩაითვალოს, მათი ცალკე დიალექტურ ერთეულებად (თქმებად) გამოყოფისათვის.

ქია... სტუმრებმა ჰიშქართახ დე ი ძ ა ხ ე ს-წყ ე ნ..., რო დ ე ი ლ ე-
ბო დ ე-წყ ე ნ ამდენი თამაშით კარქი იქნება...

მე-3 სუბიექტური პირის საწარმოებლად -ყე(5) ნაწილაკისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების გამოყენება პირდაპირი წყობის ზმნაში ქვე-
მოიმიგრულისათვის ინდივიდუალურ თავისებურებას წარმოადგენს.

არის მოსაზრება გამოთქმული, რომ -ყ ე(5)||-კ ე(5) ნაწილაკის ეს უც-
ნობი ფუნქცია აქ „მერმინდელი ბუნებისაა“. „ამ ნაწილაკმა ჩვენს
დიალექტში სუბიექტური ფუნქცია შემდეგში შეიძინა, ვერბალური
ობიექტის რიცხვის ნიშანი გამოყენებულ იქნა ვერბალური სუბიექტის
პლურალობის აღსანიშნავად“ [98(165)]. აქ უკვე მეორე კითხვა ჩნდებ-
და: რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, სახელდობრ, ქვემოიმიგრულ-
ში -ყე ნაწილაკის ფუნქციის გაფართოება?

ქართული დიალექტოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ
ქვემოიმიგრულში საერთოდ შეინიშნება -ყე(5) ნაწილაკის გლობალური
გამოყენების ტენდენცია. იგი აქ აღნიშნავს:

ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას: გა ც ო ც ხ ლ ო ს ყ ე ნ ღმერ-
თმა, შეილებო.

ბ) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს: გა მ ო კ დ ე ო ე ყ ე ც ხ ვ რ ე ბ ი ...

გ) მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის (resp. გრამატიკულ-
ლი ობიექტის) რიცხვს ინვერსიულ ზმნებში (როგორც გარდამავალში,
ისე გარდაუვალში): ქალი დ ო უ ნ ი შ ნ ი ა ყ ე ..., უ ყ ვ ა რ ყ ე ნ ე რ თ-
ქამეთი...

მოსალოდნელი იყო, ასეთ ვითარებაში -ყე(5) ნაწილაკთან დაკავში-
რებული წარმოდგენა მრავლობითობისა სტიქიურად გავრცელებუ-
ლიყო ყველა შემთხვევაზე და მას სუბიექტური პირის სიმრავლეც გა-
მოეხატა პირდაპირი წყობის ზმნაში. ასეც მოხდა. -ყე(5) ნაწილაკის
ფუნქციური ევოლუციის პროცესს ქვემოიმიგრულში მისი გაუნ-
ივერსალება მოჰყვა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია
კიდევ ერთი არსებითი ხასიათის გარემოება: სპეციალურ ლიტე-
რატურაში ადრე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ნაწილა-
კი სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად „ქვემოიმიგრულს შემოუ-
ნახავს მარტოოდენ კონიუნქტურ (resp. ბრძანებითის) ფორმებში“
[98(164)].

მაგრამ ქვემოიმიგრული დიალექტი, როგორც ზემოთ დავინახეთ,
განვითარების დღევანდელ ეტაპზე სხვაგვარ ჩვენებასაც გვაძლევს:
-ყე(5) ნაწილაკი და მისი ფონეტიკური ვარიანტები სუბიექტური პირის

სიმრავლეს გამოხატავს არა მარტო კონიუნქტურ (resp. ბრძანებითის) ფორმებში, არამედ თხრობითი კილოს ფორმებთანაც: დ ე ი ძ ა ხ ე ს წ-ყ ე ნ, ჩ ა ნ კ ე ნ, გ ო უ შ ვ ე ნ კ ე ნ, დ ო უ ძ ა ხ ე ნ კ ე ნ, მ ე ი ლ ხ ი ნ ე წ ყ ე ნ და მისთ.

ამ შემთხვევაში -ყენ ნაწილაკის ფონეტიკური ვარიანტები მეტწილად მრავლობითის მაწარმოებელ ელემენტს დაერთვის. ვლებულობთ მრავლობითი რიცხვის გაორმაგებულ ფორმას, სადაც სიმრავლის გამოხატვის უფლებით ორივე აფიქსი თითქმის თანაბრად არის აღჭურვილი.

ეს გარემოება მკვეთრად გამოავლენს იმ ტენდენციას, რაც -ყენ(ნ) ნაწილაკის ფუნქციური ევოლუციისათვის არის დამახასიათებელი ქვემოიშვრულში.

მართალია, მოვლენა აქ დღესდღეობით სრულიადაც არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, მაგრამ მის განვითარების პერსპექტივა ნათელია.

ცვლილება, რომელიც ამ ნაწილაკის ფუნქციის გაფართოებას მოჰყვა ქვემოიშვრულში, ერთნაირად არ არის დამახასიათებელი მასში შემავალი ყველა წვრილი დიალექტური ერთეულისათვის. იგი უფრო მისი დასავლური ზოლისათვის ჩანს ნიშანდობლივი. ყველაზე მეტად მაინც წულუკიძური მეტყველება გამოავლენს ამგვარ ფორმებს, წყალტუბოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაშიც ხშირად გვხვდებოდა მსგავსი შეშთხვევები, ასევე — სამტრედიულშიც, შედარებით იშვიათად არის დადასტურებული ვანურ თქმაში, თერჯოლურსა და ოკრიბულში კი -ყენ(ნ) ნაწილაკი საერთოდ არ გვაძლევს ფუნქციის გაფართოებას. თერჯოლურში ამ ფაქტს ახსნა ადვილად ეძებნება: -ყენ ნაწილაკი აქ ისედაც თანდათანობით უკვე თმობს თავის პოზიციებს. „მისი ფუნქციით გვევლინება -თ, ცნობილი რაპულიდან და კახურიდან. ეს პროცესი შენაცვლებისა აუცილებელია და, ალბათ, დამოუკიდებლად აღმოცენებული გეოგრაფიულად დაშორებულ კილოურ ერთეულებში“ [20(171)]. ასეთ პირობებში, ცხადია, -ყენ ნაწილაკი ფუნქციის გაფართოებას ვერ მოგვეცემა.

რაც შეეხება ოკრიბულს, მართალია, -ყენ-ს პოზიცია აქ შედარებით უფრო მყარია [შდრ. 99(176)], მაგრამ არც ისე მყარი, რომ მისი გამოყენების სიხშირეს აქ ფუნქციის გაფართოება მოჰყოლოდა.

ასე რომ ფორმათა ნაირფერობა და სიჭრელე, რაც საერთოდ შეიძ-

ლება ჩაითვალოს ქვემოიმერულის განმსაზღვრელ ნიშნად, ამ შემთხვევაშიც ხელშეახებად არის გამოვლენილი.

როგორც ჩანს, აღნიშნული ცვლილება დამოუკიდებლად ჩაისახა ქვემოიმერულის ზემოთ დასახელებულ თქმებში. ამ მხრივ მათ არც სხვა რომელიმე კილოს გავლენა განუცდიათ (ამის საფუძველი არც არსებობდა!), არც პირიქით მოუხდენიათ გავლენა მათთან უშუალო მეზობლობაში მყოფ დიალექტურ ერთეულებზე (შეიძლება კი!). წარმოიშვა იგი დამოუკიდებლად და გავრცელდა მხოლოდ გეოგრაფიულად განსაზღვრულ ზონაში. ამ მხრივაც შეიძლება ჩაითვალოს ეს ცვლილება საყურადღებო მოვლენად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-3 სუბიექტური პირის სიმრავლეს პირდაპირი წყობის ზმნაში ზემოდასახელებული თქმების მონაცემთა მიხედვით, თითქმის ყოველთვის გამოხატავს -ყე(ნ) ნაწილაკი ფონეტიკური ვარიანტებით: -ე ნ, -კ ე ნ, -წყ ე ნ. იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა -ყე(ნ) ნაწილაკი ამ ფუნქციით სიტყვაში რეალიზებულია თავისი ძირითადი სახით.

-ყე-(ნ) ნაწილაკის ფონეტიკური ეკვივალენტი -კე, ჩვეულებრივ, ყოველთვის -ნ დართული ვარიანტით არის წარმოდგენილი: ა გ ო ს კ ე ნ პასუხი..., ი ჩ ხ უ ბ ო ს კ ე ნ, რამდენიც უნდენ..., ვერ ძ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს კ ე ნ ამდენ საქმეს ერთად...

სამტრედიულში ხშირად -კენ ვარიანტის თავიკიდური თანხმოვანი იკარგება და რჩება -ენ: ი ყ ი ლ ო ს ე ნ, ა კ ე თ ო ს ე ნ, წ ე ი ლ ო ს ე ნ... აქ რომ -ენ ასეთ შემთხვევაში კომბინატორულ ვარიანტს წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობას [შდრ. 99(164)].

წულუკიძურსა და წყალტუბოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში უფრო -წყენ ვარიანტს ვადასტურებთ. -წყ კომპლექსი, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურებიდანაც არის ცნობილი, მიღებულია -სყ-სგან თანახმად ფორმულისა -სყ > -წყ [98(164)]: დ ე ი ძ ა ხ ე წ ყ ე ნ, დ ა ყ ა რ ო წ ყ ე ნ, შ ე მ ე ხ ვ ე წ ე ბ ო დ ე წ ყ ე ნ...

სუბიექტური პირის სიმრავლის გამოხატვა -ყე(ნ) ნაწილაკის ფონეტიკური ვარიანტებით ქვემოიმერულში შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა. ასეთ ცვლილებას იგი მაშინაც განიცდის, როცა ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს პირდაპირი თუ

ინვერსიული წყობის ზმნაში. ეს ფაქტი თავისთავად იმდენადაა საინტერესო, რომ მასში ხელშემახებლად გამოვლენილია ქვემოიმერულის ტენდენცია ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებისადმი.

კიდევ უფრო საინტერესო ჩვენებას გვაძლევს ქვემოიმერული სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ინვერსიული ზმნაში.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნაში, იქნება ის გარდამავალი თუ გარდაუვალი, მიცემით ბრუნვაში დასმული II და III პირის რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად სამი ტენდენცია იჩენს თავს: 1) გამოყენებულია -ყე ნაწილაკი ქართული ენის რიგ დიალექტებში სიმრავლის გამოხატვის ფუნქციით: უთქვამყე, ოუგლეჯიამყე; 2) იხმარება -თ სუფიქსი ქართულ დიალექტთა უმრავლესობაში: უთქვამთ, უქნიათ, უყვართ და 3) სიმრავლეს აღნიშნავს მესამე სუბიექტური პირის ნიშნის -ენის სუფიქსის დართვა ზმნაზე: გეხურენ, გეძინენ, დოუნიშნიენ [67(452)].

ქვემოიმერული დიალექტის მონაცემთა გამოწვლილვით ანალიზში ამ მიმართებით აქ მომხდარი ცვლილებების საფუძველშიც გვარკვევს და რეალური ვითარების სურათსაც ნათლად წარმოგვიდგენს.

ზემოჩამოთვლილ ტენდენციათაგან, პირველი (-ყე ნაწილაკის გამოყენება რეალური სუბიექტის რიცხვის აღსანიშნავად) მეტ-ნაკლებად ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაშია დადასტურებული: ჩხუბი უქნიამყე ბატონიზა..., მერეთ აქ ფაცხა გეეკეთებიაყე..., წამოუყვანივარყე ამ ქალებს სახში.... დიდი ხანია გიყვარსყე ერთჟამეთი?... ე ბოვში სამიყავსყე ნეტა..., ახლა ელექტრონი გამოყავსყე...

ამ მხრივ ქვემოიმერული არაფრით არ სხვაობს ქართული ენის იმ დიალექტთაგან, სადაც -ყე ნაწილაკის გამოვლენა აღნიშნული ფუნქციით ჩვეულებრივი მოვლენაა. მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის სიმრავლეს აღნიშნავს, მაგალითად, ის ფერეიდნულში, ინგილოურში, კახურში, ქიზიყურში, მთიულურში, მესხურში, ლეჩხუმურში [100(59,65)]...

რაც შეეხება -თ სუფიქსს, იგი ქვემოიმერულში თითქმის არც იხმარება სუბიექტის სიმრავლის აღსანიშნად ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში და თუ მაინც აქა-იქ თ-იანი ფორმები გამოვლინდება (გყავ-თ, უნდა-თ, წოუყვანი-თ), ისინი ლიტერა-

ტურული ენის გავლენით წარმოქმნილ ინდივიდუალურ ვარიანტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ.

-თ-ს ნაცვლად -ენ სუფიქსის გამოყენება კი ფართოდ გავრცელებული ენობრივი ცვლილებაა ქვემოიმერულში.

მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან: მაგენს ლაპარაკი ა ინ ტ ე რ ე ს ე ბ ე ნ, მეტი კი არაფერი..., ამ მდინარეში კალმახი თუ გ ე გ უ ლ ე ბ ი-ენ..., ქმრებს კი მ ე ე წ ო ნ ე ბ ი-ენ მასეთი ქალები..., წაკითხული გ ე ქ ე ბ ი-ენ თქვენ, ბატონო..., არ გ ე ყ უ რ ე ბ ი-ენ ყურებში?... , რავარც მ ე გ ე ს უ რ ე ბ ი-ენ, ისეთ შეიქცეით..., ლენინგრადში ყ ო ლ ი ე ნ წ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი... რაი უ ნ დ-ენ ნეტა!..., შე უ ყ ვ ა რ დ-ენ ერთქამეთი..., ძმებს ე გ ი გ ო უ კ ე ი რ დ-ენ..., დ ე გ ე ძ ა ხ ე ბ ი-ენ ნეტა იმ ბოვშიზა..., დროზე უნდა გ ე ე ტ ა ნ-ენ, ბიჭო... ქალი უწინ ბატონიზა უნდა მ ი ე რ თ მ ი ე ნ..., თქვენ დღეს არაფერი არ გ ი ჭ ა მ ი ე ნ..., გ ე ე თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი-ენ ჯარიდგან და ქე მივიღა შინ...

-ენ ფორმანტი მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის აღსანიშნავად გარდა ქვემოიმერულისა, დადასტურებულია აგრეთვე გურულში, ლეჩხუმურში, აჭარულსა და მესხურში.

თავისთავად, ორი სხვადასხვა ენობრივი ელემენტის (-ენ სუფიქსისა და -ყე ნაწილაკის) ერთი და იმავე ფუნქციით გამოვლენა ქვემოიმერულში მათი წარმოშობის სხვადასხვა გზებზე მიუთითებს. სახელდობრ, -ყე ნაწილაკი სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ინვერსიულ ზმნებში ქართული დიალექტობრივი ნორმის შედეგია, ხოლო -ენ სუფიქსის ხმარება ამავე ფუნქციით ზანურის სუბსტრატად არის მიჩნეული [67(453)]: გ ა ქ ე ვ-ენ (გაქვ-თ), ა ქ ე ვ-ენ (აქვ-თ), გ ქ ო ნ დ-ენ (გქონდა-თ), ქ ო ნ დ-ენ (ქონდა-თ) და მისთ. ფორმების არსებობა განსაკუთრებით ქვემოიმერულის დასავლურ ზოლში, რომელიც სავსეა ზანიზმებით როგორც ლექსიკაში, ისე მორფოლოგია-სინტაქსში [11(11)], ამ დებულების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

რაც შეეხება -ყე ნაწილაკისა და -ენ ფორმანტის გავრცელების საკითხს საკვლევ ობიექტში შემავალ წვრილ ენობრივ ერთეულებში, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოიმერულის იმ თქმაში, სადაც -ენ ფორმანტი დომინირებს აღნიშნული ფუნქციით -ყე ნაწილაკის მოხმარების არე ვიწროა და პირიქით. ეს ორი პროცესი ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირშია. მაგალითად, წულუკიძურსა და სამტრედიულ თქმებში,

აგრეთვე წყალტუბოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში გავრცელებულია -ენ-იანი ფორმები: (გ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ე ნ, რ ა უ ნ დ ე ნ, გ ე ე თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ე ნ), -ყე ნაწილაკის ხმარების არე კი შეზღუდულია. ოკრიბულში, ხან-ზეგნურსა და თერჯოლურში პირიქით, -ენ ფორმანტი თითქმის არ გამოიყენება სუბიექტის სიმრავლის აღსანიშნავად ინვერსიულ ზმნებში, სამაგიეროდ -ყე განოავლენს რელიეფურად თავისთავს. ეს კია, რომ -თ-იანი მრავლობის უფრო და უფრო გავრცელების პირობებში -ყე ნაწილაკი აქაც თანდათანობით თმობს თავის პოზიციებს, განსაკუთრებით ეს თერჯოლურზე ითქმის.

რაც შეეხება ქვემოიმერულის ვანურ თქმას, ეს დიალექტური ერთეული, შეიძლება ითქვას, ზემოთ განხილულ თავისებურებათა კონგლომერატს წარმოადგენს, რეალური სუბიექტის სიმრავლეს ინვერსიულ ზმნებში -ენ ფორმანტიც გამოხატავს, -ყე ნაწილაკიც ჯა-თ სუფიქსიც. ნიმუშები ცოცხალი მეტყველებიდან:

გო უ ქ რ ი -ე ნ ე დევი და მუცელში ქ ე უ ნ ა ხ ა ვ -თ ი ბიკი..., შე უ ქ ნ ი ა -თ დიდი ამბავი და ქ ე მ ო უ ყ ვ ა ნ ი -ე ნ იქიდგან ე ქალი..., მიწა რ ო ე ყ ი დ ა -თ, ცოლის ნაშთითი უნდა გე ე ყ ი დ ე ნ..., დიდი ქონება ქ ო ნ დ ა -თ, მარა მინც კი მე ე წ ო ნ -ე ნ კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი... არაფერი ეს მი -ყ ე ნ, რ ა უ ნ დ ა -ე ნ ი ს თ ე რ ს ი ბ ო ვ ი ე ნ..., წ ო უ ქ ა მ ი ა -თ ყ ო რ ი ფ ე ლ ი...

ამ მხრივ ვანურ თქმას სკელარის ადგილი უჭირავს ქართული ენის სხვა კილო-თქმებს შორის.

სუბიექტური პირის რიცხვის აღნიშვნასთან დაკავშირებული ეს ცვლილებები ხელშესახებლად წარმოაჩენს იმ თავისებურებებს, რასაც ქვემოიმერული გამოავლენს ქართული ენის სხვა დიალექტურ მონაცემებთან, მიმოთვაებაში. თვით ქვემოიმერულში შემავალი სხვა წვრილი ენობრივი ერთეულების ერთიმეორესთან შეპირისპირება კი აღნიშნული ცვლილების მიხედვით მთელ რიგ სხვა თავისებურებებთან ერთად შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ დიალექტური არეალის უფრო წვრილ ერთეულებად დაყოფის პრინციპს.

როგორც ზემოთ ითქვა, ქვემოიმერული დიალექტის მონაცემთა მიხედვით -ენ ფორმანტი II და III პირის ობიექტის სიმრავლესაც გამოხატავს პირდაპირი წყობის ზმნაში როგორც პირდაპირიხას, ისე ირიბიხას.

ძვერყვანთ ნიმუშებს ცოცხალი მეტყველებიდან:

ირიბი ობიექტი დგას მრ. რ. II პირში:

ზაფხული თუ მოგაძებნიებენ ამ შტილს, თვარა ისე არ
კადრულობთ მოსვლას..., სილიბისტრო მოგიყობიენ კიდო კარქი
აზბებს..., ხვალე ჰასწავლებელი ბარე ორს და გიტახუნებენ თავ-
ში, გაკვეთილი რო არ გეცოდინებათ..., ვინ გიწყობდენ
ხელს შესხედრაში..., გულზე გეცემიენ ლუკმა, ისე ჩქარა ჰამთ...,
თინაიი მოქყობიენ გორდში?... თქვენ ცხრაი ხართ და იგიერთია
რაფერათ გაგსტობიენ?... დეგეცემიენ თავში ვაშლი და
ნახავთ მერე..., შევეკითხე: რამ მოქციენ თქვენ გვარს ამისანე შნოი,
ექვსი ოლგით რო მოითო...

ირიბი ობიექტი დგას მრ. რ. III პირში:

ქარ. დეეწვეენ სახლი?... რო გახვლოდენ მისი ხო კარაქი
იყო მაშინ..., გოუჩთებოდენ საშველი საწყლებს, აბა რავა იქნე-
ბოდა..., ელდა ეცენ, ისთე შეწუხთთენ..., უცეფ გზაში დაა-
დამდენ..., რასაც მისურვებენ, ის უჩთებიენ..., დედინაცვლის
ფულიც ამგენს დარჩენ..., გვეიხედე და ჩვენი ხარები არ უბიენ...,
ბევრი ვაშლები უდგიენ ეზოში..., რაი გინდათ ამ საწყალ ბიჭთან, ქე
გემსახურებიენ..., ამისთანა ილბალი ეწერენ, ალბათ...

პირდაპირი ობიექტი დგას მრ. რ. II პირში:

შევეკითხე რა გატირებენ ქალებო-თქვა..., ბიქტორმა ასე მალე
გამოგიშვიენ?... ბოვში არ გაწუხებენ და ქე უნდა, ისტაგ-
ლო..., შოფერმა რო გაგიტაცენ შენ და აგრაფინე, ერთი ის მოყე-
ვი..., რაფერათ დაქტოვეენ ბელამ აქანე მარტო..., იმისთანაა ე ქალი
სიცილით მოქკლავენ..., ბოვშებო, თქვენი ძმაი ხო გიწყობ-
დენ ხელს ქალაქში?...

კავშირებით მეორეში გვაქვს -ნ: ღმერთმა გაცოცლონ..., უფ-
ალმა გაბედნიერონ..., რო დაგინახონ იმ დაწყევლილმა...

პირდაპირი ობიექტი დგას მრ. რ. III პირში:

რა ჩაპრესავენ ახლა ამდენ ხალხს ერთ მანქანაში?... რა ჯან-
დაბა გადარევენ მაგენს, რომ არ ვიცი..., ბოვშებმა შტილი მოძებ-
ნონ, თვარა სიცხე შეაწუხებენ.

საგულისხმო მოვლენად ითვლება ის ფაქტი, რომ III პირდაპირი
ობიექტური პირის სიმრავლეს -ენ სუფიქსი მხოლოდ მაშინ გამოხა-
ტავს, როცა ის მიცემით ბრუნვაში დგას, მაგრამ, თუ პირდაპირი ობი-
10. კ. კუბლაშვილი

ექტი სახელობითშია, მაშინ რიცხვის გამომხატველი ფორმანტი ზმნაში არ ჩანს.

ეს ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ობიექტის რიცხვის აღნიშვნასთან ზმნაში, არ არის ერთნაირად დამახასიათებელი მთლიანად ქვემოიმერულისათვის. იგი მისი დასავლური ზოლისთვის უფრო ჩანს ნიშანდობლივი. ქვემოიმერულში შემავალ დიალექტურ ერთეულთაგან ყველაზე მეტად მაინც წულუქიძური მეტყველება გამოავლენს მსგავს შემთხვევებს, სამტრედიულიც თითქმის მის კვალში დგას, შედარებით უფრო ნაკლებადაა მოვლენა გავრცელებული წყალტუბოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში და თითქმის არ დაგვიდასტურებია მსგავსი ცვლილების არც ერთი შემთხვევა ქვემოიმერულის ვანურ თქმაში, აგრეთვე ოკრიბულში, თერჯოლურსა და მაიაკოვსკურ თქმებში.

იმერულის ზოგ თქმაში გრამატიკული ობიექტის მრავლობითობას, როგორც ვთქვით, -ყე ნაწილაკიც გამოხატავს*. იგი -თ-ს ეკვივალენტად არის მიჩნეული [99(170)]. ეს ნაწილაკი ამავე ფუნქციით გამოვლენილია ქართული ენის სხვა კილოებშიც. ქვემო იმერეთის ზემოდასახელებულ რაიონებში -ენ-ის მოხშირება გრამატიკული ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად -ყე ნაწილაკის ხმარების შეზღუდვას იწვევს.

ქართულისა და მისი მონათესავე ენების ჩვენებათა საფუძველზე გარკვეულია, რომ -ან, -ენ, -ეს სუფიქსები თავდაპირველად მხოლოდ სიმრავლის მაჩვენებელი იყვნენ და შემდეგ იქცნენ ისინი III პირის მრავლობითის ფორმანტებად [101(99)].

გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც -ენ შეიძლება ჩაითვალოს ზმნაში სიმრავლის გამომხატველ საყოველთაო სუფიქსად: „თ ა ვ ღ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ს ი მ რ ა ვ ლ ე უ ნ და გამომხატულიყო გარდაუვალ ზმნაში (ან მის წინაპარში) სუბიექტისა და გარდამავალში (ან მის წინაპარში)—ობიექტისა, თანაც რიცხვის ნიშანი ერთი უნდა გვექონოდა, ე. ი. არა -ეს, -ან, -ნ სუბიექტისათვის და -ენ ობიექტისათვის, არამედ ერთი რომელიმე, იქნებ ერთი ამათგანი. რაკი ობიექტის მრავლობითობის -ენ „შიგა“ სუფიქსია, ე. ი. უფრო ადრინდელი ფორმაციისა, შესაძლებელია სწორედ ის მივიჩნიოთ ზმნაში სიმრავლის გამომხატველ საყოველთაო სუფიქსად“ [102(59)].

შეიძლება თუ არა -ენ სუფიქსის გამოვლენა II და III პირის ობიექტის (პირდაპირის თუ ირიბის) მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლად

* აქ აღარაფერს ვამბობთ -ყე ნაწილაკის სხვა ფუნქციის შესახებ.

ქვემოიმერულში უძველესი ქართულის ანარეკლად მივიჩნით და მის საფუძველზე ავხსნათ? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ჩვენი ვარაუდით, ეს მოვლენა ახლადწარმოქმნილი გრამატიკული ცვლილებაა ამ დიალექტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ზმნისა და მასთან ობიექტურ პირად შეწყობილი სახელის ამგვარ დამოკიდებულებაში - ეს სუფიქსის მხოლოდ დიალექტობრივი ფუნქცია გამოსკვივის.

იმერული დიალექტის ისტორიული შესწავლის შედეგად დღესდღეობით მიღებული დასკვნები ჩვენს ვარაუდს უჭერს მხარს. მსგავს ჩვენებას არ ადასტურებს იმერეთის კუთხეებში შედგენილი ძველი წერილობითი ძეგლები [59(121)]. სხვა საკითხია, თუ რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო - ეს სუფიქსის ფუნქციის გაფართოება ქვემოიმერულში.

მრავლობითის წარმოებასთან დაკავშირებული მოვლენების ისტორიულ ასპექტში განხილვით შესაძლებელი ხდება ექვიმუტანლად განისაზღვროს მომხდარი ცვლილების საფუძველი და განვითარების ტენდენციებიც.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში მიც. ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა მიუხედავად იმისა. ეს სახელი რეალურ სუბიექტზე მიუთითებდა, თუ რეალურ ობიექტზე. ახალ ქართულში ობიექტის მრავლობითობა ყოველთვის გამოიხატება პირველსა და მეორე პირში, მესამე პირში კი იმ შემთხვევაში, თუ ზმნა ინვერსიულია. ობიექტის სიმრავლე აქ - თ ფორმანტით წარმოგვიდგება, ეს - თ იგივე სუფიქსია, რაც სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ხმარებული - თ პირველსა და მეორე პირში. ობიექტის მრავლობითის ჩვენება სუბიექტის მრავლობითის ფორმანტს ეკისრება [101(94)].

ზანურსა და სვანურში ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა იმავე საფუძველზე ხდება, რაც ახალ ქართულს ახასიათებს. განსხვავება ამ მხრივ არ გვაქვს; სხვაობა III პირში დასტურდება: ობიექტის სიმრავლეს აქ III პირის სუბიექტის ფორმანტი გამოხატავს (და არა მეორე და პირველი პირისა): -ან, -ეხ — ზანურში, -ხ—სვანურში. შ დ რ. ახ. ქართ: გ ა ქ ვ თ, მეგრ. -ჰან. გ ი-ღ უ ნ -ან, ა ქ ვ-თ " უ-ღუნ-ან

სვან. ჯ-ულვა-ხ

ხ-ულვა-ან [101(94)].

ასეთი ფორმების არსებობა ქვემოიმერულში, როგორცაა: გ ა ქ ვ-ენ (გ ა ქ ვ-თ), ა ქ ვ-ენ (ა ქ ვ თ)... გ ქ ო ნ-ღ-ენ (გქონდა-თ), ქ ო ნ-ღ-

ენ (ქონდა-თ), კვალიფიცირებულია როგორც ზანური ნორმის შედეგი [101(95)].

ასე, რომ -თ-ს ადგილას -ენ-ის გამოვლენას ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ქვემოთმეორულში ძლიერი ტრადიცია ჰქონია, თუმცა მოვლენის გავრცელებასა და განმტკიცებაში ანალოგიის მოქმედებასაც ვერ გამოვრიცხავთ. პირიქით, სწორედ ინვერსიულ და განვერსიულების გზაზე მდგომ ზმნათა ანალოგიით მოხდა -ენ ფორმანტის ფუნქციის გაფართოება და იგი მოგვევლინა ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად არაინვერსიულ ზმნებშიც (მაგალითები იხ. ზემოთ, გვ. 145).

ანალოგიისათვის საფუძველი არ არსებობს იქ, სადაც -თ-ს -ენ-ით შენაცვლებას სისტემატური ხასიათი არ აქვს თვით ინვერსიულ ზმნებში (მაგალითად, ვანურ თქმაში). პარალელურ ფორმათა სიჭარბე ასეთ შემთხვევაში არის ის ძირითადი მიზეზი, რაც აბრკოლებს ამ ახალი დიალექტობრივი ნორმის გავრცელებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ენ სუფიქსით, სახელობითისა — არა. ისეთი შემთხვევების გვერდით, როგორიცაა: რა ჯანდაბა გადარევენ მაგენს..., სიცხე შეაწუხებენ ბოვშებს... ჩვეულებრივია: ბიჭმა რომ დენახა დეეები..., დედინაცვალმა ტყეში გოუშვა ბაღნები და მისთ. ფორმები.

ამ მოვლენის განხილვას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფაქტებთან მიმართებაში იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ პირველ შემთხვევაში ზოგჯერ სამწერლობო ქართული -თ-ს წარმოგვიდგენს ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, მეორე შემთხვევაში კი ზმნაში ნიშანი არ ჩანს. ცნობილია სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის დასუსტება ქართული წინადადების ევოლუციის პროცესში [103(277)]. ეს გარემოება თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვემოთმეორული დიალექტი თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის განვითარების კვალს გაჰყვამ და მანაც იქ გამოავლინა მრავლობითის ფორმანტი, სადაც ეს საერთოდ იყო შესაძლებელი, ოღონდ ნორმა აირჩია დიალექტობრივი: ანალოგიის წყალობით გზა გაუხსნა -ენ სუფიქსს და -თ-ს ადგილი დაუთმო. -ენ-ის ამ გაუნივერსალებაში -თ-ს გაიშვიათების ტენდენცია გამოვლინდა.

რა თქმა უნდა, პარალელურ ფორმათა არსებობის გამორიცხვა ორივე შემთხვევაში (როგორც ირიბის, ისე პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვისას) შეუძლებელია. -ენ-იანი მრავლობითის გვერდით -თ-იან მრავლობითსაც ვხვდებით: გაწუხებთ ბოვში?... სახლი დეეწვა-თ საცოდავენს..., გაკირვებაში გამოგზარდათ დედა-თქვენმა..., გზაზე ყაჩაღები დახვდა-თ და მისთ. მაგრამ ასეთ პარალელურ ფორმათა არსებობის ფაქტი, რომელიც დიალექტის განვითარების რთულ პროცესს უკავშირდება საერთოდ, ბევრს ვერაფერს ლაპარაკობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ -ენ სუფიქსი ქვემოიმერულში ცდილობს მოიპოვოს მონოპოლიური უფლება არა მარტო სუბიექტის, არამედ ობიექტის სიმრავლის ზმნაში გამოხატვის თვალაზრისა.

ამგვარად, ქვემოიმერული დიალექტის ჩვენების საფუძვლზე ირკვევა, რომ არსებობს -ენ სუფიქსის ფუნქციის გაფართოების ტენდენცია. იგი მისწრაფვის გამოხატოს ობიექტური პირის სიმრავლაც (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის) არაინვერსიულ ზმნებში: მოგაკლავ-ენ ის თქვენ (მოგკლავთ ის თქვენი), გადარევენ ის მათ (გადარევენ ის მათ), უამბობ-ენ ის მათ (უამბობს ის მათ), როდაგინახო-ნ მან თქვენ (რო დაგინახოთ). ამ ახალი დიალექტობრივი ნორმის გატარებაში ძლიერი ტრადიციის გარდა წილი ანალოგიასაც უდევს. მისი წყალობით -ენ სუფიქსმა გაიფართოვა მოხმარების არე და სიმრავლის გამომხატველი საყოველთაო სუფიქსად მოგვევლინა თუბთელ ქვემოიმერულში არა, მის ერთ ზოლში მაინც. ქვემოიმერულის ამ ჩვენებას მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრით, -ენ სუფიქსის ფუნქციისა და მისი ევოლუციის ტენდენციის გასარკვევად, მეორე მხრით, ამ ენობრივი არეალის დიალექტური პროფილის შესასწავლად.

ზმნის დრო-კილოთა ფორმები

ზმნის მწკრივთა რაოდენობის თვალსაზრისით საკვლევი ობიექტი დიდად არ განსხვავდება სალიტერატურო ქართულისაგან და ქართული ენის სხვა დასავლური დიალექტებისაგან. ცალკეულ მწკრივთა წარმოების მხრივ კი ზოგჯერ ცვლილებები ხელშესახებდა არის გამოვლენილი. ამ შემთხვევაშიც (ისე როგორც ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში) ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ცვლილებებზე გავამახვილებთ, რომლებიც ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს წარმოადგენენ და ამდენად განსაზღვრავენ მის დიალექტურ პროფილს.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, მწკრივთა წარმოებაში დადასტურებული ცვლილებათა საფუძველი უპირატესად ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციაა (ჩვენ აქ გარკვეული სიფრთხილის გამო ვამბობთ ტენდენციას, თორემ შედეგი ხშირად აშკარად სცილდება ტენდენციის საზღვრებს და იგი უკვე ცხად დიალექტურ ფაქტად გვევლინება).

რეალური ვითარების სრული გათვალისწინებისათვის ჩვენ შევეცადეთ ზედმიწევნით გაგვეანალიზებინა ყველა თავისებურება, რომლებიც უკავშირდება ზმნის მწკრივთა წარმოებას ქვემოთმოყვანილში.

სტატიკურ ზმნათა წარმოება

სტატიკურ ზმნათა საკითხი ისტორიულ ასპექტში განხილულია ივ. ჯავთარიძის მონოგრაფიაში [(120)]. ავტორი აქ ხაზგასმით მიუთითებს, რომ სტატიკურ ზმნათა დაბოლოებაში ახალმა ქართულმა მოახდინა უნიფორმაცია—აწმყოში ერთნაირი დაბოლოება მიიღო ყველა სტატიკურმა ზმნამ და სტატიკური შინაარსის ზოგმა საშუალმა ზმნამ [120(180)].

ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მთის ზოგი დიალექტის მონაცემთა ჩვენების მიხედვით სტატიკურ ზმნათა დაბოლოებაში მომხდარი ცვლილებები შემდეგშიც უნიფიკაციით იქნა ახსნილი [104].

შესაბამისი ტენდენცია ქვემოთმოყვანილშიც მოქმედებს, მაგრამ ამას გარდა მისთვის დამახასიათებელია ისეთი ცვლილებებიც, რომლებიც საფუძვლად ედება სტატიკურ ზმნათა სუფიქსაციაში განსხვავებული ტენდენციების გამოვლენას.

მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები ხშირად პირველსა და მეორე პირში მეშველი ზმნით იწარმოება, მესამე პირში კი ბოლოვდება -ია სუფიქსით: ვკმარვართ ჩვენც აქანე, შენი მოსვლა არაა საჭირო..., ვბრუნავარ ჩემი ჩთილის ირგვლივ..., აგერ რო ქალი დგია, იმას დოუძახე..., მაგერ დგია სახლის უკან და შეიტანე აქანე..., ასე უყვარია მაგას და რა ქნას ახლა..., რაფერად ჯდია ე მამაცხონებული..., მოკიდე, გო, ხელი ჰირი კარ ჰირია..., შენთვის არ ვარგია, შვილო, თვარა მე რა მენალვლება..., დედა, თენგოიე მიწაზე წვია..., ასევე, -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნებიც პირველსა და მეორე პირში ჩვეულებრივ მეშველ ზმნას დაირთავენ: ვყვირივართ, ტირიხართ, ჩხავიხართ, უჩივიხართ, ვბღავივართ: შენ შეენიხარ, გო, მაქცაბას, თვარა მაგოკარ-

ქ შ ვ ე ნ ი ა შ ე ნ... , რ ა ს ე რ ჩ ი ხ ა რ , ბ ი ჯ ო , შ ე ნ მ ა გ ა ს ... , ტ ყ უ ი ლ ა თ ე
ნ უ ხ ვ ე შ ი ხ ა რ ...

-ი სუფიქსიან ზმნათაგან ე. წ. „ყ ი ვ ი“-ს ტიპის ზმნები III პირში
-ა დაბოლოებით გვევლინებიან: ჩ ი ვ ა , კ ი ვ ა , წ ი ვ ა , ჩ ხ ა ვ ა , ბ ლ ა
ვ ა , ყ ვ ა ვ ა . ზოგჯერ კიდევ — -ია დაბოლოებითაც: შ ვ ე ნ ი ა ,
უ ძ ღ ვ ი ა .

ანალოგიური წარმოება მარტივფუძიანი და -ი სუფიქსიანი სტატი-
კური ზმნებისა დამახასიათებელია ქართული ენის სხვა დასავლური
კილოებისთვისაც. თუმცა იგი სხვაგან ისე ხშირად არ არის გამოვლენი-
ლი, როგორც ქვემოიმერულში.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ქართულში შეინიშნება პარალე-
ლური ხმარება -ავ და -ია სუფიქსიანი ფორმებისა შემდეგ შემთხვე-
ვებში: ა კ რ ა ვ ს || ა კ რ ი ა , ა ხ უ რ ა ვ ს || ა ხ უ რ ი ა , უ ჭ ი რ ა ვ ს ||
|| უ ჭ ე რ ი ა .

აქ დასახელებული ზმნები ქვემოიმერულში მხოლოდ -ია დაბო-
ლოებით არის გავრცელებული: ამ ეზოს ეკლი ღობე ა კ რ ი ა ... ცალ
ხელში პური უ ჭ ე რ ი ა ... , მეზობლი სახლს კრამიტი ა ხ უ რ ი ა ...
პარალელური: ა კ რ ა ვ ს , უ ჭ ი რ ა ვ ს , ა ხ უ რ ა ვ ს ქვემოიმე-
რულში საერთოდ არ გვაქვს.

დანარჩენ შემთხვევებში -ავ სუფიქსი ჩვეულებრივ იწმარება: ო ხ
რ ა ვ ს , შ ფ ო თ ა ვ ს , ფ რ ი ნ ა ვ ს , ღ ე ლ ა ვ ს და სხვ., ოღონდ პირ-
ველსა და მეორე პირში ესენიც გადადიან მეშველზმნიან წარმოებაზე:
ვ ც უ რ ა ვ ა რ თ , ვ ფ რ ი ნ ა ვ ა რ თ , გ ო რ ა ვ ხ ა რ თ , ღ ო ლ ა ვ ხ ა რ
და სხვ.

-ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები ქვემოიმერულში არ გვხვდება.
მის ადგილს -ობ-ით წარმოქმნილი ფორმები იკავენს, სტატიკურ ზმნა-
თა სუფიქსაციის სისტემაში -ობ ფორმანტის აქტიური მონაწილეობა
საფუძველს ქმნის ისეთ ფორმათა დამკვიდრებისა და გავრცელებისათ-
ვის, როგორცაა: რ ა ს ღ რ ი ა ლ ო ბ ბ ი ჯ ო ! ... , რ ა ს ჩ ხ ი კ ი ნ ო ბ თ ე ლ ი
ღ ღ ე ა ტ ყ უ ლ ა თ ე ... , ნ უ ფ რ უ ტ უ ნ ო ბ ც ხ ე ნ ი ვ ი თ ... , რ ა ფ ე რ ა თ კ ა შ -
კ ა შ ო ბ ს მ ზ ე ს ა ვ ე თ , ზ ე ღ ა ვ თ ? ... , ფ რ ი ა ლ ო ბ დ ა დ რ ო შ ე ბ ი ც ა შ ი ... ,
ფ უ შ ფ უ შ ო ბ ს რ ძ ე ი ... , რ ა კ ა რ ვ ა დ ყ ღ უ რ ტ უ ლ ო ბ ე ნ ე ჩ ი ტ ე -
ბ ი ... , რ ა ფ რ ა თ კ ი ს კ ი ს ო ბ ე ნ ე ქ ა ლ ე ბ ი ...

ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციას -ია და -ობ სუფიქსების სა-
შუალებით სალიტერატურო ქართულშიც აქვს ადგილი. ცნობილია,
რომ ეს სუფიქსები თანამედროვე ქართულში სტატიკურ ზმნათა დიდ

ნაწილს მოიცავს. -ი -ა, მაგალითად, აერთიანებს ძველი ქართულის -ი -ე სუფიქსიან, რიგ მარტივფუძიან, ი და -ავ სუფიქსიან, -ი -ან დასაკუთრივ -ი-ა წარმოებას [104(102)].

ქვემოიშვარულში ეს ტენდენცია კიდევ უფრო შეუზღუდავად მოქმედებს, რის გამოც -ია დაბოლოებაზე გადადის ის ზმნებიც, რომლებიც სალიტერატურო ქართულში მარტივფუძიანადვე დარჩნენ: დ გ ი ა (დგას), წ ვ ი ა (წვეს), უ დ ი ა (ზის), ან კიდევ აწმყოს მწკრივში შეინარჩუნეს -ი ან -ავ თემის ნიშანი: უ ძ ღ ვ ი ა (უძღვის), შ ვ ე ნ ი ა (შვენის), ა ხ უ რ ი ა (ახურავს), ა კ რ ი ა (აკრავს); და ა. შ., ზოლო -ობ სუფიქსმა მოიცვა სალიტერატურო ენის თითქმის ყველა -ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნა: ფ რ ი ა ლ ო ბ ს, წ უ წ უ ნ ო ბ ს, ჩ ხ ი კ ი ნ ო ბ ს, კ ა შ კ ა შ ო ბ ს და მისთ;

გაერთფორმიანების ტენდენციითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ მეშველზმნიან ფორმათა სისტემაში მოქცევას ლამობს პირველსა და მეორე პირში როგორც მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები (ნუ ს ტ ვ ე ნ ხ ა რ), ისე -ი (უ რ ჩ ი ვ ი ხ ა რ), -ობ (ვ ჩ ქ ა რ ო ბ ვ ა რ თ) და -ავ სუფიქსიანი ზმნები (ვ ც უ რ ა ვ ა რ თ)...

მეშველ ზმნას დაირთავს სალიტერატურო ქართულშიც სტატიკური ზმნები პირველსა და მეორე პირში (ე ზ ი -ვ ა რ, ვ დ გ ა -ვ ა რ, შ ი ვ -დ ი -ვ ა რ, ვ ხ ტ ი -ვ ა რ), მაგრამ სალიტერატურო ენა ზღუდავს ამგვარ ფორმათა გავრცელებას [105(135)], ქვემოიშვარული კი ამ შემთხვევაშიც ფართოდ უხსნის კარს სტატიკურ ზმნათა წარმოებაში მეშველი ზმნის დამკვიდრებას პირველსა და მეორე პირში.

ამგვარად, ქვემოიშვარულში მკვეთრად გამოხატული უნიფიკაციის ტენდენცია მოქმედებს სტატიკურ ზმნათა გაფორმებაში. ეს ტენდენცია, როგორც ვთქვით, დამახასიათებელია ახალი სალიტერატურო ქართულისათვისაც. ჩანასახი ამ პროცესისა უკვე ძველ ქართულშივე დასტურდება. მაგრამ თუ ქვემოიშვარულში ამ ტენდენციის მოქმედება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ შედეგს გვაძლევს, ეს იმის გამო, რომ დიალექტში, რომელშიც ენა თავისი ბუნებრივი სახითაა მოცემული და რომლის განვითარება კონტროლს არ ექვემდებარება, იგი გაცილებით უფრო შეუზღუდავად ხორციელდება, ვიდრე სალიტერატურო ენაში.

ცალკე განხილვას მოითხოვს სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფის — III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების საკითხი.

ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში არაერთხელ ქცეულა

მსჯელობის საგნად ერთი ჯგუფი გარდაუვალი ზმნებისა, რომლებიც (პირველი და მეორე პირის ანალოგიურად) მრავლობითის ფორმებს აწმყოს III პირშიც აღწერიტად აწარმოებენ (ერთპირიანები და ორპირიანები): მო დ ი ლ ა რ ი ე ნ, ჯ ი ლ ა რ ი ე ნ, და დ ი ლ ა რ ი ე ნ, წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ, ჯ ო ბ ი ლ ა რ ი ე ნ, გ ა ვ ლ ა რ ი ე ნ, მ ი ჩ ვ რ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, ყ რ ი ლ ა რ ი ე ნ და მისთ.

ასეთი წარმოება აწმყოს III პირში დამახასიატებელია ერთი ჯგუფის სტატიკური ზმნებისათვის.

დასახელებულ ფორმათა არსებობის შესახებ ქვემოიმერულში მიუთითებენ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი [20(156)], ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე [99(846)], ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე [19(239)], პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე [85(142)], ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე [90(104)].

მსგავსი ვითარება შენიშნულია სხვა დასავლურ კილო-ტქმებშიც: ზემოიმერულში [19(275)], აგრეთვე ქვემოიმერულის მოსაზღვრე ზემოგურულსა და ლეჩხუმურში, შენიშნება ქვემოგურულშიც [შდრ. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, 90(104)].

ქვემოიმერულში, გარდა სტატიკური ზმნებისა ამავე ყალიბში მოქცევის ლამობს ზოგჯერ სხვა რიგის გარდაუვალი და ზოგჯერ გარდამავალი ზმნებიც კი, რაც უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების შედეგია:

რ ა ი უ ნ დ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, ნეტე რატო იძახიენ?... ქე წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ ბალახში არხეინათ..., მის მერეთ ყოველ წელს მო დ ი ლ ა რ ი ე ნ ა ქ ა ნ ე..., მო რ ბ ი ლ ა რ ი ე ნ ბოვშები საქმეზე..., ეგი უ კ ვ ი რ ლ ა რ ი ე ნ ახლა მაგენს?... არ მოქწონ ლ ა რ ი ე ნ ე გოგუები?... არაფერი არ ახსოვ ლ ა რ ი ე ნ მაგენს...

მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს: ჩქარა დოუძახე, გ ი ც თ ი ლ ა რ ი ე ნ თქვა, უთხარი..., რაი გა ტ ი რ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, ბოვშებო, თქვენ?... შეხედე, რაფერათ ემშვიდობებ ლ ა რ ი ე ნ ერთმანეთს..., ქე ე ქ ე ვ ლ ა რ ი ე ნ თავზე ოჯახი და კვერ ხვთებიენ..., ჩქარა წადი, თვარა ქე ი ხ თ ი ლ ა რ ი ე ნ ტანისამოს წყლი პირზე..., რაი გ ა ჩ ხ უ ბ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, ქალებო, თქვენ რაი!

ასეთი ფორმების არსებობა გამოვლენილია ქვემოიმერულში (სხვა დასავლური კილოებისათვის ის დამახასიატებელი არ უნდა იყოს, რად-

გან სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ არაფერია აღნიშნული).

„წევლარიენ“, „ჯდილარიენ“ ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობის საკითხს სპეციალურად განიხილავს ლ. ბარამიძე ნაშრომში „გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში“. ავტორის მსჯელობა თანმიმდევრულია. დამაჯერებლად მიგვაჩნია მისი მოსაზრებები, რომლებსაც გამოთქვამს ნაშრომში დასმული რიგი საკითხების ირგვლივ; კერძოდ:

ა) აწმყოს მრავლობითის მე-3 პირის მეშველზმნიანი ფორმები „წევლარიენ“, „ჯდილარიენ“ ტიპისა კანონზომიერი გაგრძელებაა, ამავე ზმნათა პირველი და მეორე პირის წარმოებისა;

ბ) ყ ა ვ ლ ა რ ი ე ნ, გ ა ვ ლ ა რ ი ე ნ, დ გ ი ლ ა რ ი ე ნ, წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ, უ ქ ი რ ლ ა რ ი ე ნ, გ ი ყ ვ ა რ ლ ა რ ი ე ნ, ჯ ი ლ ა რ ი ე ნ, ვ ა რ გ ი ლ ა რ ი ე ნ, ყ რ ი ლ ა რ ი ე ნ ფორმათა ფუძის შემადგენლობაში -ლ ელემენტი -რ-ს დისიმილაციის საფუძველზეა მიღებული, ზოგ ზმნაში კი იგი წარმოადგენს ანალოგიის შედეგს: გ ი ნ დ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, ა ხ ს ო ვ ლ ა რ ი ე ნ, ტ კ ი ვ ი ლ ა რ ი ე ნ [90(109)].

მაგრამ არის საკითხები, რომლებიც ქვემოთმოყვარულს ჩვენების საფუძველზე სხვაგვარ ახსნას მოითხოვს.

ა) ლ. ბარამიძის აზრით, იმერულსა და გურულში ორპირიან ზმნებში „არიან“, „არიენ“ ხშირად მიცემითში დასმული სახელის მრავლობითს შეესაბამება, მოსალოდნელი -თ აფიქსის ადგილას გვხვდება სუბიექტი, ჩვეულებრივ, მხოლოდითშია [90(104—105)].

ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვებით ორპირიან ზმნაში „არიენ“ (და არასოდეს „არიან“) ხან სახელობითის მრავლობითობას გამოხატავს, ხან კიდევ — მიცემითისას. ამ მხრივ ის უპირატესობას არც ერთ მათგანს არ ანიჭებს: ძალიან მ ი ყ ვ ა რ ლ ა რ ი ე ნ ბაღნები (მე ის ი ნ ი)..., აღარ მ ო მ წ ო ნ ა რ ი ე ნ - რაღაცა ამ ბოლო დროს (მე ის ი ნ ი)..., რაფერათ ე ზ ი ზ ლ ე ბ ლ ა რ ი ე ნ ბეჩა ამ ბოვშს ე კატები (მას ის ი ნ ი)...

მაგრამ: რა უ კ ე რ ლ ა რ ი ე ნ ნეტე იმგენს (მ ა თ ის)..., ბოვშებს მარტო თამაში უ ყ ვ ა რ ლ ა რ ი ე ნ (მ ა თ ის)..., მის შემდეგ იმგენს

ისე ძ უ ლ ა რ ი ე ნ აქ მოსვლა, რო მეტი აღარ შეიძლება (მ ა თ ის)...
რაი უ ნ დ ე ბ ლ ა რ ი ე ნ ნეტე ჩემგან (მ ა თ ის)...

ძნელი სათქმელია, რომელი სახელის მრავლობითს გამოხატავს „არიენ“ მეშველი ზმნა მაშინ, როცა სუბიექტიც და ობიექტიც მრ. რიცხვში დგას: ნამეტანი უ ყ ვ ა რ ლ ა რ ი ე ნ ძალღებს თავისი ლეკვები (მ ა თ ის ი ნ ი)..., ძლივა გა მ ო ქ ც ე ვ ლ ა რ ი ე ნ ჯიბვირებს გოგუები (მ ა თ ის ი ნ ი)..., ჩვენი ბიჭები ასჯენ ჯ ო ბ ლ ა რ ი ე ნ იმგენს თამაში (მ ა თ ის ი ნ ი)...

ბ) ჩვენს განკარგულებაში არსებული დიალექტოლოგიური მასალა ხშირად გამოავლენს ისეთ შემთხვევებს, როცა III პირის სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი გვიჩვენებს მეორე პირის ობიექტის მრავლობითობასაც როგორც ინვერსიულ ფორმებში: გა ქ ე ე ნ, გ ი ნ დ ე ნ...
ისე პირდაპირი წყობის ზმნებში: სილიბისტრო მო გ ი ყ ო ბ ი ე ნ (თქვენ) კილო კაი ამბებს..., შოფერმა რო გა გ ი ტ ა ც ე ნ (თქვენ) ერთი ის მოყევი..., შევეკითხე რა გა ტ ი რ ე ბ ე ნ, ქალებო-თქვა.

ასევე, -ყე ნაწილაკი თანაბრად გამოიყენება როგორც III პირის სუბიექტის, ასევე II ობიექტური პირის სიმრავლის გამოსახატავდაც: იმისანა ადგილიდან გა მ ო გ ქ ე რ ი ტ ა ვ ყ ე, რო ვერ მიხვებით..., -შუაზე უნდა რო გა გ ი ა რ ო ს ყ ე მაგ ეშმაკმა..., რაცხა უნდა გა ნ ა ხ ო ყ ე (მე თქვენ)...

ასე რომ III პირის სიმრავლის მაწარმოებელ ელემენტებს სხვა შემთხვევაშიც ეკისრება II ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა.

ასეთ ვითარებაში არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ „არიენ“ II ობიექტური პირის მრავლობითობასაც აღნიშნავს ზმნებში: მო ქ წ ო ნ ა რ ი ე ნ (თქვენ ის)..., გ ი ყ ვ ა რ ლ ა რ ი ე ნ (თქვენ ის)..., გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ლ ა რ ი ე ნ (თქვენ ის)..., მო გ ი ვ ლ ა რ ი ე ნ (თქვენ ის)... (შდრ. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე), [9C(105, 114)].

გ) საეჭვო უნდა იყოს მხოლოდ ვარაუდის დაშვება ისეთ ფორმათა არსებობის შესახებ, რომლებიც ქვემოთჩამოთვლილ დიალექტიურ ფაქტებშია გამოვლენილი, მასთან, არც ისე იშვიათად: მეშველ ზმნას დაირთავენ სხვა რიგის ორპირიანი გარდაუვალი ზმნები და ზოგჯერ გარდამავალნიც არა მხოლოდ პირველი თურმეობითის მრავლობითი რიცხვის III პირში, არამედ აწმყოს III პირშიაც, თანაც, არა მხოლოდ -ენიანი ენებითები, როგორც ამას აწმყოსათვის ვარაუდობს ავტორი, არამედ ზოგი გარდამავალი ზმნაც კი [90(113)]. ა წ მ ყ ო ს I I I პ ი რ ი

სათვის დაშახასიათებელი ეს ჩვენება საგულისხ-
მოა.

პირველ შემთხვევაში (თურმეობით I-ში) აღწერით ფორმათა გამო-
ყენების არის გაფართოება შედეგია უნიფორმაციის ტენდენციის მოქ-
მედებისა: მეშველი ზმნა III პირში ჩნდება იქ, სადაც I-ლსა და II
პირში უკვე გვაქვს [90(113)]: გამომშვიდობებლარიენ
ისინი მას (გამომშვიდობებვივართ, გამომშვიდობებხართ)...
დამსგავსებლარიენ ისინი მას (დემსგავსებვივართ,
დამსგავსებხართ, დამსგავსებლარიენ...), წაწყტომილარიენ
ისინი მას (წავეწყტომივართ, წაწყტომიხართ, წაწყტომილარიენ...),
გოუპარებლარიენ (გამიპარებხართ, გაგიპარებვივართ, გოუპა-
რებლარიენ): „ქარ გოუპარებლარიენ ბოვეშები?“... გოუტა-
ცებლარიენ: წუხელი გოუტაცებლარიენ ქურდებს საქონე-
ლი მალაზიიდან... მინახავლარიენ: მასკვან აღარ მინახავ-
ლარიენ... გამიღვიძებლარიენ: ბოვეშები გვიანობამდე არ
გამიღვიძებლარიენ...

ხოლო მეორე შემთხვევაში: ეჩხუბებლარიენ, ეკითხებ-
ლარიენ, ეპარებლარიენ, ეფერებლარიენ, გიშლი-
ლარიენ: „სტოლს გიშლილარიენ და ახლა მიხვალთ?“ (გარ-
დამავალი)... იგივე მოვლენა შედეგია „არიენ“ მეშველი ზმნის სტიქიუ-
რად გავრცელებისა სხვა შემთხვევებზეც.

არაერთი თავისებურებაა დაკავშირებული აგრეთვე აწმყოსა და
მისგან ნაწარმოები მწკრივების წარმოებასთან სხვა რიგის გარდამავალ
და გარდაუვალ ზმნებში.

გაერთფორმიანების ტენდენციის საფუძველზე ერთთემიანი და ხმო-
ვანმონაცვლე ზმნები ჩვეულებრივ -ავ სუფიქსს დაირთავენ აწმყოსა
და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში: წერავს წერილს... ტეხავდენ
სიმიდს... ყველაფერ იხვექავდენ თავისთავინ.

შესაბამისად, -ვ თანხმოვანი მისდარშიც გადაყვებათ: წერვაკარ-
გი ისტავლა... სიმიდის ტეხვას შამოლექზე იწყებენ.., სახელის მოხ-
ვექვა ყველას ნაჯობინარა, ბატონო!...

მართალია, ერთთემიან ზმნათა გარკვეულ ნაწილს. -ავ სუფიქსი
სალიტერატურო ქართულშიც დაერთო, რის გამოც ისინი ორთემი-
ანებში გადავიდნენ: ვთიბავ, ვჩეჩავ, ვხოცავ და სხვ. [66(389)].
მაგრამ ჩვენს დიალექტში ინერციით (რასაც, ალბათ, ხელს უწყობდა
მძლავრად მოქმედი უნიფიკაციის ტენდენცია) ცვლილება იმ ზმნებზე-

დაც გავრცელდა, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ერთმეიანადვე დარჩნენ.

ის ზმნები, რომელთა პირველი და მეორე სერიის თემა განსხვავდება სალიტერატურო ქართულში შინაგანი ხმოვნის შენაცვლებით, ქვემოიმერულში აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ჩვეულებრივ -ავ თემის ნიშანს დაირთავენ ხან აწმყოს, ხან კიდევ წყვეტილის ფუძეზე, ამიტომ გავრცელებულია პარალელური ფორმები: გ ლ ე ჯ ა ე ს || გ ლ ი ჯ ა ე ს: გ ლ ე ჯ ა ე ს იქაურობას..., გ ლ ი ჯ ა ე ს ქარი ყველაფერს..., კ რ ე ფ ა ე ს || კ რ ი ფ ა ე ს: კ რ ე ფ ა ე ს ჩაის..., კ რ ი ფ ა ე ს კარქა ვაშლს..., კ პ ე ჩ ა ე ს || კ პ ი ჩ ა ე ს: კ პ ე ჩ ა ე ს ვაშლის..., კ პ ი ჩ ა ე ს მშვიდრით..., ჩ ხ რ ე კ ა ე ს || ჩ ხ რ ი კ ა ე ს: ჩ ხ რ ე კ ა ე ს ყველაფერს..., ჩ ხ რ ი კ ა ე ს სახლს..., გა ფ ხ ე კ ა ე ს || გა ფ ხ ი კ ა ე ს: აცალე თვითონ გა ფ ხ ე კ ა ე ს..., გამოართვი ხელში, თვარა გა ფ ხ ი კ ა ე ს და გაფუჭტება..., გა ტ ლ ე კ ა ე ს || გა ტ ლ ი კ ა ე ს: უყურეფ ერთი, რაფერათ გა ტ ლ ე კ ა ე ს..., გა ტ ლ ი კ ა ე ს მარილს ცოტა...

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში კი უპირატესად წყვეტილის ფუძეს დაერთვის -ავ თემის ნიშანი: ჩ ხ რ ი კ ა ე დ ა, კ პ ი ჩ ა ე დ ა, კ რ ი ფ ა ე დ ა, გ ლ ი ჯ ა ე დ ე ს, გ რ ი ხ ა ე დ ე ს, ბ ზ ი კ ა ე დ ე ს, და ჩ ხ ვ ი ტ ა ე დ ე ს, გა ჟ ლ ი ტ ა ე დ ე ს და მისთ.

-ავ სუფიქსის დართვის ტენდენცია ფუძედრეკად ზმნებზე სალიტერატურო ქართულშიც მოქმედებს, მაგრამ ერთობ შეზღუდულად. „ზოგიერთ ხმოვან-მონაცვლე ზმნას -ავ დაერთო მეორე სერიის თემაზე და მივიღეთ პარალელური ფორმები: ვ გ რ ე ხ და ვ გ რ ი ხ ა ე, ვ კ რ ე ჭ და ვ კ რ ი ჭ ა ე, ვ ფ შ ე კ და ვ ფ შ ი კ ა ე“ [66 (392)].

ქვემოიმერულში კი, სადაც მძლავრად მოქმედებს გაერთფორმიანების ტენდენცია ფუძედრეკადი ზმნები, ჩვეულებრივ, თემის ნიშნით წარმოგვიდგებიან.

მოსალოდნელი თემის ნიშანი არ ჩანს შემდეგ შემთხვევებში: ე ტ ო ვ სახში ფულს..., და ე ტ ო ვ ბოვშებს შენთან..., გაგათხოვ, შვილო, ნუ გეშინია!...

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში თემის ნიშანი დაერთვის ისეთ ზმნებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულში უთემისნიშნოდ იხმარებიან: ბ ა ნ ე ბ ე ნ ბოვშებს..., უ კ პ ი ნ ე ფ ს ძალლი, არ გეშინია?... , ჭ ა მ ე ბ ე ნ საკმელს

და მოვლიენ მერეთ..., მე იყვანებენ ქუაზე, ნუ გეშინია...
თხოვებს დედამის საკმელს..., მე იხმარებს მაგასაც, ნუ გა-
დაყრი..., მე იტანებენ თავის ღროზე, ნუ გეშინიათ თქვენ...

მხოლოდითი რიცხვის III პირში აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ
მწკრივებში გვაქვს ატნევეს: ატნევეს ფულს..., ატნევედა მზი-
თებს..., გაატნევედა ბოვშს სოფელში..., წყვეტილსა და კავშირებით
მეორეში: გაატნია ფული..., გაატნიოს მზითები.

ეს უკანასკნელი ფორმები -ევ თემისნიშნისან ზმნათა წყვეტილისა
და II კავშირებითის ანალოგიურად არის ნაწარმოები; შდრ. არკვევს
— გაარკვია, ამწყვრევეს — დაამწყვრია, ახვევს —
დაახვიო.

ზმნები, რომლებიც აწმყოში ბოლოვდება -ევ-ით, -ვე კომპლექსის
შერწყმის შედეგად გვაძლევს -ო-ს, ახოვს (<ახვევს): ვენახს ახოვს...
არკოვს (<არკვევს): არკოვს ახლა, ვინაა მართალი... ამთხოვს
(<ამთხვევს): რალა მაინც და მაინც ამ დღეს ამთხოვს...

ახალ სალიტ. ქართულში -ევ სუფიქსიანი კაუზატური ზმნები ძველად
უამსუფიქსოდ იწარმოებოდა: ასუამს, ართუამს. ასევეა ქვემოი-
მერულშიც შემდეგნაირი ფონეტიკური ცვლილებებით: ასუ-
ამს<ასუამს (თემატური ნიშნისეული ა-ს დაკარგვა მახვილს თუ
მიეწერება). ასუამს ზმნის ანალოგიითაა მიღებული აქუამს<აკ-
მევეს, აცუამს<აცმევეს. რაც შეეხება ჩააცმიას-ს, იგი -ე-ს გა-
ლუნვის შედეგია: აცმევეს>აცმიო (შდრ. არღვევს — არღვია).

საინტერესოა ჯურათს გვიჩვენებს „ძღუბულობს“ ტიპის ზმნათა წარ-
მოება. ქვემოიმერულში გავრცელებულია: ტყობილობს, ჩემუ-
ლობს, კვეხულობს, ნდომულობს და მისთ. ფორმები.
საკითხი საგანგებოდ აქვს შესწავლილი ივ. ქავთარაძეს [140-
190—194]. ავტორს ისინი მიაჩნია მიმღეობითი ფუძის ზმნებად.

-ავ თემის ნიშანი აწმყოში ჩვეულებრივ გამოყენებულია თავისი
ძირითადი სახით. მხოლოდ იშვიათად შეიძლება ის შეიკუმშოს: თეს-
ვენყანას..., ცეხვენლომს..., არზოგავენარაფერს..., ფქვენ
სიბინდს..., ან შეენაცვლოს -ამ: ნახამს ბოვშს და მოვა მერეთ...,
ცეკვამს თელი დღე..., წყესამს ბოვშს სახში...

ამ მხრივ ქვემოიმერული მკვეთრად ემიჯნება ზემოიმერულს, სადაც.

მსგავსად აღმოსავლური კილოებისა -ავ-ს ხშირად ცვლის -ამ აწმყოს მხოლოდითი რიცხვის სამივე პირში, ასევე — მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში, ხოლო იშვიათად — მესამეში: ვ კ ლ ა მ, ბ ა რ ა მ, თ ე ს ა მ ს, ვ კ ი თ ხ ა მ თ, კ ე რ ა მ თ [19(237—238)].

ქვემოიმერულში -ავ არასოდეს გვაძლევს -ევ-ს, რაც ეგრე რიგად დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში (კ ლ ე ვ ე ნ). -ევდ წარმოება გვაქვს აგრეთვე აქ უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ს ა და მისგან ნაწარმოებ აწმყოს კავშირებითში მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის სამივე პირში (კ ლ ე ვ დ ი, კ ლ ე ვ დ ი, კ ლ ე ვ დ ი, კ ლ ე ვ დ ნ ე ნ) [19(263—264)];

-ევდ ტიპისა და პარალელურად -ვიდ ტიპის წარმოება (კვითხვიდი) დადასტურებულია აჭარულში [86(48)], გურულში [107(79—87)], იმერხეულში [57(159)], და ფერეიდნულში [109(210)]. ჩვენი დაკვირვებით, იგი არ ჩანს ლეჩხუმურში [შდრ. ქ. ძო წ ე ნ ი ძ ე, 19(263)] და სრულიად უცხოა ქვემოიმერულისათვის. აწმყოსა და უწყვეტლის ამგვარი წარმოება არ შეგვიძინევი თერჯოლურშიც კი, რომელშიც, როგორც გარდამავალი ზოლის მეტყველებაში, ზემოიმერულის ნიშნულებანი საკმაოდ ჭარბად არის წარმოდგენილი.

მოვლენის მკაცრი ლოკალიზება (ზემოიმერულის ფარგლებით ქვემოიმერულთან მიმართებაში) გვიკარნახებს, აღნიშნული ცვლილება მივიჩნით ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნულებად ქვემოიმერულ და ზემოიმერულ დიალექტებად დაყოფისათვის.

არც ისე იშვიათია თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები. მაგალითად, მოსალოდნელი -ებ თემის ნიშნის ნაცვლად აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ზმნები დაირთავს -ობ სუფიქსს. ასეთივე შენაცვლების შემთხვევებზე სტატიკურ ზმნებში უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ამავე ყალიბში ექცევა ზოგი გარდამავალი ზმნაც -ობ სუფიქსის მათქმურებელ ძალაზე ხელშესახებად მეტყველებს აგრეთვე ისეთი ფორმების გამოვლენა, როგორიცაა ბ რ ძ ო ლ ო ბ ს (იბრძვის), ც ე კ ვ ო ბ ს (ცეკვავს), ის ო ბ ს (ისევამს), უ ს ო ბ ს (უსევამს), შ ფ ო თ ო ბ ს (შფოთავს).

ხშირად იკარგება -ავ თემის ნიშანი უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში, მაგრამ ეს მოვლენა საერთო ქვემოიმერული არ არის. დამახასიათებელია ის მხოლოდ თერჯოლური მეტყველებისათვის: ნ ა ხ ლ ა ბ ო ვ შ ი ბ უ რ თ ს, ა ბ ა ს ა დ ე ი კ ა რ ქ ე ბ ო ლ ა ..., დ ა კ ე ტ დ ა კ ა რ ს და

ისე წევიდოდა..., თელი დღე ლოცდა საწყალი თავის ქალიშვილს და მერეთ ქე მოკტა..., თავისთეინ რო შეიკერდეს, კარგს იზამს..., ყლაპდა ღვინოს და აბა რა დეემართებოდა..., გარეკდა საქონელს და მერეთ: თელი დღე თვისუფალი იყო...

ამ ნიშნით თერჯოლური მეტყველება მკვეთრად განსხვავდება ქვემოიმერულის სხვა თქმებისაგან.

უწყვეტლის, პირველი კავშირებითისა და მომავლის კავშირებითის ამ თავისებურ წარმოებაზე აღნიშნულ დიალექტურ ერთეულში მიუთითებს შ. ძიძიგური [20(167—168)].

თერჯოლურის ეს ჩვენება (ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი) ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ ზემოიმერულის ვითარებას. ამ უკანასკნელშიც -ავ თემის ნიშანი ხშირად გაუჩინარებულია, რის შედეგადაც გავრცელებულია: ხოცდა, რეცხდა, ბოჭდა, გარეკდა, შეკერდა, გახერხდა, ხოცდენ, იპარდენ და მისთ. ფორმები [19(265)].

მასასადამე, ამ თავისებურებით თერჯოლური თავის სრულ ანალოგონს პოულობს ზემოიმერულთან.

სხვა საკითხია ის, თუ რატომ გაიკაფა გზა ზემოიმერულის გავლენით ხოცდა, რეცხდა, ბოჭდა და სხვ. ასეთმა ფორმებმა თერჯოლურში, მაგრამ არ გავრცელდა აქწირევენ, კლევენ, კლევდა, ხნევდეს და სხვ. მსგავსი ფორმები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შეკერდა, ხოცდა, გარეკდა და მისთ. ფორმების არსებობაზე გურულშიც მიუთითებს პ. ჯაჯანიძე [107(88)].

ნამყო ძირითადის მაწარმოებელი სუფიქსები პირველსა და მეორე პირში ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში და ქართული ენის სხვა დიალექტებში, ქვემოიმერულშიაც არის -ე და -ი. ისინი აქ რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდიან: ვნახე ფრონტზე ჩემი ძმა..., გავთოხნე ყანა..., გეიგე რამე?..., დავწვი შეშა..., დარჩი ჩემთან ამელამ..., გავშრი ამხელა კაცი...

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზმნებს, რომელთაც ძველ ქართულში ნამყო ძირითადში არავეითარი მაწარმოებელი არ და-

ერთვის, ახალ ქართულში -**ე** უჩნდებათ ბოლოში: წ ა ვ ე დ > წ ა ვ ე დ ი ,
მ ო ვ ხ ა ნ > მ ო ვ ხ ა ნ ი , ვ უ თ ხ ა რ > ვ უ თ ხ ა რ ი და ა. შ.

საკვლევ ობიექტში ეს ზმნები ყოველთვის -**ი** სუფიქსით იხმარება. ასევეა ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებში. აღმოსავლურში კი პირიქით, უპირატესად გამოყენებულია უსუფიქსო წარმოება: წ ა ვ ე დ , მ ო ვ კ ა ლ , ვ უ თ ხ ა რ და მისთ.

არ ვიჭნებოდით სწორი, თუ ვიტყვოდით, რომ ქვემოიმერული ამ მხრივ სალიტერატურო ქართულის გავლენას განიცდის, ამიტომაც და ერთვის ზმნებს ნამყო ძირითადში -**ი** სუფიქსი: წ ა ვ ე დ ი , მ ო ვ კ ა ლ ი , ვ უ თ ხ ა რ ი და სხვ., მასში განვითარების საერთო ტენდენცია ჩანს.

გვაქვს რიგი ისეთი ზმნა, რომელთაც ნამყო ძირითადში მაწარმოებლად მოუღიოთ -**ე**-ს ნაცვლად -**ი**: გ ე ვ ი პ ი გ უ ლ ზ ე კ ა ც ი ..., მ ო ა ბ ე ლ ი წყალი..., დ ე ვ ი მ ხ ვ ი ...

ზმნებს, რომელთაც წყვეტილში -**ი** ნიშანი აქვთ ან ბოლოვდებიან -**ე**-თი, ზოგჯერ ერთვის -**ვი**: დ ლ ე ს და ვ ფ ქ ვ ე ვ ი ს ი მ ი ნ დ ი ..., მ ო ვ ს პ ე ვ ი თ მ ტ რ ი ..., და ვ რ გ ე ვ ი ა ხ ა ლ ი ნ ე რ გ ე ბ ი ..., და რ წ ყ ე ვ ი და ისთე მომეცი..., ჩ ა რ თ ე ვ ი ე რ თ ი ტ ე ლ ე ვ ი ზ ო რ ი ..., მ ო ს პ ე ვ ი თ ა ხ ლ ა მ ა გ ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ი ..., მ ო ვ რ წ ყ ე ვ ი ჩ ე მ ი ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ...

რიცხვში მონაცვლე ზმნები მრავლობითში ჩვეულებრივ მხოლობითის ფუძით გვევლინებიან ასეთ შემთხვევებში: ჭ ი ა ნ ბ ო ვ შ ე ბ ი წყაროსთან..., წ ე ლ ს კ არ ქ ა დ ა ბ ი ა ზ ი ლ ს ... ს ხ ე და ნ , ა ს ხ ი ა ფ ო რ მ ე ბ ი ქ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს ა თ ვ ი ს უ ც ხ ა [110(149)].

კავშირებითი II

კავშირებითი II-ის წარმოების შესახებ ქვემოიმერულში შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: გამოყენებულია თითქმის ყველა მაწარმოებელი ელემენტი, თუმცა უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედება ამ შემთხვევაშიც ხელშესახებია, რის შედეგადაც კავშირებითი II-ის საწარმოებლად უფრო ხშირად გვაქვს -**ე** სუფიქსი: რო დ ე ვ ი ხ ჩ ვ ე წყურვილით, წყალს არ მომაწვტის..., თავის დროზე უნდა დ ე ი ბ ე ს საქონელი თავის ალაგას და მერეთ აღარ გაგაწვალებს..., დ ე ი დ ვ ე ს ახლა წინ და ჰამოს თითონ..., ხახვი უნდა დ ე ი ჰ რ ე ს წ ვ რ ი ლ - წ ვ რ ი ლ ად..., თავიდან უნდა ე ი ხ ს ნ ე ს ახლა ყველაფერი..., ხვალ საქონელი უნდა დ ე ი კ ლ ე ს..., დ ე ი წ ვ ე ს ცეცხში შენი გამჩენი..., მეზობლებში რო ჩხუბი წ ა რ მ ე ი შ ვ ე ს , რაცხა დიდი მიზეზია სა-

პირო..., ჩეებეს ახლა შევიბრში, თუ კაი ბიჭია..., უნაყოფო ხე ძირში უნდა შეიჭრეს...

გვაქვს ისეთი ზმნები, რომლებშიც კავშირებითის -ჲ-ს სუფიქსი -ო ცვლის: არ წახვიდო..., უნდა გედვიდო..., შენიანის მოსვლა უნდა გაგიხაროს... თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ კავშირებით II საწარმოებლად -ო გაცილებით უფრო პროდუქტიულ სუფიქსად ჩანს ზემოიშვლში [19(63)], ვიდრე ქვემოიშვლში.

მრავალჯერ განმეორებული მოქმედების შინაარსის გადმოსაცემად ქვემოიშვლს ზმნისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმა არ აქვს. მის საკომპენსაციოდ არც „ხოლმე“ ნაწილაკი გამოიყენება. მრავალგზისობას უწყვეტელი და მისგან ნაწარმოები ხოლმეობითის ფორმა გამოხატავს „ხოლმე“ ნაწილაკის დაურთველად: ვაშენებდი და ვანგრევი, ეს იყო ჩემი საქმე, მეტი არაფელი..., მევიტანდი შემიჭამდა, მევიტანდი შემიჭამდა, ერფინხას არ დამიტოვებდა..., მხოლოდ თერჯოლურ მეტყველებაშია დადასტურებული „ხოლმე“-ს ხმარება წყვეტილის ფორმასთან უწყვეტლის შინაარსის გადმოსაცემად: წავედი ხომე... [20(169)]. სხვა შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, „ხოლმე“ ნაწილაკი ქვემოიშვლისათვის უცხობა.

III ხერია

თურმეობითი I

სალიტერატურო ქართულში თურმეობითი პირველი იწარმოება აწმყოს ფუძიდანაც და წყვეტილიდანაც [111(69)]. ამ ორი ტიპიდან ა. ჩიქობავას აზრით, უფრო ძველია ის ტიპი, სადაც ამოსავალია აორისტის ფუძე [112(137)].

საკვლევ ობიექტში სალიტერატურო ქართულთან შედარებით თურმეობითი პირველის წარმოება ხასიათდება რიგი თავისებურებებით:

-ავ, -ამ თემისნიშნის ზმნები -ია დაბოლოებით წარმოგვიდგება: დოუშალია საცხა და ვერ მივაგენი..., შეუქერია თავისთვინ კაბა..., შეუღებია წითლათ..., დოუხრია თავგს ყველაფერი..., ულანძლია მეზობლები..., დოუხუჭია თვლები და ქია...₂ მოუკლია დათვი ტყეში..., ჩოუცვია შავები..., უსვია იმდენი, კინალამ მომკვტარა..., დოუბია საქონელი და წასულა...

-ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობ-თი I-ის წარმოების მხრივ ქვემოიმერული სხვა ბარის დიალექტებთან მიმართებით თავისებურებას არ ამჟღავნებს. ცნობილია, რომ ქართული ენის კილო-თქმათა დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია თურმეობითის ამგვარი წარმოება. ახსნილია ის უნიფიკაციით. -ია დაბოლოებაზე გადადის ამ რიგის ყველა გარდამავალი ზმნა ტერიტორიულად ძალზედ დაშორებულ დიალექტურ ერთეულებში, რაც დიალექტურ სხვაობათა მოშლისა და კონვერგენციის პროცესის ერთ-ერთ გამოხატულებად არის მიჩნეული [3(177,184)]. უნიფიკაცია სხვა მიმართულებითაც ტარდება. თუ ბარ-ს კილოები -ია სუფიქსის გავრცელებას ცდილობს, მთის კილოები: ხევსურული, ფშაური, თუშური, პირიქით, მიისწრაფვის გააბატონოს -ავ. ეს უკანასკნელი ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სამწერლობო ენაშიც [113(458)].

-ებ თემისნიშნის ზმნათა თურმეობითი პირველი ქვემოიმერულშიც სალიტერატურო ქართულის მსგავსად იწარმოება პირველსერიის აწმყოს ფუძიდან: გო უ ე ნ ე ბ ი ა, გო უ ე კ ე თ ე ბ ი ა, გო უ თ ე თ რ ე ბ ი ა, გო უ თ ე ნ ე ბ ი ა, დო უ ლ ა გ ე ბ ი ა, გო უ ს უ ქ ე ბ ი ა, გო უ ც ი ლ ე ბ ი ა, გო უ ნ ა თ ე ბ ი ა და მისთ.

მაგრამ გვაქვს ერთი ჯგუფი ისეთი ზმნებისა, რომლებიც პირველ სერიაში -ებ ფორმანტს დაირთავენ, ხოლო თურმეობით პირველში წარმოგვიდგებიან მის გარეშე. ამ ტიპის ზმნათა ჯგუფში შედის მეტწილად მედიაოაქტივები და ზოგი მოქმედებითი გვარის ზმნაც:

ჩ ა მ ო უ კ ი დ ი ა კედელზე დიდი სურათი..., გო უ მ ა რ ჯ ე ბ ი ა მტერთან ბრძოლაში..., გო უ ტ ა ც ი ა თ საქონელი და გაბარულან..., გო უ ხ ა რ ი ა თ მშობლებს..., გო უ კ ი დ ი ა ბაწარზე გასაშრობლა..., მეფე ცოლს ორი ბიჭი ერთათ დო უ ბ ა დ ი ა..., ჩემი ქაით უ ს ა რ გ ე ბ ლ ი ა..., მოუტანია ბოვებშიზა და გო უ ხ ა რ ი ა იმგენის გული... თელი დღე უ მ უ შ ა ვ ი ა ნადი (უმუშავებია ნადი)..., უ ა ნ გ ა რ ი შ ი ა თ თავისთვინ ბევრი...

-ებ სუფიქსი ასეთ შემთხვევებში ხშირად სალიტერატურო ქართულშიც არ ჩანს, მაგრამ ისინი თურმეობითი პირველის ფუძეში -ნ-ს ჩაირთავენ: გა უ მ ა რ ჯ ე ნ ი ა, უ მ ს ა ხ უ რ ნ ი ა, ჩ ა მ ო უ კ ი დ ე ნ ი ა, უ ე ვ ა რ ჯ ი შ ნ ი ა და ა.შ. (თუმცა ამ სუფიქსის გარეშეც რიგი ზმნური ფუძე იხმარება ახალ ქართულში [(111(75)].

დიალექტებიდან -ნ სუფიქსიან ფორმებს (უმუშავნი ა...)

ვხედებით მხოლოდ ქართლ-კახურში, რომელთა გავლენითა და მიბაძვითაც აიხსნება მათი ხმარების შემთხვევები მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში. -ს სუფიქსი თანაბრად არაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში დღეს. ზოგმა დიალექტმა, მათ შორის იმერულმა, ის სრულებით არ იცის [111(77)], მაგრამ, ჩვენი აზრით, -ს-ს ჩაურთველობა ასეთ შემთხვევებში საერთო იმერული მოვლენა არაა. ზემოიმერულის ჩვენება ქვემოიმერულთან მიმართებაში არც ისე იშვიათად გამოავლენს -ს-ს ჩართულ ფორმებს თურმეობით პირველში [19(130)]. ამ მხრივ ზემოიმერული და ქვემოიმერული მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს.

ზემოიმერული: უ ს ე ს ხ ნ ი ა, უ მ უ შ ა ვ ნ ი ა, გ ო უ ხ ა რ ნ ი ა, უ ნ ა დ ი რ ნ ი ა...

ქვემოიმერული: უ ს ე ს ხ ნ ი ა, უ მ უ შ ა ვ ი ა, გ ო უ ხ ა რ ი ა, უ ნ ა დ ი რ ი ა...

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზმნათა ერთ ჯგუფს თურმეობით პირველში -ებ ფორმანტი არ დაერთვის, როცა აწმყო-მყოფადში ზმნა -ებ თემისნიშნია: უ ს ა რ გ ე ბ ლ ი ა, გ ო უ კ ი დ ი ა, დ ო უ ბ ა დ ი ა, მ ო უ ფ ი ქ რ ი ა და სხვ.

როგორ შეიძლება შეფასდეს ეს მოვლენა აქ? არის თუ არა ეს იმის მჩვენებელი, რომ თურმეობითი პირველი ამ შემთხვევაში ამოსავლად იყენებს მეორე სერიის ფუძეს და რომ ამ მხრივ მისი წარმოების ძველ ტიპთან გვაქვს საქმე? ვფიქრობთ, თურმეობითი პირველის ამგვარ წარმოებას არაფერი აქვს საერთო იმ უძველეს ვითარებასთან, როცა ეს მწკრივი ყოველთვის ემყარებოდა აორისტის ფუძეს. პირიქით, -ებ სუფიქსის დაურთველობა ზმნებზე თურმეობით პირველში ახალწარმოქმნილი ცვლილებაა. იგი აქ იკარგება -ავ და -ამ თემის ნიშანთა ანალოგიურად, რის შედეგადაც ორი სხვადასხვა ამოსავალი ფორმა ფუძის შედგენილობის თვალსაზრისით სრულიად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად; ხ ა ტ ა ვ ს — დ ო უ ხ ა ტ ი ა, მ ა ლ ა ვ ს — დ ო უ მ ა ლ ი ა, ა ბ ა მ ს — დ ო უ ბ ი ა, დ ა კ ი დ ე ბ ს — დ ო უ კ ი დ ი ა, ბ ა დ ე ბ ს — დ ო უ ბ ა დ ი ა, ს ტ ა ც ე ბ ს — მ ო უ ტ ა ც ი ა.

დ ო უ ხ ა ტ ი ა და დ ო უ კ ი დ ი ა ფუძის შედგენილობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. პირველ შემთხვევაში იკარგება -ავ თემის ნიშანი, ხოლო მეორე შემთხვევაში — ებ. -ია უშუალოდ ერთვის

ზმნის ძირს ორსავე შემთხვევაში. ასევე უნდა ითქვას ზემოთ დასახელებულ სხვა ფორმებზეც.

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებღს თურმეობითი პირველი მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებს აღწერთად აწარმოებენ. მოვლენა საერთოა დასავლურ-ქართული დიალექტური წრისთვის: ყოფილარიენ, დამალულარიენ, დამჟღარარიენ და მისთ. ქვემოიმერულის თავისებურება ამ მხრივ იმაში ვლინდება, რომ ამავე ყალიბში მოქცევას ლამობს, როგორც უკვე ვთქვით, ზოგი ორპირიანი გარდაუვალი და ზოგჯერ გარდამავალი ზმნაც: მოქცეულარიენ, მოფერებლარიენ, მინახავლარიენ [90(113)].

უფრო ხშირად აღწერთი ფორმები ასეთ შემთხვევაში დადასტურებულია აწმყოში.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ: ა) თურმეობითი პირველის წარმოებაში ვლინდება მკვეთრად გამოხატული უნიფორმაციის ტენდენცია, ამ მხრივ ჩვენთვის საკვლევი დიალექტური ობიექტი ცალკე არ დგას. უნიფორმაციის ტენდენციითვე აიხსნება ქართული ენის მეტწილ დიალექტებში -აჰ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა გადასვლა -ია და-ბოლოებაზე, რაც კონვერგენციის პროცესის ერთ-ერთ გამოხატულებად არის მიჩნეული ქართული ენის დიალექტებში: ბ) -აჰ და -ამ თემის ნიშნების ანალოგიურად ხშირად -ებ სუფიქსიც გაუჩინარებულია პირველი თურმეობითში (გოუქიდი, უსესხია, მოუფიქრია...), რის შედეგადაც ორი სხვადასხვა ამოსავალი ფორმა აქ ერთმანეთს ემთხვევა (დოუხატია, გოუქიდი); გ) ზმნათა ერთ ჯგუფს სალიტერატურო ქართულსა და ზოგ დიალექტში -ნ ჩართვის ფუძეში (უმუშაენია, უთხოვია), ქვემოიმერულში -ნ ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ ჩანს, რითაც ის თვალსაჩინოდ უპირისპირდება იმ დიალექტებს, რომელთაშიც -ნ ჩართული ფორმებია ფიქსირებული, მათ შორის, ზემოიმერულსაც; დ) ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველი აღწერთად აწარმოებს ფორმებს მრავლობითი რიცხვის III პირში (წასულარიენ, დამალულარიენ, ყოფილარიენ); ე) ამავე ყალიბში მოქცევას ლამობს ზოგი ორპირიანი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნაც: მოფერებლარიენ, მინახავლარიენ.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში -ებ სუფიქსიანი ზმნების თურმეობითი მეორე ფუძედ იყენებს თურმეობით პირველს, ძალზედ იშვიათად — წყვეტილს. ამის გამო ის ზმნები, რომლებიც საკვლეე ობიექტში თურმეობით პირველში -ებ სუფიქსს არ დაირთავენ, ცხადია, თურმეობით მეორეშიც ამ სუფიქსის გარეშე აწარმოებენ ფორმებს: დ ე ე პ ა ტ ი ე ჯ მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი გა ს ჯ ე ნ ე ბ ა შ ი ..., გ ე ე ტ ა ც ა თ გ ო გ უ ე ბ ი და გაქცეულარიენ..., რო გ ე ე მ ა რ ჯ ვ ა თ, ჩ ვ ე ნ ც ქ ე გ ე ი ნ დ ო და, მ ა რ ა ს ა ნ ა მ ე რ ე ..., თ ა ვ ის დ რ ო ზ ე რ ო გ ე ე კ ი დ ა (გ ა ე კ ი დ ე ბ ი ნ ა), ან ლ ა გ ა მ შ რ ა ლ ი ი ქ ნ ე ბ ო და ..., ე ს ა რ გ ე ბ ლ ა თ ჩ ე მ ი წ ყ ა ლ ი თ, რ ა მ ო ხ თ ე ბ ო და მ ე რ ე ..., რ ო ე ვ ა რ ჯ ი შ ა თ, მ ა შ ი ნ კ ი არ დ ა მ ა რ ც ხ თ ე ბ ო დ ე ნ ..., მ ე ე ფ ი ქ რ ა (მ ო ე ფ ი ქ რ ე ბ ი ნ ა) და მ ო ს უ ლ ი ყ ო, მ ის თ ვ ი ნ ას ე ჯ ო ბ და ..., ე ღ ა ლ ა ტ ა, გ ო გ ი ე ს ც ო ლ ი ზ ა ..., რ ო დ ე ე წ უ ნ ა კ ი, ბ ა ტ ო ნ ო ... უ ს უ ფ ი ქ ს ო თურმეობითი მეორისათვის (დ ე ე ე ბ ა და) ამოსავალია უსუფიქსო თურმეობითი პირველი (დ ო უ ზ ჯ დ ი ა) [19(126)].

ქვემოიმერულისათვის სრულიად უცხოა აგრეთვე -ნ-არიანი თურმეობითი მეორის ფორმები. გავრცელებულია: დ ე ე პ ა ტ ი ე ჯ ა, ე კ ი თ ხ ა, ე შ ო ვ ა, გ ე დ ე ე ხ ა და და არა: დ ე ე პ ა ტ ი ე ჯ ნ ა, ე კ ი თ ხ ნ ა, ე შ ო ვ ნ ა, გ ე დ ე ე ხ ა დ ნ ა ...

-ოდ სუფიქსიანი თურმეობითი მეორის ადგილას გვხვდება მეშველზმნიანი ფორმებიც: რო შ ე ძ ლ ე ბ ი ყ ო, ო უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ე ვ ი დ ო და ..., რო ქ ო ნ ი ყ ო, კ ი მ ო ქ ე მ და ..., რო გ ა ს ვ ლ ი ყ ო თ ა ვ ის ი, მ ა შ ი ნ კ ა რ ი ტ ი რ ე ბ და ..., ის რ ო კ მ ა რ ი ყ ო, რ ა ს ა ც მ ე ი ტ ა ნ და ..., ს ტ უ მ ა რ ი რ ო შ ო ს ვ ლ ი ყ ო, მ ა შ ი ნ ქ ე ე პ ა ტ ი ე ბ ო და ...

აღნიშნული მოვლენა გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში. ზემოიმერულიც ხშირად ადასტურებს მსგავს ფორმებს, ქვემოიმერულში კი შედარებით ზემოიმერულთან და მით უფრო აღმოსავლურ კილოებთან „იყო“-ს გამოყენება -ოდ-ის ნაცვლად უფრო შეზღუდულია.

თურმეობითი მეორის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: ცნობილია, რომ ზემოიმერულში გამოვლენილია დ-ონიანი ფორმების არსებობა გარდაუვალი დინამიკური ვნებითების პირველსა და მეორე პირში: მ ო მ კ ვ ტ ა რ ვ ი ყ ა ვ დ ი, გ ა ვ ჩ ე რ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ დ ი, გ ა მ თ ბ ჯ რ ი ყ ა ვ დ ი, ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ დ ი, გ ა ს უ ლ ე ლ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ დ ი და მ ის თ: [19(270—272)], რაც ქვემოიმერულისათვის სრულიად უცხოა.

თურმეობით მეორეში სისტემატურად -ია დაბოლოებით გეხვდება ე თ ქ ვ ა ზმნა: იმას რო ე თ ქ ვ ი ა, კარგი იყო..., კოწიეს ამხანაგებიზა ე თ ქ ვ ი ა..., ახალ ამბად ე თ ქ ვ ი ა, ძველი ამბავი...

კავშირებითი III

კავშირებითი მესამის გამოყენება ქვემო იმერეთში ისევე იშვიათია როგორც სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის სხვა დიალექტებში. ამ მხრივ ქვემოიმერული რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებს: არ ყოფილა შემთხვევა, რომ რამე მ ე ე ტ ა ნ ო ს სახში და ცოლ-შვილი გ ე ე ხ ა რ ე ბ ი ო ს... არ მახსოვს, მისთვის შენიშვნა მ ი მ ე - ც ე ს...

დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები

თურმეობითი III, თურმეობითი IV და კავშირებითი IV სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია აწმყოს თურმეობითის ნაკვთებად. ისინი გამოიყოფიან აორისტის ნაკვთებიდან და ერთიანდებიან დრო-კილოთა (ცალკე ჯგუფში), მეოთხე ჯგუფში. ამ ჯგუფში ივარაუდება ისეთი ფორმები, როგორიცაა მ ი ნ ა ვ ა ლ ა (თურ. III), მ ი ნ ა ვ ა - ლ ი ყ ო (თურმ. IV) და მ ი ნ ა ვ ა ლ ი ყ ო ს (კავ. IV).

აწმყოს თურმეობითის ნაკვთები დამახასიათებელია ქართველური ენებისა და ქართული ენის ზოგი დასავლური დიალექტისათვის. აღმოსავლური კილოებისა და სალიტერატურო ქართულისათვის ისინი უცხოა.

დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმათა შედგენილობის, ფუნქციისა და გენეზისის საკითხებს (ქართული ენის დიალექტებისა და მოძმე ქართველური ენების მასალებზე დაყრდნობით) სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გ. როგავამ [114(17—32)].

გ. როგავას გამოკვლევაში ამ ნაკვთების გამოყოფის საჭიროების შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „მეოთხე ჯგუფის ნაკვთთა გამოყოფის საჭიროება შეპირობებულია ამ ენათა ძირითად დრო-კილოთა სისტემით, სახელდობრ: ხილულ დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ნაკვთებს ისევე გაუჩნდა შესაბამისი უხილავ დრო-კილოთა ნაკვთები (მეოთხე ჯგუფისა), როგორც ხილულ დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვ-

თებს ჰქონდათ შესაბამისი უხილავ დრო-კილოთა ნაკვთები (მესამე ჯგუფის ნაკვთები)“ [114, (30)].

ამავე ნაშრომში ავტორი ეხება აწმყოს თურმეობითის ნაკვთთა წარმოებას, მათ ფუნქციასა და გენეზისს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქვემოიმერულში საკითხის სპეციალური განხილვისას. სახელდობრ, ნათქვამია: -ნა პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთები ქართულის დასავლურ დიალექტებში იმავე ფუნქციის მქონეა, რა ფუნქციაც აქვს -ნო პრეფიქსიან მეგრული ზმნის ნაკვთებს: მინავალა „მიდის თურმე“, „მიდიოდა. თურმე“, მინავალიყო „მიდიოდა თურმე“ [114(28)].

სინტაქსური კონსტრუქციაც ქართულ -ნა პრეფიქსიან ნაკვთებს ისეთივე აქვთ, როგორც მეგრულში -ნო პრეფიქსიან ნაკვთებს: „თინანო ჰქარუე თის“ — ის ნაწერა მას; „თინანო ჰქარუე დუთის“ — ის ნაწერიყო მას [114(28)].

აღნაგობის მიხედვითაც ქართულის ეს ნაკვთები ემთხვევა მეგრულის სათანადო ნაკვთებს [114(28)].

ქართულის კილოებში -ნა პრეფიქსიანი თურმეობითის ორი ნაკვთი გვხვდება მონავალა და მონავალიყო. მონავალიყოს ნაკვთი ისევე იშვიათია, როგორც კავშირებითი მესამის ფორმა მოსულყოს [114(29)]. ამასთანავე აქ მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება: ნაწერა, ნაზოგავა, მინავალიყო [114(29)].

აწმყოს თურმეობითის ნაკვთები უცხოა სალიტერატურო ქართულისათვის. არ იცის იგი არც ერთმა აღმოსავლურმა დიალექტმა, გვხვდება დასავლურ კილოთაგან ქვემოიმერულში, რაქულსა და ლეჩხუმურში და არ გვხვდება გურულსა და აჭარულში [114(28, 30)].

საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართული ენის სხვა მკვლევარებსაც თავიანთ ნაშრომებში დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთების შესახებ [115].

ქართული ენის დასავლურ კილოებში ეს ფორმები მეგრულის გავლებით არის გავრცელებული [11(146), 116(96), 91(128)].

გამოთქმულია აზრი, რომ გარდა აქ დასახელებული მნიშვნელობისა, მათ შეიძლება ჰქონდეთ პოტენციის გაგებაც. იწარმოებიან აწმყოს თურმეობითის ნაკვთები -ნა პრეფიქსიან წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობაზე მეშველი ზმნის დართვით;

[114(28—29)]: ნაწერავა, ნაწერავხარ, ნაწერავლარი-
ენ, ნაწერავხართ... ნაფიქრალიყო, განაკეთებ-
ყო და მისთ.

თითოეული ასეთი ფორმა, იმის მიხედვით, თუ სათანადო კონტექს-
ტი რა მნიშვნელობას მისცემს მას, შეიძლება გავიგოთ როგორც ნამყო
უსრული. აწმყო-მყოფადი ან როგორც დროის გარეშე მდგომი
[117(66)].

თურმეობითის უნახავი, სხვისგან განაგონი ფორმის საწარმოებლად
მეგრულში გამოყენებულია -ნო პრეფიქსით წარმოქმნილი ნამყოს მიმ-
ღობა პლუს მეშველი ზმნა. მეგრულისებური აღნაგობისა და ფუნქ-
ციისაა სვანური და აგრეთვე რაჭული, იმერული და ლეჩხუმური ფორ-
მები: ლმარდ (ნამყოფა), ნაკითხავა, ნაწერა, ნაყუ-
რება, მოვლენა წარმოშობილია სხვადასხვა დროს მოძმე ქართვე-
ლურ ენებში. მის გაჩენას საერთო საფუძველი აქვს [67(453)].

რას გვიჩვენებს ქვემოთმოხსენიებულის რეალური ვითარება აღნიშნული
თვალსაზრისით?

დიალექტოლოგიური მასალა გვიკარნახებს, დაზუსტდეს ზოგიერთი
მოსაზრება, რომლებიც გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში
აწმყოს თურმეობითის ფორმათა გავრცელების, ფუნქციისა და წარ-
მოების საკითხებზე საკვლევ ობიექტში:

1. დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმათა გავრცელების არეალი ქვე-
მოთხსენიებული დიალექტით შემოიფარგლება. იგი არაა საერთო იმერული
მოვლენა. ზემოთხსენებულში დადასტურებული მხოლოდ თითო-ორი
შემთხვევაა მინავლებულა ტიპის წარმოებისა [19(90, 130, 158)]
საერთო სურათს ვერ ცვლის [შდრ. გ. როგავა 114(28), ვ. თოფურია
67(453)]. არც ზემო გურიის იმ სოფლებში, რომლებიც ქვემო იმე-
რეთს უშუალოდ ესაზღვრება და ამის გამო მოსალოდნელი იყო ქვე-
მოთხსენიებულის გავლენა, ნა-თი წარმოქმნილი თურმეობითის ფორმები
არ დასტურდება (ჩვენ შემთხვევა გვექონდა ამ მიზნით დავეკვირვებო-
დით სოფ. ხეთასა და საკამიასერის მცხოვრებთა მეტყველებას). ვერც
იმ აზრს გავიზიარებთ, რომ ნაყვარება, ნაწერა, მინავალა
და მისთ. ფორმები თითქოს ქვემო იმერეთის უკიდურესი დასავლე-
თით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებთა მეტყველებისათვის
უფრო იყოს დამახასიათებელი [შდრ. ვ. კახაძე 117(64)]. მოვლენა სა-
ერთო ქვემოთხსენიებულია და მასში შემავალი წვრილი ენობრივი ერთე-
ულები ამ მხრივ სრულიადაც არ განსხვავდება ერთიმეორისაგან
(გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თერჯოლური, როგორც გარდა-

მავალი ზონის მეტყველება ქვემოიმერულსა და ზემოიმერულს შორის).

2. ქართული ენის დასავლურ კილოებს შორის ქვემოიმერული ერთადერთია, რომელშიც აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ნაკვთები ყველაზე უფრო მწყობრ სისტემას ქმნის (ამ მხრივ მას ვერც რაქული შეედრება და ვერც ლეჩხუმური), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ სისტემის არსებობას აქ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

3. მიუხედავად სისტემის ასეთი დასრულებულობისა, ქვემოიმერულშიც (ისე როგორც სხვა კილოებში) მაინც უპირატესად თურმეობითი III-ის ნაკვთია გავრცელებული:

ნ ა წ ე რ ა დედამის წერილებს..., ნ ა გ ზ ა ნ ა და ნ ა გ ზ ა ვ ნ ა პა-
სილკებს მოსკოვიდან..., ნ ა შ ე ნ ე ბ ა კი ბოსელს საქონელიზა..., ნ ა ე-
დ ო მ ა ბოვში თავისთვის, მისულა და ოუტირებია..., ქ ე ნ ა ტ კ ი ვ ა რ ა,
მარა არ ამოულა ხმაი..., მ ი ნ ა ქ ო ნ ა ურემით შეშა თავის სახში...

შედარებით იშვიათად ვხვდებით თურმეობითი IV-ის ფორმებს:

ნ ა თ ე ს ი ე ო სიმინდს ყანაში..., ნ ა მ ბ ა ვ ი ე ო ძროხას ხის ძირ-
ში..., გ ა ნ ა კ ე თ ე ბ ი ე ო სხვის საქმეს..., გ ა ნ ა თ ბ ბ ი ე ო საწყალი
ცეცხლთან..., ნ ა ფ ი ქ რ ა ლ ი ე ო თურმე შეილზე...

ხოლო კავშირებითი IV კიდევ უფრო ნაკლებად არის ფიქსირებული ჩვენს მასალებში და ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაშიც: რო არ ნ ა ს რ ო ლ ი ე ო ს, მაშინ კარ მოკვებოდა..., იმას რო ნ ა ყ-
ვ ა რ ე ბ ი ე ო ს, ეგიხო არ მოხთებოდა... ამ მხრივ ჩვენი შესწავლის
ობიექტი რაიმე მნიშვნელოვან თავისებურებას არ ამჟღავნებს. კავში-
რებითი III-ის ფორმათა გამოყენების შეზღუდვის პირობებში, რაც
საერთო დამახასიათებელი ნიშანია სალიტერატურო ქართულისა და
ქართული ენის დიალექტთა დიდი უმრავლესობისათვის, კავშირებითი
IV-ის ხმარების არის შევიწროება ამ შემთხვევაშიც სავსებით ბუნებ-
რივია.

4. რაც შეეხება ფუნქციას, უნდა ითქვას, რომ აწმყოს ჯგუფის
თურმეობითის ფორმები ქვემოიმერულში, თუ რეალური ვითარებიდან
ამოვალთ, უფრო ნამყო უსრულს შეესაბამება, ვიდრე აწმყო-მყოფადს:

ნ ა წ ე რ ა ბოვში თავისთვინ..., (წ ე რ დ ა თურმე ბოვში თავის-
თვინ), თავისთვინ ნ ა ქ ი რ ე ბ ა..., (თავისთვინ ქ ი რ დ ე ბ ო ლ ა
თურმე), ქ ე ნ ა ქ ა მ ი ე ო მოპარულ ბალს..., (ქ ე ჭ ა მ დ ა თურმე
:მოპარულ ბალს), მ ი ნ ა ქ ო ნ ი ე ო თავის ადგილზე დასადებათ და
ქ ე გოუტყტა... (მ ი ჰ ქ ო ნ დ ა თურმე).

აწმყოს გაგება აქ დასახელებულ ფორმებს იშვიათად აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ გააჩნიათ. ყოველგვარ კონტექსტში ისინი წარსულში ჩადენილ ისეთ მოქმედებას გამოხატავენ, რომელიც ჯერ არ დასრულებულა (ყოველ შემთხვევაში ეს ასე ჩანს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით).

5. ფუძის აღნაგობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა განატესარა, განაძლებარა, განაკეთებარა და მისთ. ფორმები, რომლებიც დადასტურებულია შ. ძიძიგურიის მიერ წულუკიძურ მეტყველებაში [20(157),91(129)] და რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვაგან არაფერია ნათქვამი.

6. მართალია, IV ჯგუფის ნაკვთები ქვემოიმერულშიც, ისე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, III პირის ფორმით გვხვდება [114(29)], მაგრამ აქ მაინც უფრო ხშირად არიან ისინი გამოვლენილი I და II პირის ფორმით, ვიდრე ქართული ენის სხვა დიალექტებში.

შენაა ჩემზე რო ნაწერავხარ რაღაც სისულელებს?

- მე ვნაწერავარ?

ამასობაში ქე შივნასლელვარ დანიშნულ ადგილას..., შეგნაძლება ამ საქმის გაკეთება!..., კი ვნარეცხავარ თურმე ამ ხელითაც..., ნამეტანი გნაყვარება ცოლ-შვილი...

შეგვხვდა ასეთი ფორმა: ნაყვიდავართ სიმინდს, იმდენი გვექონია... (სუბიექტური პირის ნიშანი -გ ნა-ს შემდეგაა გადასმული). ვფიქრობთ, ეს და სხვა ამგვარი საკითხები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმებზე ქვემოიმერულში.

-ნა პრეფიქსით ნწარმოები თურმეობითის ნაკვთები ზოგჯერ იმერეთიდან გამოსულ მწერალთა მხატვრულ ქმნილებებშიც გვხვდება.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველების განხილვისას ქ. ძოწენიძე ასახელებს მწერლის მიერ გამოყენებულ „ნათხოვარა“ ფორმას [19(317)].

ვ. კახაძის შრომაში მითითებულია სხვადასხვა მწერალთა თხზულებებში გამოვლენილი ამგვარივე ფორმები: „მელუდე თურმე ამ ბოჩკით ლუდსა იმ დროს ნაგზანა“ (გუქიაშვილი)..., „უყურე შენ სად, ნაგდება ლურსმანი“ (ოტ. იოსელიანი)..., „ისეთი ალაგიდან მინა-

ვალაიმ შუალამეში, რომ ქურდის მეტს ეს არ დასჭირდებოდა“ (ბანოვანი — დესპინე გელოვანი) [117(64—65)].

„საინტერესოა—წერს იქვე მკვლევარი, — რომ მიწა ვალაფორმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს თ. უთურგაიძეს ფშურშიც ჩაუწერია, ამ სიტყვების ავტორს კი მიწა ვლებულან შეხვდა ბორჯომის რაიონის სოფ. სადგერში ტექსტების ჩაწერისას“ [117(66)].

ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტი იმაზე, რომ ქართული ენის აღმოსავლურ კილოებშიც დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთების ჩამოყალიბება ჩასახვის პროცესშია? სხვა ნაკითხია: სალიტერატურო ენის ძლიერი ზემოქმედების პირობებში ასეთი წარმოება საბოლოოდ გაკაფავს თუ არა გზას (მაგალითების სიმცირის გამო რაიმეს გადაჭრით თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია).

შუალობითი კონტაქტის წარმოების შესახებ ქვემოიმერულში

შუალობითი კონტაქტის საწარმოებელი სუფიქსები სალიტერატურო ქართულსა და საკვლევ ობიექტში ერთიმეორისაგან განსხვავებულია მხოლოდ მასალობრივად, ფუნქციით — არა.

ცნობილია შუალობითი კონტაქტის სამი მაწარმოებელი -ინ, -ევ და რთული -ევიან.

-ევ მოუდის თითო ოროლა ზმნას [66(360)].

რაც შეეხება -ინ და -ევიან სუფიქსებს, მათი პოზიციები ახალ ქართულში მკაცრად გამიჯნულია.

აღნიშნულ სუფიქსთა პოზიციური განაწილების საკითხს ჩვენ აქ არ შევეხებით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი არაერთხელ ყოფილა მსკვლელობის საგანი სპეციალურ ლიტერატურაში და განმეორებას თავს ვარიდებთ და მეორეც იმის გამო, რომ რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას ამ მხრივ საკვლევ ობიექტი არ ავლენს. განვიხილავთ მხოლოდ შუალობითი კონტაქტის წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგ ცვლილებას, რომლებიც შეინიშნება ქვემოიმერულში და გავაანალიზებთ მათ ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში.

უპირველეს ყოვლისა, აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ასმევს, აჭმევს, აცმევს, ართმევს ფორმები, რომლებიც I სერიაში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ასუმს, აჭუმს, აცუმს,

ართუმს სახით. II სერიაში მოცემულია: ჩააცმია, წაართმია, ასმია, აკმია ფორმით.

მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან:

ჩააცმია ბოვს ტანზე..., წაართმია ყველაფერი, რაც ებადა..., ასმია წყალი..., აკმია საკმელი...

-ევ-ის პოზიცია მყარია არქმევს ზმნაში, რომელიც აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ყოველთვის ათქმევს სახით გვხვდება: რას ათქმევ ბოვს..., ათქმევდა, თავისი ფიქრით, ბოვს სახელს..., ვათქმევ...,

კაუზატივის მაწარმოებელი ინ, ყოველთვის, უგამონაკლისოდ თანხმოვანჩამოცლილია: გააკეთებია, დაალევი, დააწერია...

მგავსი ვითარება დამახასიათებელია ქართული ენის ყველა დასავლური კილოსათვის.

ნ-ს გაუჩინარებით გამარტივებულია, ჩვეულებრივ, შუალობითი კონტაქტის -ე ვინ სუფიქსიც: აკვლევიებს, აკრევიებს, აშლევიებს...

ზოგჯერ რთული -ევინ სუფიქსი მარტივდება არა მარტო ნ-ს დაკარგვით, არამედ ორ ხმოვანს შორის მოქცეული ვ-ს გაუჩინარებითაც, შედეგად ვლებულობთ ასეთ ფორმებს: ათხრევიებს, აკვლევიებს, ახსნევიებს, ათლევიებს...

აღსანიშნავია, რომ ქვემოიმერულისათვის სრულიად უცხოა შუალობითი კონტაქტის ის ფორმები, რომლებიც გავრცელებულია გურულ დიალექტში: გადაახთია, გაათლია (ღგაათლეინა), ათქმია (ღათქმეინა): რამ გათქმია, ბიჭო მამი შენ..., სადაც ამოსავალ ფორმას -ჟჟინ სოთიქსიანი წარმოიბა წარმოადგენს [119(209)].

ვნებითს წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურების შესახებ ქვემოიმერულში

დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება ქვემოიმერული დიალექტის თავისებურებათა ანალიზს, არაფერია ნათქვამი -დ სუფიქსის განსაკუთრებული მათქმურებელი ძალის შესახებ ვნებითი გუარის ზმნათა ფორმირებაში და იმ ცვლილებებზე, რომლებსაც ამ მიმართებით ავლენს საკვლევი ობიექტი. თავისებურებათა სტატიკაში განხილვა, აგრეთვე მათი ევოლუციის გათქა-

ლისწინება საგულისხმო ჩვენებას გვაძლევს იმის ნათელსაყოფად, თუ რა ტენდენციები ახასიათებს ამ მოვლენის განვითარებას აქ.

ცნობილია ვნებითი გვარის ზმნათა ორი ჯგუფი: ერთ ჯგუფს ვნებითებისას აწარმოებს პრეფიქსები, მეორეს — სუფიქსები. ვნებითის პრეფიქსული წარმოება -ი და -ე წინსართებს იყენებს (ი-ხ ა ტ ე ბ ა, ე-კ ე რ ე ბ ა), ხოლო სუფიქსური წარმოება -დ ბოლოსართს (ა შ ე ნ-დ-ა, გამდიდრ-დ-ა), ძველ ქართულში ამავე ფუნქციას -ენ (-ენ) სუფიქსიც ასრულებდა (გ ა ნ დ ი დ-ნ-ა, და გ ლ ა ხ ა კ-ნ-ა). გამოყოფენ ვნებითი გვარის მესამე ტიპსაც, ე. წ. უნიშნო ვნებითებს: ქ რ ე ბ ა, შ რ ე ბ ა, თ ბ ე ბ ა... მათ ვნებითი გვარის მაწარმოებელი სპეციალური ნიშანი არ აქვთ, ამის გამო მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ასეთი ფორმები არ შეიძლება ვნებითად იქნეს მიჩნეული (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სუფიქსური ტიპი ვნებითისა მეტად პროდუქციიანია [66(289)]. ახალი ფუძეებიდან ვნებითებს თითქმის მხოლოდ -დ სუფიქსი აწარმოებს. კიდევ უფრო პროდუქტიული ჩანს ის ქვემოიმერულში. -დ აქ არა მხოლოდ ახალი ფუძიდან აწარმოებს ვნებითის ფორმებს, არამედ იგი მონაწილეობს უკვე არსებული ფორმების ტრანსფორმირებაშიც, რასაც თან მოსდევს პრეფიქსული წარმოების სუფიქსურით შეცვლა. უნიფორმაციის გზით წასული ევოლუციის შედეგად ვნებითის ნაირ-ნაირი ფორმები ერთ სისტემაში მოქცევას ლამობს.

საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ნიმუშები ცოცხალი მეტყველებიდან:

ბევრი ეცადა და ქ ე გ ა ნ კ უ რ ა ნ ა ლ-დ-ა (განკურნა)..., არ დალ-დ-ე ბ ი (იღლები), ბებია, ამდენი მუშაობით?... , და ჩ ა გ რ და (დაიჩაგრა) აი ბაღანე..., გა თ ო შ-დ-ა (გათოშა) სიცივიდან საქონელი..., გა ს უ ს-დ-ენ (გაისუსენ) უცეფ ბაღნები..., ნამეტანი გა პ რ ა ნ კ-ტ(დ)-ა (გაიპრანჭა) ამ ბოლო დროს ე გოგო..., ბოლოს ქ ე ჩ ა ს ი ძ-დ-ა (ჩაესიძა) მიანიც..., მოვჟ და დ ა ჯ ა ტ რ ო ნ-დ-ე ბ ა (დაეპატრონება), ბატონო ყორიფელს..., შე ნ ა ნ-დ-ა (შენანა) უფროს ძმას უნცროსი..., როცა მო ქ ს უ რ-დ-ე ბ ი ე ნ (მოგესურვებათ) მაშინაა თქვენი?... , უცეფ გლანას გ ო უ ხ ი ლ-დ-ა (გაეხილა) თვალები..., გუ-შინ გა მ გ ზ ა ვ რ-დ-ენ (გაემგზავრენ), ბატონო, სიძე-დედოფალი..., მუშაობა არ და ზ ხ არ-დ-ე ბ ა (დაეზარება) არფლამდე..., რაცხა და ხ ა თ რ-დ-ა (მოეხატრა) და ვერაფერი თქუა..., შე მ ზ ა დ-დ-ენ (შე-

ემზადებუ სადილობისთვის..., მისი მზეი ღიდი ხანია ჩასვენ-დ-ა (ჩაესვენა)..., მოვწყინ-დ-ით, გიორგი, მოვწყინ-დ-ით (მოვეწყინა) ამდენი ლაპარაკით..., კაი დარს არასოდეს არ მუუწყინ-დ-ება (მოეწყინება) კაცი..., გოუჯიბრ-დ-ი (დაეჯიბრე) აჰა, თუ გეუტან რამეს..., გლახაც ქე დამოწმ-დ-ა (დაემოწმა) ამ ბუქს..., მეც არ მომწონ-დ-ება, შვილო, ზოგი გარეცხილი.

როგორც, სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, განსაკუთრებრთ ფართოდ არის გავრცელებული ქვემოიმერულში ენიანი ვნებითის სუფიქსური ტიპით შეცვლის შემთხვევები. ამაში გასაკვირი არაფერია; -დ ისტორიულადაც ჩნდება პირველ რიგში „ისეთ ფუძეებში, რომლებიც ძველად -თ პრეფიქსიანი იყო: შ-ე-მ-ში ა, მ-ე-წყურა→მ-ში ვ-დ-ა, მოსწყურ-დ-ა... აღ-ე-შენა, და-ე-წესა→აღ-შენ-დ-ა, და-წეს-დ-ა; შე-ე-შინა, გა-ე-წარა→შე-შინ-დ-ა, გა-ე-წარ-დ-ა. XI—XIII სს ქართული ისტორიული დოკუმენტების ენა ათეულობით ადასტურებს ასეთ ფაქტებს“ [120(310)].

პრეფიქსული ტიპის ვნებითების სუფიქსურით შეცვლა არ არის მხოლოდ ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი მოვლენა, მსგავსი ვითარება დადასტურებულია გურულში და კახურში.

გარკვეულია აგრეთვე, რომ ამგვარივე ურთიერთობა არსებობს ვნებითი გვარის ტიპებს შორის სალიტერატურო ქართულშიც: „წყება ვნებითებისა ძველ ქართულში რომ პრეფიქსით იწარმოება, თანამედროვე სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოებისა... ეს იმას ნიშნავს, რომ სალიტერატურო ქართულს ახასიათებს სუფიქსური ვნებითების გაბატონების ტენდენცია. იგი ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოებიდან უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს“ [121 (68)].

ასე რომ, პრეფიქსური და სუფიქსური წარმოების ვნებითებს შორის არსებული მიმართების ისტორიული განვითარების გზების განხილვა ამ ცვლილებას საერთო ქართულისათვის დამახასიათებელ მოვლენად წარმოგვიდგენს. XI—XVIII სს. ძეგლთა ჩვენება, ახალი XIX—XX სს. ლიტერატურის მონაცემები და აგრეთვე ქართული ენის ზოგლია-ლექტში დადასტურებული ანალოგიური ფორმები [121(69—70)] ამ დებულების ნათელ დადასტურებას იძლევა.

თავის მხრივ, საერთო ქართულისათვის დამახასიათებელი ეს ენობრივი ფაქტი, პრეფიქსული წარმოების სუფიქსურზე გადასვლის ტენ-

დენცია, ანარეკლია ოდინდელი ვითარებისა. მას, როგორც ჩანს, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ტენდენციების სწორი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ეპოქათა განმავლობაში თანდათანობით მოიშალა ქართულში ხმოვანპრეფიქსური წარმოება. -დ, როგორც გვარის მაწარმოებელი სუფიქსი, უფრო გვიანდელი წარმოშობის ჩანს [120(310—311)].

პრეფიქსული წარმოების ვნებიუბის სუფიქსურით შეცვლის ტენდენცია ქვემოიმერულში, რაც ამჟერად ჩვენი განხილვის ობიექტს წარმოადგენს, ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა ამ საერთო ვითარებისა: პრეფიქსული წარმოების ვნებიუბი, როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ უმეტეს წილად -დ-ონიახი ვნებიუბით არის შეცვლილი, რის გამოც წამდაუწყუმ ვხედებით ასეთ ფორმებს ქვემო იმერეთში მცხოვრებ თვით ინტელიგენტთა მეტყველებაშიც კი: მ ი ა თ ი ც ხ-დ-ა (მიჯღაცხა); შ ე მ ნ ა ნ-დ-ა (შემენანა), დ ა პ პ ა ტ რ ო ნ-დ-ე ბ ა (დაეპატრონება), შ ე მ ო ძ უ-ძ გ-დ-ა (შემოიძუძგა), დ ა მ ო წ მ-დ-ა (დაემოწმა), შ ე ბ რ ა ლ-დ-ა (!შებრაღა), მ ი ხ ა ლ ის -დ-ა (მიეხალისა), გ ა ყ ი ნ-დ-ა (გაიყინა), გ ა ო წ კ ი პ-დ-ა (გამოიწკიპა), გ ა მ ო ღ ა რ-დ-ა (გამოიღარა), მ ი კ ე რ-დ-ა (მიეკერა), მ ი ს ვ ე ნ-დ-ა (მიესვენა). მ ო პ ო ტ ი ნ-დ-ა (მოეპოტინა). ჩ ა მ ო პ ო რ კ ე ყ ი ნ-დ-ა (ჩაეპორკეყინა) და მისთ.

საკვლევი ობიექტის მონაცემთა განხილვა, ერთი მხრით, სალიტერატურო ქართულსა და, მეორე მხრით, ქართული ენის სხვა დიალექტურ მონაცემებთან მიმართებაში სარწმუნოს ხდის ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ პრეფიქსური ტიპის ვნებიუბის სუფიქსურით შეცვლა ყველაზე უფრო სისტემურ ხასიათს მაინც ქვემოიმერულში ატარებს. თუმცა პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მაგრამ მისი განვითარების მიმართულება აქ ნათელია. თანაც ეს ცვლილება ქვემოიმერულში დღესაც ცოცხალ პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც თითქოს ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. პარალელურ ფორმათა არსებობა ასეთი კვალიფიკაციისათვის საფუძველს გვაძლევს: მ ო მ წ ო ნ დ ე-ო ა < მ ო მ ე წ ო ხ ე ბ ა, გ ა მ მ ზ ა ვ რ დ ა < გ ა ე მ მ ზ ა ვ რ ა, შ ე ს-ძ ი ნ დ ა < შ ე ე ძ ი ნ ა, დ ა პ ყ ტ ა < დ ა ი პ ყ ლ ი ნ ტ ა, გ ო უ ჯ-ი ბ რ დ ა < გ ე ე ჯ ი ბ რ ა, დ ა თ ნ ხ მ თ ა < დ ე ე თ ა ნ ხ მ ა, ჩ ა-ს ი ძ დ ა < ჩ ე ე ს ი ძ ა, დ ა ხ ა თ რ თ ა < მ ო ე ხ ა თ რ ა და მისთ.

ის ფაქტი, რომ აღნიშნული ცვლილება დიალექტებთან ერთად სალიტერატურო ენისთვისაც არის დამახასიათებელი, რის გამოც ის სა-

ერთო ქართულისათვის დამახასიათებელ მოვლენად ითვლება, თავის-
თავად სეამს საკითხს მისი არათანაბარი განვითარების შესახებ ენის ამ
ორ სხვადასხვა მხარეში: ეს ენობრივი ფაქტი გავრცელების მხრივ უფ-
რო შეზღუდული ჩანს ლიტერატურულ ენაში, რომლის განვითარება
კონტროლს ექვემდებარება, ვიდრე, მაგალითად, ქვემოიმერულში, რო-
მელიც, როგორც დიალექტური ერთეული, თავისი განვითარების ბუ-
ნებრივ ხაზს მიჰყვება.

საწინააღმდეგო პროცესი, სუფიქსური ტიპის პრეფიქსულით შეცვ-
ლა, რაც გარკვეული დიალექტური წრის მოქმედებით არის ახსნილი
სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში [121(190)], ქვემოიმე-
რულისათვის დამახასიათებელი არ არის. სუფიქსური ტიპის ნაცვლად
ვენებითის პრეფიქსულ ფორმებს ძალზე იშვიათად ვხვდებით: ა-ე-
ფ ო ფ ხ ა (ა უ ფ ო ფ ხ დ ა), გ ე ე თ ხ უ ა (გ ა თ ხ ო ვ დ ა), ჩ ე ვ ე-
ს ა ფ რ ე თ (ჩ ო უ ს ა ფ რ დ ი თ) და მისთ.

საგულისხმო მოვლენად ითვლება ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მოქმედე-
ბითი გვარის ზმნებსა და მედიოაქტივებს ქვემოიმერულში ცვლის -დ
სუფიქსით წარმოქმნილი ვენებითის ფორმები: ეს რო უფროსვანებმა
გეიგენ, ძალიან გახარდენ (<გაიხარეს), მარა არაფელი თქუენ...
ყაზალებმა მოლაპარაკტდენ (<მოილაპარაკეს) ერთმანეთში.

დასახელებული ფორმები ხელოვნური წარმოების შთაბეჭდილებას
ტოვებს, შეიძლება ისინი ამის გამო ინდივიდუალური წარმოშობის
შემთხვევებად მიგვეჩნია, რომ ქვემოიმერულთა სამეტყველო ინვენ-
ტარში ხშირად არ მეორდებოდნენ. ფაქტის შეფასებას კი იმ დასკვნამ-
დე მივყავართ, რომ -დ-ს, როგორც მწარმოებელი სუფიქსის, განსაკუთ-
რებული აქტივობის გამო მოვლენა სტიქიურად გავრცელდა ისეთ
შემთხვევაზეც, სადაც მას არ მოველოდით.

ვენებითის წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებების ანა-
ლიზისას შეუძლებელია ყურადღების გარეშე დავტოვოთ ქვემოიმე-
რულში დადასტურებული ისეთი ფორმები, რომლებიც, მართალია,
წარმოების მხრივ არ განსხვავდება სალიტერატურო ქართულში დამკ-
ვიდრებული ფორმებისაგან, მაგრამ თვით საწარმოებელი მასალის
მხრივ დიალექტური ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენენ. დიალექ-
ტური მასალისა და ლიტერატურული წარმოების შეზავებით წარმოიქმ-
ნება ლექსიკურად ახალი ერთეულები, რომლებიც დიალექტური ლექ-
სიკის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს. მხედ-
ელობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: ჩააძვინ-დ-ა

(ჩააშტერდა), გაკვანკვა-ლ-და (ლამაზად, კობტად გაიარა), ჩამოხახან-და (ჩამოსრილდა), დათათურ-და (დაწყნარდა, დამშვიდდა), მოფახუნ-და (კოკლობით მოვიდა), ჩამოუღვარღვა-ლ-და (ჩამოსცივიდა მსხვილი ცრემლები), ჩაპორკყინ-და (ფრჩხილებით ჩამოევიდა), გაპუტკუნ-და (მოხდენილად გასუქდა), აფშლუკუნ-და (ქვითინით დაიწყო ტირილი), აფურცუნ-და (აჩქარებით დაიწყო კეთება); გაქოცო-და (თმა თავზე ძალიან გაუიშვიათდა), დამიცანცალ-და (დამისხლტდა), მოფარცახ-და (გაპარტანდა).

დიალექტური ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს აგრეთვე -დ-თი წარმოქმნილი ისეთი სიტყვები, რომლებიც მასალობრივად სალიტერატურო ენის ლექსიკურ შედგენილობას მიეკუთვნება, მაგრამ წარმოება ლიტერატურული ენისათვის უცხოა: დავსიტყვდით, დანატრულ-და, აჩხუბ-და, დაღალატინ-და, გამეტიჩარ-და, დამოწმ-და, გაბიჭტ-და, გაგოგოვ-და.

აქ მოყვანილი მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ ფორმათა წარმოება -დ სუფიქსის საშუალებით ქვემოთმოწერილში დამდგარი მორფოლოგიურა ფაქტია, რასაც შედეგად ვნებითის ხმარების არის გაფართოება მოსდევს. ეს ფაქტიც ერთხელ კიდევ ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სამეტყველო ენაში ვნებითის ფორმათა წარმოება სულაც არ არის შეზღუდული, როგორც სალიტერატურო ქართულში“ [122(175)].

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების საკითხის განხილვისას ქვემოთმოწერილში ორი მომენტი გასათვალისწინებელი. პირველი, ცხადად იგრძნობა აქ პრეფიქსული ტიპის ვნებითების სუფიქსურით შეცვლის ტენდენცია, რაშიც თავის გამოხატულებას პოულობს საერთო ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება, და მეორე, -დ-სთან, როგორც ვნებითის ფორმათა მაწარმოებელი სუფიქსის განსაკუთრებულ აქტივობასთან, ქვემოთმოწერილში დაკავშირებულია ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა და ამდენად ვნებითის ფორმათა ხმარების არის გაფართოებაც.

ამ ორი მომენტის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა კი გვავალებს. ისინი ერთ მთლიანობაში განვიხილოთ, მეორე მომენტი პირველის ლოგიკურ დასასრულად წარმოვადგინოთ და ეს ახლადწარმოქმნილი ცვლილება აქ უკვე არსებული სუფიქსური ტიპის ვნებითების გაბატონების ტენდენციის საფუძველზე ავხსნათ.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ბრუნვაში

საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით მსაზღვრელებში ორი ჭგუფი გამოიყოფა: ატრიბუტული და მართული. ზედსართავი სახელით, მიმღებობით, რიცხვითი სახელით და ნაცვალსახელით გამოხატული განსაზღვრება ატრიბუტულია. არსებითი სახელით და საწყისით გამოხატული — მართული.

მსაზღვრელისა და მისგან განსაზღვრული სახელის სინტაქსური ურთიერთობის თავისებურებებზე მსჯელობისას ცალკე უნდა გამოიყოს, ერთი მხრივ, თანხმოვანზე დაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელის, ხოლო, მეორე მხრივ, სუბსტანტიური განსაზღვრების ურთიერთობის საკითხი საზღვრულთან.

ქვემოიმერულის მონაცემები ორივე შემთხვევაში საგულისხმო ჩვენებას გვაძლევს იმ კანონზომიერების გასათვალისწინებლად, რომელსაც ემორჩილება ეს ურთიერთობანი ჩვენთვის საინტერესო დიალექტურ არეალში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული სიტყვის სინტაქსური დამოკიდებულების ცალკეული საკითხები დიალექტურ მასალაზე დაყრდნობით საფუძვლიანად არის დამუშავებული ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში და გამოტანილია საყურადღებო დასკვნებიც. განსაკუთრებით გამაზვილებულია ყურადღება თანხმოვანზე დაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან დამოკიდებულების საკითხზე და ცვლილების იმ ტენდენციანზე, რომელსაც ავლენენ ქართული ენის კილოები ამ მიმართებით. ეს ცვლილება მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების რღვევაში ვლინდება და იგი სინტაქსური ურთიერთობის გამართვების ნიშნით მიმდინარეობს. მოვლენა წარმოიშობა ტერიტორიულად ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებულ დიალექტურ ერთეულებში, აგრეთვე მონათესავე ზანურსა და სვანურ ენებში და წარმოადგენს კონვერგენციის პროცესის გამოხატულებას [1(178)].

ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ობიექტიც ერთ-ერთი მონაწილეა ამ საერთო ცვლილებისა.

ქვემოიმერულში თანხმოვანზე დაბოლოებული ატრიბუტული მსა-

ზღვრელი საზღვრულთან, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, იშვიათად — ფუძის სახითაც.

მოგვეყავს მაგალითები ცოცხალი მეტყველების ნიმუშებიდან: მოთხრობითში: უფროსი ბიჭმა ქალი შეიყვანა..., ეშმაკი ბოვშმა იცის მასთე..., დიდი კატამ შეიყვანა ეცინტლები..., ჩემი გოგომ მენდალზე დაამთავრა სკოლა..., წყევლა, წყევლა ჩემი დედამთილმა და მართლა არ დეეწვევს სახლი?... , არ იცის ახლა, რა ქნას ამ მაღალი ქალმა.

მიცემითში: ჩემი დაკარქული შვილს გეფიცები..., ბიჭმა თავისი საცოლეს უთხრა..., დიდი ბანკებში ნახარში წყალს ჩაასხამენ..., უნდა აკოცოს ახლა ამ მკვტარი ქალს..., ინაცნობი ქალს დეველაპარაკები ერთი.

ვითარებითში: ჩემი შვილათ გაქცია ერთი..., ჩემი სანახავეათ მწედა აწი?... , მეკარქი კაცათ მიმაჩთა იგი..., ეგომფეშო უცეფ გედეიქცა ლამაზი ქალათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ფუძის სახით მსაზღვრელის საზღვრულთან შეწყობის შემთხვევებსაც: მოთხრობითში: ჩემქალი შვილმა სამედიცინო დაანთავრა წელს..., მე და იმ მაღალ ნოქარმა ძაან ვიჩხუბეთ დღეს.

ნათესაობითში: იმ დიდ მთის გარალმა ჩენი საძოვრებია..., ჩემ ბოვშობის დროს სხვანაირათ იყო, შვილო..., მის სიკეტლიის მერეთაა საცოდავი ასთე.

მოქმედებითში: კი შეგიძლიათ, ვზა ჩემ ეზოით შეიმოკლოთ..., სუ დიდ ჭიქებით სვამდა ღვინოს..., ლამაზ ნოხებით მორთო თავისი სახლი.

როგორც მოყვანილი მაგალითებით ირკვევა, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების რღვევა ქვემოთმერულში ორი სხვადასხვა გრამატიკული საშუალებით ხორციელდება: მსაზღვრელი სახელობითის ფორმითაც ეწყობა საზღვრულს (დიდი კატამ, დიდი კატას...) და ფუძის სახითაც (დიდ კატამ, დიდ კატით...). პირველის გავრცელების არე ფართოა, მეორისა — ვიწრო.

არსებითად ასეთივე ვითარება გვაქვს ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებში.

სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების ტენდენციის არსებობის

შესახებ ქართული ენის დიალექტებსა და მოძმე ქართველურ ენებში, ვარლამ თოფურია აღნიშნავს: „მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმება დარღვეულია და ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი პრეპოზიციულ წყობაში წარმოდგენილია უცვლელად ზანურში. სვანურსა და ქვემოიმერულში, ეგვე მოვლენა ჩნდება ქართლურის ზოგიერთ ზონაში, ინგილოურსა და ფერეიდნულში, ხოლო მსაზღვრელი ფუძით გვევლინება თუშურში (დიდი კაცს, თელი სოფელს... თუშ. სამ ბიჰ)“ [1(178)].

ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, რომელშიც ფერეიდნული დიალექტის თავისებურებები განხილულია უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, აღნიშნულია, რომ ფერეიდნულში მსაზღვრელს აქვს ტენდენცია ყველა ბრუნვაში ფუძის სახით შეეწყოს საზღვრულს: ჩემ პაპა, ჩემ ბაბო, თავის ჭკოთ [123(85)].

გარდა აქ დასახელებული კილოებისა, ცვლილება, რომელიც სინტაქსური ურთიერთობის გამარტივებაში ვლინდება ნეტნაკლებად დამახასიათებელია აგრეთვე გურულის [67(454)], ლეჩხუმურის [20(162)], კახურის [55(123—124)], ყიზლარ-მოზდოკური ქართულის [124(276)], და აჭარულისათვის.

ასე, რომ, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების მოშლის ინერციამ ეს გრამატიკული მოვლენა ერთნაირად განავითარა ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში.

სხვა საკითხია ის, რომ აღნიშნული ცვლილება ყველგან ერთნაირად არ არის გავრცელებული და იგი ზოგჯერ სხვადასხვა შედეგში პოულობს თავის კონკრეტულ გამოხატულებას არა მარტო კილოების მიხედვით, არამედ თვით ერთი კილოს ფარგლებშიც კი.

ქართული ენის სხვა დასავლურ კილოთა შორის ეს მოვლენა ყველაზე მეტად გავრცელებული მაინც ქვემოიმერულში ჩანს, ხოლო აღმოსავლურ კილოთაგან ფერეიდნულსა და ინგილოურში. მისი გავრცელებულობა ამ ორ უკანასკნელ დიალექტურ ერთეულში თავისთავად გამორიცხავს მეგრულის გავლენას ქვემოიმერულზე მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმების რღვევის მხრივ [67(457)] და სვამს საკითხს სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების საერთო პოტენციის არსებობის შესახებ ქართული ენის დიალექტებში. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია დღესაც ქვემოიმერულში, რომ მის განუხრელად გატარებას აქ ხელს ვერ უშლის სალიტერატურო ენის გავლენაც კი.

როგორც ზემოთ ითქვა, განსხვავებულია შედეგი, რომელსაც ვღებულობთ ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ამ საერთო ტენდენციის მოქმედების პროცესში: თანხმოვანზე დაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელი პრეპოზიციული წყობის შემთხვევაში ხან სახელობითის ფორმით ეწყობა საზღვრულს (მაღალი ხემ, მაღალი წეს), ხან კიდევ — ფუძის სახით. ყველაზე მკვეთრად ამ თვალსაზრისით ერთმანეთს მთისა და ბარის კილოები უპირისპირდება.

მთის კილოებში, მაგალითად, სადაც მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის რღვევის ტენდენცია ჯერჯერობით სუსტად მოქმედებს, ეს პროცესი იმაში გამოიხატება, რომ მსაზღვრელი ზოგ შემთხვევაში ფუძით შეეწყობა საზღვრულს (ჩემ შვილი, ჩემ შვილმა). უფრო ხშირია სრული შეთანხმების შემთხვევები (დიდს სახლს, დიდის სახლს).

სრული შეთანხმების პარალელურად ფორმანტმოკვეცილი სახეობის გამოვლენა ახალწარმონაქმნად უნდა მივიჩნიოთ ამ კილოთა განვითარების დღევანდელ ეტაპზე და იმ ტენდენციის დასაწყისად, რის შედეგადაც ერთგვარი გრამატიკული მოვლენა განვითარდა სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების სახით საზოგადოდ ქართული ენის მთისა და ბარის კილოთა დიდ ჯგუფში.

ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების ტენდენციის განხილვა სალიტერატურო ენასთან მიმართებაში გვიჩვენებს, რომ შესაბამისი ტენდენცია ამ უკანასკნელშიც მოქმედებს და არცთუ ნაკლებად.

ცნობილია, რომ პოსტპოზიციური წყობის (სახლი მაღალი) პრეპოზიციული წყობით (მაღალი სახლი) შეცვლას მოჰყვა შეთანხმების შესუსტება მსაზღვრელ-საზღვრულს შორის. გარდამავალ სახეობაში, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ნორმას წარმოადგენს, ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს სრული სახით მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში წარმოგვიდგენს (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო), მიცემითს; და ეითარებითში მთლიანად იკვეცს ფორმანტს (მაღალ

სახლ-ს, მაღალ სახლ-ად), ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ნაწილობრივ (მაღალ-ი სახლ-ის, მაღალ-ი სახლ-ით).

მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური რღვევის ტენდენციაზე კიდევ უფრო ნათლად ის ფაქტი მეტყველებს, რომ ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში უახლეს წარმოებად სწორედ ის შეთანხმებაა მიჩნეული, რომელიც მსაზღვრულს ფორმანტმოკვეცილი სახით წარმოგვიდგენს ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა და წოდებითისა (დიდ-ი კაცი, დიდ კაც-მა, დიდ კაც-ს, დიდ კაც-ის, დიდ კაც-ით, დიდ კაც-ად, დიდ-ო კაც-ო) [66(84)].

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების ტენდენცია მხოლოდ ქართული დიალექტებისა და მოძმე ქართველური ენებისათვის ჩაითვალოს ნიშანდობლივად. მასში საერთო ქართული-სათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციაა დასანახი.

სინტაქსური ურთიერთობის გამარტივების ნიშნითვე მიმდინარეობს სუბსტანტიურ მსაზღვრელში ნათესაობითის ფორმანტის თანხმომენითი ელემენტის დაკარგვის პროცესი.

ყ ა ნ ი მ ა რ გ ვ ლ ა დ ე ი წ ყ ო ..., ლ ე წ ა ყ უ რ ი ძ ი რ შ ი მ ა გ რ ა თ ..., ე კ ლ ი ფ ო თ ო ლ ი დ ა კ რ ი ფ ა ..., ბ ე ლ ლ ი პ ო ლ ი გ ა მ ო ც ვ ა ლ ა ..., ჭ უ რ ი თ ა ე ზ ე ვ ი ქ ე ი ფ ე თ ..., თ ო ხ ი პ ი რ მ ა ა რ მი ე კ ა რ ა ..., ხ ე ნ წ ი ფ ი შ ე ი ლ ი წ ე ვ ი დ ა ს ა ძ ბ რ ა დ ..., გ ე რ ს გ ი შ რ ი თ მ ე ბ ი ქ ო ნ დ ა ..., ს ა ქ ო ნ ე ლ ი გ ა რ ე კ ე წ ყ ლ ი პ ი რ ზ ე ...

ეს მოვლენა საერთოა როგორც აღმოსავლური, ისე ნაწილობრივ დასავლური დიალექტებისათვის.

ჩანს, დიალექტური მეტყველება ფართოდ უხსნის გზას იმავე პროცესს, რაც სალიტერატურო ენაში ზოგჯერ საფუძვლად უდევს ორი სიტყვის კომპოზიტად ქცევას: წ უ თ ი (ს) ს ო ფ ე ლ ი, ტ ა ნ ი (ს) ს ა მ ო ს ი, დ ე დ ი (ს) ნ ა ც ვ ა ლ ი და ს ს ვ.

აღნიშნული მოვლენის ფართოდ გავრცელებას დიალექტებში ხელს უწყობს მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის რღვევის ტენდენცია.

არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ აქ მოყვანილ მაგალითებში: ჭ უ რ ი თ ა ე ი, ბ ა დ ი ბ ო ლ ო შ ი, გ ზ ი პ ი რ ი, ე კ ლ ი ფ ო თ ო ლ ი და აგრეთვე სხვა მსგავს შემთხვევებში იგივე პროცესი განმეორდება და კომპონენტი სიტყვები ერთი ცნების შემცველ ისეთივე სი-

ტყეებად გაერთმლიანდებიან, როგორც მამიდა, ოჯახიშვილი, ვაჟიშვილი და მისთ.

ცხადია, ჩვენი სავარაუდო მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში ენობრივი ფაქტის ცვლილების მეტად შორეულ პერსპექტივას გულისხმობს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა რიცხვში

თუ მსაზღვრელი სემანტიკურად ერთზე მეტის გაგებას შეიცავს, საზღვრული მასთან ყოველთვის მრავლობითი რიცხვის ფორმით არის შეწყობილი: ჩვენ სამი დები ვიყავით..., ორი ბიჭები მყავდა ულად..., დანიშნულ დროზე ყველა ქალები ალაგზე ვიყავით..., ბევრი ფულები ქონდა იმ ოჯახაშენებულს..., ვინ იცის, რამდენი ფულები დახარჯეს მაგის გადასარჩენათ...

ამგვარად, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ბრუნვასა და რიცხვში (როგორც ატრიბუტულის, ისე სუბსტანტიურის) ქვემოთმერულში ასეთ სურათს გვაძლევს:

სახ.	მაღალი კაცი		ქური თავი
მოთხ.	მაღალი კაცმა		მაღალ კაცმა
მიც.	მაღალი კაცს		მაღალ კაც-ს
ნათ.	მაღალი კაცის		მაღალ კაცის
მოქმ.	მაღალი კაცით		მაღალ კაცით
ვით.	მაღალი კაცად		მაღალ კაცად
წოდ.	მაღალ კაცო		მაღალ კაცო
			ქური თავმა
			ქური თავს
			ქური თავის
			ქური თავით
			ქური თავად
			ქური თავო

სახ.	ორი კაცები	ბევრი ფულები
მოთხ.	ორი კაცებმა	ბევრი ფულებმა
მიც.	ორი კაცებს	ბევრი ფულებს
ნათ.	ორი კაცების	ბევრი ფულების
მოქმ.	ორი კაცებით	ბევრი ფულებით
ვით.	ორი კაცებად	ბევრი ფულებად
წოდ.	ორი კაცებო	ბევრო ფულებო

სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმება

ქვემდებარის მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აისახება, როცა ეს უკანასკნელი პირველ ან მეორე პირში დგას: აქანე სკოლას ვაშე-

ნ ე ფ თ, ბატონო!.. საქონელს ბაგაში ვაბამთ..., რას აკეთებთ თქვენ აქანე..., წეიღეთ და დამალეთ ბალი ბოლოში.

ზმნაში პირველი და მეორე პირის სუბიექტის სიმრავლის გამოხატვის თვალსაზრისით, როგორც ვხედავთ, სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ ირღვევა. ამ მხრივ ქვემოთქვამულშიც ისეთივე ვითარებაა, როგორც სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებში.

სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების მრხედვით სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების პრინციპი მაშინ ირღვევა, როცა III სუბიექტური პირის ფარდი სახელი -ებ-იანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი და იგი უკავშირდება გარდამავალ ზმნას ან კიდევ გარდაუვალი ზმნის დინამიკური ვნებითის ფორმას. ასეთი სახელი ზმნას, როგორც წესი, რიცხვში ვერ ითანხმებს: ქ უ რ დ ე ბ მ ა გ ა ც ა ლ ა იჭაურობა..., ბ ი ქ ე ბ მ ა წ ა ა ჩ ხ უ ბ ა ე ბოვშები ერთქამეთს..., ბოვშები ხეს ამეფეფარა..., ხემწიფი შვილებმა გადაწყვიტა..., უფროსვანებმა თავისი არღეიშალა..., ჩვენი ბიჭები შიშიდან დაფრთხა..., კკვიანი ძმანები სახში დახვთა (შ. ძიძიგური, „ქართ. დიალექტ. მასალები“, გვ. 474)..., სამივე ძმებმა გამეეკიდა სისხლის ნაკვალევზე..., ძმებიც ქებრაკავს იმას (იქვე, გვ. 380)...

ცოცხალი საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა უპირატესად დასავლური კილოებისათვისაა ნიშანდობლივი, თუმცა ეს მოვლენა არც აღმოსავლურისათვის ჩანს უცხო [55(127)].

-ებ-იანი მრავლობითის სინტაქსური ძალის სისუსტე, დამახასიათებელი საზოგადოდ დასავლური კილოებისათვის, და მათ შორის ქვემოთქვამულისათვის, სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიციერებულთა როგორც არქაული მოვლენა, რომლის „ანარეკლი თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც გვაქვს (დარჩა მგზავრები ცის ქვეშ... ახალგაზრდები ქუდს აფრიალებს, მოხუცები სალამს მაძლევს...)“ [126(273)].

რამდენადაც ადვილად იხსნება ებ-იანი მრავლობითის სინტაქსური

ძალის სისუსტე დასახელებულ დიალექტებში, მით უფრო ძნელდება პასუხის გაცემა კითხვაზე: რატომ ნ-იანი მრავლობითიც ვერ ითანხმებს ზოგჯერ შემასმენელს რიცხვში? მხედველობაში გვაქვს ქვემოიშვარულისათვის დამახასიათებელი შემთხვევები: ესენი მევიდა..., მამგენი ამბობდა..., ესენი დამძობილდა და მისთ.

ძველი ქართული ენის ნორმად, ცხადია, ამას ვერ მივიჩნევთ, რადგან ცნობილია -ნ-იანი მრავლობითის განუსაზღვრელი უფლებები ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვემოიშვარულში, მისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ალბათ, აღარც იგრძნობა ასეთ შემთხვევებში, ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების სინტაქსური აუცილებლობა და ნ-იანმა მრავლობითმაც ამიტომ დაკარგა თავისი ძალა. ამ სახით იგი ახალწარმოქმნილ გრამატიკულ ცვლილებად გვევლინება.

მართალია, ზოგჯერ შეთანხმებასაც აქვს ადგილი: მეზობლებმა გადაწყვიტენ..., ბოვებმა სახლი კინალამ გადაწვენ..., ხენწიფი შვილებმა დეიმალენ..., შერიგდენ ძმებო..., მაგრამ სალიტერატურო ენის ძალუმი ზემოქმედების პირობებში ამგვარ შემთხვევათა გამოვლენა საეხებით ბუნებრივია.

სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა წინადადებაში შემასმენელი ინვერსიული და გაინვერსიულების გზაზე მდგომი ზმნით არის გადმოცემული: სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების პრინციპი არ იცვლება, ოღონდ მის გრამატიკულ გამოხატულებაში ტარდება დიალექტობრივი ნორმა: სიმრავლის გამომხატველ -თ ფორმატს II და III პირში, როგორც აღვნიშნეთ, ცვლის -ყე ნაწილაკი ან კიდევ—ენ ფორმანტი: რაი გინდაყე ამ შუალაშეზე აქანე..., რამდენი გაკვეთილი გქონდაყე, გო, დღეს..., თუ გოუგონიენ სამე ამისანა რამე?... გაგიკეთებენ ყორიფელი და ესაა..., არ წყურნიენ, ალბათ, თვარა ქე დალევდენ.

მიცემითში დასმული ქვემდებარის რიცხვი ზმნაში უმეტესწილად აღნიშნულია. ამ მოვლენას თავისი საფუძველი აქვს.

როგორც ცნობილია, ქართული წინადადების ევოლუციის პროცესში სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალა დასუსტდა, ხოლო მიცემითისა გაიზარდა. ზმნამ უპირველეს ყოვლისა, ისეთი სახელის

შრავლობითობა აღნიშნა, რომელიც რეალურ სუბიექტზე მიუთითებდა [126(273—274)].

ქვემოიმერული ამ მხრივ სალიტერატურო ენის განვითარების გზას გაჰყვა. მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური როლი აქაც გაიზარდა. ასეთივე ვითარება გვაქვს ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. რეალური სუბიექტი ზმნას რიცხვში თითქმის ყოველთვის ითანხმებს. ოღონდ ქართული ენის დიალექტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან იმით, რომ ამ პრინციპის განხორციელებაში ტარდება სხვადასხვა დიალექტობრივი ნორმა.

ფორმათა შრავალფეროვნება და სიჭრელე, რაც დამახასიათებელი ნიშანია საზოგადოდ ქვემოიმერულისათვის, ამ შემთხვევაშიც მკვეთრად ვლინდება ხოლმე, ინვერსიულ ზმნაში სუბიექტის სიმრავლეს, როგორც ეთქვით, ხან -ყე ნაწილაკი გამოხატავს, ხან -ენ სუფიქსი, ხან კიდევ -თ ფორმანტი (თუმც იშვიათად): გრეკლეს ხალხს შიკრიკებიზა დო უ ბ ა რ ე ბ ი ა თ..., ჩხუბი უ ქ ნ ი ა ყ ე ბ ა ტონიზა..., ბევრი საქონელი გო უ ზ რ დ ი ა ყ ე..., წო უ ყ ვ ა ნ ი ა ყ ე წყალზე დასალეუათ..., იქიდან კარქა, გო უ მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ა ყ ე... რ ა ი უ ნ დ ე ნ აწი, რატო მიძახიენ..., უ ხ ა რ ი ე ნ ბოვშებს თამაში...

არც ისე იშვიათია, როცა შემასმენელს რიცხვში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს: ძალიან მე ცო დ ე ბ ი ე ნ საწყლები..., არ მოწონლარიენ ი ბიქს ი გოგუები..., არ ყავლარიენ მშობლები საწყალ გოგოს..., არ გენანებიენ შენ ისინი..., ხენმწიფი ჭარს დო უ მ ა რ ც ხ ე ბ ი ე ნ მტრები..., თვალის დასანახათ მე ზ ი ზ დ ე ბ ი ე ნ მაგნაირი ხალხი..., ისმაილს სტუმრები ყავდენ იმ დღეს...

ეფექტობთ, ამ შემთხვევაში ქვემოიმერულმა რამდენადმე შემოგვინახა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება.

თვით ის ფაქტი, რომ მიცემითი ბრუნვის სინტაქსური ძალის ზრდის პროცესში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნორმა გამოვლინდა ქვემოიმერულში, საინტერესოა, მაგრამ არა გასაკვირი: ახალწარმონაქმნთა გვერდით არქაული მოვლენების შემონახვა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება, საზოგადოდ, დიალექტის განვითარების ბუნებრივ ხაზს.

ცნობილია. რომ ძველ ქართულ ზმნაში ყოველთვის აღინიშნებოდა სახელობით ბრუნვაში დასმული -ნ სუფიქსიანი ობიექტის მრავლობითობა. „ამის საპირისპიროდ XVI ს. ბოლოდან მკვიდრდება მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის აღნიშვნა. ზმნაში: ის გ ხ ა ტ ა ვ ს-თ თქვენ, მათ და უ ხ ა ტ ა ვ-თ. ამავე პერიოდში გაჩენილად ივარაუდება დღევანდელი დიალექტური ფორმები. ისინი გ ხ ა ტ ა ვ ე ნ-თ თქვენ (ფშაურში, მოხეურში), მან გ ვ ი ბ ო ძ ა თ ჩვენ (ქვემოიმერულში), ანალოგიური ფაქტები ფიქსირებულია ისტორიულ დოკუმენტებში“ [128 (6)].

„გვიბოძათ“ ტიპის წარმოება დღეს ქვემოიმერულში ძალზე იშვიათია. ასეთ შემთხვევაში მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში -თ სუფიქსით არ აღინიშნება.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს II და III პირის ობიექტის ფარდობით სახელის სიმრავლის ზმნაში გამოხატვის თვალსაზრისით.

ზემოთ, როცა -ენ სუფიქსის გლობალური გამოყენების ტენდენციამ ვმსჯელობდით, ვთქვით, რომ ეს ფორმანტი საკვლევ ობიექტში ფუნქციურ ეკოლოციას განიცდის და იგი აქ მეორე და მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავადაც გვევლინება პირდაპირი წყობის ზმნაში (ვინ და ქ ტ ო ვ ე ნ აქ მარტო?), ამავე მიზნით გამოიყენება -ყე-ც (მ ო უ ე ვ ტ ა ყ ე პატრონი).

დიალექტობრივ ნორმას, რომელიც ფართოდ უხსნის გზას ობიექტის რიცხვის გამოსახატავად -ენ სუფიქსსა და -ყე ნაწილაკს ქვემოიმერულში, ზოგჯერ უპირისპირდება -თ-იანი მრავლობითის ფორმებიც (გეუნებით, გამოგიგზავნეთ, დახვთათ, წოუხთათ), მაგრამ შედარებით იშვიათად.

ვანურში, ოკრიბულში, მანაკოვსკის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში -ყე ნაწილაკი კვლავ სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებებით ობიექტის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხში, ხოლო წულუკიძურში, სამტრედიულში და წყალტუბოს რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში მასთან ერთად ამავე ფუნქციით -ენ სუფიქსიც გამოიყენება.

რაც შეეხება თერჯოლურს, აქ უფრო მეტად არის მომძლავრებული -თ-იანი მრავლობითის ფორმები [20(171)].

ქვემდებარის საკითხი გარდაუვალ ზმნასთან

ვ. თოფურიას ნაშრომში „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ გაშუქებულია ერთი კონსტრუქციის წარმოშობის საკითხი გარდაუვალ ზმნებთან ქართული ენის დასავლურ კილოებსა და მეგრულში [129].

ეს არის პირველი გამოკვლევა, რომელიც ეხება ამ საკითხს. მის შემდეგ გარდაუვალ ზმნის ამ თავისებურებაზე არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება. ამიტომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი აკმაოდ სრულიად არის გაშუქებული.

დაუგინილია, რომ დრო-კილოთა მეორე სერიაში გარდაუვალ ზმნას (მსგავსად გარდამავალისა) ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა დასავლურ-ქართულ ენობრივ არეალში, აგრეთვე ქართლურში, კახურში და სხვაგან, თვით ფერეიდნულშიც კი [1 (178—179)].

ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობის საკითხს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში სპეციალურად განიხილავს ან. კიზირიას გამოკვლევა „ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით“ [127(75—91)], სადაც ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვემოიშერულში სახელობითისა და მოთხრობითის კონსტრუქციებს გარდაუვალ ზმნასთან აქვთ ლაბილური ხასიათი: „იგი გვაქვს ერთსა და იმავე პირის მენტყველებში ერთსა და იმავე პოზიციაში და ერთნაირ შემასმენლებთან“; მივიდა ე ბიკი ხელმწიფესთან (შ. ძიძიგური, „ქართ. დიალ. მასალები“, გვ. 474); მივიდა ამ ბიკვა მეფესთან (იქვე, გვ. 475), [127(76)].

მაგრამ სახელობითისა და მოთხრობითის კონსტრუქციების ეს წერყობა გარდაუვალ დინამიკურ ზმნასთან სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს ჩვენი დიალექტის განვითარების პროცესში. ასეთი საპირისპირო ფორმები მრავლად მოიპოვება სხვა შემთხვევებშიც. ასე რომ, მის საფუძველზე რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

უპირატესად მაინც გარდაუვალ დინამიკურ ზმნასთან ქვემოიშერულში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას. სინტაქსური დამოკიდებულება საურთიერთო მართვის ხასიათს იღებს: დე-

ემშვიდობა მოყვრებმა ერთმანეთს..., ადგა ამ კაცმა და წევიდა თავის გზაზე... ცხონდა, შეილო, შენმა გამზრდელმა..., ჩაჯდა ბოვშმა ნაცარში..., გეემგზავრა ჩემამეზობელმა ქალაქში..., ნესტორამ გამეეკიდა ქურდებს დასაქვრათ.

ერგატიულ კონსტრუქციას გარდაუვალ ზმნასთან ვ. თოფურიო უნიფორმაციის ტენდენციით ხსნის. ეს ერთგვაროვანი გრამატიკული მოვლენა წარმოიშობა ტერიტორიულად დიდად დაშორებულ დიალექტებში და იმ თავისებურებათა რიგში დგას, რომელთა მეოხებით „დიალექტური სხვაობები იშლება, მათ ნიველირებას ფართო გასაქანი ეძლევა, კონვერგენციის პროცესი გრძელდება და ახლა უფრო საგრძნობი ხდება, ვიდრე ამ ორიოდ ათეული წლის წინ“ [3(184)].

საგანგებო განხილვას მოითხოვს სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების საკითხი შერწყმულ წინადადებაში, როცა ერთგვარ წევრთა გასაერთიანებლად გამოყენებულია და კავშირი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ტიპის წინადადებაში ერთგვარ წევრთაგან, გრამატიკულად გაფორმებულია და კავშირის მომდევნო სიტყვა, ხოლო მის წინ მდგომი სიტყვა (ან სიტყვები), თუ ისინი ხმოვანზე ბოლოვდებიან, წარმოდგენილია ფუძის სახით: ბიძია და ბიცოლას გოუგზაუნე წერილი და პასუხი არ მიძლია..., ტურა და მეღამ მელიაპარაკენ და გადაწყვიტენ... წყარო და მდინარეს უმღეროდენ თურმე უწინ ხალხი..., ნიკანდრო, კოწიე და კოსტაიემ თურმე თელი სოფელი ააჯანყა..., სახსოვრად ეს წიგნი გია და მედიკოს..., ხე და ქვის მასალა ერთნაირი არაა, ბატონო..., ბახვა და კოწიეს ფული მე მაქ აგერ ჯიბეში.

ერთგვარ წევრთაგან თანდებულს დაირთავს აგრეთვე ის სიტყვა, რომელიც და კავშირს მოსდევს, ამ უკანასკნელის წინ მდგომი სიტყვა კი ფუძით გვევლინება: წერილი მივიღე ბიძიე და ბიცოლე დან..., გუშინ ნათლიე და ბიძიესთან ვიყავი და ორივე ერთათ მევიანხულე ქალაქში..., კოწია და ვახტანგიზე გლახას წურაფერს გამაგონებ..., თამარა და ზაირედან ნამეტანი დავალებული ვარ...

მოყვანილ მაგალითებში და სხვა მსგავს შემთხვევებში ერთგვარ წევრთაგან სინტაქსური კავშირის დამყარება მთლიანად ეკისრება და

კავშირის მომდევნო სიტყვას, ხოლო დანარჩენები მისი საშუალებით ამყარებენ ურთიერთობას იმ სიტყვასთან, რომელთანაც არიან შინა-არსობრივად დაკავშირებული წინადადებაში. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთგვარ წვერთა გაერთოთლიანებას ერთ სინტაქსურ ერთეულად.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ქვემოთმოყვანილი სინტაქსი იმ თვალსაზრისით, რომ გაგვერკვია, როგორი ტიპის წინადადებების ხმარება ჭარბობს აქ: ჩვეულებრივად, იშვიათია რთული პერიოდები, უფრო მარტივი და შერწყმული წინადადებები გამოიყენება, რთული წინადადება, როცა კი გვხვდება, უპირატესად ასიდენტური კონსტრუქციისაა, როგორც ეს საერთოდ ნიშანდობლივია ხალხური მეტყველებისათვის [130(275)].

ძალზედ გავრცელებულია ისეთი ტიპი რთული წინადადებისა, როცა მთავარი წინადადების როლში უსრული წინადადება გამოდის, რომელიც კონტექსტისა თუ სიტუაციის გაუთვალისწინებლად აზრს ვერ გამოხატავს. ამ ტიპის მთავარ წინადადებაში დასტურდება მხოლოდ ქვემდებარე, შემასმენელი არ გვაქვს. იგი ყოველთვის მოსდევს დამოკიდებულ წინადადებას, უკავშირდება მას ინტონაციით და დამოკიდებულ წინადადებაში გამოთქმული აზრის გაუთვალისწინებლად მოკლებულია ყოველგვარ თავისთავადობას და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ყოველთვის შეიცავს სხვათა სიტყვის ნაწილსაც ო-ს: ჩქარა მეიტანეო, მასწავლებელმა..., მთელი დღეი გეძებო, მურთაზიემ..., ბოვშებს ნუ გოუწყობიო, დე დამ..., ყანა ევიღეთ და ახლა ყურძენს მოვკრიფავთო, ბრიგადელმა.

გვხვდება ისეთი რთული წინადადებებიც, როცა მთავარი და დამოკიდებული ერთმანეთთან დაკავშირებული არიან კავშირებით, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია.

კავშირები ქვემოთმოყვანილში უმეტესწილად სახეცვლილია (მარა, ხოლოთ, რომე, როცხა, საცხა, რაფერაც, რავარც, რომელიცხა)... [130(275—316)]. მათ, ცხადია, არავითარი ცვლილება არ შეაქვთ წინადადების სტრუქტურაში, ამის გამო სახეცვლილ კავშირთა ანალიზი სინტაქსის სფეროს არ განეკუთვნება.

ყოველი ტიპის წინადადებაში გამოიყენება დადასტურებითი ნაწილაკი ქე. მისი პოზიცია მთლად მყარი არ არის: იგი ხან წინადადების თავშია: ქე გითხარი, მარა, არ დამიჯერე... ხან — შუაში: დღეს ქეც

წიქს და ხანდახან თოვლსაც ქე ურევს..., ხან კიდევ — წინადადების ბოლოში: ოთხი წელი ისტავლა და ახლა დაამთავრა ქე... (ქე წინადადების ბოლოს უპირატესად დადასტურებულია ტყიბულის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში).

ქვემოიშრელთა სამეტყველო ინვენტარიდან საერთოდ ამოღებულია სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი „მეთქი“. პირველი პირის ნათქვამის გასამეორებლად გამოიყენება თქვა: მოდი-თქვა, რამდენჯერ გითხარი..., დეიწყებ ახლა ამ საქმის გაკეთებას-თქვა, გევიფიქრე ჩემ გულში...

უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების შემცველ წინადადებაში ხშირად გამოიყენება უარყოფის გაძლიერების მიზნით უარყოფითი ნაწილაკები: არსა არ წავალ..., ნ უ რ ა ფ ე ლ ს ნ უ მეტყვი..., ვ ე რ ს ა ვ ე რ ვნახე...

ორმაგი უარყოფის განმტკიცება საერთო ქართული ტენდენციას [131(74—116)]. ამდენად მის არსებობას საკვლევ ობიექტში თავისი გამართლება აქვს.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ, გამოგვევლინა ქვემოიშრულსათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი სინტაქსური თავისებურება და გავვეანალიზებინა ისინი ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან შეპირისპირებით. ამასთან, ცვლრლებათა ტენდენციები გავვესილა სალიტერატურო ქართულში მოქმედ შესაბამის ტენდენციებთან მიმართებაში.

სახელის მერა ზმნის რიცხვში შეთანხმების ცალკეული შემთხვევები, აგრეთვე სხვა რივის ზოგი სინტაქსური თავისებურება, როგორც ვხედავთ. შესაძლებელია საკლასიფიკაციო ნიშნეულებებადაც კი გაძოდგეს ამ კილოს უფრო წვრილ დიალექტურ ერთეულებად დაყოფისათვის.

თ ა ვ ი IV

ქვემოიშრულის ლექსიკური შედგანილობის შესახებ

გამოკვლევის ამ ნაწილში მიზნად ვისახავთ ზოგადად წარმოვადგინოთ ქვემოიშრული მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი. ამ შემთხვევაშიც კვლევის საგანია საკუთრივ მოპოვებული საკმაოდ მდიდარი ლექსიკური მასალა.

დიალექტთა ნიველირების პროცესი ყველაზე მეტად მაინც ლექსიკაში მკლავნდება, რადგან ლექსიკური შედგენილობა ენის ყველაზე უფრო მგრძობიარე ნაწილს წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილებების მიმართ. ხმარებიდან გადის ძველი საგნების, მოვლენებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი სიტყვები. ბევრი სიტყვა და ტერმინი, სულ ცოტა ხნის წინ ცოცხალი, დღეს უკვე აღარ გამოიყენება, ლექსიკის აქტიური მასალიდან გადავიდა პასიურში.

ყოველივე ეს, როგორც ამის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ, დღის წესრიგში აყენებს ლექსიკურ თავისებურებათა სწრაფი ტემპით შესწავლას, დასაქარგავად განწირული ლექსიკური ერთეულების ფიქსაციას.

ქართული ენის დიალექტთა ლექსიკურ შედგენილობაში, საზოგადოდ, გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი ფენა: ძველი ქართულის ლექსიკა, ზანურ-სევანური სუბსტრატი, უცხოურ ენათა ლექსიკა, ვიწრო მნიშვნელობის დიალექტური სიტყვები (საკუთრივ ტერიტორიული დიალექტიზმები), რომლებიც ასახავენ სპეციფიკურ მხარეს ამ კუთხის ხალხის ყოფა-ცხოვრებისას [136(180)].

სანამ აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენთვის საკვლევი ენობრივი ობიექტის განხილვას შევეუდგებოდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია ითქვას შემდეგი: ქვემოთმოქმედი ლექსიკისათვის ისეთივე მრავალფეროვნება და სიჭრელეა დამახასიათებელი, როგორც მისი გრამატიკული სტრუქტურისათვის.

არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ერთ კუთხეში (ზოგჯერ სოფელშიც კი) გავრცელებული სიტყვა ან სულ არ მოიპოვება მეორე კუთხეში (თუ სოფელში), ან იხმარება განსხვავებული მნიშვნელობით.

მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას. ოკრიბული ლექსიკონისათვის განკუთვნილ მასალებში შეტანილი ასეთი სიტყვები: აზავერი (დიდი, მაღალი), დუგლუგი (უწესო, წინდაუხედავი), დაჭედა (ტყეჩით მოწნული დაბალი გოდორი), ერვა-რება (ბევრი, უამრავი), კონკილა (წვრილფეხებიანი სარეველა ბალახი), ტყეპელა (ერთგვარი შეჭამადი)... [134(635—648)]. ქვემოთმოქმედის სხვა კუთხეებში არ დაგვიდასტურებია, ყოველ შემთხვევაში აქ მოცემული მნიშვნელობით.

წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათში კვანძლი განმარტეს როგორც უხეში, უზრდელი კაცი, მაგრამ იმავე წულუკიძის რაიონის მეორე სოფელში, ივანდილში, ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდნენ.

ონკოლი ქვემო იმერეთის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ონკოლი აღნიშნავს ისარს: „ეს სიტყვა ონკოლივით მოხვდა გულზე“, იგივე სიტყვა ღორის ავადმყოფობისაც ნიშნავს [133(34)], ზოგან ონკოლი მწერია, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს: „ჩემი სახით კარგი ონკოლი შეუჯდა შავას.“

ქვემოიმერულის ლექსიკაში მცირე რაოდენობით მოიპოვება არქაული სიტყვები: უსკვამს, ლექორია, დვაფი, კოლბოხი, მანგალი, უსტარი, მასკვლავი, ტირთვი, სამძღვარი.

ბევრია ეთნოგრაფიული დიალექტიზმები, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ კუთხეში მცხოვრები ხალხის სოფლის მეურნეობის შინამრეწველობა — ხელოსნობის, საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგს ასახავენ და სხვა დიალექტებში ან საერთოდ არ არიან ფიქსირებული ან იხმარებიან შეცვლილი მნიშვნელობით. ისინი თავმოყრილია ჩვენ მიერ შედგენილ „ქვემოიმერული ლექსიკონის მასალებში“ და მიცემული აქვთ შესაფერი განმარტება.

აქ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: სანჯა (ქვიჯა), კოკოლო (პატარა სკამი ორი ფეხით), ღინწა (ხმარებისაგან გაცვეთილი ჯაყვა), კანტრიფი (ორტოტა ჯოხი), დლიყი (ლობიოს გასამაგრებელი მსხვილი ჯოხი), დანდული (ჯოხი, რომელზედაც კიდებენ კალას), ბრასი (ალმასი), უგლიგარჯი (ძროხა რომელსაც პატრონი მოსაწველად ვერ უდგება): „რა უგლიგარჯია ეს უპატრონო“, გაჩხაკვა (გაცხრილვა), ხორო (აღიზიანი მიწა), ბურვაში (ბურვაი), ნაყვერბულა (ნატარში გამომცხვარი ქაღი), გაწუწვა (გარუჯვა): „ჯერ გავწუწვათ ქათამს, მერე გამოვზიგნავთ და კარქათ გავრეცხავთ“.

შესამჩნევ ფენას საკვლევ იობიექტის ლექსიკაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, წარმოადგენს ზანური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები.

ღიღი წილი ზანური წარმოშობის სიტყვებისა ტოპონიმიკა-სა და ლექსიკაში ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან.

ზოგი კიდევ გამოვლენილია ჩვენ მიერ. ტოპონიმიაში: კ ი ნ ჩ ხ ა, ჩ ხ ე-
ნი შ ი, ო კ რ ი ბ ა, ო ხ ო მ ი რ ა, ო ფ შ ე ვ ი თ ი, ჭ ი შ უ რ ა, ჩ უ-
ნ ე შ ი, ტ ყ ა ჩ ი რ ი, ხ ო რ ჩ ა ნ ა, ო ფ ი ჩ ხ ე თ ი, ო ღ ა ს კ უ-
რ ა, ხ ვ ა მ ლ ი, ჯ ი მ ი ს ტ ა რ ო...

ლექსიკაში: ზ ი რ ზ ი ნ ი (გოდება, ტირილი), ბ ე რ წ ე უ ლ ი,
გ ა გ ა ნ ი ა, მ ა რ გ ა ტ ე ლ ი, ფ უ ნ ჩ ხ ა (ფანჩხა). ქ ა რ თ ა, ი ნ-
ჯ რ ა, შ ხ ი რ ი, ა რ დ გ ი ლ ი, ს უ ნ ე ლ ი, მ ო ღ ვ ა ნ თ უ ლ ი
(შეგრ. ღვანჯუა), ღ უ ნ ღ უ ლ ი (ღულუნი).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გურული
დიალექტისათვის ნაჩვენები ზანური წარმოშობის სიტყვები [78, 137,
138, 139] იშვიათი გამოწაკლისის გარდა, გვხვდება ქვემოიმერულშიც.

უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები საკვლევ ობიექტში მცირე
რაოდენობით მოიპოვება, რასაც თავისი საფუძველი აქვს: ჯერ ერთი,
იმერეთის მოსახლეობა თავისი ეროვნული შემადგენლობით შედარე-
ბით უფრო ერთფეროვანია, არც წარსულში ყოფილა აქ მცხოვრები
ხალხი კონტაქტში უცხო ენობრივ სამყაროსთან. ისტორიულ წყარო-
თა მონაცემებით გარკვეულია, რომ ამ მხარეს, როგორც ამის შესახებ
უკვე ზემოთაც ითქვა, არ განუცდია მკვიდრი მოსახლეობის მიგრაცია
და ვერც უცხო ტომები ჩამოსახლებულან აქ. ძველთაგანვე ამ ტერი-
ტორიაზე ქართველი ტომები მკვიდრობდნენ.

ცხადია, ამით იმის თქმა სრულიადაც არ გვინდა, რომ თითქოს
ჩვენთვის საკვლევი ობიექტი საერთოდ არ შეიცავს უცხოურ ენათა
ლექსიკას. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ აქაც გვხვდება:
არაბული, სპარსული, თურქული წარმოშობის სიტყვები, თუმცა შე-
უძლებელია ისინი მხოლოდ ქვემოიმერულისთვის მივიჩნიოთ დამა-
ხასიათებლად, რადგან სხვა დიალექტებში ხშირად გამოვლინდებიან
ზოლმე. ასევე შეიძლება ითქვას რუსიციზმებზე: რ ე ჩ ო ტ კ ა, ს ტ ა ნ-
ც ი ა, ს ტ ო ლ ი, კ ა რ ი დ ო რ ი, ზ ა ე ო ღ ი, უ ლ ი ც ა და ა. შ.

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ზოგჯერ ახალი ლექსიკური
ერთეულები გვეძლევა: ა რ მ უ ლ ი (ლაღმური), კ ო ღ დ ა რ ა (აკო-
დალა), ტ ა რ ა ბ ე ლ ი (ატარაველი), ა ნ ა დ ა ს ტ უ რ ი (ალა-
დასტური), ძ ე ნ წ ა (ატენწა), ტ ვ ი ნ ე ლ ი (ატუნელი).

კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსებიდან ძალზედ გავრცელე-

ბულია — ა, -ელა, -იკელა, რომელთა სახელზე დართვა ახალ-ახალი ლექსიკური შინაარსის სახელებს გვაძლევს: მოდგმულა (სახლზე შოდგმული ფიცრის პატარა სათავსო), მუნჯიელა, შტერიკელა და სხვ.

სიტყვაწარმოებაში აღნიშნული გვაქვს, რომ სუფიქსი -ნარ (დისიმილაციით ნალ) ქვემოიმერულში გამოიყენება არა მხოლოდ მცენარეთა სახელის ფუძეებთან მისთვის განკუთვნილი მნიშვნელობით, არამედ სხვა შემთხვევებშიც: კენქნარი — ნიშნავს ქვიან ადგილს, რბილნარი — რბილ ადგილს, ტყეობნარი — ტყიანი ადგილი, ქვარნალი — ქვიანი ადგილი...

ახალ ლექსიკურ ერთეულებს გვაძლევს აგრეთვე მო—ე, მე—ე კონფიქსებით წარმოებული სიტყვები ქვემოიმერულში: მოკპილე (ტოლი), მობიძაშვილე (შორებელი ნათესავი), მონენე (ამბის მიმტან-მომტანი), მენახირე (მონაწილე), მესამარიე (მესაფლავე).

არანაკლებ როლს ასრულებს სიტყვათა საწარმოებლად და ახალი ლექსიკური შინაარსის გადმოსაცემად კომპოზიციაც: ქარეკალი, (დიდეკლიანი ხე), გულბრაზიანი (ავი კაცი), სიკვტილოუქარებელი (უქვდავი), წიკარი (წინა კარი) და ა. შ.

შეგვეძლო მაგალითების რიცხვი ბევრად გაგვეზარდა, მაგრამ საჭიროდ აღარ ვცნობთ, ვინაიდან სიტყვაწარმოებას ჩვენს გამოკვლევებში ცალკე ვიხილავთ და მაგალითებიც უფრო სრულად იქა დასახელებული.

შესწავლილი სოფლები

სამტრედიის რაიონი

- | | |
|-----------------|-----------------------|
| 1. კვირიკე | (გომის ს. ს.) |
| 2. ჩხენიში | (ნაბაკევის ს. ს.) |
| 3. ნაბაკევი | (ნაბაკევის ს. ს.) |
| 4. ჭაგანი | (ლანირის ს. ს.) |
| 5. დიდი ჭიხაიში | (დიდი ჭიხაიშის ს. ს.) |

- | | |
|----------------|-----------------------|
| 6. ახალსოფელი | (ეწერის ს. ს.) |
| 7. ზედა ეწერი | (გომის მ. ს.) |
| 8. ქვემო აბაშა | (გამოჩინებულის ს. ს.) |
| 9. საჯავახო | |
| 10. ჭოგნარი | (საჯავახოს ს. ს.) |
| 11. ტოლები | (ტოლების ს. ს.) |
| 12. დიდი ოფეთი | (ოფეთის ს. ს.) |

აბაშის რაიონი

1. ქოლობანი
2. ეწერი (ონტოფის ს. ს.)
3. სუჯუნა

წულუკიძის რაიონი

1. წულუკიძე
2. ივანდიდი
3. გვაზაური (ქუტირის ს. ს.)
4. გოჩა-ჯიხაიში
5. დიდი კუხი (კუხის ს. ს.)
6. კონტუათი (ნახახულევის ს. ს.)
7. სუხჩა (მათხოჯის ს. ს.)
8. ბესიაური (დედალაურის ს. ს.)
9. ძეძილეთი
10. დვედი (ძეძილეთის ს. ს.)
11. ზედა კინჩხა (კინჩხის ს. ს.)
12. ბანგვეთი (გორდის ს. ს.)

წყალტუბოს საქალაქო საბჭო

1. გუბისწყალი (გვიშტიბის ს. ს.)
2. ბანოჯა (გუმბრის ს. ს.)
3. მიწაწითელი (მალაქის ს. ს.)
4. ფარცხანაყანევი
5. ცხუნკური

6. ოფშეკვითი
7. ტყაჩირი (პატრიკეთის ს. ს.)
8. საყულთა (საყულის ს. ს.)

ვანის რაიონი

1. დაბა ვანი
2. სულორი
3. ზენობანი (სალხინოს ს. ს.)
4. გადიდი
5. ონჯოხეთი (გადიდის ს. ს.)
6. დიხაშხო
7. ტობანიერი
8. ქვედა მუქედი (მუქედის ს. ს.)
9. უხუთი
10. ქვედა გორა (გორას ს. ს.)
11. ზედა ციხესულორი (ციხესულორის ს. ს.).

მაიაკოვსკის რაიონი

1. დაბა მაიაკოვსკი
2. ნერგეთი (ნერგეთის ს. ს.)
3. წიფა (ზეგანის ს. ს.)
4. პირველი ობჩა (ობჩის ს. ს.)
5. დიმი (დიმის ს. ს.)

ტყიბულის საქალაქო საბჭო

1. ანტორია (გურნის ს. ს.)
2. კითხიჭი (გურნის ს. ს.)
3. კურსუბი
4. მუხურა
5. ახალსოფელი (საწირის ს. ს.)
6. სოჩხეთი
7. ახალდაბა (ხრესილის ს. ს.)
8. ოჯოლა (ჯვარისის ს. ს.)

თერჯოლის რაიონი

1. თერჯოლა
2. ქვედა ალისუბანი (ალისუბნის ს. ს.)
3. ბოსელა (ახალი თერჯოლის ს. ს.)
4. ეწერი (ეწერის ს. ს.)
5. საზანო (საზანოს ს. ს.)
6. ოდილაური (კვახჭირის ს. ს.)
7. ჭალასთავი (გოდოგნის ს. ს.)

-

ლიტერატურა

1. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, შაცნე II, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1965.
2. К. Маркс и Ф. Энгельс, немецкая идеология, соч., т. III, Москва, 1955.
3. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
4. არნ. ჩიქობავა, მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციის საკითხისათვის ქართული ზმნის ჩვენებათა მიხედვით, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 34-ე სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1978.
5. А. С. Чикобава, Диалектология и вопросы реконструкции истории языка, совещание по общим вопросам диалектологии и истории языка, Тезисы докладов, Москва, 1969.
6. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 20, Москва, 1961.
7. ვ. ჯაოშვილი, ქვემო იმერეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, XIII, თბ., 1960.
8. კ. ანთაძე, ქვემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, XIII, თბ., 1960.
9. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავიძე, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946.
10. ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, 1, ტფ., 1913.
11. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936.
12. К. Б. Захарова, В. Т. Орлова, Диалектное членение русского языка, Москва, 1970.
13. მ. ჭავჭავიძე, თხზ., VI, თბ., 1964.
14. А. Г. Шанидзе, Принципы классификации грузинских диалектов (выступление): Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и АН Закавказских республик по общественным наукам Баку, 1957.
15. Ш. В. Дзидзигური, Опыт классификации диалектов грузинского языка (Тезисы диссерт. на степень кандидата наук), АН СССР, 1935.
16. კ. კულაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX, ქუთ., 1959.
17. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოებებთან მიმართებით ზუაიმერულის საკითხისათვის, შაცნე, № 3, 1967.

18. ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972.
19. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
20. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
21. ი. ქავთარაძე, ვარლამ თოფურია და ქართული დიალექტოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, 6—7 (№ 151—152), თბ., 1974.
22. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით, „ზემოიმერული კილოკავი“, თბ., 1973.
23. ს. ელენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
24. ი. მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მე-3 პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, VI, თბ., 1938.
25. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის (საკითხის დასმა), მრავალთავი, VIII, თბ., 1980.
26. გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, 1, თბ., 1974.
27. არნ. ჩიქობავა, ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტა ევოლუციისათვის, კრებულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ვ. თოფურიას რედაქციით, წიგნი 1, თბ., 1956.
28. მ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, იკვ. IX—X, თბ., 1958.
29. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია (ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1961.
30. მ. ალავეიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 1941.
31. გ. იმნაიშვილი, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.
32. Калинин А. В. Лексика русского языка, Москва, 1978.
33. კ. კუბლაშვილი, დიფთონგიზაცია აჭარულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 24-ე, ქუთ., 1962.
34. ს. ელენტი, ქართული დიალექტების წარმოქმნის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.
35. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
36. ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963.
37. ი. თევდორაძე, ქართული ენის პროსოდიის საკითხები, თბ., 1978.
38. არნ. ჩიქობავა, მახილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 3, თბ., 1942.
39. ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იკვ, ტ. 1, თბ., 1946.
40. არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1924.
41. ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკვ, ტ. VI, თბ., 1954.
42. გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

43. პ. ჯაფარიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთაისი, 1948.
44. თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
45. თ. გამყრელიძე, ზ. შაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტო ქართველურ ენებში, თბ., 1965.
46. Г. Т. Абзианидзе, Степень звонкости звонких смычных согласных в грузинском языке, фонетический сборник, I, Тб., 1959.
47. ს. ელენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.
48. ბ. ფოჩხუა, თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კოლოებში, თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1939.
49. ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს. თბ., 1964.
50. მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
51. ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტუმ, ტ. I, ტფ., 1919.
52. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები თბ., 1975.
53. გ. კაკარაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ქართველურ ენებში (ასიმილაცია და დისიმილაცია), სადისერტაციო ნაშრომი, მანქანაზე გადაბეჭდილი, თბ., 1974.
54. ლ. ნოზაძე, თანხმოვანთა ზოგი ცვლილებისათვის ქართულში, იკე, XIX, თბ., 1978.
55. ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
56. ი. ქობალაძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX—X, თბ., 1958.
57. Н. Я. Морр, Дневник поездки в Шавшетню и Кларджетню, тексты и разыскания по Армяно-грузинской филологии, кн., VII, С. Петербург, 1911.
58. თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968.
59. ი. ქავთარაძე, იმერული დიალექტის ისტორიისათვის, მაცნე, № 3, თბ., 1975.
60. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1. ნაწ. II, თბ., 1971.
61. ზ. სარჯველაძე, მეტათეზისი XI—XII საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში, ვორის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XI, თბ., 1966.
62. გ. როგავა, -ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთ., 1958.
63. არნ. ჩიქობავა, -ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენიმკის შოამბე, ტ. 1, თბ., 1937.
64. არნ. ჩიქობავა, გარე კახეთი დიალექტოლოგიურად, „არალი“, ტფ., 1925.

65. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С. Петербург, 1914; არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936. ს. ქლენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
66. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
67. ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე, ტ. VI, თბ., 1954.
68. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. 1, თბ., 1937.
69. თ. ქახაძე, ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემო-მეგრულში, კრებულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, თბ., 1956.
70. Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962.
71. მ. შანიძე, -ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, კრებულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1969.
72. შ. ძიძიგური, „ნოღარმა“, „ვახტანგმა“ და არა „ნოღარიმ“, „ვახტანგიმ“, გაზ. „თბილისი“, 1959, 21 ნომბერი.
73. თ. შარაშენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, თსუ შრომები, X, თბ., 1939.
74. ე. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 2, № 1—2, თბ., 1941.
75. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
76. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ქუთ., 1953.
77. ლ. ლეჟავა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, ტ. IX—X, თბ., 1958.
78. ს. ქლენტი, გურული კილო, თბ., 1936.
79. ვ. თოფურია, აკავი და ქართული სალიტერატურო ენა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, თბ., 1944.
80. არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1939.
81. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
82. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები III, თბ., 1959.
83. მ. ტუსკია, სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, I, თბ., 1969.
84. პ. ჯაჯანიძე, ოვ-ან სუფიქსი ქართულში, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ისტორია-ფილოლოგიის სერია, თბ., 1979.
85. ა. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მერყეულება, იკე, ტ. VIII, თბ., 1956.
86. შ. ნიქარაძე, ზემოკარაულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.

87. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
88. ს. ქლიბაძე, გერმული კილო, კრებულში: „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“, თბ., 1965.
89. თ. ზურაბიშვილი, ნა—ევ და ნა აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, წიგნში: ქართული სიტყვის ევლტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972.
90. ლ. ბარამიძე, გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, X 1, თბ., 1977.
91. Ш. В. Дзидзигური, К характеристике нижненмерского говора грузинского языка, «Памяти академика Н. Я. Марра, Москва-Ленинград», 1938.
92. გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
93. მ. ხუბუა, ზემოქართლის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი, 1932.
94. შ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1911—1913.
95. გ. ცოცხანიძე, პრეგერების -შე და -შა დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემდგომადობის საკითხი, მაცნე, ქართული ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1976.
96. ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, თბ., 1960.
97. ა. შანაძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.
98. შ. ძიძიგური, ლოგიკური სუბიექტის რიცხვის დიალექტური ვარიაციები ქართულში, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 2, თბ., 1940
99. ვ. ფანჩივიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 10, თბ., 1945.
100. არნ. ჩიქობავა, -ყი ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწადული, I—II, ტფ., 1923—24.
101. არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის ულღების სისტემაში, იკე, 1, თბ., 1946.
102. ბ. ფოჩხუა, მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1963.
103. არნ. ჩიქობავა, მარტევი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.
104. შ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1977.
105. ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, 1, თბ., 1946.
106. ქ. მჭენიძე, კვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთ., 1948.
107. პ. ჯაჩანიძე, ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში, ალ. წულუკიძის საბ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ქუთ., 1955.

108. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმის მოამბე, ტ. III, თბ., 1938.
109. არნ. ჩიქობავა, ფერეიდუნის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფ., 1927.
110. ივ. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იკე, ტ. I, თბ., 1946.
111. ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იკე, ტ. VII, თბ., 1955.
112. არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება. უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, თბ., 1944.
113. ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, ტ. VII, თბ., 1955.
114. გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჩგუფის ნაკვები ქართველურ ენებში, იკე, თბ., 1953.
115. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, С-ПБ 1914, მისივე. Дополнительные сведения о чанском языке, С-ПБ, 1911, არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვარობანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე VI, თბ., 1954, ვ. კახაძე, მეოთხე სერიის შწკრივთა წარმოება დიალექტებში, Ш. В. Дзидзигური, к характеристике нижнепимерского говора, Памяти академика Н. Я. Марра, Москва-Ленинград. 1938. ქ. ძოწენიძე, ზემო-ტიურული კილოვანი, თბ., 1973, მ. ალავეიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, II, ქუთ., 1941, ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე VI, თბ., 1954, ვ. კახაძე, მეოთხე სერიის შწკრივთა წარმოება დიალექტებში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბ., 1972.
116. არნ. ჩიქობავა, პერმანსიის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 1, თბ., 1943.
117. ვ. კახაძე, მეოთხე სერიის შწკრივთა წარმოება დიალექტებში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბ., 1972.
118. ვ. კახაძე, შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბ., 1971.
119. ნ. კერეჩხელიძე, კაუზატივის წარმოებისათვის ქართულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1, 1941.
120. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
121. ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებობების ურთიერთობისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 2, თბ., 1961.
122. ბ. ქორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
123. თ. უთურგაიძე, დ: ჩხუბიანაშვილი, ქ. გიუნაშვილი, ფერეიდუნე მბეტყველების შესწავლისათვის, იკე XXI, თბ., 1979.

124. სტ. ჩხეიკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, თბ., 1936.
125. პ. ჭაჭანიძე, სინტაქსური მოვლენები გუტულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XX XIII, ქუთ., 1970.
126. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, დამატება II, მარტივი წინადადების ტრობლემა ქართულში, 1, თბ., 1968.
127. ა. კიზირია, ჩვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თბ., 1974.
128. ი. ქავთარაძე, მიცემითის მრავლობითში დასმული ობიექტის აღნიშვნის ისტორიისათვის ზმნაში, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა VIII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1970.
129. ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, „ჩვენი მეცნიერება“, 1, ტფ., 1923.
130. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.
131. ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწლეული, I—II, ტფ., 1923 — 1924.
132. ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ნაწ. 1, ტ. III, თბ., 1963; ნაწ. II, ტ. IV, თბ., 1974.
133. ალ. ლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1, თბ., 1974, II, თბ., 1975.
134. ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული ლექსიკონი, თბ., 1974.
135. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1974.
136. И. Кавтарадзе, О некоторых основных типах грузинской диалектной лексики, историко-филологические разыскания, т. I, Тб., 1980.
137. ს. ელენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940.
138. И. Мегрелидзе. Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва-Ленинград, 1938.
139. ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1965.
140. ივ. ქავთარაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავისებურება ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 3, თბ., 1960.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
ქვემო იმერეთის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება	9
ზოგი რამე ქვემოიმერეთის კილოკავური დიფერენციაციის შესახებ	12
ნ ა წ ი ლ ი I. ძველიმერულის მიმართება უფალო კონტაქტში მყოფ	
ღიაღვრის პრეფორმაციასთან	
თ ა ვ ი I. ქვემოიმერულის მიმართება ზემოიმერულთან	22
თ ა ვ ი II. ქვემოიმერულის მიმართება ლეჩხუმურთან	40
თ ა ვ ი III. ქვემოიმერულის მიმართება ზემოკურულთან	47
ნ ა წ ი ლ ი II. ძველიმერულის ენობრივი მიმოხილვა	
თ ა ვ ი I. ფონეტიკური თავიებუებანი	49
მახვილი ქვემოიმერულში	51
ბგერათა ცვლილებანი	60
ხმოვანთა ცვლილებები	61
დიფთონგიზაცია ქვემოიმერულში	62
ხმოვანთა ელიზია	63
ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია	63
ხმოვანთა დისიმილაცია	64
ხმოვანთა სუბსტიტუცია	65
თაიზმოვანთა ასიმილაცია	66
ასიმილაციური გაყრუება	67
ასიმილაციური გამჟღერება	71
თანხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია	72
თანხმოვანთა დისიმილაცია	72
თანხმოვანთა სუბსტიტუცია	72
კომპლექსთა ცვლა	78
აფრიკატიზაცია	78
დეზაფრიკატიზაცია	80
მეტათეზისი	80
ბგერის დაკარგვა	84
ბგერის ჩართვა	89
თ ა ვ ი II. მორფოლოგია	90
სახელი	90
ანთრაპონიმების ბრუნებისათვის ქვემოიმერულში	99
სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება	102
თანდებულები	102
ნაცვალსახელები	105
ზმნისართები	112
სიტყვაწარმოება	115
-ი ა ნ, -ო ვ ა ნ, -ი ე რ სუფიქსები ქვემოიმერულში	116
კომპოზიტები	125
სახელზმნა	128
მიმღეობა	129
ზმნა	133
ზმნისწინი	133
ზმნის პირი და რიცხვი	136
ზმნის დრო-კილოთა ფორმები	149
სტატიკური ზმნათა წარმოება	150
კავშირებითი II	161
III სერია, თურმეობითი I	162
თურმეობითი II	166

კავშირებითი III	
დრო-კილოთა IV წგუნის ნაკეთები	167
შუალობითი კონტაქტის წარმოების შესახებ ქვემოიმერულში	167
ენებითის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურების შესახებ ქვემოიმერულში	172
თავი III. სინტაქსი	173
მსახლერელ-სახლერულის ურთიერთობა ბრუნვაში	179
მსახლერელ-სახლერულის ურთიერთობა რიცხვში	179
სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმება	184
დამატების მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება	184
ქვემდებარის საერთო გარდაუვალ ზმნასთან	188
თავი IV. ქვემოიმერულის ლექსიკური შედგენილობის შესახებ	189
შესწავლილი სოფლები	192
ლიტერატურა	196
	200

Клара Максимовна Кублашвили
НИЖНЕИМЕРЕТинский ДИАЛЕКТ ГРУЗИнского
ЯЗЫКА

Исследование
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси — 1985

გამომცემლობის რედაქტორი მ. გიორგობიანი
მხატვრული რედაქტორი ა. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ა. ხუციშვილი
კორექტორი ც. კვანტალიანი
ს. ბ. 1179

გადაეცა წარმოებას 22.08.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.10.85. უე 12442
საბეჭდი ქალაღი № 2. 60×84/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13. სააღრ.-საგამომც.
თაბახი 10,9. ტირაჟი 1000. შეკვეთის № 7621.

ფახი 1 მახ. 20 კაბ.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ლეჟავაძის პროსპექტი, 33.

Кутанское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательства, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутанси, пр. И. Чавчавадзе, 33.